699/
1966/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

1966 12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

10.336

12

დეკემბერი

1966

ლიტერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი

ახალ წელს მივეგებოდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო გოძიაშვილი,

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

აჰა, ესეც ასე. ეს წელიც ხომ ჩავბარეთ ისტორიას...

თქვენ კარგად იცით, რა ფიქრიც დამტრიალებს თავს. ვთქვა? ვიტყვი!

ჩემს ქვეყანას მრავალჟამიერობა, სიუხვე და ბარაქა, ჩვენს ბავშვებს — ჯანმრთელობა, გაზრდა და დღეგრძელობა; ჩვენს ასულებს, ჩვენს ჭაბუკებს — ყველა კეთილი ოცნების ფრთაშესხმა. ვულოცავ ჩემს სამშობლოს ახალ წელს და ალავერდი თქვენთან!

აკაკი შანიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ვულოცავ „ცისკრის“ მკითხველებს ახალ წელს და ვუსურვებ, რომ ქართველ ერს მომავალშიც მრავალი ჰქონდეს ისეთი ბედნიერი და სანეტარო დღეები, როგორც იყო მარად ტკბილად მოსაგონარი ზეიმი — ჩვენი სათაყვანებელი მგოსანთ მგოსნის შოთა რუსთველის იუბილე.

გივი წითლიძე,

სოციალისტური შრომის გმირი.

ვინც კი ყოფილა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში, უთუოდ შეამჩნევდა სოფსაბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობის შენობის კედლებზე გამოფენილ სამამულო ომის მონაწილეთა პორტრეტებს. ბევრი ჩვენი თანასოფლელი იბრძოდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვთან, რომლის გმირული დაცვის 25 წლისთავი ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნა საბჭოთა ხალხმა.

ახალი წლის წინ არ შეიძლება სიყვარულითა და მღელვარებით არ მოვიგონოთ მათი რანიდული ბრძოლა და შემართება. სასიხარულოა, რომ მშვიდობიანობის ჟამსაც ჩვენი სოფლის მოსახლეობა თავდადებული შრომის მაგალითებს გვიჩვენებს.

აი ამ სოფლის მშრომელთა სახელით ჩვენს ხალხს მინდა მივულოცო ახალი წელი!

ალექსანდრე ჯავახიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მთელი ჩემი სიცოცხლე ახალგაზრდობას ვემსახურებოდი. უფლებაცა მაქვს და მსურს კიდეც განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმო მას. ახალი წლის მიჯნაზე მინდა ვუსურვო მას ჯანმრთელი და ლამაზი სიცოცხლე, ნაყოფიერი შრომა, დიდი წარმატება მისი მრავალმხრივი მუშაობის სარბიელზე.

მე მჯერა თქვენი! მჯერა და მწამს, რომ კეთილი საქმეებით განამტკიცებთ ქართველი ხალხის სახელსა და ღირსებას.

ალექსანდრე ჯანელიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ყველაფერი ძველდება ამ ჩვენს პატარა მიწა-წყალზე, მხოლოდ წლები მოდის ახალი. ეს სიახლე მათში ახალგაზრდობას შეაქვს. ამიტომ ვულოცავ ახალგაზრდობას მთელი გულით ახალს, ამ საუკუნის 67-ე წელს. ეს წელი სახელოვანი საიუბილეო წელიწადიც არის. გისურვებთ ახალი დიდი იმედებით და დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე შეხვედროდეთ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან და გულითადად გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს — თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თქვენ იბრძვით ჩვენი ლენინური პარტიის დიადი საქმისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის. აქტიურად იცავთ რა პარტიის გენერალურ ხაზს, თქვენ განვლეთ დიდი ცხოვრების სკოლა და შეიძინეთ მრავალმხრივი პოლიტიკური გამოცდილება. პირველი ხუთწლედების წლებში, იყავით რა ხელმძღვანელ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე, თქვენ ბევრ ძალას ახმარდით სოციალისტურ მშენებლობას, იყავით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელის პერიოდში, მეთაურობდით რა არმიის პოლიტიკურ განყოფილებასა და სამხრეთის და უკრაინის მე-4 ფრონტების პოლიტიკურ სამმართველოს, უშუალო მონაწილეობას იღებდით საბრძოლო ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში, განვლეთ ისეთი ისტორიული ბრძოლები, როგორიც იყო ბრძოლა კავკასიისათვის, ყირიმის, უკრაინის განთავისუფლებისათვის. საბჭოთა არმიის მებრძოლები და მეთაურები თქვენ გიცნობენ როგორც შესანიშნავ პოლიტიკურ მუშაკს, დიდი სულისა და მამაცობის ადამიანს.

ომისშემდგომ წლებში პარტია გაბარებდათ პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბნებს. ეს ყველგან — პარტიის ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნის, მოლდავეთისა და ყაზახეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე — თქვენთვის ჩვეული ენერგიითა და ბოლშევიკური მგზნებარებით იბრძოდით პარტიისა და ხალხის დიადი საქმისათვის.

მრავალი წლის მანძილზე თქვენ შედიხართ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი პირთვის შემადგენლობაში. როგორც აღიარებული პოლიტიკური ხელმძღვანელი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმზე, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აგირჩიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენი უაღრესად უშუალო მონაწილეობით უკანასკნელ წლებში შეიმუშავა და განახორციელა სკკპ XXIII ყრილობის მიერ მოწონებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების განვითარებისათვის, მუშაობაში კო-

ლექტიურობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, სახალხო მეურნეობის ხელ-
მძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი
ზრდისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლ-
ებისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს
თავდაცვითი ძლიერების გაფიდებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება კი-
დევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ლენინური პარტიის როგორც ხალხის პოლიტი-
კური ბელადის, მასების ორგანიზატორისა და ალმზრდელის ავტორიტეტს.

ცენტრალური კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს და ახორ-
ციელებენ ეფექტიან საერთაშორისო პოლიტიკას, რომელსაც მხურვალედ უჭერს
მხარს მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი პარტია და ხალხი დიდად აფასებენ თქვენს
დიდ წვლილს ამ პოლიტიკის შემუშავებაში, რომლის მიზანია სოციალიზმის
მსოფლიო სისტემის განმტკიცება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა
ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვი-
დობის განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭე-
რა, თქვენს მოღვაწეობას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის
შესაკავშირებლად. ყველა ქვეყნის მშრომელებთან რევოლუციური სოლიდარო-
ბის კავშირის განსამტკიცებლად.

მთელ თქვენს ყოველდღიურ მოღვაწეობაში თქვენ, ლეონიდ ილიას-ძე,
გვიჩვენებთ მუშაობაში მაღალი მომთხოვნელობისა და საქმიანობის, კადრებ-
სადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების, თავმდაბლობის,
თვითკმაყოფილებისადმი შეუწყნარებლობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის
მომწიფებული საკითხების გადაჭრისადმი ღრმა მიდგომის, მარქსიზმ-ლენინიზმის
თეორიის სიწმინდისათვის ბრძოლაში შეურიგებლობის მაგალითს.

მთელი თქვენი დაუცხრომელი და მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობ-
ლოს საკეთილდღეოდ თქვენ მოიხვეჭეთ კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამია-
ნის ღრმა პატივისცემა.

გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, ჯანმრთელობას, მრავალ წელს
სიცოცხლეს და ნაყოფიერ შრომას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ლ. ი. ბრეჟნევის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით
კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობ-
ის განმტკიცებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწი-
ფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დიდი სამამულო
ომის ფრონტებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ
ბრძოლაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგ ლეონიდ
ილიას-ძე **ბრეჟნევს** დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირე-
ბით მიენიჭა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცა **ლენინის**
ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიის ცხოვრებიდან

საქორწინო ეტლი...

გივი მეფისაშვილი,
გაზეთ „ჟუთაისის“ რედაქტორი.

ქორწინება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება ჩვენში, ისე როგორც მრავალ სხვა ხალხში, უძველესი დროიდან არის დამკვიდრებული. მისი ზოგიერთი ელემენტი ქართველთა წარმართობის პერიოდს უკავშირდება.

ქრისტიანულმა ეკლესიამ, მიუხედავად წარმართულ რელიგიასთან მკაცრი ბრძოლისა, ვერ შეძლო ძირფესვიანად მოესპო ძველი რწმენა-წარმოდგენები და იძულებული გახდა ბევრი რამ მიეღო წარმართული რელიგიისაგან. ეს შეინიშნება „ნათლობის“ ცერემონიალის ცალკეულ ელემენტებში, აგრეთვე ქორწინების წეს-ჩვეულების შესრულებისა და სხვა ქრისტიანული საკულტო დღესასწაულების დროსაც.

ქრისტიანობამ დააკანონა ქორწინების ახალი წესები, რომელთა საშუალებითაც ცდილობდა თავისი სარწმუნოებრივი იდეების გავრცელებას.

ქორწინებისათვის სასიძოს უნდა წარედგინა მოწმობა (რეკომენდაცია) იმ მღვდლისაგან, რომლის მრევლის წევრიც იყო. ასეთი მოწმობა ეკლესიას ესაჭიროებოდა, რათა ოფიციალურად გაეფორმებინა ქორწინების აქტი, გაეგო სასიძოს წლოვანება, სარწმუნოება, ასრულებდა თუ არა იგი ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს და სხვა. ჯვარს უმეტესად პატარძლის სოფელში იწერდნენ, ამიტომ მისთვის ოფიციალური მოწმობა აუცილებელი არ იყო.

ბატონყმობის დროს ასეთი მოწმობის გარდა საჭირო იყო ბატონის ნებართვა (ყმის ოჯახიდან ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში). უიმისოდ მღვდელს უფლება არ ჰქონდა ჯვარი დაეწერა ნეფე-დედოფლისათვის. ბატონი ნებართვას აძლევდა ყმის ოჯახს მხოლოდ მაშინ, თუ ყმა მის სასარგებლოდ გადაიხდიდა გარკვეულ თანხას. ქვრივის გათხოვების შემთხვევაში — „საქვრივოს“, ქალიშვილის გათხოვებისას — „საჩექმეს“. სახელმწიფო გლეხები აღნიშნულ გადასახადს მეფის მოხელეების მეშვეობით უხდიდნენ სახელმწიფოს, საეკლესიო გლეხები — ეკლესიას. ჩვენს ხელთ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებში და ზეპირ გადმოცემებში „საჩექმე“ ფულადი გადასახადი ჩანს. „საქვრივოს“ კი ახდევინებდნენ როგორც ფულს, ისე საქონელს. ამავე მასალებიდან ირკვევა, რომ მებატონე ქვრივის გათხოვებით ძალზე დაინტერესებული ყოფილა. იგი აიძულებდა ქვრივს გათხოვილიყო, რათა მისგან გამოსაღები მიეღო. ამ ძალმომრეობის

წინაღმდეგ მეფე ვახტანგ მეექვსე თავისი სამართლის 203-ე მუხლში აღნიშნავს: თუ ქალი დაქვრივდეს, მისი მებატონე მას მეორედ ძალად ნუ გაათხოვებს, ვინც უნდოდეს ქვრივს ის შეირთოს, ვისაც არ უნდოდეს გათხოვება, თავის ობლებთან დარჩესო.

საქორწილო წესებთა შერჩევის დროს უადრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მათი სოციალური წარმოშობა. ყველა ვალდებული იყო, შესაბამისი წესდებისა და საზოგადოებრივი უფლების საფუძველზე, საქორწინო ურთიერთობა ჰქონოდა თავისი ფენის წარმომადგენელთან. მაგალითად, მეფეს აუცილებლად უნდა შეერთო დიდგვარიანი თავადის ასული, ხოლო მეფის ასული დიდგვაროვან თავადს უნდა გაჰყოლოდა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში სასიძო ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდა ეგრეთწოდებულ „საკანონოს“, რომელიც კარგა მოზრდილ ფულად თანხას შეადგენდა. თავადს არ შეეძლო წოდებრივად მასზე დაბალი მდგომი ქალის შერთვა. თუ თავადი გლეხის ქალს შეირთავდა, ქალი ხასად, არაკანონიერ ცოლად ითვლებოდა, მისი შვილები — არაკანონიერ მემკვიდრეებად.

ბრსებობდა თვით წოდებათა შიგნით ეკონომიური ურთანასწორობის საფუძველზე აღმოცენებული შეზღუდვებიც, რაც განსაკუთრებით თავს იჩენდა დაბალ წოდებაში — გლეხობაში.

როგორც ცნობილია, იყვნენ თავისუფალი, აზატი გლეხები და ყმები. ყმა გლეხები იყოფოდნენ სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო ყმებად, ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით — „ლიტრიან“, „ნახევარლტრიან“, „ჩარექიან“ და „ნახევარჩარექიან“ გლეხებად. ელეხების ფენებად დაყოფა და ქონებრივი დიფერენციაცია გავლენას ახდენდა საქორწინო ურთიერთობაზე. აზატი გლეხი ცდილობდა დამოყვრებოდა უფლებრივად თანასწორ გლეხს, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხი საქორწინო კავშირს არ ამყარებდა სა-ბატონო გლეხთან, ისე როგორც „ლიტრიანები“ „ნახევარლტრიანებთან“ და ა. შ.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხების ფენებად დაყოფა შედარებით შემცირდა (მაგალითად, მოისპო აზატ და ყმა გლეხებად დაყოფა), მაგრამ ქონებრივი დიფერენციაცია გაიზარდა. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საქართველოს საზოგადოებრივ ყოფაში საგრძნობლად განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები. ახალი კლასი — ვაჭართა ფენა გვარიშვილობით იყო დაინტერესებული და საზოგადოებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად ცდილობდა თავადებთან დაკავშირებას, დეგრადაციის გზაზე დამდგარ თავადს კი ასეთი ქორწინება ეკონომიურად წელში მართავდა.

ქორწინება ქონებრივ და საზოგადოებრივ ცენზზეა დამოკიდებული, რის გამოც ირღვევა ორი პიროვნების შეუღლების მთავარი არსი — ბედნიერი ოჯახის შექმნა და ჯანსაღი თაობის წარმოშობა. უთანასწორო საფუძველზე დამყარებულ ქორწინებას, უსიხარულო, მხოლოდ ანგარებისათვის შექმნილ ოჯახს ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის.

ამიტომ ქონებრივ და საზოგადოებრივ ცენზზე აგებული ქორწინება ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი აზრის მიერ უარყოფილია და დაგმობილი.

ქორწინებისათვის ასევე უცხოა და მიუღებელი დრომოჭმული ტრადიციების ფარად გამოყენება. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა ორი ახალგაზრდის ბედნიერებას წინ აღუდგებიან ოჯახის ღირსების ცრუ ტრადიციას ამოფარებული მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები. არ ითვლისწინებენ, რომ ყოველი დრო, თავისი საზოგადოებრივი და ეკონომიური წყობის მიხედვით, შესაბამის ჩვეულებებსა და ტრადიციებს ქმნის და აყალიბებს. თა-

ნამედროვე ადამიანისა და ოჯახის ღირსება სულ სხვანაირად გაიზომება, ვიდრე წარსულში.

საზოგადოებრივი აზრი მკაცრად სჯის ადამიანებს, რომლებიც ოჯახის ღირსების ჭეშმარიტ დაცვას იიგივებენ დროშოკმეული ტრადიციების გამოდევნებასთან, ხდებიან პირმოთნეები, ადგებიან დანაშაულის გზასაც. მოიგონეთ, როგორი მწვავე პროდიით გაუმასპინძლდა იტალიელი რეჟისორი პიეტრო ჯერმი (ფილმში „შეცდენილი და მიტოვებული“) იტალიური საქორწინო წესჩვეულებების მავნე ტრადიციების დამცველებს.

ასევე საყურადღებოა ფილმი „ქორწინება იტალიურად“. იგი გამოხატავს ქორწინებისადმი დამოკიდებულებას კაპიტალისტურ სამყაროში.

ჩვენი ეპოქის ადამიანების ცხოვრება და ოჯახი ლაღი, ნათელი და სხივიანი უნდა იყოს.

ქორწინების საეკლესიო შეზღუდვებმა, რაც უმთავრესად წოდებრივი და ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე იყო აღმოცენებული, თანდათან დაკარგეს თავისი ძალა. სოციალურ-ეკონომიური პირობების შეცვლასთან ერთად, იცვლება ოჯახის ფორმა, მასთან ერთად საქორწინო ურთიერთობაც.

ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში მტკიცედ დამკვიდრდა ქორწინების ძველი საეკლესიო ტრადიციის ცალკეული ელემენტები, რომლებშიც გამოხატულია წინაპაპრთა მაღალი სულიერი მრწამსი, მორალური და ზნეობრივი სიწმინდე. ძველებურად ძალაში რჩება ქორწინების ძველი შეზღუდვები: ორცოლიანობა, ნაძალადევი ქორწინება და სხვ.

ამ საუკეთესო ტრადიციებთან ერთად ქორწინების ძველი ტრადიციის მავნე გადმონაშთებიც გვხვდება, რაც დაკავშირებულია „ჯვარისწერის“ რელიგიური ცერემონიალის ცალკეულ ეპიზოდებთან.

„ჯვარისწერა“, ისევე როგორც „ნათლობა“ და სხვა საეკლესიო ცერემონიალი, უძველესი დროიდან ხალხის სულიერი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო.

როგორც წესი, ქრისტიანული საეკლესიო წეს-ჩვეულება მიბაძვითია. მისი ცალკეული ელემენტები უკავშირდება ძველ, წარმართულ რელიგიას.

ქრისტიანული „ჯვარისწერის“ ცერემონიალის დასაწყისში ანთებული სანთლებით სამჯერ ჯვარის დაწერა ჯერ კიდევ წარმართ რომაელებს, უფრო ადრე ებრაელებს ჰქონდათ წესად. ხალხი დიდხანს გაუბრდა ქრისტიანულ ქორწინებას, სავალდებულოდ არ თვლიდა ეკურთხებინა გვირგვინი ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით. ეკლესიამ ბევრი რამ მიიღო წარმართობისაგან და ქრისტიანული რელიგიის საფარით შემოსა. ამიტომ არის, რომ „ჯვარისწერის“ რიტუალში მრავალი მაგიური წეს-ჩვეულებაა შემონახული.

მაგიურია „ჯვარისწერის“ ცერემონიალის დასასრულს ანალოის (საქადაგებლის) ირგვლივ ახლად დაქორწინებულთა სამჯერ შემოტარება, საქორწინო ბეჭდების სამჯერ გაცვლა და სხვა. „სამი“ წარმართულ წინაპრებში ჯადოსნური ძალისა იყო (შორეულ წარსულში ბევრი ხალხი, მათ შორის ქართველებიც, პატივს სცემდნენ ნაყოფიერების სულებს, რომლებიც ძირითადად სამ ნაწილად იყვნენ დაჯგუფებულნი. ერთნი მფარველობდნენ პირუტყვს, მეორენი — ცხვარს, მესამენი — ნათესებს. მათ რიცხვში იყო აგრეთვე მშობიარობის, დედობის მფარველები. ერთი და იმავე მოქმედების სამჯერ გამეორება ერთგვარი ჯადოსნური „პროფილაქტიკაა“, რის შემდეგაც ადამიანი თითქოს დაცულია ყოველგვარი მოსალოდნელი საფრთხისაგან).

წარმართული ეპოქის გამოძახილია „ჯვარისწერის“ ცერემონიალის სხვა წესებიც. მაგალითად, ეკლესიაში ჯვა-

რის დასაწერად მიმავალ ნეფე-დედოფალს ხელში ბაღდადი უჭირავს, ეკლესიაში ახლობლები გარს ეხვევიან და თვალყურს ადევნებენ ვინმემ ცუდი თვალით არ შეხედოსო. ერთ-ერთი მაყარი ამ დროს სამრეკლოზე დგას, დარაჯობს, რომ ეკლესიის ზარი არავინ ჩამორეკოს. ზარის ჩამორეკვა ჯვარისწერის დროს უბედურების მომასწავებელია (ზარის ჩამორეკვა გაიგივებული უნდა იყოს „ზარის“ ტერმინთან, თავზარის დაცემასთან. სულხან-საბა ორბელიანს ზარი განმარტებული აქვს როგორც „საზარელისაგან შიში“. საზარელი — „ზარის დასაცემი სასმენელი ესმას“). ნეფე-დედოფალმა გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ უნდა გაიაროს, თუ ხმლები არა აქვთ, მეჯვარე ეკლესიის კარებში დგას და ხანჯლით ჯოხს თლის. ამ ნათლებზე უნდა გაიაროს ნეფე-დედოფალმა, თორემ „ეშმაკები“ დაჯახნიან, ერთმანეთს დაიცილებენ.

მიუხედავად „ჯვარისწერის“ ამ მაგიური, ჯადოსნური მხარისა, ნიშანდობლივია, რომ მას საზეიმო ხასიათი, შთამაგონებელი ელფერი ჰქონდა. ცხოვრება გვარწმუნებს, რომ ამ სამოქალაქო ცერემონიის საზეიმო ცხოველმყოფელობა აუცილებელია ხალხისათვის ყოველთვის, ყოველ ეპოქაში.

❁

თავდაპირველად რითი შევცვალეთ „ჯვარისწერა“ — კანცელარიული პროცედურით, რომელსაც ოფიციალურად მოქალაქეობრივი მდგომარეობისა და ქორწინების რეგისტრაციის აღრიცხვის ბიურო ჰქვია (მშაჩი).

ბევრ ჩვენგანს ჰქონდა შემთხვევა საკუთარ თავზე გამოეცადა ბიუროს ოფიციალური ცერემონიალის უფერულობა.

ბიურო ვიწრო, ბნელ ოთახშია მოთავსებული. მაგიდასთან ზის სოლიდური მამაკაცი (ან ქალი). ჩვენს აღტაცებულ გამომეტყველებას იგი მოწყენილი შეკითხვით ეგებება:

— რა გსურთ?

— ხელის მოწერა, — ვეუბნებით ერთმაყოფილოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაგვიკითხეს ლექცია, რომ ამისათვის საჭიროა პასპორტები, ქაღალდების შეკვრა და ა. შ. როგორც იქნა, შეგვივესეს ქორწინების მოწმობა, ხელი მოვაწერეთ.

— მოგილოცავთ, — გვესმის ოფიციალური ტონი, — თქვენგან სამი მანეთი!

ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ...

გავიდა დრო, ჩვენს ქვეყანაში მმაჩის ბიუროები მნიშვნელოვნად გადაკეთდა. მათი მუშაობა გამოცოცხლდა, განაახლდა. ჩვენ დავესწარით ქორწინების რეგისტრაციის ცერემონიალს მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, თბილისსა და ქუთაისში და უადრესად კმაყოფილი დავრჩით. მაგრამ ყველგან ასე როდია.

მჩეფველობაში გვაქვს არა ცალკეული მმაჩის ბიუროები. რესპუბლიკის ამ სისტემის დაწესებულებები როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, უკანასკნელ დრომდე ცხოვრებას არ მიჰყვებიან ფეხდაფეხ, კანცელარიული სულისკვეთება იგრძნობა ქორწინების ოფიციალურად გაფორმების დროს.

ახალგაზრდობა ეძებს აღმფრთოვანებელს, საზეიმოს, მშვენიერს. უმეტესობა საკუთარი ძალებით ცდილობს, რომ ქორწინება, ეს ყველაზე ლამაზი, მიმზიდველი მოვლენა, დასამახსოვრებელი განადოს. როგორ უპასუხებენ მმაჩის ბიუროს მუშაკები ახალგაზრდობის ამ მისწრაფებას?

ამას წინათ სოფელ კურსებში (ტყიბულის რაიონი) ასეთი სამარცხვინო ფაქტი მოხდა. ორმა ახალგაზრდამ ჯვარი დაიწერა მოწამეთის მოქმედ ეკლესიაში. ამ ახალგაზრდებს დიდხანს ვესაუბრე. რასაკვირველია, მათი მოქმედება გასაკიცხია, დასაგმობია, მაგრამ მათ სიტყვებში ბევრი რამ საგულისხმოა. ახალგაზრდებმა განაცხადეს (მოგვყავს სიტყვა-სიტყვით):

„— იქ (ლაპარაკია სოფლის მმაჩის ბიუროზე) ჩვეულებრივი კანცელარიუ-

ლი პროცედურაა. შეავსებ ბლანკებს, ხელს მოაწერ და მეტი არაფერი. ჩვენ კი ასე უფერულად არ გვინდოდა ხელის მოწერა. გვინდოდა უფრო სხვანირად გვეგრძნო ჩვენი ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. „ჯვარისწერა“ ისე როდი გვაინტერესებდა, როგორც მორწმუნეებს. ჩვენ მიგვიზიდა ხელის მოწერის მხოლოდ გარეგნულმა მხარემ“.

ეს იშვიათი ფაქტი როდია. ასეთი შემოხვევები სხვაგანაც გვხვდება, თუმცა სოციალურ-ეკონომიური პირობების შეცვლის შემდეგ „ჯვარისწერამ“ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა.

მხატვრული ღირებულებით ძველის ტოლფასოვანი ახალი საზეიმო წეს-ჩვეულებები ჯერ არ შექმნილა. დრო კი არის.

1957-1959 წლებში გაზეთ „ედაზში“ (ესტონეთის სსრ) დაიბეჭდა მრავალი საყურადღებო წერილი ძველი რელიგიური წეს-ჩვეულებების ახალი სამოქალაქო წესებით შეცვლის თაობაზე. წერილის ავტორები — ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები ლაზიკი, მიკი და კალისტი, თეატრ „ვანემუინეს“ დირექტორი კალმო და სხვები ნათლად და გარკვევით ესაუბრებოდნენ ახალგაზრდობას, მთელ საზოგადოებრიობას ძველი ტრადიციების შეცვლის გზებზე. მათ წამოაყენეს მრავალი წინადადება, რომელთა შორის საყურადღებო იდგილი ეჭირა ქორწინების ახალი ტრადიციების დამკვიდრებას.

წერილებში დასმულ საკითხებს გამოეხმაურა მმჩის ბიუროს ახალი გამგე ილმე ტოოტსი. ილმე თვით იყო მორწმე ბიუროს უფერული მუშაობისა: მოდიან ადამიანები, ზოგს უხარია, ზოგი წუხს. ყველას ჩვეულებრივი კანცელარიული ბიუროკრატიზმით ხვდებიან.

ბიუროს მუშაკები ყოველთვის როდი არიან დამნაშავენი. მრავალი ღონისძიებაა ჩასატარებელი, მაგრამ, როგორ, რა გზით გამოიძებნოს თანხები? როგორ შეიცვალოს კაზიონურობა?

ილმე ტოოტსს მრავალი მხატვრული ფერადოვანი ფერადოვანი ფერადოვანი ფერადოვანი ... ...

●

როგორ გამოიყურება ქორწინების რეგისტრაციის ახალი ტრადიცია?

ზეციხედოთ ილმე ტოოტსის ბიუროში.

დანიშნულ საათს ახალგაზრდა წყვილს მოსაცდელი დარბაზიდან იწვევენ ბიუროს გამგის კაბინეტში და ასრულებენ აუცილებელ ფორმალობას, გარდა ხელმოწერისა. აქედან ილმე ტოოტსს ისინი მიჰყავს სასტუმრო დარბაზში, სადაც უკვე იცდიან ახალგაზრდების ნათესავები, მოწვეული სტუმრები. ისმის მენდელსონის „საქორწინო მარში". ზოგჯერ წყვილს დარბაზის შესასვლელში უწყობენ ეგრეთწოდებულ „საქორწინო კარებს" — მათი ამხანაგები, მეგობრები ჩამწკრივდებიან ორ რიგად. ყვავილების თაიგულებით. ასეთი კორტეჟით ისინი შედიან სასტუმრო დარბაზში.

ნეფე-დედოფალს მიართმევენ სავარძელს. ილმე მიესალმება ახალდაქორწილებულებს. მისალმება არ არის გრძელი, პათეტიკური. ილმე უბრალოდ, სადად ესაუბრება ახალგაზრდებს ოჯახზე, ცოლ-ქმრის პასუხისმგებლობაზე ერთმანეთის, ბავშვების, საზოგადოების წინაშე. შემდეგ გამოაცხადებენ ხელმოწერის ოფიციალურ აქტს. ასახელებენ ახლადშეუღლებულთა გვარებს, ასაკს (ასაკის აღნიშვნა ყოველთვის არაა საჭირო!), მუშაობის ადგილს.

საერთო მხიარულებაა. ნეფე-დედოფალი ხელს აწერს ქორწინების მოწმობას, ყველანი ფეხზე დგებიან. ილმე ტოოტსი საზეიმოდ ამბობს: „ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით ვაცხადებ: ამ მომენტის შემდეგ თქვენ ითვლებით ცოლ-ქმრად" და მიართმევს ქორწინების მოწმობას. თუ წინასწარ მოლაპარაკებული არიან, ახლადშეუღლებულებს გადასცემს საქორწინო ბეჭდებს.

მთელი ცერემონიალი 30-40 წუთს გრძელდება.

ასეთი ცერემონიალი ტარტუს მმაჩის ბიუროში 1958-63 წლებში ათასჯერ ჩატარა. ამ ფაქტმა ფართო გამოხმაურება პოვა. ქორწინების რეგისტრაციის ახალმა ტრადიციამ ჩვენს რესპუბლიკაშიც მოიკიდა ფეხი. მაგრამ საჭიროა შემოქმედებითად მივუდგეთ ესტონელი მეგობრების კარგ თაოსნობას; შაბლონურად არ გადმოვიტანოთ მათი წამოწყებები, გავითვალისწინოთ ჩვენი ხალხის საუკუნოვანი ტრადიციები და სახალხო წეს-ჩვეულებებიდან შევარჩიოთ მხოლოდ პროგრესული ფორმები.

თბილისისა და ქუთაისის ქორწინების სახლები ამის საუკეთესო მაგალითია.

მისასალმებელია თბილისის ქორწინების სახლის თაოსნობა. აქ ახალ დაქორწინებულთათვის გამოჰყვეს ეტლი, რაც ეგზოტიკურ სილამაზეს აძლევს ადამიანის ბედნიერების აქტს.

შორეულ წარსულში ჩამოყალიბებული ხალხური ტრადიციები დროთა განმავლობაში გაშალაშინდა, განახლდა. ხალხი კრიტიკულად აფასებდა წარსულის მემკვიდრეობას, ცხოვრების შესაბამისად არჩევდა ყოფა-ცხოვრების ნორმების ახალ ფორმებს.

ძველად ქორწინების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა მაყრიონი მდადეს (მხლებელი ქალის) და ეჯიბის თანხლებით. ამ ტრადიციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ხალხმა დიდი ხანია უკუაგდო ქორწილის დროს საჩუქრების მირთმევის საზეიმო ცერემონიალი. ჩვენში დასაბამი მიეცა კეთილშობილურ საწყისებს— მთელი კოლექტივი თავის წევრს ქორწინების დროს მიართმევს რაიმე სამახსოვროს, რითაც გამოხატავს მისდამი პატივისცემას, სიყვარულს.

საჩუქრის მირთმევის ტრადიცია არ შეიძლება ხელაღებით, ერთბაშად მოისპოს. ეს ელემენტი დიდხანს იარსებებს ხალხის ყოფაში. საჭიროა მხოლოდ შეექმნათ დახვეწილი, მიზანშეწონილი ფორმები, რომლებიც ძველ წარმოდგენებს დაუკავშირდება.

●

ჩვენს თაობას საღი წარმოდგენა აქვს ქორწინებაზე, ოჯახზე, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზე. მათ ყველა

პირობა ენდა შეგუქმნათ, რომ ქორწინების უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი ცხოვრებაში შთაგონების, შემოქმედებითი შემართების წყარო გახდეს.

1959 წლის ნოემბერში ლენინგრადში, საბჭოთა კავშირში პირველად გაიხსნა ქორწინების სასახლე ლამაზი, გაჩირაღდნებული დარბაზით, სადაც ეწყობა ახლადშეუღლებულთა საზეიმო საქორწინო ცერემონიალი.

ბუნებრივია, ქორწინების სასახლე მალე ახალგაზრდობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ 130-150 წყვილიდან, რომლებიც ლენინგრადში ყოველ დღეურად ტარდება საქორწინო რეგისტრაციაში, უმრავლესობა ახალი ცხოვრების საგზურს ქორწინების სასახლეში იღებს. რელიგიური „ჯვარისწერა“ სრულ დავიწყებას მიეცა, მისი ელემენტები შეიცვალა ახალი ტრადიციებით, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ძველი თაობის წარმომადგენლებიც. ქორწინების სასახლის დირექტორთან საუბარში ერთ-ერთმა მოხუცმა, რომელიც ახალი ცერემონიალის სანახავად მივიდა, გულწრფელად აღიარა: „მე მორწმუნე ვარ, ცხადია, თავის დროზე ეკლესიაში ქრისტიანული წესით დავიწერე ჯვარი, მაგრამ როგორ მინდა, რომ ჩემი შვილიშვილების ბედნიერებას მოვესწრო აქ, ამ ნათელ შენობაში“.

1961 წელს ქორწინების სასახლე მოსკოვშიც გაიხსნა და სულ მოკლე ხანში ისეთი ფართო პოპულარობა მოიპოვა, რომ სასახლის მუშაკები მომსახურების მსურველთა დაკმაყოფილებას ორ ცვლაშიც კი ვერ აუდიოდნენ. საჭირო გახდა სასახლეების გახსნა მოსკოვისა და ლენინგრადის ცალკეულ რაიონებში.

ლენინგრადელებისა და მოსკოველების მაგალითის მიბაძეს არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებმა, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმაც.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დიდი ხანია მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი მმაჩის ბიუროების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. როგორც ზემოთ ვთქვით, თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში გაიხსნა ქორწინების სახლები. მაგრამ ქორწინების რეგისტრაციის ცერემონიალის მხატვრული გაფორმების მხრივ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, ეს ითქმის განსაკუთრებით რესპუბლიკის ცალკეული რაიონების მისამართით.

რაც შეეხება საქორწინო ზეიმის აღნიშვნას, ჩვენს სინამდვილეში ამ მხრივაც შეინიშნება გარკვეული ძვრები, ფართოდ ვრცელდება ახალი წამოწყება — „კომკავშრული“, „სტუდენტური“ ქორწინებები, რომელთაც თაოსნობენ საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები.

ახალგაზრდობა. მისთვის ნურაფერს დავიშურებთ!

ვლადიმერ გაგუა,
თბილისის კუშკის საბელოგის
ეკონომიური ინსტიტუტის დოცენტი.

ჩვენი ცხოვრების ერთი უმთავრესი საკითხი ახალგაზრდობის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა და ფიქრია. არც ერთი თაობის ადამიანისათვის სულერთი არ ყოფილა, თუ როგორი იქნებოდა მისი შემცვლელი თაობა, რა უნარს, ენერგიასა და სურვილს გამოიჩენდა იგი წინაპართა მიერ დაწყებული საქმეების განგრძობასა და წინ წაწევაში. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ახალგაზრდობის აღზრდას დღეს, ახალი სოციალური ურთიერთობისა და მომავალი

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზე, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. ცხოვრების უზვეულო სისწრაფით განვითარება ახალ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს, ყველ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს. კაცობრიობის მიერ დაგროვილი კულტურული მემკვიდრეობის კვლავ ათვისება რჩება სწავლა-აღზრდის ერთ-ერთ ამოცანად. მაგრამ საკმარისი არ არის მხოლოდ ძველის, მიღწეულის ათვისება, საჭიროა ახლის გაგებისა და ძიების უნარი, სადღეისო ამოცანების სწორი განსაზღვრა, მეცნიერული აზრისა და ტექნიკის პროგრესის დონეზე ყოფნა.

საბჭოთა პრესაში უამრავი წერილი რბეჭდება ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის ცალკეულ საკითხებზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენი ავტორია, იმდენი აზრია გამოთქმული. ეს არც არის გასაკვირი, ჭეშმარიტება აზრთა ჭიდილში იბადება და ყალიბდება. დიდ საქმეზე ფიქრი და, მით უფრო, მისი სწორი გადაწყვეტა შეხედულებათა თავისუფალ გამოთქმას, გაზიარებას მოითხოვს. ამიტომაც გვსურს ორიოდე მოსაზრება შევთავაზოთ მკითხველს.

მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების სისტემაში მთავარი ადგილი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას უჭირავს. უახლოეს პერიოდში საშუალო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა კიდევ უფრო მეტად გაზრდის მის როლსა და მნიშვნელობას. გრანდიოზული ამოცანებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებაში სკოლის შესახებ. მასში ნათქვამია, რომ ჩვენი სკოლა, მიუხედავად მისი დიდი წარმატებისა, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ წყვეტს პარტიისა და ხალხის მიერ დაყენებულ ამოცანებს. საქმე ეხება მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნაჩვევების ხარისხსა და დიაპაზონს, რომელიც აშკარად გაუმჯობესებასა და [illegible] ფართოებას მოითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ერთი ობიექტური [illegible] რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ სკოლებისაგან უკეთ მომზადებული ახალგაზრდობის აღზრდა მოითხოვა. საჭირო შეიქნა სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში ცვლილებების შეტანა, რაც ძირითადად, მათი მოცულობის გადიდებაში გამოიხატა. ახლა საჭიროა ვისწავლოთ ბევრად მეტი, ვიდრე 5-10 წლის წინათ. ამას ცხოვრება მოითხოვს. მაგრამ აქვე იბადება კითხვა: მატულობს თუ არა შესასწავლი მასალის მოცულობის გადიდებასთან ერთად ბავშვისა და მოზარდის გონებრივი შესაძლებლობანი? თუ მატულობს, მაშინ ეს ამოცანა გადაწყდებოდა მოსწავლის მეტი მოცულობის სასწავლო მასალით დატვირთვით.

სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ბავშვისა და მოზარდის შესაძლებლობანი განსაზღვრულია ასაკის მიხედვით. იგი არ განიცდის დიდ ცვლილებას მეცნიერული და ტექნიკური აზრის განვითარების ტემპის შესაბამისად, აშკარად ჩამორჩება ამ ტემპს. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ მოზარდი ორგანიზმის ასაკობრივი შესაძლებლობისა და თავისებურებათა გათვალისწინება სწავლების ეფექტურობის საფუძველია; გაუთვალისწინებლობა კი საზიანო და მავნე როგორც ინტელექტუალური განვითარების, ისე ფიზიკური ჯანმრთელობისათვის. სასწავლო მასალით მოსწავლის გადატვირთვა იწვევს საკუთარი ძალებისადმი რწმენის დაკარგვას, ნერვულ დაძაბულობას და ა. შ. ერთი სიტყვით, მოზარდის გონებრივი შესაძლებლობანი განსაზღვრულია და მისი ფარგლების ხელოვნური გაფართოება შეუძლებელია.

პარადოქსად ისმის ზოგიერთის მტკიცება, რომ პირველი კლასის მოსწავლეს შეუძლია ალგებრისა და გეომეტრიის ელემენტების შეთვისება ან თითქოს 6 წლის ასაკში შეიძლებოდეს სწავლის

დაწყება. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პირველ კლასში რვა წლის ასაკის ბავშვებს იღებდნენ. აძეკამად შვიდი წლის ასაკია დადგენილი. ახლა ზოგიერთი 6 წელს მოითხოვს.

მაშ, სად ვეძებოთ გამოსავალი? იქნებ სწორი გზა — სწავლების ვადის გადიდებაა?

საწარმოო სწავლებამ, რაც ჩვენს სკოლებში ბევრგან დაინერგა, ვერ გაამართალა იმედები, პირიქით, მან მნიშვნელოვნად შეაფერხა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება და საგრძნობლად დააქვეითა სწავლების ხარისხი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა საწარმოო სწავლებასთან ერთად უარგვეყო შრომითი–პოლიტექნიკური სწავლება. აქვე უნდა თქვას, ბევრ სკოლას არა აქვს სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა — კეთილმოწყობილი სასწავლო სახელოსნოები, საცდელი მიწის ნაკვეთები, ცოცხალი ბუნების კუთხე, მოსწავლეთა ასაკის შესაფერისი ინვენტარი და ა. შ. ზოგჯერ შრომითი აღზრდის შეუფასებლობა იქამდე მიდის, რომ ხელგარჯილობისა და შრომის გაკვეთილებს სხვა დისციპლინებს უთმობენ. მართალია, შრომითი-პოლიტექნიკური ციკლის დისციპლინების სწავლება ითვალისწინებს ჭრა-კერვისა და მეოჯახეობის შესწავლას, მაგრამ მოსწავლეები მათ სათანადოდ ვერ ეუფლებიან. მუშაობა ისე უნდა დავაყენოთ, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდა სრულყოფილად იყოს მომზადებული დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ხშირად ჩვენმა ქალიშვილებმა კარგად იციან ფილმების შინაარსი, იცნობენ კინოვარსკვლავებს, იციან ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ვარცხნილობის მოდები, მაგრამ არ იციან ის, რაც მომავალ დედას მოეთხოვება: ბავშვის ტანსაცმლის შეკერვა, საკმლის დამზადება, რეცხვა, ბინის გემოვნებით დალაგება და სხვ. ოჯახური ბედნიერებისათვის კი ყოველივე ეს საჭიროა და აუცილებელიც.

დიდი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი წერდა: „თუ აღმზრდელს სურს ადამიანი აღზარდოს ბედნიერებისათვის, ის უნდა აღზარდოს არა ბედნიერებისათვის, არამედ შრომისათვის“. და ეს ჭეშმარიტია, შრომისათვის აღზრდა ხომ ბედნიერებისთვის აღზრდაც არის. ზედმეტი არ იქნება თუ აქვე მოვიტანთ ჩვენი ეპოქის დიდი პედაგოგის ა. მაკარენკოს სიტყვებსაც. „ბედნიერად გრძნობენ თავს ის ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ეხერხებათ და ემარჯვებათ“.

შრომის ჩვევების გამომუშავება, შრომისმოყვარეობის აღზრდა ეროვნულ-პატრიოტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საქმეა. ბევრ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდას აკლია ხოლმე ეს თვისება და ამის გამო ზოგჯერ ფართო სარბიელზე ვერ გადის. გამოჩენილი გამომგონებელი ედისონი წერდა: „გენიოსობა არის 95% შრომა და პლუს 5% ნიჭი“. და თუ ჩვენს ნიჭიერ, გონიერ ქართველ ახალგაზრდობას სკოლაში სწავლის დროს გამოვუმუშავებთ შრომისმოყვარეობასა და სიბეჯითეს, მაშინ, უეჭველია, ჩვენი ერი საკაცობრიო კულტურის საგანძურში განუზომლად მეტ წვლილს შეიტანს.

სკოლაზე ლაპარაკს ლოგიკურად მოყვება უმაღლესი სკოლის საკითხი. სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის ერთიანი ჯაჭვია. სკოლის მიღწევებსა და ნაკლს ყველაზე უკეთ უმაღლესი სასწავლებელი ვრძნობს. საშუალო სკოლადამთავრებულთა ერთი ნაწილი არც არის სტუდენტობის ღირსი, მაგრამ როგორრაც მაინც შედის უმაღლეს სასწავლებელში და ამთავრებს კიდეც. მართალია, უმაღლეს სასწავლებელს ძალიან უჭირს პირველკურსელი სტუდენტის ცოდნაში იმ ხარვეზის შევსება, რაც სკოლიდან მოჰყვა, მაგრამ ეს არ არის შეუძლებელი და თუ არ მოხერხდა, ასეთი სტუდენტი ვერ უნდა ამთავრებდეს ინსტიტუტს. ერთი ავტორი ამას წინათ გონებამახვილურად წერდა გაზეთ „პრავდაში“: უმაღლესი სასწავლებელი ბევრ შემთხვევაში ჰგავს ტრამვაის, რომლის მგზავრს

დამშვიდებით შეუძლია ბოლო გაჩერებამდე იაროსო. თითქმის ყველა სტუდენტი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს. ეს მხოლოდ ფორმალობაა. უნდა გამონახოს ეფექტური ფორმები ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებული ყალბი ლიბერალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზოგი რამ გაკეთდა უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფის მიზნით. მაგრამ გასაკეთებელიც საკმაოდ ბევრი დარჩა. აშკარაა, არ კმარა ოთხი-ხუთი წელი სრულყოფილი უმაღლესი განათლების მისაღებად, მით უფრო ისეთ პირობებში, როცა სპეციალობის შესწავლას სტუდენტი მთელი დროის მესამედს ან მეოთხედს ანდომებს. მაშ რაღა გასაკვირია, უმაღლესი განათლების მქონე პირი სათანადოდ ვერ იყოს დაუფლებული თავის სპეციალობას, არ ჰქონდეს საკმაო პროფესიული მომზადება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება პედაგოგიურ ინსტიტუტებს.

ახალგაზრდობის აღზრდაში, მის ყოველმხრივ განვითარებაში სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი სინამდვილე, სოციალური გარემო. სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა კარგი მუშაობა ორგანულად უნდა იყოს შეხამებული იმ გარემომცველ წრესთან, რომელშიც ახალგაზრდა თაობა იმყოფება. კვლავ ილიას მოვუსმინოთ: „იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველი ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიარეა და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, სადაც ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე... თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ“. ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. ილია ჭავჭავაძე გმობდა საზოგადოების უყურადღებობასა და გულგრილობას მოზარდი თაობის ბედისადმი, რამაც სახრჩობელამდე მიიყვანა ახალგაზრდა კაცი. ჩამოხრჩობილის მშობლებს ლისწყარომთა მოპრძანავს ხალხს: „ჩვენ ყველასთვის უცხონი ვიყავით... ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად... თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“ („სახრჩობელაზედ“). ასეთი გულგრილობა ბოროტებას უდრის და შეუწყნარებელია.

სამწუხაროდ, გულგრილობის ცალკეული შემთხვევები ჩვენს დროშიც შეინიშნება. ქუჩაში ხშირად ვხედავთ, თუ როგორ ეწევა 10-12 წლის მოზარდი პაპიროსს, იქცევა უკულტუროდ, უზნეოდ, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და რატომღაც მოქალაქეობრივ მოვალეობად არ მიგვაჩნია, ჩავერიოთ, მივცეთ შენიშვნა, განვუმარტოთ საზოგადოებაში თავის დაჭერის ელემენტარული წესები. სწორედ საზოგადოების ასეთი გულგრილობა და ჩაურევლობაა ზოგიერთი ახალგაზრდის ამორალური ქცევის, უდისციპლინობისა და ხულიგნობის მიზეზი. საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, მთელი საზოგადოების ერთიანი, შეთანხმებული ზემოქმედების სისტემის შექმნა, ჩვენი ახალგაზრდობის ბედისადმი ცხოველი ინტერესის გამოჩენა, — აი რას უნდა ცდილობდეს, რაზე უნდა ზრუნავდეს ყოველი მოქალაქე, ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი, ახალგაზრდობის მეგობარი და პატივისმცემელი.

ახალგაზრდობას მრავალმხრივი ინტერესები, მიდრეკილებანი და ფიქრები აქვს და ისინი სამართლიანად ითხოვენ დაკმაყოფილებას. ავიღოთ, თუ გნებავთ, კულტურული მოთხოვნილებანი. კინო, თეატრი, ტელევიზია, კულტურის სახლები და პარკები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებენ ამ ფუნქციას. თეატრალური სპექტაკლები ხშირად ვერ უპასუხებენ თანამედროვეობის მაღალ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. არც საკმაო ღრმა-იდეური და მაღალმხატვრული ფილმებითაა განებივრებული ჩვენი ახალგაზრდობა, ტელეგადაცემები, გან-

საკუთრებით სატელევიზიო ფილმები ხშირად ვერ იწვევენ ცხოველ ინტერესს. და ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ქუჩაში გადის. ქუჩა კი, როგორც ამბობენ, სავსეა მოულოდნელობით. ადამიანს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდას, ყოველთვის აქვს მოქმედების სურვილი და თუ ის სასარგებლო საქმით არ იქნა დაკავებული, შეიძლება რამე დაშავოს და გაფფუჭოს. საჭიროა მეტი რაოდენობით გვქონდეს ახალგაზრდული კლუბები, პარკები, სპორტული მოედნები, პერიოდულად გაიმართოს ლიტერატურულ-მეცნიერული პაექრობები, კითხვა-პასუხის საღამოები, ჭეშტრუბთან, მეცნიერებთან, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, გართობის საღამოები და ა. შ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ყოველმხრივ განვითარებას, მათი იდეური და კულტურული დონის ამაღლებას, ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, ერთმანეთთან დაახლოება-დამეგობრებას და ა. შ.

კარგი იქნება თუ ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოვიღებთ სტუდენტთა ერთიან ფორმას ინსტიტუტების განმასხვავებელი ნიშნებით. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე სტუდენტთა დისციპლინის განმტკიცებას, სტუდენტის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, საკუთარი უმაღლესი სასწავლებლის ღირსების დაცვის სულისკვეთების გაძლიერებას. ერთიან ფორმას ასევე მნიშვნელოვანი ესთეტიკური მხარეც აქვს. უმაღლეს სასწავლებელში მეტი სილამაზე და ლაზათი დაისადგურებს. ერთიანი ფორმა ბოლოს მოუღებს სტუდენტთა ჩაცმა-დახურვაში ფარულ „შეჯიბრს“ (გულახდილად რომ ვთქვათ: ღია კონკურსს!) და მშობლებს ეკონომიურ შეღავათს მისცემს.

ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე დიდ ვალშია კინოსტუდია „ქართული ფილმი“, რომელიც ნორჩი თაობისა და ახალგაზრდობისადმი მიძღვნილ ფილმებს იშვიათად სთავაზობს მაყურებელს. ხოლო ზოგიერთ მათგანში სერიოზული პედაგოგიური შეცდომაა დაშვებული. ქართულ პედაგოგიურ პრესაში ... ტიკეს ზოგიერთი კინოფილმის პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მხარე. ამ სურათებში არასწორადაა ასახული საბჭოთა ბავშვების სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრება.

კინო ეხლოლდ გასართობი არ არის. ის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა და ყოველ სურათს არა მარტო მაღალი მხატვრული ოსტატობა მოეთხოვება, არამედ, და ეს მთავარია, იდეურობა და დამაჯერებლობა.

თქმა არ უნდა, ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ფილმები მეტი რაოდენობით, მეტი დაკვირვებითა და სიფრთხილით უნდა შეიქმნას. ასეთი ფილმების კონსულტანტებად უნდა მიიწვიონ სპეციალისტები, როგორც ამას სამხედრო და ისტორიული ფილმების გადაღების დროს აკეთებენ ხოლმე.

ორი სიტყვა პედაგოგიურ ლიტერატურაზეც, რომლის დიდი მნიშვნელობაც სრულიად უდავოა. მაგრამ მის გამოცემას სათანადო ყურადღება არ ექცევა. უფრო მეტიც, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა პედაგოგიური ლიტერატურისათვის განკუთვნილი ფონდები. გამომცემლობათა გამსხვილებამდე პედაგოგიურ ლიტერატურას უშვებდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და მისი მეთოდკაბინეტი, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი. ყოველწლიურად გამოცემული ლიტერატურის მოცულობა ათას თაბახს სჭარბობდა. ამჟამად შრომები სწავლა-აღზრდის საკითხებზე გაცილებით ნაკლებად იბეჭდება, რისი გამართლებაც არაფრით არ შეიძლება. თითქმის არ ქვეყნდება ნაშრომები პიონერული და კომკავშირული მუშაობის საკითხებზე და ამ დარგის მუშაკები ამაოდ ელიან მათთვის საჭირო ლიტერატურას. აღზრდის თემებზე ლიტერა-

ტურის გამოცემას თვით ცხოვრების აუცილებლობა მოითხოვს და ეს უნდა გაკეთდეს.

ახალგაზრდობის აღზრდაში დიდია მასწავლებელთა, მშობელთა, უფროსი თაობის ადამიანთა მაგალითის ძალა. „აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს“ (კ. მარქსი) და ყოველმხრივ სანიმუშო და მისაბაძი იყოს. ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებით სასკოლო ასაკში, დამახასიათებელია შთაბეჭდილებათა ადვილად მიღება, მიბაძვა; მოზარდი ბაძავს არა მარტო დადებითს, არამედ უარყოფითსაც. ამიტომ ყოველი ადამიანის, მეტადრე პედაგოგის ვალია, იყოს ზნეობრივად სპეტაკი, განათლებული და კულტურული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი. ჩვენი ახალგაზრდობა განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალყურს ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობას და მოღვაწეობას. მათი ცხოვრებისეული ფასეულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მუშაკის მთელი საქმიანობა პირადი მე-ს კეთილდღეობისკენაა მიმართული, აშკარად არ ახდენს კეთილმყოფელ გავლენას ახალგაზრდა კაცის სულსა და გულზე. ჩვენს მოზარდ თაობას სურს მეგზურებად ჰყავდეს პატიოსანი, უანგარო და უმწიკვლო ადამიანები, რომლებსაც შეიძლება ანდო შენი ფიქრი და ოცნება, ინტერესი და მისწრაფება, ადამიანები, რომლებიც შეიძლება გიყვარდეს და პატივს სცემდე.

ახალგაზრდობა მუდამ და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, მისთვის ნურაფერს დავიშურებთ!

„ციხეკარი“ ამ ... ?

დაარსების 40 წელთან დაკავშირებით და მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „პიონერი“ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი სამჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ჟურნალი „ციხეკარი“ მხურვალედ მიესალმება ქართველი პიონერების საყვარელ ჟურნალს, ულოცავს დამაღების ორმოცი წლისთავს და უსურვებს მას ასაკ-ასაკ შემოქმედებით გამარჯვებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.336

როდიონ ქორქია

ნაკლული სიბრძნეები

სიცოცხლის მარილი

რემა ჭედია სოფელ ჭალადიდში საუკეთესო მოცეკვავე და მომდერალი იყო. მღეროდა ყველგან: შინ და გარეთ, ყანაში თუ ტყეში; ბუნებას დაეჯილდოვებინა ამ იშვიათი და ლამაზი ნიჭით.

რემა დიდი ხუმარაც იყო, გონებამახვილი და მხიარული კაცი.

1904 წელს სოფელში ასი წლის მოხუცი გარდაიცვალა. შვილებმა ტრადიციული ტირილი მოაწყვეს. ერთი შვილი ორმოცი წლისა იყო, მეორე — ოცდათხუთმეტისა. წესისამებრ, ორივენი სეფის თავში დადგნენ და მოტირალთაგან სამძიმარს ისმენდნენ. მოტირალნი ჯერ სეფაში შევიდოდნენ, მიცვალებულს დაიტირებდნენ, შემდეგ შვილებს მიუსამძიმრებდნენ.

ჰოდა, მოვიდა სატირლად რემა ჭედია, ჭიშკართან ყაბალახი მოიხადა და ისე შემოვიდა ეზოში. სეფის ახლოს ხანჯალი ამოიღო ქარქაშიდან და ყაბალახთან ერთად მაგიდაზე დადო. ასეთი იყო წესი.

მაშინ ათი წლისა ვიქნებოდი. ვდგავარ სხვა ბავშვებთან ერთად სეფის ახლოს და ვუყურებ სეირს. ბავშვებისათვის ეს ამოდენა ხალხი, სეფაში ტირილი, ხოლო ეზოში სიცილი მართლაც სეირი იყო. ასი წლის მოხუცს არავინ ტიროდა. ჰოდა, მიუახლოვდა რემა სეფას. წაიშინა თავში ხელი და დაიწყო:

— ვაი, უბედურო, გიგოია! რა ვუთხრა შენს ობოლ ბიჭებს?

ყველამ იცოდა, რა ხნისა იყვნენ „ობოლი ბიჭები“ და გაეცინათ. გაგვეცინა ბავშვებსაც. „ობლებმა“ წარბები შეიკრეს.

რემა გაბრუნდა. რამდენიმე მოტირალი გამოუშვა და მერე ისევ წამოვიდა. ახლა კი უხმოდ შევიდა სეფაში, მიუტირა კუბოს, მობრუნდა და მივიდა გულხელდაკრეფილ ვაჟიშვილებთან. არაფერი უთქვამს რემას, მხოლოდ თავი დაუკრა ჭირისუფლებს და, ჰოი, საოცრებავ, — ცრემლები ჩამოუგორდა. ამ ცრემლებმაც გააცინა ხალხი. მიცვალებულის შვილებმაც ვერ შეიკავეს თავი. მათაც გაეცინათ.

ასეთი იყო ეს საოცარი კაცი. მუდამ ჯანსაღი სიცილი იცოდა. იყო რაღაც სტიქიური და მიამიტური რემას სიცილში. ეს იყო სიცილი... სიცილი მშრომელი კაცისა, სიცოცხლის მარილი...

ერთი კოცნის ამგავი

ერთი სტუმრად ჩამოსული ლამაზი ქალიშვილი მოეწონა რემას. ეს ქალიშვილი უკარება და ამპარტავანი იყო და არავის აქცევდა ყურადღებას. რემასაც ტუჩებაბზეკით უყურებდა. მე ბიჭი არ ვიყო, თუ არ გაკოცეო, შეუთვალა რემამ.

ერთ საღამოს იმ ოჯახში შევიკრიბეთ, სადაც ის ქალიშვილი იყო სტუმრად. აბა ჩონგური, აბა სიმღერები! უკარება იჯდა, ყურს გვიგდებდა; ხმას კი არ იღებდა. რემა არ იყო ჩვენთან, ბოლოს მოვიდა. ყაბალახი ისე შემოეხვია თავზე, სახე არ უჩანდა. თან ჯოხს ეყრდნობოდა, კოჭლობდა, ნამდვილი მოხუცი გვონებოდათ. სტუმარმა, რასაკვირველია, ვერ იცნო საღამოს ბინდში ასე გადასხვაფერებული რემა. რემამ გასაოცრად იცოდა ხმის შეცვლა. ახლაც ხრინწიანი ხმით ეკითხა, ვინ არისო ეს გოგო?

— ანეტაა დისწულია, — ვუპასუხეთ ჩვენ.

ანეტა ოჯახის დისახლისი[1] ეგულებოდა.

— ოი, შენი ჭირიმე! რამოდენა გაზრდილხარ, — წამოიძახა რემამ, გაშალა ხელები და გადაკოცნა სტუმარი ქალიშვილი. ისიც მიეწდო რემას და აკოცა.

ცოტაც და რემამ მოიხსნა ყაბალახი, გაისწორა ულვაშები და ქრისტეს სიმშვიდით შეხედა სტუმარს. იკვლა სტუმარმა და გავარდა გარეთ. შემოვიდა დისახლისი, თან ეცინებოდა, თან გაკვრეტას ლამობდა:

— შენი სიკვდილი, რემა! ეს რა გიქნია, ბიჭო?

— ქალბატონო ანეტა, — მძიმედ დაუკრა თავი რემამ. — ქალი უკოცნელი და ყანა უთობნელი არაფრად ვარგა. რას გაგვრბის? დაჯდეს ჩვენთან და იმხიარულოს. ადამიანმა თუ ახალგაზრდობაში არ გაიცინა, აბა როდისაა უნდა გახსნას შუბლი?! ყველანი მოვეხსწრებით დარდსა და სიბერეს.

მ ე რ ი ქ ი ფ ე

ჯაბა ქორქმან ქალიშვილი გაათხოვა. დიდი ქორწილი გადაიხადა. შუა ქეიფში თავადმა მეჭი ფაღდამ სურა მოითხოვა. მიართვეს. თავადმა აიღო სურა, ექსპრომტად. ორთხელ კედევ, დალოცა მეფე-დედოფალი, გამოსცალა და დაიძახა:

— ბატონ ჯაბასთან ვარ ალაფერდი!

თამადამ მოუხმო ჯაბას და თავისი ხელით გადასცა სურა. ეს, ძველი წესით, პატივისცემას ნიშნავდა.

ჯაბასთვის ძნელი იყო ორბოთლიანი სურის უეცრად დაცლა. გარდა ამისა, ჯაბა თვითონ იყო ქორწილის თავმდეგი, ღვინო არ უნდა დაელია. რა ექნა, უარს ვერ იტყოდა.

მიიღო ჯაბამ სურა, დადგა შუა სეფაში და დაიძახა:

— რემა ჭედია! ღვინო მოიტა, შვილო!

მოვარდა რემა. იმ დღეს იგი სუფრის მერიქიფე იყო. ჯაბამ თვალი ჩაუკრა და სურა გაუწოდა. რემამ გამოართვა სურა და ჯარასავით დატრიალდა. წამსვე მიაწოდა ვიღაცის უხილავმა ხელმა თეთრი პურის ფუნთუშა გული. წამსვე ამოგლისა რემამ სურის ყელი და მიაწოდა ჯაბას. ჯაბამ მოწიწებით აიღო სურა ორივე ხელში. რემამ დაიწყო ღვინის ჩასხმა და დაიწყო კომედიაც.

ღვინის ჩასხმას იმდენი დრო მოანდომა, რამდენიც საჭირო იყო სურის ასავსებად. ჯაბამ ასწია სურა, მოიხადა ბოხოხი და დინჯად გამოსცალა ცარიელი სურა.

რემა სასოებით უყურებდა ჯაბას და ხმამაღლა იძახოდა:

— თო ჯიმ![1] რას ნიშნავს მაგარი კაცი! მე წამაქცევდა ეგ სურა!

ბოლოს, ჯაბამ გადმოაპირქვავა სურა და გადასცა რემას. სეფამ ტაში დაუკრა. რემამ გაიტანა სურა, რომ ჩაგლესული პური ამოეყარა. ყველა ქმაყოფილი იყო ამ ფეფარდო სცენით.

[1] ოჰ, ძმაო! — მეგრულად.

ა რ ტ ი ს ტ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემა მიწის მუშა იყო. ყანიდან დაბრუნებული აგურის ქარხანაში მუშაობდა. ერთ ზაფხულს ფოთიდან ერთი გიმნაზიელი გოგონა ესტუმრა ჩემს ნათესავს ვანოს. გოგონამ გვთხოვა, რემა მიჩვენეთო; ფოთში გაეცნო თურმე. რემას თავი ჭალადიდელ ხე-ტყის მრეწველად გაესაღებინა. ჰოდა, ჭალადიდში რომ ჩამოვიდა, ამ ქალიშვილს რემა გაახსენდა.

წავედით რემას სანახავად აგურის ქარხანაში. ვხედავ, რემა გამალებით მუშაობს, ტალახით მოთხუპნულია. კოხტა ულვაშები ცხვირსახოცით აუკრავს, თავზე ფართო ჭილოფის ქუდი ჰხურავს, რომ ლამაზი, ხუჭუჭა თმა მიწითა და ტალახით არ აევსოს. დგას ორმოში და ზელს ტალახს — ალიზს. რომ დაგვინახა, მუშაობა არ შეუჩერებია. მივუახლოვდით და მხიარულად შევძახე:

— გამარჯობა, რემა!

— რემა არაა, ბატონო! — მიპასუხა რემამ. — რემა ტყეშია. დღეს ტივებს აგზავნის ფოთში და მუშებს ადგას თავზე... დაბრუნდება საღამოს... ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს კი ჩოხა-ახალუხში ჩაკოხტავებული რემა თვითონ ეახლა იმ ქალიშვილს და ასე უთხრა:

— ჩემს აგურის ქარხანაში მობრძანებულხართ დღეს, ქალბატონო! მუშამ მომახსენა. მე კი ტყეში ვიყავი. ტივებს ვაგზავნიდი ფოთს...

და მთელი თვე სოფელში იყო ორი რემა: ერთი თავაუღებლივ მუშაობდა ტალახში ამოსვრილი. მეორე კი საღამოობით ლამაზ ჩოხა-ახალუხში ჩაკოხტავებული გამოდიოდა რიონის პირად, ხუმრობდა, მღეროდა, სხვებსაც ამღერებდა.

იყო დიდი არტისტიზმი რემას საქციელში. ვინ იცის, სხვა დროს და სხვა პირობებში რა დიდი არტისტი გამოსულიყო მისგან.

მაშინ კი, ძველ დროს, ასეთი „არტისტებით“ იყო მომზიდველი სოფელი.

მ ო კ ა რ ე ლ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

იყო სოფელში ერთი ლამაზი ქალი, სარელად ტატა. ლამაზები სხვებიც იყვნენ, მაგრამ ტატა იმით გამოირჩეოდა, რომ ძალზე უწყინარი და ჩუმი იყო.

ეს ქალი შეუყვარდა ჩვენივე სოფლის ახალგაზრდას, ნიკოს. ნიკოც უწყინარი და უსიტყვო კაცი იყო, მშრომელი, გულმართალი გლეხი. ძლივს, ძლივს გაუმჟღავნა ტატას თავისი გრძნობა. ტატამ შორს დაიჭირა: ქვრივი ვარ, სახელი გამიტყდებაო.

ნიკომ რემას, თავის ახლო მეგობარს, გაანდო ეს ამბავი. რემამ უპასუხა: ეგ საქმე ჩემზე იყოს, მოვაგვარებო. და აი, რა ჰქნა:

დაიწყო რემამ სიარული ტატასაკენ. ხან ყანა გაუთოხნა, ხანაც შეშა დაუპო. ჩონგურზეც დაუმღერა. შემდეგ რამდენიმეჯერ ახალგაზრდებთან ერთადაც ესტუმრა. გამოაცოცხლა მიჩუმებული გული ქალისა. რამდენიმე თვის შემდეგ პაემანიც დაუნიშნა. ტატა დათანხმდა: ამალამ ხულასთან გელიო... რემას მაგივრად კი პაემანზე ნიკო წავიდა.

დაღამდა. ნიკომ მოიხურა ნაბადი, მოიბურა თავი ყაბალახით და ხულასთან გაჩნდა. ნიკოს ბეჯზე დამე უმთვარო იყო, მაგრამ ცა — მოწმენდილი. ნიკომ ღობიდანვე შენიშნა, ტატას შავი შალი მოეხურა და კედელს მიყრდნობოდა. ფრთხილობდა, კატის ნაბიჯით მიუახლოდა ნიკო ლაფაროს, გადაიძრო ნაბადი და ჩაეხვია ტატას.

— დიდუ, რომელი ხარ? — სულშეგუბულად წამოიძახა ტატამ, — ეს ვისი ულვაშებია?

რემას აბრეშუმივით რბილი და ფა-

ფუკი ულვაშები ჰქონდა. ნიკოს მეჩხერი და ხეშეში.

— ჩემი ულვაშებია, ჩემი, — დარწმუნებით და ჩუმად უთხრა ნიკომ.

გაძალიანდა ტატა, მაგრამ გაძალიანდა ნიკოც. ბოლოსდაბოლოს, ორმა ჩუმმა ადამიანმა ჩუმად გააპარა ბაფხაულის მოკლე ღამე.

და ჩუმადვე ინახავდნენ ეს ფარულ სიყვარულს. კმაყოფილი იყვნენ.

კმაყოფილი იყო რემაც. — დაეხმარა ამხანაგს.

ადამიანი და ძაღლი

რემა საოცარი იმიტატორი იყო. ისე კამოაჯავრებდა ცხოველს, ვერაფრით ვერ მიხვდებოდი.

ერთხელ სოფლის გზაზე მივდივართ ბალკაზრიდები. გადმოყუდებული ჭიშკრიზე დიდი ნაგაზი და გვიყურებს. რემამ ჩაუარა და დაიყეფა. აიწურა ძაღლი. ჭიიხედ-მოიხედა — სხვა ძაღლი არა ჩანს. გაუკვირდა. რემამ ისევ დაიყეფა. ძაღლი გადმოხტა ჭიშკრიზე, დაიწყო „იმ“ ძაღლის ძებნა. ვერ ნახა. დაიბნა.

რემამ ეხლა წკმუტუნი დაიწყო. ძაღლი გაბრაზდა. მიტრიალდა, მოტრიალდა, მაგრამ „ის“ ძაღლი არსად ჩანდა. ძაღლს ისეთი გამოლენჩებული სახე ჰქონდა, რომ სიცილი აგვიტყდა. რემამ

კი განაგრძო; ახლა საცოდავ ყმუილს მოჰყვა. ნაგაზი დაეშვა მიწაზე და ატირდა. მართლაც რომ ტირილს გავდა მისი ყმუილი. ალბათ თუ წარმოიდგინა, რომ მის მომძეს უჭირდა და თვითონ ვერ შველოდა.

— ხედავთ? — თქვა რემამ. — ძაღლი რომ ძაღლია, იმანაც იცის სიბრალული. ჰგონია, რომ სადღაც სხვა ძაღლს უჭირს და შეწუხებულია... ნეტავი ერთი, ეს დაანახვა ჩვენს ბოქაულს, სულ რომ მგელივით იგლეჯება!

მივიდა ძაღლთან, მოეფერა და მხიარულად მიეწკმუტუნა. ძაღლს გაუხარდა, შეტტა და შემოხტა. მხიარულად აყეფდა.

საკუთარი თავი დაიტირა

ერთხელ რემამ საკუთარი თავი დაიტირა.

ფოთიდან მოვდივართ ნავით. რემას ჰხარზე ჭაპანი აქვს მოგდებული და ისე ეზიდება ნავს. ნავში ზის ბიბეი აბაკელია, ესეც ერთი მეტად საინტერესო პიროვნებაა ჩვენს სოფელში. ბახვაზე ცალკე მექნება საუბარი. ჰოდა, ნავშია ბახვა, უკირავს გრძელი ჭოკი და, ნავი რომ ნაპირს არ მიაწყდეს, ამ ჭოკით შეაყენებს ხოლმე. შეაყენებს და ბიძგი-ბიძგით მიჰყავს წყალიდა. ნავი დიდია, ძძიმე. შრომაც დიდია და ძძიმე, მომღელი და გულის მომწყვეტელი. დრო ზანტად მიდის. რაც გინდა მოინდომოს მუშა კაცმა, ვერ აჩქარდება: ფოთიდან ჭალადიდამდე თორმეტი კილომეტრია, მაგრამ ნავის ამოყვანას მთელი დღე უნდა. ასეთ შემთხვევაში ზოგი მენავე მღერის სევდიანად, ძალზე სევდიანად.

ჰოდა, მღერის რემაც. ის ხომ მუდამ მღერიდა?

მაგრამ ახლა რემას სიმღერა ტირილს უფრო ჰგავს. დავუგდე ყური და... მართლა ტირის. დასტირის თავის თავს.

— ვოუ, რემა! შე საწყალო კაცო! ასე აღრე რატომ დაიკრიფე გულზე ხელები? ასე ადრე რატომ დატოვე შენი სოფელი? შენი ტოლი ამხანაგები? შენი ქამარ-ხანჯალი და ცხენი? ვოუ, რემა! რა იყავი, შე უბედურო? სიმღერა გიყვარდა, ახლა რამ დაგიდუმა პირი? ცეკვა გიყვარდა, ახლა რამ დაგიბორკა ფეხები? ულვაშების აგრეხა გიყვარდა, ახლა რამ ჩამოგიყარა ულვაშები! ვოუ, რემა! შენს ხუჭუჭ თმაში სავარცხელი ტკაცუნობდა, ახლა რამ მოგიძენძა თმა? შენი თეთრი ცხენი შავად მორთულა,

ბიჭო! შენი თეთრი ცხენი უკუღმა შეკაზმულია, ბიჭო! ვოუ, რემა! ჩემო კარგო ბიჭო! სულ შრომობდი, სულ მიწაში იყურებოდი, შე უბედურო! ახლა ეს მიწა დაგეყრება გულზე... ვოუ რემა, ერთი ცირა მაინც გაგეხარებინა, ძმაო! ერთი ბიჭი მაინც დაგეტოვებინა შენს სახელზე, შენს სოფელში! ვაი, ვაი! რა მწარეა უდროოდ სიკვდილი!

ვხედავ, რემას ცრემლები ჩამოსდის. ბახვა იღიმება და თვალებს იწმენდს.

— რას ტირი რემა? — შეეკითხა რემას.

— მუდამ სიცილი ჩემი მტრისას, — მიპასუხა რემამ. — ხანდახან ცრემლიც ამსუბუქებს გულს... ჰოდა, დავიტირე ჩემი თავი და შემეცოდა კარგი კაცი!

მართლაც და კარგი კაცი იყო რემა ჭედია. ძველი სოფლის ჯავარი და სიხარული.

გ ა ხ ვ ა

სოფელ ჭალადიდში ცხოვრობდა ერთი მარტოხელა კაცი — ბახვა აბაკელია. მენავე და მონადირე იყო. ამბობდნენ: ჭაბუკობაში ვიღაც უყვარდა, ის ქალი გაუთხოვდა და გულმოკლულს სხვა არ შეურთავსო.

ბახვას დიდი ნავი ჰქონდა. ამ ნავით ეზიდებოდა ჭალადიდიდან ფოთს ავურს. ცოტაოდენ მიწასაც ამუშავებდა და ცხოვრობდა თავისთვის ტყის პირას, სოფლის დასალიერს, შემოწნული ნალიის ქვეშ. შემოდგომა-ზამთარს კი ნადირობდა.

ბახვას კარგი ჩაცმა უყვარდა: ჩოხა-ახალუხი, ბოხოხი, მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი ჰქონდა. ტანად იყო დაბალი, მსხვილი, ჩაკრული. მოკლე წვერებს ატარებდა. ჭკვიანი და სხვიანი თვალები ჰქონდა; სიტყვაძვირი იყო და გულკეთილი.

ფოთიდან რომ ამოვიდოდა, თავისი დიდი ნავით თეთრ გოგორა პურებს, ფუნთუშებს ამოიტანდა, ნაპირზე მომდგარ ბავშვებს დაგვირიგებდა. ამ ბავშვებში კი მისიანი არავინ იყო.

განა მარტო ბავშვებს გვიხაროდა ბახვას ამოსვლა ფოთიდან? მთელ სოფელს უხაროდა. და არ მახსოვს, რომ ვინმეს მადლობა ეთქვას ამ კეთილი კაცისთვის. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ კარგ კაცს ბავშვები უნდა ყვარებოდა, ადამიანის სიკეთე არავის ეუცხოვებოდა.

ახლაც თვალწინ მიდგას: დინჯი რიონი, დიდი ნავი, ბავშვების გუნდი ნაპირზე და ნავში მჯდომარე ბახვა. ბახვას თეთრი პური უჭირავს და ხშირ, შავ ულვაშებში ღიმილი უელავს...

წმიდა გიორგის სტუმარი

ჭალადიდი ტყიანი ადგილია და რამდენიმე სოფელს აერთიანებს. სოფლებს ერთმანეთისაგან მდინარე რიონნი ჰყოფს. რიონნი აქ ფართოა, ძალზე ღრმა და მდორე. განსაკუთრებით ფართოა ორი მოპირპირე სოფლის — საქორქმეოსა და პატარა ფოთს შუა. ამ ნაპირებზე ტყე უკან იხევს და სოფელი გაშლილზეა. ამიტომ, შემოდგომობით, ზენაქარი რომ ამოვარდება, რიონზე ძლიერი ღელვა ატყდება ხოლმე.

რეგოლუციამდე, ყოველ წელიწადს. ოქტომბრის თვეში, პატარა ფოთში დიდი დღესასწაული იცოდნენ. ეს იყო წმიდა გიორგის დღესასწაული. გიორგობა. გიორგობაზე ყველა ოჯახს ჰყავდა სტუმარი. წირვის შემდეგ დიდი ქეიფი და ლხინი გაიმართებოდა ხოლმე ოჯახებში. საღამოს კი მთელი სოფელი გავიდოდა მინდორზე სტუმრებიანად. გაიმართებოდა ჯარიანობა: ცეკვა-თამაში, დოღი, თარჩია... აბა, აქ უნდა გამო-

ეჩინათ თავი ახალგაზრდებს ქალიშვილების წინაშე.

ჰოდა, ერთხელ გიორგობის წინადღით ძლიერი ქარი ამოვარდა. ტალღებმოოლულ რიონს ვერავინ შებედა ნავით, რომ მეორე ნაპირზე გადასულიყვნენ.

სადღესასწაულოდ გამოწყობილ ხალხს ნაპირზე მოეყარა თავი და ყველა უიმედოდ შეჰყურებდა ამბოხებულ რიონს. მოხუცებმა თქვეს: გადასვლა არ შეიძლებაო...

მაშინ ბახვამ უთხრა მენავეებს: ორი დიდი ნავი შეეკრათ, ბორანად ვაქციოთ და გადავალთო მდინარეზე, ერთი ნავი ჩემი იყოს, მეორე თქვენ მოიყვანეთო.

დატრიალდნენ მენავეები. შეკრეს ორი დიდი ნავი. გაუკეთეს გარდიგარდმო კანწყოები. ნიჩბებთან საუკეთესო ჭენავეები დადგნენ. მეთაურობა ბახვას დააკისრეს. ბახვა კაპიტნის ადგილზე დადგა. ბოხოხი ჩამოიფხატა. ჩოხის საჩელები აიკეცა. დინჯად, ცივი ხმით გასცა განკარგულება:

— სმენა და გაგოხება! ჩასხედით! არ აწრიალოთ!

და გაიყვანა ნავები მეორე ნაპირას... ეს ამბავი 1905 წლის რევოლუციამდე მოხდა. მე მაშინ ბავშვი ვიყავი/ მოწაფეობისას კი, აი, რა გამიგონია/ სოფელში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვენდეთ ბახვას და გაგვიყვანა მეორე ნაპირს... აბა, სიხარული მაშინ იყო, სტუმარ-მასპინძელი — ორი სოფელი რომ შეხვდა ერთმანეთს! მასპინძლებმა სტუმრები გაინაწილეს, ყველამ თავისი მოყვარე და ნათესავი წაიყვანა შინ.

და გამოირკვა საოცრება: ბახვას პატარა ფოთში ნათესავი არ ჰყოლოდა. დარჩა ნავში.

აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა! იცდაათი ოჯახი ცხოვრობდა პატარა ფოთში და ოცდაათმა მოხუცმა მოიხადა ბოხოხი და ყაბალახი ბახვას წინაშე. ჩემთან წამობრძანდიო ბატონო ბახვა! ჩემი ოჯახი გაგიმდნიერეო დღეს!

არ ვიცი, ვის წაყვა ბახვა! არ მახსოვს ძველების ნათქვამი. გამოგონილი კი რა საჭიროა! ეს კი ვიცი, რომ იმ დღეს ორი სათაყვანო სახელი ჰყავდა ორ სოფელს: წმიდა გიორგი და ბახვა აბაკელია... იმ დღეს პატარა ფოთში ბახვა აბაკელია წმიდა გიორგისა და ხალხის გულის სტუმარი იყო...

სამოცი წელი

ცნობილ მწერალს ნინო დოლიძეს დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მას გაუგზავნა მისალმება, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ნინო! თქვენი მეგობრები — ქართველი საბჭოთა მწერლები სულითა და გულით გიღოცავენ სახელოვან სამოცი წლისთავს. თქვენ საინტერესო და თავმდაბალი ცხოვრების გზა გაიარეთ. იოდაკამეტი წლის წინათ სრულიად ახალგაზრდამ გამოაქვეყნეთ პირველი ნაწარმოები და იმ დროიდან მოყოლებული დღემდე პირნათლად ემსახურებით ქართულ სამჭოთა ლიტერატურას. აღსანიშნავია თქვენი მნიშვნელოვანი წვლილი მთარგმნელობითს მუშაობაშიც. თქვენ თარგმნეთ და რუს მკითხველს გააცანით ქართული ხალხური ზღაპრები და თანამედროვე პროზის ცალკეული ნიმუშები.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და მრავალ შემოქმედებით სიხარულს.

საქართველოს მწერალთა
კავშირის გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

რომანი

თავი პირველი

1.

ივლისის აღრიანი დილა იყო. აეროდრომზე თხელი, გამქვირვალე ნისლი იწვა. უზარმაზარი რეაქტიული თვითმფრინავის კიბესთან მგზავრები ირიოდნენ.

— რიგი დაიცავით, რიგი. ნუ გეშინიათ, ყველანი მოასწრებთ ჩასხდომას! — ამაოდ გაიძახოდა ხმაჩახლეჩილი სტიუარდესა და თან მორიგე-კონტროლიორს ბილეთების შემოწმებაში ეხმარებოდა.

ლევან ხიდაშელს რიგში დგომა არ უყვარდა. ახლაც განცალკევებით იდგა. — მოფუსფუსე მგზავრებს გულგრილად მისჩერებოდა, თითქოს მათ ვერც კი ამჩნევდა.

ვერცხლისფერი თვითმფრინავის ვიწრო შესასვლელში მგზავრები ფუტკრებივით ფუსფუსებდნენ და უჩინარდებოდნენ. ბოლოს უკანასკნელი მგზავრიც მიიმალა.

ლევანი ადგილიდან არ იძვროდა. სტიუარდესამ შვებით ამოისუნთქა და მხოლოდ ახლაღა შენიშნა განზე გამდგარი წარმოსადეგი ჭაბუკი. ლევანმა ქალიშვილის გამოხედვა დაიჭირა. უნებურად ხელი ჯიბისკენ წაიღო, სიგარეტის კოლოფი მონახა. ერთბაშად გაახსენდა, რომ თვითმფრინავთან მოწევა არ შეიძლებოდა. ჯიბიდან ხელი ამოიღო და თავის სპორტულ ჩანთას დასწვდა.

— თბილისში მიბრძანდებით? — ჰკითხა სტიუარდესამ და ბილეთი გამოართვა.

ლევანმა არაფერი უპასუხა.

მგზავრების ქაოსინურებს მიჩვეული ლამაზი სტიუარდესა ვაყის დუმილმა გაანაწყენა. ბილეთი უკან დაუბრუნა და ცივად უთხრა:

— მიბრძანდით!

ლევანმა კიბე ნელა აიარა, არ ჩქარობდა. იცოდა, თვითმფრინავში ჯერ კიდევ არ იქნებოდა ხალხი დალაგებული. ცოტა ხანს ბაქანზე შეჩერდა, აეროდრომი მოათვალიერა და მერე თვითმფრინავში შევიდა.

მგზავრებს ადგილები უკვე დაეკავებინათ. ლევანმა ბილეთს დახედა და თა-

ვის სავარძელს დაუწყო ძებნა. თვითმფრინავში მხოლოდ ქართული ლაპარაკი ისმოდა. უკვე სამი წელი იყო, ლევან ხიდაშელს ქართული აღარ გაეგონა, გადაჩვეულ ყურს თითქოს ეხამუშა კიდეც. თავისი სავარძელი შორიდანვე დაინახა: მხოლოდ ეს ერთი ადგილიღა იყო თავისუფალი.

„ნეტავ ვინ იქნება ჩემი მეზობელი?“ — გაიფიქრა უნებურად.

მგზავრობისას ყველაზე უფრო ცუდი თანამგზავრი ეზარებოდა; ბედი კი არასდროს სწყალობდა. ახლაც მისი მეზობელი შუა ხნის, ჩასუქებული, ლოყაწითელი, მელოტი მამაკაცი აღმოჩნდა; პირი მთლიანად ოქროს კბილებით ჰქონდა სავსე.

„ალბათ სავაჭროდ იყო მოსკოვში“,— გაიფიქრა ლევანმა და ჩანთა მაღლა, გაჭიმულ ბადეზე შეაგდო, თან მელოტს უსიტყვოდ ანიშნა, გამატარეო.

— მობრძანდით, ვენაცვალე! — ფეხზე წამოდგა მელოტი

ლევანმა იცოდა, მისი მეზობელი ახლავე ლაპარაკს გაუბამდა. ამიტომ ზურგი შეაქცია, მრგვალ ფანჯარაში გაიხედა.

— მზე ჯერ არ ამოსულა და უკვე როგორ ცხელა! — თქვა მელოტმა.

„დაიწყო“ — გააჟრილა ლევანს.

თვითმფრინავს უზარმაზარი ავტომანქანა გამოება და ასაფრენი ბილიკისაკენ წაიყვანა.

პილოტის კაბინიდან სტიუარდესა გამოვიდა, პირველსავე სავარძელს დაეყრდნო და მგზავრებს თვალი მოავლო. ყველანი მიხვდნენ, რაღაც უნდა გამოეცხადებინა. სიჩუმე ჩამოვარდა. ქალიშვილმა მზერა ლევან ხიდაშელზე შეაჩერა, თითქოს მარტო მას ეუბნებოდა:

— გთხოვთ, ყველამ შემოირტყათ სავარძლის ქამარი და არ შეიხსნათ, სანამ თვითმფრინავი არ აფრინდება.

მელოტი კაცი ქამარს ეცა.

— თქვენ არ შემოირტყამთ? — ჰკითხა ლევანს.

თითქოს არაფერი გაუგონიაო, ხიდაშელი ისევ ფანჯარაში იცქირებოდა.

სტიუარდესამ ამარცხენა წარბი [illegible] ნიულად მაღლა ასწია, ლევანს ერთი [illegible] დევ გადახედა და თვითმფრ[illegible] დისაკენ გაემართა.

ხიდაშელს ახლა შორიდან ესმოდა ქალიშვილის სიტყვები.

გამაყრუებელი ხმაური თვითმფრინავშიც შემოიჭრა: უზარმაზარი ვერცლისფერი სხეული თითქოს თრთოლვამ აიტანა, მერე ერთიანად აზრიალდა. ცოტაც და თვითმფრინავი დაიძრა.

ლევანი ბეტონის უზარმაზარ ფილებს დასჩერებოდა. ფილები თავბრუდამხვევი სისწრაფით გარბოდნენ უკან. თვითმფრინავმა სიჩქარეს უმატა. ლევანი ახლა ფილებს უკვე ვეღარ ხედავდა, მხოლოდ მქროლავ ხაზებსღა არჩევდა.

თვითმფრინავი მიწას მოსწყდა. ლევანს კვნესა შემოვესმა. მოიხედა. მელოტ კაცს შუბლზე ცხვირსახოცი დაედო. სახეზე ოფლი ასხმოდა; სავარძელი ბოლომდე გადაეწვინა და საცოდავად მოკრუნჩხულიყო.

ლევანმა დამცინავად გაიღიმა და ისევ ფანჯრისაკენ მიტრიალდა. თვითმფრინავი თანდათან მაღლა მიიწევდა, მერე დიდი წრე შემოხაზა და ისევ აეროდრომს გადაუფრინა. თვითმფრინავის ფრთას ამომავალი მზის სხივები მოხვდა და ააელვარა.

ლევანმა დაბლა ჩაიხედა: აეროდრომზე ჩაწოლილ გამჭვირვალე ცისფერ ნისლში თვითმფრინავები მუცლით ამობრუნებულ თევზებს ჰგავდნენ.

მალე აეროდრომი თვალს მიეფარა. ფანჯრიდან ერთხანს კიდევ მოსჩანდა ნაძვნარი, მერე ერთბაშად დაიწყო სტეპი, ვრცელი და უსაზღვრო სტეპი.

ლევანი გვერდზე შემობრუნდა. თვითმფრინავში ყრუდ აღწევდა რეაქტიული ძრავების გუგუნი. მელოტი აღარ კვნესოდა, ჩასძინებოდა, პირი ოდნავ დაეღო, ოქროს კბილები უსიამოვნოდ უელავდა. დრო და დრო ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე, იმავე წუთში თვალს გაახელდა, ირგვლივ მიმოიხედავდა, საათს უაზროდ დააცქერდებოდა და ისევ ჩაიძინებდა.

წინა რიგიდან ვიღაც კაცი წამოდგა, თვითმფრინავის ბოლოსაკენ გაემართა. ლევანმა უნებურად თვალი გააყოლა. მერე მობრიდაბირე მხარეს, ორი რიგის უკან, ქერათმიანი, ლამაზი ქალიშვილი დაინახა. მათი თვალები მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს. ლევანს ქალიშვილი მიეწონა, დაფინებით მიაჩერდა. ქალიშვილმა ჯაბუკის მზერას თვალი მოარიდა. მერე შუბლზე ხელი გადაისვა და თმა შეიასწორა: გრძნობდა, ჯაბუკი თვალს არ აშორებდა. მოიხედა. მათი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ისევ ქალიშვილმა აარიდა მზერა და ფანჯრისაკენ მიბრუნდა. ოღონდ სხვებუ ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გამოესახა. ეტყობოდა, სიამოვნებდა ვაჟის ყურადღება.

ქალიშვილის გვერდით სავარძელი თავისუფალი იყო. ლევანი ხან ქალიშვილს მისჩერებოდა, ხან ცარიელ სავარძელს. ქალიშვილს მისკენ აღარ გამოუხედავს, იგი კვლავ ფანჯარაში იცქირებოდა. დროდადრო მის ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გამოკრთებოდა ხოლმე.

ლევანმა თვითმფრინავის ბოლოდან მომავალ ახალგაზრდას კაცს მოჰკრა თვალი. მას ხელში „ბორჯომის“ ბოთლი და ქაღალდის ჭიქა ეჭირა.

ლევანი მიხვდა, თავისუფალი სავარძელი ამ ახალგაზრდას ეკუთვნოდა. არც მოტყუებულა. იგი ქალიშვილის გვერდით დაჯდა. ქალიშვილმა მოიხედა. ვაქმა რაღაც უთხრა. ქალიშვილმა თავი ღიმილით დაუქნია. ვაქმა „ბორჯომი“ ჭიქაში ჩასხა და მიაწოდა. ქალიშვილმა ცოტა მოსცა და ჭიქა დაუბრუნა. მერე შავი სათვალე გაიკეთა და რაღაც უთხრა. ვაქმა ღიმილითვე უპასუხა და ჭიქაში ჩარჩენილი „ბორჯომი“ დალია.

ქალიშვილი იღიმებოდა და ლაპარაკობდა. ლევან ხიდაშელისაკენ ერთხელაც აღარ გამოუხედავს, თითქოს მისი არსებობაც კი დავიწყდა.

„კარგი წყვილია“, — გაიფიქრა ლევანმა და რატომღაც თავის მეზობელს დახედა: მელოტს წითელი ლოყები დალურჯებოდა, ტუჩები ჩაშავებოდა, ოქროს კბილები ისევ უსიამოვნოდ უელავდა. ლევანმა თვალი აარიდა. „რატომ ღაც იმ ახალგაზრდა კაცის შეშურდა? უეცრად ძალიან მოუნდა გვერდით ჯდომოდა ასეთი ლამაზი ქალიშვილი. თვითონაც მიუტანდა „ბორჯომს“. ჭიქას ჯერ ქალიშვილი მოსვამდა, მერე თვითონ დალევდა.

ლევან ხიდაშელს ახლა გაახსენდა. რომ რუსეთში გატარებული სამი წლის განმავლობაში ასეთ რამეზე ერთხელაც არ დაფიქრებულა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაგნიტოგორსკში გაანაწილეს. უფრო სწორად, თვითონ გამოთქვა სურვილი იქ წასულიყო. იქ ერთი წელი დაჰყო. მერე დონბასში ჩავიდა. ექვს-ექვსი თვე მაკეევკისა და ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხნებშიც იმუშავა, მერე ყდანოვის ცნობილ „აზოვსტალში“ გადავიდა და უკანასკნელი წელი იქ იმუშავა მარტენის უზარმაზარ საამქროში.

ეს სამი წელიწადი ხიდაშელმა სულ მთლიანად სწავლისათვის გადადო, — არც ერთ წუთს არ ჰკარგავდა. სამუშაოდაც ისეთი მეტალურგიული ქარხნები შეარჩია, სადაც ფოლადის დნობა სხვადასხვანაირი გზებით ხდებოდა. ცდილობდა, ყველაფერს დაუფლებოდა, ყოველგვარი მეტალურგიული პროცესის საიდუმლოებას ჩასწვდენოდა. მისი ერთადერთი გასართობი კინო იყო. თუმცა კინოშიაც იშვიათად დადიოდა.

ახლა კი იგრძნო, როგორ სწყუროდა სიყვარული. ყველა გრძნობა და სურვილი, რომელსაც ამ სამ წელიწადში იოკებდა, ერთბაშად შემოაწვა; ლევან ხიდაშელმა „მსხვეპარლი“ უკვე გაიღო. ახლა მას თბილისში ადრინდელი ცხოვრება ელოდა. დაფიქრდა: ცდილობდა მოეგონებინა, ოდესმე უყვარდა თუ არა ვინმე. სიყვარულით არავინ ჰყვარებია, მოწონებით კი ბევრი მოსწონდა. იგი თბილისში ცნობილ ბიჭად ითვლებოდა. ქალიშვილს სათქმელს ჯიქურ ეუბნებოდა. ერთხელაც არ დაფიქრებულა, იქნებ არ მოეწონეარო. თავისი თავისა უსაზღვროდ სჯეროდა და, რაც მთავარია, ქალიშვი-

ლებს მოსწონდათ კიდეც მისი ოდნავ თავხედური საქციელი.

ლევანი შებრუნდა და ისევ ქერა ქალიშვილს გახედა. მას თავი ვაჟის მხარზე დაედო. ორთავე თვლემდა. დაყინებით მიაჩერდა. ქალიშვილს გაეღიმა. ლევანი მიხვდა, ქალიშვილს არ ეძინა. იგი შავმა სათვალემ და ახალგაზრდა კაცის მთვლემარე სახემ მოატყუა. თავი უხერხულად იგრძნო, ფეხზე წამოდგა.

— მოვედით?—თვალი დააჭყიტა მისმა მეზობელმა.

— გამატარე, თუ კაცი ხარ! — პირველად ამოიღო ხმა ლევანმა.

მელოტმა შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, მეზობელი გაატარა, საათს დახედა და ისევ სავარძლის საზურგეზე გადაწვა.

ლევანმა სიგარეტი ამოიღო, დინჯად მოუკიდა და თვითმფრინავის ბოლოსაკენ ნელი ნაბიჯით გაემართა.

ქალიშვილმა თვალი გააყოლა. ლევანს სჯეროდა, თვალს გამომაყოლებსო. გიიფქრა, მოდი, მოულოდნელად შემოვბრუნდებიო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა — რაღა დროს ჩემი ბავშვობააო.

თვითმფრინავში თითქმის ყველას ეძინა, მხოლოდ თითო-ოროლა თუ კითხულობდა გაზეთს. ლევანი თვითმფრინავის ბოლოს, საპირფარეშოებთან გაჩერდა.

ვიღაც ქალი შემოვიდა და უმალვე უკან გაბრუნდა. ლევანი მიხვდა, ქალს ჩემი შერცხვაო. სიგარეტი ზედიზედ მოქაჩა, მერე ფეხსაცმლის ქუსლზე ჩააქრო, ნამწვავი კედელში დატანებულ საფერფლეში ჩააგდო და სალონში შებრუნდა.

— თუ შეიძლება! — საკმაოდ უხეშად უთხრა მეზობელს.

მელოტმა თვალები დააჭყიტა, ხვნეშით წამოდგა და გზა უტია...

— აღარ მივედით იმ დასაქცევში?

ლევანმა ფანჯარაში გაიხედა, უკვე მოჩანდა კავკასიონის მთები, უნდოდა ეპასუხნა, საცაა მივალთო, მაგრამ გადაიფიქრა, ლაპარაკს გამიბამსო.

სტიუარდესამ ისევ ჩამოიარა და პატარა ალუმინის ხონჩით პიტნის კამფეტები ჩამოარიგა. მელოტმა მთელი [illegible] ჩაბღუჯა, ერთი მაშინვე პირისკენ [illegible] ქანა. ლევანს ქალიშვილისკენ [illegible] ეხედავს.

— აფსუს, რა დრო დავკარგე! ასეთი დაცარიელებული მოსკოვი ჯერ არ მინახავს, — გადაულაპარაკა მელოტმა ლევანს.

„ჰაინც, ბედი არ გინდა, რაღა ამის გვერდზე მოვხვდი“! — გაბრაზდა ლევანი.

ხიდაშელი, საერთოდ, სიტყვაძუნწი კაცი იყო. მითუმეტეს, თუ ადამიანი თვალში არ მოსდიოდა. მეზობელი თავიდანვე არ მოეწონა.

— ავეჯს ვინ დაიძებს, ფეხსაცმელი რომ ფეხსაცმელია, ისიც ვერ ვიშოვე ხეირიანი...

თვითმფრინავი კავკასიონის თავზე მიფრინავდა. ლევანს მთები ძალიან უყვარდა. სხვა დროს, ალბათ, საუცხოო გუნებაზე დადგებოდა. ახლა კი მეზობლის ლაყბობა ხასიათს უშხამავდა.

— კიდევ კარგი, ჩეხურ ბროლს წაეწყდი, — არ ცხრებოდა იგი.

მერე ერთბაშად დაიხარა და ფანჯარაში გაიხედა, — ოც წუთში თბილისში ვიქნებით, თქვენ ალბათ ფეხბურთზე იყავით მოსკოვში. არა?

— ფეხბურთისთვის სად მეცალა. ავეჯზე დავრბოდი! — ხუმრობის ხასიათზე დადგა ლევანი.

— იშოვეთ რამე? — ვერ მიუხვდა მეზობელი.

— ავეჯის მეტი რა იყო!

— კაი, თუ ძმა ხარ, მთელი მოსკოვი შემოვიარე, ვიტრინებშიც კი ვერაფერი ვნახე.

— ხეირიან საქონელს ვიტრინაში ვინ გამოფენს, გამყიდველს უნდა მოელაპარაკო.

— მოველაპარაკე, აბა რა ვქენი...

— ასე ვინ გენდობა, გამყიდველებს თავისი ნიშანი აქვთ, როცა ჰკითხავ, სასადილოს მოწყობილობა ხომ არა გაქვთ-თქო, მარცხენა ხელის ორი თითი ნიკაპთან უნდა მიიტანონ. მან უკვე იცის, რომ სანდო კაცი ხარ.

მელოტს ხმა ჩაუვარდა, ლევანს თვალებში მიაჩერდა, არ იცოდა, მისი ნათქვამი დაეჯერებინა თუ არა.

ლევანი მიხვდა, მელოტის გულში რა ეცახლიაც დაანთო. უდარდელი გამომეტყველება მიიღო და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— მოწევა არ შეიძლება! — შემოესმა სტიუარდესას ხმა, — თვითმფრინავი დასაჯდომად ეშვება, გთხოვთ, შემოარტყათ ქამრები.

ლევანმა სიგარეტი ისევ კოლოფში ჩაბრუნა. ქალიშვილს ესიამოვნა, ვაჟმა რომ მისი ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა და ნიშნისმოგებით გადახედა.

მელოტი ისევ ლევანს მისჩერებოდა, მერე, თითქოს გამოერკვა, ქამარი სწრაფად შემოარტყა, და შუბლზე დიდი, ჭრელი ცხვირსახოცი გადაიფარა...

თვითმფრინავი თბილისს უახლოვდებოდა და ნელ-ნელა ეშვებოდა. მელოტს ყურები ასტკივდა, შუბლზე ოფლმა დასხა. ლევანი შემობრუნდა და მეზობელს დამცინავად მიაჩერდა. იგი ხედავდა, როგორ ნელ-ნელა სველდებოდა ცხვირსახოცი ოფლისაგან. მერე უცებ უკან შემობრუნდა: ვაჟს ქერა ქალიშვილისათვის ხელი მოეხვია, ორივენი ფანჯარაში იცქირებოდნენ.

თვითმფრინავი უკვე მთაწმინდის თავზე იყო. ლევანი გულჩვილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა, მოულოდნელად ელდა. მან არ იცოდა, რა იყო ეს ძველავრება, თბილისის სიყვარული თუ ჰოლოდნინი იმ ცხოვრებისა, რომელსაც ამ სამი წლის წინათ გამოეთხოვა.

თვითმფრინავი დაბლა ეშვებოდა. რაყეამ იმატა. მეზობელი ხმამაღლა ცინეოდა. ლევანი ახლა მას ყურადღებას არ აქცევდა, თვითმფრინავის ქვეშოთ რუსთავი იყო, თვალით მარტენის საამქრო მოძებნა. ლევანი რომ რუსეთში წავიდა, მაშინ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ექვსი ღუმელი მუშაობდა. ყდანოვში კიგო, ორი ღუმელი კიდევ აშენესო, მაგრამ გიგანტური მილები მაინც გადათვალა.

თვითმფრინავმა მხარი იცვალა და რუსთავიც თვალს მიეფარა. სულ მალე იგი ბეტონის ტრასაზე დაეშვა, ბეტონის შეხებისთანავე კაუჩუკის ბორბლებს ეცახლი გაუჩნდა და ორი პატარა ღრუბელი მაღლა ავარდა.

2.

აეროპორტში დამხვდურებს არ ელოდა. მშობლები სოფელში იყვნენ დასასვენებლად წასულნი. ძმას კი ჩამოსვლის ამბავი არც შეატყობინა.

თვითმფრინავიდან უკანასკნელი გადმოვიდა. სპორტული ჩანთა მხარზე მოიგდო და კიბეზე დინჯად დაეშვა. ქერა თმიანმა სტიუარდესამ მეგობარს თვალით ანიშნა, ერთი ამ ვაჟბატონს დამიხედეო.

ლევანმა კიბე ჩაათავა თუ არა, ერთბაშად შემობრუნდა და სტიუარდესას ხელი ღიმილით დაუქნია. ქალიშვილი ამას კი აღარ მოელოდა, თვითონაც გაუღიმა, ხელი აუწია და თითეი აათამაშა.

ლევანს უკან აღარ მიუხედავს, ვასასვლელისაკენ გაემართა. ქალიშვილმა დაიკმაყოფილა ვაჟის უყურადღებობით შელახული თავმოყვარეობა. ერთხანს ასე იდგა, მერე სახეზე ღიმილი თანდათან გაუქრა და თვითმფრინავში შებრუნდა.

ლევან ხიდაშელმა აეროპორტის წინ ისევ დაინახა ნაცნობი წყვილი: დამხვდურები შემოხვეოდნენ და ყველანი ერთად ელაპარაკებოდნენ. ქალიშვილს ხელში მიხაკები ეჭირა და იცინოდა.

„ალბათ საქორწინო მოგზაურობაში იყვნენ“, — გაიფიქრა ლევანმა.

მგზავრები ბარგს ელოდნენ, პავილიონთან გრძელი რიგი დაეკმნოდა.

ლევანს ბარგი არა ჰქონდა. წიგნები და ტანსაცმელი თბილისში წინასწარ გამოგზავნა. დანარჩენი ავლადიდება კი ერთ სპორტულ ჩანთაში ჩასტია.

ტაქსების გაჩერებაზე ჩანთა ელექტრონის ბოძთან მიაგდო და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— ლევან! — მოესმა უეცრად.

შებრუნდა. მისკენ მსუქანი, ახალ-

გაზრდა კაცი მოდიოდა. ვერ იცნო, გაიფიქრა, ვიღაცაში ავერიეო. ბენზინის ავეზი ამოიღო და პაპიროსს მოუკიდა.

— ვერ მიცანი? — ახალგაზრდა კაცი ღიმილით გადაეხვია.

— გამარჯობა, გივი! — ლევანმა იცნო თავისი სკოლის ამხანაგი, გივი მიქაძე.

— რაღას მიცნობდი, ხუთი წელი მაინც იქნება, რაც დამეკარგე. როგორ გამეხარდა შენი ნახვა. მოსკოვიდან ჩამოხვედი?

— ჰო, — მოკლედ მოუჭრა ლევანმა, თან გაიფიქრა, — ჩემი ბედი... რაღა ეს კრეტინი შემხვდა პირველიო.

— საბოლოოდ ჩამოხვედი თუ ისევ წახვალ? — ჰკითხა გივიმ. — რაღაც კარგ პაპიროსს ეწევი.

ლევანმა სიგარეტის კოლოფი გაუწოდა. გივიმ ერთი ცალი ამოაძვრინა.

ლევანმა თავი დაუქნია, საბოლოოდ ჩამოვედიო და მერე ხმამაღლა დასძინა.

— გკონდეს, მე კიდევ მაქვს.

— გმადლობ. კარგი გიქნია, სულ ჩამოსულხარ...

— რას დამსგავსებიხარ, როგორ გასუქებულხარ? — სიტყვა ბანზე აუგდო ხიდაშელმა.

— რა ვქნა, ყოველდღე მიწევს სმა. „ბიჭოს! სმაც დაუწყია!“

— ვინმეს ხომ არ ხვდები? — ჰკითხა ლევანმა.

— არა, კაცო, წუხელ ცოტა მეტი მოგივიდა და ამ დილით აეროპორტის რესტორანში ნასმოვრეგზე გამოვედი. მოდი, ბარემ შეგბრუნდეთ და მამაპაპაურად შეკუბერეთ.

— არა, თუ ძმა ხარ, სხვა დროს იყოს!

— რას ამბობ, ხუთი წლის უნახავ კაცს, ახლა ასე გაგიშვებ! — შეიცხადა გივიმ, ჩანთას დასწვდა და ლევანს ხელმკლავი გამოსდო.

— ახლა ბევრი საქმე მაქვს, საღამოს შეგხვდეთ, არა სჯობია? — ჯიუტობდა ლევანი.

— თითო ჭიქა დავლიოთ. დავიღალოთ, სულ ნახევარი საათის ამბავია. ამდენი ხნის უნახავი მეგობარი შემხვდეს და ისე დავშორდეთ, ერთი ჭიქა მაინც არ მივუჭახუნო?! — არ ეშვებოდა გივი.

„მეგობარი“, — გაელიმა გულში ლევანს ამის მეგობარი?“ — წაყოლიდ ... წაჰყვა, გრძნობდა, გივი მართალი იყო.

— მობრუნდი? — ჰკითხა გივის გაკვირვებულმა მეგარდერობემ.

— რა ვქნა, ძია ანტონ, რუსეთიდან მეგობარი ჩამომივიდა, — უთხრა გივიმ და ლევანის ჩანთა გადაწოდა, — ნომერი არ გვინდა!

გივიმ დიდ სარკესთან თმა გადაივარცხნა და რესტორანში შეავლო.

— ისევ მოვედი! — შორიდანვე დაუძახა ახალგაზრდა ოფიციანტს.

ალამ გაუღიმა.

ფანჯარასთან დასხდნენ. მალე ალაც მოვიდა. ლევანს თავი დაუქნია და გივის ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— არ გამაგიეო! — ჩაიხითხითა გივიმ და ყური ისევ ტუჩებთან მიუტანა.

— დედას გეფიცება! — ხმამაღლა თქვა ალამ. მერე ისევ ჩურჩულზე გადავიდა.

ლევანი სკოლის ამხანაგს მისჩერებოდა და გაოცებას ვეღარ მალავდა.

გივი მიქაძე სკოლაში ურიგო მოწაფედ არ ითვლებოდა. არავის ახსოვდა, როდესმე წესრიგი დაერღვიოს ან გაკვეთილი გაეცდინოს. ლევანმა იცოდა, გივის თავისი ბეჯითობა რა ენერგიის ფასადაც უჯდებოდა. ეს ბიჭი მალე გამოთაყვანდებაო, — ამბობდა ხშირად.

გივი მაშინ ერთი დალეული, ბევრ კითხვისაგან თვალებჩაცვენილი ბიჭი იყო. ამხანაგები დასცინოდნენ, თუმცა მის ენერგიას პატივსა სცემდნენ. სკოლა დაამთავრა და სწავლა ფილოსოფიის ფაკულტეტზე განაგრძო.

ლევანს გივი მიქაძე თავის მეგობრად არასდროს ჩაუთვლია და მისი ამბებითაც არასდროს დაინტერესებულა. იცოდა კი, სტუდენტობის დროს გივი ძველებურად ცხოვრობდა. მისი სმა ვერავის წარმოედგინა, — ბიჭები ლაღიძის წყლების ლოთს ეძახდნენ. ამიტომაც გივი სკოლის ამხანაგებს ერიდებოდა.

ლევანი ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ გივი მიქაძე თუ ასე გასუქდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცვლებოდა და გალოთდებოდა, — ამას კი ვერა, ამხანაგის ღაჟღაჟა ლოყებსა და ღვინისაგან ჩაწითლებულ თვალებს გაოცებული მისჩერებოდა.

ალა გივის ისევ ყურში ეჩურჩულებოდა. გივი ხითხითებდა და დროდადრო ისევ წამოიძახებდა ხოლმე:

— არ გამგიგიჟო!

ალა ჩურჩულს მორჩა, თავი მაღლა აწია და ხმამაღლა თქვა:

— აბა!

— გახსოვს, მე რომ გითხარი, მაგის ბოლო ეგ არის-მეთქი? — ამაყად თქვა გივიმ.

ჯიბიდან ლევანის ნაჩუქარი სიგარეტი ამოიღო, ერთი ცალი პირში გაიჩარა და კოლოფი მაგიდაზე დაადგა.

— ჯერ სადა ხარ, ცირკი აწი იქნება!

„პაპაროსის წევაც ალბათ ღვინის სმასთან ერთად დაიწყო“.

— ალა, ეს კაცი ჩემი მეგობარია. რუსეთში მუშაობდა და დღეს ჩამოვიდა. ჩვენი პუტმარილის მადლი დავიწყებული ექნება. ისეთი რამე მოგვიტანე, ჯიგარს რომ მოხვდეს.

ალამ ლევანს გაუღიმა.

ხიდაშელს მისი ღიმილი არ ესიამოვნა. მიხვდა, გივი ამ რესტორნის ხშირი სტუმარი იყო. თავის თანამეინახეებში იკი, ალბათ, ყოველთვის პირველკაცობდა.

„მერედა, ვინ იცის, რა ხალხთან ქეიფობს ეს ვაჟბატონი, ან ახლა ვინ ვგონიავარ ამ შეღებილ ოფიციანტს — ფიქრობდა ლევანი, — ახია ჩემზე, რესტორანში რას მოვყვებოდი ამ გამოთაყვანებულს“.

— კარგი სიგარეტია! გერმანულია, არა? — ჰკითხა გივიმ და კოლოფი შეათვალიერა, — პაპიროსს რუსეთში მეჩვევი?

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ლევანმა გადაწყვიტა, შეცდომა სასწრაფოდ გამოესწორებინა.

— ღვინოს რომელს დალევთ? — ეკითხა ალამ.

— კონიაკი რომელი გაქვთ? — შეუბრუნა კითხვა ლევანმა.

— „გრემი“.

— მოიტანე ას-ასი და ცოტა ხიხილალა.

— კონიაკსაც რუსეთში მეეჩვევ? — დამცინავად ჰკითხა გივიმ და ალამ მიუბრუნდა, — შენ მე დამიჯერე, „ბურჯაანი“ მოიტანე, — მერე ლევანს შეხედა, — თუ ქეიფი, ქეიფი იყოს.

— რასაც გეუბნები, ის მოიტანე! — ისე უთხრა ლევანმა ოფიციანტს, რომ გაოცებულმა ქალმა ხმის ამოღება ვეღარ გაბედა და უხმოდ მიტრიალდა.

გივიმ ხიდაშელს შეხედა, მაგრამ მის მზერას ვეღარ გაუძლო და ჩუმად თქვა:

— შვილებს გეფიცები, შენი ნახვა გამეხარდა. გულით მინდოდა, შენთან პური გამეტეხა.

მის ხმას დარდიმანდული რიხი დაკარგა. მიხვდა, ღრმად შეტოპა. ლევან ხიდაშელს უწონ იოლად ვერაფერს უბედავდა. ახლა კი ზედმეტი მოინდომა.

გივის ახლადშეძენილ მეგობრებში მოქეიფე კაცისა და კარგი თამადის სახელი ჰქონდა გავარკნილი. მისი სკოლის მეგობრებს კი გივის ქეიფზე ისევ ძველებურად ეცინებოდათ. მიქაძეს გული სტკიოდა, ვერ იქნა და ბიჭებს ვერ გადაავიწყა ძველი ამბები. სულ ცდილობდა, სკოლის ამხანაგები როგორმე რესტორანში შეეყვანა. სადღეგრძელოებს თავიდანვე ორი ჭიქით იწყებდა, პაპიროსს პაპიროსზე ქაჩავდა და მთელ ფულს ოფიციანტ ქალებში ფლანგავდა. მერე ბიჭებს სახლებში ჩამოარიგებდა. მანამ არ მოისვენებდა, სანამ უკანასკნელ მეგობარსაც შინ არ მიიყვანდა, ეშინოდა, მარტო რომ დარჩებიან, ჩემზე ცუდი არაფერი თქვანო.

— ახლა სად მუშაობ? — მოულოდნელად ჰკითხა ხიდაშელმა. იგი მიხვდა, მიქაძე ფილოსოფიას კი ხნის გამოთხოვებული უნდა ყოფილიყო.

— რა ვქნა, ძმაო, პროფესიას ვუღალატე, სახლმმართველობაში ვმუშაობ. ცოტა ფულს ვშოულობ და ისევ ძმაბიჭებში ვხარჯავ.

ალამ კონიაკი და ხიხილალა მოიტანა.

ამ სიცხეში კონიაკი არც ლევანს სია-

მოვნებდა, მაგრამ უნდოდა, ყველაფერი ერთი ჭიქით მოეთავებინა.

— ეს შენ გაგიმარჯოს, გივან! — ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა ლევანმა, — შენგან რომ დიდი ხვითო არ გამოვიდოდა, თავიდანვე ვიცოდი. მაინც შევცდი. ის კაფანდარა და გალეული ბიჭი თუ საქმისანი გახდებოდა, თანაც ასე ჩასუქდებოდა და გალოთდებოდა, ამას კი ვერც ვიფიქრებდი, კარგად იყავი. იქეიფე და სვი. მოასწარი, სანამ წაგასწრებენ.

ლევანმა კონიაკი გადაკრა და ერთი ლუკმა დააყოლა. გივის აღარ დაელოდა, ფეხზე წამოდგა. სკოლის ამხანაგს აგრძნობინა, ხომ არ დაგავიწყდა, მე ლევან ხიდაშელი ვარო.

— სინდისს გეფიცები, შენი ნახვა ძალიან გამეხარდა. რაც არ უნდა იყოს, სკოლის ამხანაგები ვართ... — ჭიქა ხელში აიღო გივიმ. „მეგობრების“ თქმა უკვე ვეღარ გაბედა, — გაგიმარჯოს, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ლევანმა ოფიციანტს ხელით ანიშნა, ანგარიში მომიტანეო.

— ექვსი მანეთი! — ცივად თქვა ალამ.

იგი მიხვდა, უცნობი ჭაბუკი გივის დანარჩენ მეგობრებს არა ჰგავდა.

ლევანმა ათმანეთიანი დადო მაგიდაზე. გივი გალახულივით წამოდგა და უკან აედევნა.

— ასე მალე მიდიხართ? — გაიოცა ანტონმა და ჩანთა გივის მიაწოდა.

ჩანთა ლევანმა გამოართვა, მხარზე მოიგდო და გარეთ გავიდა.

— ჩაჯექი, ჩემი მანქანით წაგიყვან! — უთხრა გივიმ.

— გაკალია?

გივიმ ხელი ჩაიქნია, საქმე დაიცდისო და მანქანის კარი გამოაღო.

ლევანი გვერდით მიუჯდა. მანქანა დაიძრა. ლევანი ხან წინ იყურებოდა, ხან ამხანაგს აკვირდებოდა. გივის ლაპარაკის ხასიათი დაჰკარგვოდა. ერთხანს ასე იარეს. დუმილი ისევ გივიმ დაარღვია.

— ერთ წუთს გადავუხვევ, ობიექტს დავხედავ.

მანქანამ ვიწრო, ანგრეულ და გადათხრილ ქუჩაზე გადაუხვია. მალე ორ-ოთხ ოდენ ბაღში ჩასმული სახლიც გამოჩნდა. მუშები ფიცრებზე ჩამომსხდარიყვნენ, ხელში მაწონი და პური ეჭირათ, მადიანად ილუკმპიდნენენ.

— გამარჯობათ! — გადასძახა მუშებს გივიმ.

— გაგიმარჯოს! — გაისმა აქა-იქ.

ფეხზე არავინ წამომდგარა, — ისევ ძველებურად ისხდნენ და ჭამას განაგრძობდნენ.

— ჟორა სად არის? — იკითხა გივიმ.

— რა ვიცი, წელან აქ იყო! — უპასუხა ერთმა მუშამ. ტუჩები საღეღოთი მოიწმინდა, ბოთლი ხის ძირას მიაგდო და პაპიროსი ამოიღო.

— უთხარი, დღეს აღარ ამ ოვალ, ხუთ საათზე სახლმმართველობაში დაველოდები.

მუშამ არაფერი უპასუხა. პაპიროსს მოუკიდა და ფიცარზე გადაწვა.

მანქანა დაიძრა. ფანჯარაში მტვერი შემოიჭრა. ლევანმა მინა ამოსწია. როცა გზატკეცილზე გავიდნენ, ფანჯარა ისევ გააღო.

ცხელოდა. ქალაქი კაცს დაცარიელებული ეგონებოდა. ქუჩაში კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდნენ ქოლგიანი ქალები. ლევანმა რამდენ კაცსაც მოჰკრა თვალი, ყველას საზამთრო ეჭირა ხელში.

— შინ მიგიყვანო, არა?

მანქანა პეკინის ქუჩაზე, ხუთსართულიან სახლთან გაჩერდა. ლევანს კარგად ახსოვდა, მისი სახლი თითქმის ქალაქის განაპირას იდგა. ახლა, იგივეა უზარმაზარი შენობები წამოჭიმულიყო.

„ვოლგიდან“ ცოცხლად გადმოხტა. გივიც გადმოვიდა და ამხანაგს ღიმილით დაემშვიდობა.

ლევანმა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს უზარმაზარ სათს გახედა. თორმეტი სრულდებოდა. მერე თავის საათს დახედა. გაეღიმა. საათი მოიხსნა და ისრები თბილისის დროზე გადაიყვანა.

3.

კარი შეაღო თუ არა, ცხელი, დაგუბებული ჰაერი ეცა. სპორტული ჩანთა შე-

სასვლელში მიაგდო. ფანჯრები გამოაღო. ოთახებში ორმხრივი ქარი დატრიალდა. ირგვლივ ნაფტალინის სუნი იდგა. ყველაფერს მტვერი ედო. პიანინოს, სერვანტსა და ტელევიზორს ნაცრისფერი მატერია ჰქონდა გადაფარებული.

მშობლები ორი კვირის წასულები იყვნენ სოფელში. ლევანს იქ მიელოდნენ. დედა ურჩევდა, ჯერ სოფელში ჩამოდი, დაისვენე და სამუშაოზე მერე იზრუნეო. ლევანსაც ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, დასვენება გადაიფიქრა, აჯობებს, ჯერ სამსახურს მივხედოო.

ძმა და რძალი თბილისში იყვნენ. თენგიზის წერილით იცოდა, პატარა ბავშვები სოფელში გაეგზავნათ, თვითონ ჯერ შვებულება არ ერგებოდა და ცოლიც თბილისში დარჩენილიყო.

ოთახში მაინც ცხელოდა. ლევანმა ვენტილატორი ჩართო. პერანგი ბოლომდე ჩაიხსნა. მკერდი ნიავს მიუშვირა. მერე სავარძელი ვენტილატორის პირდაპირ მიაჩოჩა და მოღლილი ჩამოჯდა.

ჰაერი გაიწმინდა, სიცხეს მაინც არაფერი ეშველა.

ოთახი მოათვალიერა. ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც სამი წლის წინათ დატოვა. თითქოს ამ სამ წელიწადს აქ არც კი გაევლოს.

პიანინოს თავზე მისი სურათი ეკიდა. მოპირდაპირე მხარეს კი — ძმისა. სურათის გადაღება არ უყვარდა. ფოტოგრაფთან მხოლოდ საბუთების სურათებისათვის თუ მივიდოდა. ეს სურათი კი ძალიან მოსწონდა. იგი ინსტიტუტის გაზეთის ფოტორეპორტიორმა გადაუღო სტადიონის გასახდელში. მაშინ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა ტარდებოდა ფეხბურთში. სურათში ლევანს მუქმოლებიანი მაისური ეცვა. ფოტორეპორტიორს ფირზე აღებეშ ა მომენტი, როცა ტაიმის შემდეგ დაღლილი ლევანი გეტრებს ისწორებდა. სურათი ძალზე ბუნებრივი იყო და ყველაზე უფრო ეს მოსწონდა.

მერე ძმის სურათს შეხედა.

თენგიზი მასზე ექვსი წლით უფროსი იყო. ლევანი მესამე კურსზე რომ გადავიდა, თენგიზმა ცოლი მაშინ მოიყვანა. მას მერე ცალკე ცხოვრობდა. ძმას ისტორიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და მუზეუმში მუშაობდა; უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა, ძალზე წყნარი კაცი იყო.

ლევანს ძმა ძალიან უყვარდა, თუმცა სიყვარულის გამოხატვა არ ეხერხებოდა, და ამაზე თავს არც იწუხებდა. პირიქით, ძმასთან ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა. მასთან ერთად კინოში არ დადიოდა. სტადიონზეც ცდილობდა, ბილეთები ყოველთვის ცალ-ცალკე აეღო. როცა თენგიზი ლევანის მეგობრებში ხუმრობდა ან სადღეგრძელოებს ამბობდა, ლევანი იშმუშნებოდა, თითქოს შიში იპყრობდა, რაიმე სისულელე არ წამოროშოსო.

ძმის სურათი ათი წლის წინათ ჰაინც იქნებოდა გადაღებული. თენგიზი მაშინ ულვაშებს ატარებდა.

ლევანი წამოდგა, სამუშაო ოთახის კარი შეაღო. აქაც ყველაფერი ძველებურად იყო, თუმცა წიგნის თაროების როდენობა საგრძნობლად გაზრდილი ეჩვენა. ლევანის წიგნები მარცხენა მხარეს, გასასვლელ კართან მიმაგრებულ თაროებში ინახებოდა. ყდანოვიდან გამოგზავნილი წიგნები მამამისს უკვე თაროებში მოეთავსებინა.

ძველებურ ხის კარადაში მხატვრული ლიტერატურა იყო ჩამწკრივებული.

ლევანს თითქოს ახლა გაახსენდა. ამ სამი წლის განმავლობაში ხუთი-ექვსი წიგნი თუ ექნებოდა წაკითხული. გაახსენდა და გული ეტკინა: წიგნის კითხვა უყვარდა. ადრე ბევრს კითხულობდა, ხშირად ღამეებსაც ათენებდა. კითხულობდა განურჩევლად — კარგსა და საშუალოს, ცუდსა და საშინელებას. მერე თანდათან უკლო, უფრო ცრმლი მწერლებს ეტანებოდა. ბოლოს იგრძნო, წიგნი აღარ იზიდავდა. ეს იქნებ პროფესიის ბრალი იყო? იქნებ დრო აღარ ჰყოფნიდა ან გემოვნება გაეზარდა?

ამაზე არასდროს დფიქრებულა ხი-

დაშელი. ახლა კი დაფიქრდა და გული ეტკინა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ახლა ცოტა წიგნი მოსწონდა. ზოგს მხოლოდ იმიტომ კითხულობდა, რომ საზოგადოებაში პირი არ დაეღო და უვიცი არ გამოჩენილიყო. ერთხანს ბავშვობაში წაკითხული წიგნები ხელახლა გადაიკითხა, — ზოგი სასაცილოდ მოეჩვენა, ბევრი კიდევ უფრო მოეწონა.

ლევანმა კარადიდან რაღაც წიგნი გამოიღო.

მოულოდნელად მოპირდაპირე ოთახში სარკეს მოჰკრა თვალი. სარკიდან თითქოს უცნობი ჭაბუკი იყურებოდა. წიგნი ისევ კარადაში თავის ადგილზე მოათავსა, შეორე ოთახში გავიდა და სარკის წინ დადგა. სარკიდან მაღალი, ფარმოსადგი ჭაბუკი შემოსცქეროდა

სამი წელია თავის სახეს თითქმის არ დაჰკვირვებია. ახლა შეცვლილი ეჩვენა. სახეზე გამხდარიყო. ძალზე მოკლედ შეკრეჭილი სქელი თმა სწორ ნაკვეთებიან, ბრინჯაოსფერ სახეს უფრო ვაკაცურ და ოდნავ უხეშ იერს აძლევდა.

ლევანი ინსტიტუტში კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა. მერე რატომღაც ფეხბურთის თავი დაანება, — ცურვაზე დაიწყო სიარული. კვირაში ორჯერ კი კრივში მეცადინეობდა. სექციაში არ ჩაწერილა. იცოდა, გამოცდილ მოკრივეებს ვერ აჯობებდა და ცალკე ვარჯიშობდა.

გაეღიმა. გაახსენდა, კრივში მეცადინეობა როგორ დაიწყო.

ერთ საღამოს, ცურვის შემდეგ შინ რომ ბრუნდებოდა, უნებურად კრივის დარბაზში შეიხედა. იქ ერთ ცხობილ მოკრივეს სპარინგ-მატჩი გაემართა. იგი საშუალო წონაში გამოდიოდა. მოწინააღმდეგეებად კი ქვემძიმე წონის მოკრივეები გამოჰყავდათ. ისინი მხოლოდ თითო რაუნდს უძლებდნენ გამოცდილ სპორტსმენს.

ლევანი დარბაზში შევიდა, კედელს მიეყრდნო და მოკრივეს ხარბად მიაჩერდა.

სამი რაუნდის განმავლობაში მოკრივემ სამი სპორტსმენი დაამარცხა.

ლევანი წვრთნის დამთავრებას დაელოდა. როცა ყველანი დაშალნენ, მწვრთნელთან მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება? თქვენთან საქმე მაქვს! — უთხრა ლევანმა და ჯიქურ შეხედა.

მწვრთნელს ლურჯი სპორტული შარვალი, კედები და ჩინური ჯემპრი ეცვა. ჯემპრზე რაღაც ეიროგლიფები იყო გამოსახული, გულზე სასტვენი ეკიდა.

— რა გინდა? — ჰკითხა მან ლევანს და თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა. მერე სახეზე უფრო კმაყოფილმა ეერმა გადაკრა, ჭაბუკი თვალში მოუვიდა. პასუხს აღარ დაელოდა:

— აბა ხელი მაჩვენე?

ლევანმა ხელი გაუწოდა.

— მოწყვეტილად დაიჭირე! — მწვრთნელმა მისი ხელი ისე აათამაშა, თითქოს წონისო, — რამდენი წლისა ხარ?

— ოცის.

— აქ ცურვაზე დადიხარ?

— დიახ.

— შე კაი კაცო, ამხელა ვაჟკაცი ცურვაზე ცდები? შენი წონის მუტრუკისაგან, აბა, რა მოცურავე უნდა გამოვიდეს. ხვალ ოთხ საათზე მოდი და სექციაში ჩაგწერ.

— მე ჩაწერა არ მინდა, ცალკე უნდა მავარჯიშო.

მწვრთნელმა ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, ხომ არ გაგიჟდიო.

— მერე შენს წვრთნაში ფულს ვინ გადამიხდის?

— ეგ ხუ გედარდება.

გაოცებული მწვრთნელი ერთხანს ჩუმად იყო, ისეთი რამ ცხოვრებაში პირველად ესმოდა. ლევანს ერთხელ კიდევ ანდგ-დახედა და ბოლოს ხმადაბლა თქვა:

— კარგი, ხვალ ვარჯიშის შემდეგ მოდი.

მეორე დღიდან ლევანი ვარჯიშს შეუდგა. მწვრთნელი დიდი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ მისი გამოცდილება ლევანისთვის სავსებით კმაროდა: გულში ეცინებოდა, როცა მის ბრძნულ დარიგებებს ისმენდა:

— იცოდე, რინგზე რომ გადიხარ. ერ-

თი რამე უნდა გახსოვდეს — კრივი არც ფეხბურთია და არც ბალეტი. მოწინააღმდეგემ პირველი მოგარტყა, არა? — გაუძელი. მეორეც მოგარტყა, არა? — გაუძელი. მესამეც მოგარტყა და ყბა მოგიხვრია, არა? — გაუძელი. საბოლოოდ ბრძოლა შენია.

ლევანი ძალიან მოსწონდა.

— შენ რომ მარცხენა ხელი კარგად დაიყენო, ერთ წელიწადში საქართველოს ჩემპიონს გაგხდი, — ეუბნებოდა იგი. — ხომ ხედავ, კრძელი ხელები გაქვს და სწრაფი რეაქცია. კაცი ახლოს არ მოუშვა, შორიდან იმუშავე. მაინც რატომ არ გინდა კრივს გაჰყვე? სამ წელიწადში ქვეყანას აალაპარაკებ.

— ეჰ, ჩემო სერგო, მე უფრო სხვა გეგმები მაქვს! — ღიმილით ეუბნებოდა ლევანი.

— შენი საქმისა შენ იცი, ისე მე ვფლით ვეუბნები.

უკვე ოთხი წელი იქნებოდა, ლევანს კრივში არ ეკარჯიშა. სარკის წინ მოკრივის პოზა მიიღო. მარცხენა ხელი ორჯერ სწრაფად მოიქნია და ჯერე მარჯვენათი ერთი გრძელი დარტყმა მიაყოლა. ბოლოს სარკეში თავისი თავი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და შემოსასვლელში გავარდა, თითქოს ახლა გაახსენდა ჩანთა.

ჩანთა საწოლ ოთახში შემოიტანა და ტანსაცმელი ამოყარა. პერანგები დაჭმუჭნულიყო. ფეოოს დაუწყო ძებნა, ვერ იპოვა.

— რა ვქნა ახლა! — წამოიძახა და პერანგებს დაეჩერდა.

„მოდი, სიმონს გამოვართმევ, — გაუელვა თავში, — ახლა მისი ლაყბობის თავი ვისა აქვს“, — უმალვე უარყო თავისი იდეა, მაგრამ როცა მეტი გამოსავალი ვერ იპოვა, ხელი ჩაიქნია და სიმონ ყანჩაველს მიაშურა.

4.

სიმონ ყანჩაველი მოპირდაპირე ბინაში ცხოვრობდა. იგი ფილარმონიის მსახიობი იყო, მომღერალი, ლირიული ტენორი. ორმოცდახუთ წელს გადაცილებული სიმონი მარტო ცხოვრობდა, არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი. რამდენჯერმე შინამოსამსახურე აიყვანა, მაგრამ ყველა შეეგუა და გაადო. სარეცხს თვითონ რეცხავდა, ოთახებსაც თვითონ ჰგვიდა, ბაზარშიც თვითონ დადიოდა. სულ იმას სწუხდა, პომდორი და კარტოფილი ყოველდღე ძვირდებაო. სიმონი რომ ბინის საფუძვლიან დასუფთავება-დალაგებას იწყებდა, ყველამ კარგად იცოდა, იგი საგასტროლოდ მიემგზავრებოდა. მისი საგასტროლო გეოგრაფია მხოლოდ საქართველოთი ამოწურებოდა, რაინენბიდან ყველით, სულგუნითა და ცოცხალი ქათმებით დატვირთული ბრუნდებოდა.

სიმონ ყანჩაველს ყოველთვის სიძველისაგან გახეხილი და ხშირი უთოობისაგან აპრიალებული შავი კოსტუმი ეცვა. ქვეყანა რომ სიცხისაგან იწვოდა, კოსტუმს მაშინაც არ იხდიდა. თეთრ პერანგს თეთრხალებიანი შავი ბანტი უმშვენებდა.

მეზობლებმა სიმონ ყანჩაველის რეპერტუარი ზეპირად იცოდნენ. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ორ რომანსს ასრულებდა „ოდესაც გიცქერ“ და „ლერწამი ხარ“.

სიმონი, როგორც კი სახლის მილაგებას მორჩებოდა, ძველ როიალს მიუჯდებოდა და იწყებოდა გაუთავებელი „ა-ა-ა“.

ლევანმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა. ფეხის ხმა შემოესმა.

„შინ ყოფილა“. — გაიფიქრა და შესახვედრად მოემზადა.

კარი გაიღო. ლევანმა გაოცებისაგან პირი დააღო. მის წინ ლამაზი, თმაშეღებილი, ოცდაათიოდე წლის ქალი იდგა.

— უკაცრავად... — დაიბნა ლევანი.

ვვერდზე გადაიხარა და ელექტროზარის ღილაკთან მიკრულ პატარა წარწერას შეხედა, კარი ხომ არ შემეშალაო.

— არ შეგშლიათ, — მიუხვდა ქალი,— სიმონი აქ ცხოვრობს, მე მისი მეუღლე გახლავართ.

„მეუღლე!“ — კინაღამ წამოიყვირა ლევანმა.

თავი დროზე შეიკავა. მალე გამოერკვა და ქალი შეათვალიერა, მოეწონა.

ქალს ძალზე მოღეღილი კაბა ეცვა. ჭაბუკს ერუანტელმა დაუარა. მუქი-მოწითალო თმა ძალიან შვენოდა. გამობერილი ქვედა ტუჩი გაბუტული ბავშვის იერს აძლევდა, თუმცა შეღებილი წამწამებიდან უფრო ხნიერი, მოღლილი ქალის თვალები იყურებოდა.

ქალმა იგრძნო, ვაეს მოვეწონეო და კმაყოფილი ღიმილი ვეღარ დამალა. უცებ შენიშნა, მოპირდაპირე ბინის კარი ღია იყო.

— ლევან ხიდაშელი ბრძანდებით?

— დიახ, საიდან მიცნობთ?

— დედათქვენმა ისე დამიხატა თქვენი თავი, ალბათ, ქუჩაშიც კი გიცნობდით.

— რაო, ლამაზია ჩემი შვილიო?

— კი, ძალიან ლამაზიაო! — გაიცინა ქალმა.

— თქვენ, ალბათ, უკეთესს ელოდით, არა?

— დაახლოებით ისეთს, როგორიცა ხართ. შემობრძანდით.

— გმადლობთ, უკაცრავად რომ შეგაწუხეთ. მე სიმონის ნახვა მინდოდა.

ლევანს არ უნდოდა, უცნობი ქალისაგან უთო ენათხოვრებინა. საერთოდ ვერ იტანდა, კაცი რომ ტანსაცმელს აუთოვებდა. ახლა მეტი გამოსავალი არა ჰქონდა, მაგრამ ქალთან ამის გამხელა მაინც ესიერცხვილებოდა.

ქალი მიხვდა, ლევანს რაღაც სჭირდებოდა.

— შემობრძანდით, მითხარით, რა გნებავთ.

— მაშინ, თუ არ შეწუხდებით, უთო მათხოვეთ.

— ამ წუთში, — გაიღიმა ქალმა, — მობრძანდით.

ლევანი ოთახში შევიდა.

სიმონ ყანჩაველის ბინის მოწყობილობა მთლიანად შეცვლილი ეჩვენა. დიდი, მოძველებული როიალი აღარსად ჩანდა. მის ნაცვლად ოთახს პატარა, ღია ყავისფერი გერმანული პიანინო ამშვენებდა. უზარმაზარი ლომისფეხებიანი მაგიდაც სადღაც გამქრალიყო. ადგილი, წვრილფეხებიან მაგიდაზე მიხატებული შავი ქოთანი იდგა. საერთოდ, ბევრი ლუული კერამიკას შეეცვალა, ძველებური რეპროდუქციებიც ჩამოეხსნათ. კედელზე მხოლოდ ერთი იაპონური გრავიურა ეკიდა.

— თქვენ უკვე გიცოდნიათ ჩემი სახელი, მე კი არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, — თქვა ლევანმა.

— იზა! — შეეგება ქალმა.

— იზა, სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ სიმონ ყანჩაველის გემოვნებაში არაფდროს ეჭვი არ მეპარებოდა.

ქმრის სახელის გაგონებაზე იზა შეკრთა და ლევანს თვალებში შეხედა. ერთბაშად ვერ მიხვდა, ეს ქათინაური იყო თუ დაცინვა.

ლევანი ქალს ღიმილით მისჩერებოდა.

— ღმერთო ჩემო, რა შტერი ვარ, სკამიც კი ვერ შემოგთავაზეთ, — დაიბნა ქალი, — გთხოვთ დაბრძანდეთ.

— სამწუხაროდ, ძალიან მეჩქარება.

— ნამზადარი იქნებით, იქნებ საჭმელს მიირთმევდით?

— რას ბრძანებთ, ამდენს როგორ შეგაწუხებთ.

— ყავას მაინც აო დალევთ?

— დიდი სიამოვნებით დავლევდი, რომ არ მეჩქარებოდეს.

ლევანმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და ქალს გაუწოდა.

— გთხოვთ!

იზამ სიგარეტი გამოართვა და თითქოს უცებ გამოერკვა:

— კი, მაგრამ თქვენ საიდან იცით, რომ ვეწევი?

ლევანს გაეღიმა.

იზამ იგრძნო მამაკაცის დამცინავი ღიმილი. აღარ იცოდა, რა ექნა.

— უთოს ახლავე მოგართმევთ! — დაბნეულად თქვა მან, მეორე ოთახში გავიდა და უთო გამოიტანა.

ლევანმა უთო გამოართვა, ბოდიში ერთხელ კიდევ მოიხადა. იზამ კარებამდე მიაცილა.

— ახლავე დაგიბრუნებთ, — დაიწყო ლევანმა და იზას ფეხებზე დახედა. მე-

რე თვალი ნელ-ნელა ამოაყოლა და მზერა მოშშვლებულ მკერდზე შეაჩერა. ბოლოს ცალი თვალი მოჭუტა და დამარცლა:

— ბატონ სიმონს გადაეცით, რომ თქვენ ღირდით ამდენ ლოდინად.

5.

ლევანი აბაზანაში შევიდა. ცივი წყალი მოუშვა. უეცრად საშინელი შიმშილი იგრძნო. ტანი სწრაფად დაიბანა და წასასვლელად მოემზადა. სახლიდან გასვლის წინ სარკეში ჩაიხედა, ხელი ლოყაზე მოისვა. პერანგი სასწრაფოდ გაიხადა და ელექტროსაპარსი მონახა. გაპარსვის მერე პირი ისევ დაიბანა. სწორედ მაშინ გაიფიქრა, ძმისათვის დაერეკა.

ყურმილი თენგიზმა აიღო.

— გამარჯობა, თენგიზ! — თქვა ხმადაბლა ლევანმა.

— ჩამოხვედი, შე მაიმუნო? — ძმის ხმა იმავე წუთში იცნო თენგიზმა, — რატომ არ შემატყობინე, დაგხვდებოდი მაინც.

ლევანს „შე მაიმუნო“ არ ესიამოვნა. არ უყვარდა, რომ ძმა უფროსობდა და ლევანს პატარა ბავშვივით ექცეოდა.

— აღარ შეგაწუხე ცოლშვილიანი კაცი, ხომ კარგად ხართ?

— რა შორიდან კითხულობ, ახლავე ჩემთან წამოდი. ციალა ცოტა შეუძლოდ, გუშინ გამიცივდა.

„გამიცივდა“, — ლევანს არ მოსწონდა, როცა კაცი ასე ლაპარაკობდა. არც ძმის ძალიან კეთილი ხასიათი მოსწონდა. მისი მფარველური, შზრუნველი კილო აგიყებდა. ყველაზე უფრო მაშინ ცეცხლდებოდა, როცა ძმა ჭკუის სწავლებას დაუწყებდა.

ერთხელ, მაშინ ლევანი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, თენგიზმა თავში წაუთაქა. ლევანმა ხელი შეუბრუნა, თენგიზი უმცროსი ძმისაგან ხელის შემობრუნებას არ ელოდა და საცემად გაიქაჩა, მაგრამ როცა მის ანთებულ თვალებს შეხედა, გაჩერდა — მის წინ დაბნელებული მამაკაცი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობა ჭკუის დარიგება და უფროსობა კი მაინც ვერ მოიშალა.

— ბავშვები როგორ არიან?

— სოფელში გავგზავნე. დედაჩემი იწერება კარგად არიანო. ახლავე წამოდი, დანარჩენი აქ ვილაპარაკოთ, ერთად ვისადილოთ.

— კარგი, მოვდიცარ! — ლევანმა ყურმილი დაკიდა.

„ბარემ მარინესაც დავურეკავ, — გაიფიქრა და ყურმილი ისევ აიღო. — იქნება კი ახლა თბილისში?“.

— ალო! — მოესმა უცნობი ხმა.

— მინდაძის ბინაა?

— დიახ.

— მარინეს სთხოვეთ.

— გისმენთ!

— გამარჯობა, მარინე!

— გაგიმარჯოს, რომელი ხარ?

— შენი ლევან ხიდაშელი.

— ვაიმეეე, ლევან! დედიკო, ლევანი ჩამოსულა! როგორა ხარ, სადა ხარ, ახლავე ჩვენთან წამოდი. იცოდე, მეტს ალარ გელაპარაკები. ახლავე მანქანა დიიჭირე და ჩვენთან გაჩნდი. — მარინემ ყურმილი დაკიდა.

ლევანს სომოვნენებისაგან სახე გაებადრა, გაიზმორა და პერანგი სასწრაფოდ გადაიცვა.

თავი მეორე

1.

მეტალურგია ძმიმე, ვაქკაცური დარგია და მეტალურგები კაცის ფიზიკურ ძალას დიდ პატივს სცემენ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარ ინჟინერს, მიხეილ გიორგაძეს, თავიდანვე მოუვიდა თვალში ლევან ხიდაშელი. მთავარი ინჟინერი თვითონ მინცდამაინც როდი ჩამოჰგავდა მეტალურგს. ორმოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული, ჩასუქებული კაცი გულს უჩიოდა, მძიმედ სუნთქავდა. ექიმები დიდი ხანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვენებას ურჩევდნენ. შეშინებული ექიმებს სთოდეენ აღარ ეკარებოდა.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კათედრას სთავზობდნენ, მაგრამ მეტალურგის მკაცრ ცხოვრებას მიჩვეულ კაცს ქარხანასთან გამოთხოვება ეძნელებოდა. კი არ ეძნელებოდა, ქარხნიდან წასვლა ღალატად მიაჩნდა.

მიხეილ გიორგაძე სპეციალობით მეგრძმედე იყო. ერთხელ ინსტიტუტში რამდენიმე ლექციის წაკითხვა სთხოვეს თეჯის მეტალურგიაში. მიხეილი დათანხმდა. ორი დღის შემდეგ კი ინსტიტუტიდან გამოიქცა. ახლაც კარგად ახსოვს, ნერვები როგორ ეშლებოდა, შესვენების დროს ლექტორების მხიარულ, უდარდელ საუბარს რომ ისმენდა. მასზე განსაკუთრებით ჭადრაკის თამაში მოქმედებდა. ჭადრაკი უსაქმური ხალხისათვის მოგონილ თამაშად მიაჩნდა.

თვითონ შესვენების დროს ერთ ადგილზე ვერ სძლებდა. ერთი სული ჰქონდა, ზარი როდის დირეკებაო.

კაცის ჩაცმულობაზეც თავისი აზრი ჰქონდა, კოპწია კაცებს ვერ იტანდა, საამქროში მუშებს რომ ხელზე საათს დაუნახავდა, გულზე სცდებოდა. იმ კაცზე გული არასდროს მოუბრუნდებოდა.

— ინჟინერი რომ საამქროდან სუფთა გამოვა, ის მეტალურგად არ გამოდგება, — ამბობდა ხოლმე იგი.

თეთრი პერანგი ჭირის დღესავით ეზარებოდა, თუმცა ამ ბოლო დროს თვითონ სულ თეთრ პერანგს იცვამდა.

— ეჰ, მეტალურგის სულიდა შემრჩა, — ამბობდა ხოლმე მთავარი ინჟინერი და თავის ლიპს სინანულით დასცქეროდა.

მთელი თავისი ცხოვრება მეტალურგიულ ქარხანაში გაატარა. რუსთაველში რომ გადმოვიდა, ქართული ხელოვნებაც აღარც კი ახსოვდა.

თეატრში და წვეულებებზე იშვიათად დადიოდა. არ უყვარდა როცა გამოპრანჭული კაცები ქალებს ეკეკლუცებოდნენ. ადდეგრძელები ნერვებზე შლიდა.

„მინნც საიდან იგონებენ ამდენ სისულელეს“, — ფიქრობდა იგი და თავადაც ეჭიკეცვაზე ეჭიკა.

მეტალურგის მკაცრმა ცხოვრებამ ზედმეტ ლაპარაკს, სინაზესა და გრძნობების უხვად დაღვრას გადაჰაჩვია.

სმა უყვარდა, თუმცა, ბოლო დროს, იშვიათად სვამდა. ღვინის არაყს ამჯობინებდა. ელოდე, ღვინო როდის მოგეკიდებაო, — იტყოდა ხოლმე. შოფერს თეგზს აყიდვინებდა და ქალაქგარეთ რომელიმე ლუდხანას მიადგებოდა.

ერთხელ საბრძმედე საამქროს ცვლის უფროსმა, ელდარ სიხარულიძემ, ქორწილში დაპატიჟა.

ელდარის მამა კინორეჟისორი იყო. დიდებულ სუფრას უმთავრესად ელდარის მეგობრები და ცნობილი კინომსახიობები უსხდნენ. მთავარი ინჟინერი ამ. როგორც თვითონ ამბობდა, ენაგატლეკილ ხალხში თავს უხერხულად გრძნობდა. დაელოდა, სანამ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო შეისმებოდა, მერე ბიჭებს გადაულაპარაკა:

— ელდარს ურჩიეთ ქარხანას თავი დაანებოს და სადმე სამეცნიერო ინსტიტუტში მოეწყოს, ამ სერვიზზე გაზრდილი კაცი მეტალურგად არ გამოდგება.

მერე ბოდიში მოიხადა და წავიდა.

მართლაც სულ ორი თვის შემდეგ ელდარ სიხარულიძემ ქარხანა მიატოვა, მეტალურგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად გადავიდა. ინსტიტუტის თანამშრომლებს კი მიხეილ გიორგაძე მეტალურგებად როდი თვლიდა.

— ხომ გითხარით, მაგისაგან მეტალურგი არ გამოვა-მეთქი, — თქვა მთავარმა ინჟინერმა, როცა ელდარის წასვლის ამბავი გაიგო, — ნიჭიერი და მოხდომებული კაცი მეცნიერი ადვილად გახდება, მეტალურგობისა კი რა მოგახსენოთ, მეტალურგი პირველ რიგში ვაჟკაცი უნდა იყოს.

ლევან ხიდაშელი პირველი შეხედვისთანავე მოეწონა.

ლევანს შავი ფეხსაცმელები, უხეში შარვალი და უბრალო ნაცრისფერი ქსოვილის სპორტული პერანგი ეცვა. სახე-

ლუები იდაყვებამდე ჰქონდა წამოწეული. ბრინჯაოსფერი დაკუნთული მკლავები და ენერგიული სახე მის დიდ ძალზე მეტყველებდა. თავისუფლად იდგა, მაგრამ ტანსაცმლის ქვეშ მისი ჩამოსხმული სხეული იგრძნობოდა.

მიხეილმა ლევანის შრომის წიგნაკი გადაათვალიერა.

— ბიჭოს, შენ კარგად გიხეტიალია.

— მე რუსეთში კარიერისთვის არ წავსულვარ, სწავლა მაინტერესებდა.

— გეტყობა, ყმაწვილო, გეტყობა. კონვერტორზეც გიმუშავია. საბოლოოდ, „აზოვსტალში“ ყოფილხარ. მის ხუთსართნიან მერხევ ღუმელებთან ჩვენი მარტენის ღუმელები სათამაშოდ მოგეჩვენება. დაბრძანდი! — მხოლოდ ახლა შესთავაზა სკამი მთავარმა ინჟინერმა.

— გმადლობთ, — ლევანი სკამზე ჩამოჯდა.

— იქ საამქროს უფროსი ისევ ბესპალოვია?

— დიახ!

მიხეილი ჩაფიქრდა, ჩაიცინა, ეტყობოდა, რაღაც მოაგონდა. შრომის წიგნაკს ერთ ადგილზე ჩასჩერებოდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, შრომის წიგნაკი დაკეცა და ლევანს დაუბრუნა.

— კუჭის ტკივილ უჩიოდა, ახლა როგორ არის?

— არ ვიცი, ჩვენთვის არასდროს შემოუჩივლია.

— ჰო, ბესპალოვი სიტყვაძუნწი კაცია, წუწუნი არ უყვარს...

ტელეფონმა დარეკა. მიხეილმა ყურმილი აიღო.

— გიორგაძე გისმენთ!

მიხეილი ლაპარაკს კარგა ხანს დუმილით ისმენდა. თანდათან შუბლი ეკმუხნებოდა. ლევან ხიდაშელი მიხედა, მთავარ ინჟინერს რაღაც უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს. იგი ხან გიორგაძეს მისჩერებოდა, ხან კაბინეტს ათვალიერებდა.

სეიფის თავზე გიორგი ნიკოლაძის სურათი ეკიდა. გიორგის სპორტული ფიგურა ეცვა და დაჭიმული იდგა. მიხეილ გიორგაძეს ისევ ტელეფონის ყურმილი ეჭირა ხელში და ლაპარაკს ისმენდა. ბიჭი შეამჩნია, რომ ლევანი გიორგი ნიკოლაძის სურათს მისჩერებოდა. ეს ადამიანი ერთ-ერთ თვითონაც სურათისაკენ გააპარა, მერე ლევანს შეხედა, მერე ისევ სურათს.

ეს ბიჭი გიორგის როგორ ჰგავსო, — გაიფიქრა მთავარმა ინჟინერმა და ლაპარაკი განაგრძო.

— მოვდივარ, ათ წუთში მანდ ვიქნები, — მიხეილმა ლაპარაკი დაამთავრა, ყურმილი დაკიდა და ზარს თითი დაჭირა.

ოთახში მდივანი ქალი შემოვიდა.

— მანქანა გამოიძახეთ!

— შოფერი აქ გელოდებათ, ბატონო მიხეილ.

მთავარ ინჟინერს ახლა გაახსენდა, წეღან შოფერს რომ უთხრა, აქ დამელოდეო. ფეხზე წამოდგა და ლევანს თვალებში შეხედა.

— ძალიან მომეწონე და შენ იცი, აზრს თუ არ შემაცვლეინებ. მარტენის საამქროდან მომავალ კვირას ერთი ცვლის უფროსი გადადის ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში, მე საამქროს უფროსს მოველაპარაკები და, ალბათ, იმის ადგილზე დაგნიშნავთ.

ლევანმა მადლობის ნიშნად თავი დახარა. გიორგაძემ რაღაც ქაღალდებს ხელი წამოავლო და გარეთ გავარდა. ლევანმა კაბინეტის კარი გაიკეტა და დერეფანში გავიდა. ახალგაზრდა მდივანმა ქალმა მრავალმნიშვნელოვანი მზერა გააყოლა.

2.

ლევან ხიდაშელმა უმაღლესი რომ დაამთავრა, მამამ „ვოლგა“ უყიდა. ? ლევანი მალე რუსეთში გაემგზავრა. მას შემდეგ მანქანისთვის ხელი არავის უხლია.

ჩამოსვლისთანავე ლევანმა მანქანა პროფილაქტორიაში წაიყვანა. „ვოლგა“ სულ ახალთახალი იყო, სამი ათასი კილომეტრიც კი არ ჰქონდა გავლილი, მის მორჯულებას მაინც დიდი შრომა დასჭირდა.

მთავარი ინჟინრის კაბინეტიდან რომ გამოვიდა, ლევანმა გადაწყვიტა, ბარემ მარტენის საამქროში შევივლიო, მაგრამ გადაიფიქრა. ქარხნის ტერიტორია დატოვა, ტაქსი დაიჭირა და თბილისში დაბრუნდა. პროფილაქტორიაში მანქანა მზად დაახვედრეს.

იმავე წუთში შინისაკენ გასწია. მანქანა სადარბაზო შესასვლელთან დააყენა და კიბე აირბინა.

სიმონ ყანჩაველის ბინიდან გააფთრებული კივილი ისმოდა.

ლევანმა წრიპინა ხმაზე იცნო ფილარმონიის მომღერალი. სიტყვები ვერ გაარჩია, თუმცა მიხვდა, მარტო სიმონი ყვიროდა.

ლევანმა კარი შეიკეტა და აბაზანას მიაშურა. ცივი წყალი გადაიღო. ტანი სწრაფად შეიმშრალა და ტელეფონს მივარდა, პირსახოცი ისევ კისერზე ჰქონდა გადაკიდებული.

„დროა, ბიჭებს დავურეკო“, — გაიფიქრა მან და რეზო ქავთარაძის ტელეფონის ნომერი აკრიფა.

რეზო ლევანის სკოლის მეგობარი იყო. მეტალურგიის ფაკულტეტზეც ერთად სწავლობდნენ. სწავლის დამთავრების პირველი დღიდანვე რეზო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა.

ქალმა გაგაგონა.

— მერი ბრძანდებით?

— დიახ, ვინ ლაპარაკობს?

— აბა თუ მიცნობ?

— ვერ გიცანით?

— ლევანი ვარ.

— რომელი ლევანი?

— ეს უკვე მეწყინა, ლევან ხიდაშელი კი უნდა გეცნო, ქალბატონო მერი!

— სიცილით თქვა ლევანმა.

— ლევან, გამარჯობა შენი, როდის ჩამოხვედი? მერე, ლევან ხიდაშელი რეკავს. ლევან, რა კარგია რომ დარეკე... მოიცა, ბიჭო, ველაპარაკო... ლევან, შენი ძმაკაცი ლაპარაკს არ მაცლის.

ლევანმა იგრძნო, რეზომ მეუღლეს ყურმილი როგორ წაგლიჯა ხელიდან.

— ლევანს გაუმარჯოს.

— გამარჯობა რეზო!

— როგორ ხარ, სად ხარ, ერთხელ წერილი მაინც მოგვწერა.

— რეზო, ახლა ტელეფონში ლაპარაკი არ ღირს. შენ ეს მითხარი, დღეს გცალია?

— დღესაც მცალია და ხვალაც, ცალა მეცვლება.

— ძალიან კარგი. მე ახლა ბიჭების ტელეფონის ნომრები აღარ მახსოვს, ვისაც მისწვდები და ვინც ღირსია, ყველას დაუკავშირდი, ამ საღამოს, შვიდ საათზე, მთაწმინდაზე შეეხვედეთ ერთმანეთს. მერისთან ბოდიში მომიხადე. აბა, კარგად იყავი.

ლევანმა ყურმილი დაიდო და სამუშაო ოთახში გავიდა. პერანგი გაიხადა, ფეხზე კედები ჩაიცვა და წიგნების დახარისხებას შეუდგა. საწერი მაგიდის უჯრები გამოაღო. ბევრი რამ ამოალაგა და დახია. ბევრი ახალი ფურცელი, კონსპექტი და ჩანაწერი დაბინავა. როცა საქმეს მორჩა, წამოდგა და გაიზმორა. მერე ადგილზე ხტუნაობა დაიწყო. გასასვლელში კედელზე ჩამოკიდებული ესპანდერი ჩამოხსნა და წაიკარჭიშა.

ბნე გადასულიყო. მაინც ცხელოდა. ლევანმა ფანჯრები გამოაღო, მაგრამ ქუჩიდან კიდევ უფრო გავარვარებული ჰაერი შემოიჭრა. საათს დახედა. ისრები ხუთს უახლოვდებოდა. წვერი გაიპარსა. მერე ისევ აბაზანაში შევარდა, ცივი წყალი გადაიღო და წასასვლელად მოემზადა. ლევანს მარინე მინდაძის ოჯახში ელოდნენ.

3.

მინდაძეების ოჯახი თბილისში შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. მარინეს მამა, პლატონ მინდაძე, მსხვილი საშენებლო ობიექტის უფროსი იყო. ქალაქში ფულის შშოვნელი კაცის სახელიც ჰქონდა გავარდნილი. მინდაძეები მართლაც მდიდრულად ცხოვრობდნენ. ამას თავდაპირველად ისინი პლატონის ძმას, აწ გარდაცვლილ პროფესორს გედევან მინდაძეს უმადლოდნენ.

გედევანი უშვილო კაცი იყო. ცოლი

ადრე გარდაეცვალა და მთელი ავლადიდება ძმას დაეტოვა. მანამდე მინდაძეებს ცხოვრება უჭირდათ. ძმის მემკვიდრეობის მიღების შემდეგ პლატონმა სული მოითქვა. საბუთალოში უზარმაზარი სახლი ააშენა. „ვოლგა“ შეიძინა. პლატონ მინდაძე მანქანაში თითქმის არც ჯდებოდა. „ვოლგა“ ქალბატონ თინათინისა და მისი ქალიშვილის განკარგულებაში იყო.

მინდაძეებს თითქმის ყოველდღე სტუმრიანობა ჰქონდათ. ოჯახი ყველას ხელგაშლილად ხვდებოდა. ნაცნობებში უკვე ხმები დადიოდა, ასეთ ცხოვრებას მხოლოდ პროფესორის დანატოვარი ვერ გასწვდებოდაო. ამ ხმებმა ქალბატონ თინათინის ყურამდეც მიაღწია.

— ხეტავ რა უკვირთ, — ამბობდა იგი, — გედეკანმა ამოდენა ქონება დაგვიტოვა, ნემი ქმარი კი უზარმაზარი სამშენებლო ობიექტის უფროსია, ერთი შვილის მეტი ქვეყანაზე არავინ გაგვაჩინა, ვითომ კარგად რატომ არ უნდა ვცხოვრობდეთ?

პლატონ მინდაძე გულჩათხრობილი კაცი იყო. ოჯახურ საქმეებში არ ერეოდა. სამუშაოდან ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა. უკანასკნელ წლებში შინ თითქმის ყოველ დღე სტუმრები ხვდებოდა. სტუმრებთან ოშვიათად გადიოდა ხოლმე, თავის კაბინეტს მიაშურებდა ან იძინებდა. სტუმრად არც თვითონ დადიოდა, არც იმ ხალხს იცნობდა, მის სახლში რომ ყოველდღიურად იკრიბებოდნენ. არც ის იცოდა, ვინ იყვნენ, რას აკეთებდნენ, რას წარმოადგენდნენ. არც აინტერესებდა. პლატონ მინდაძე კარგი სპეციალისტი იყო და შინ ყოველთვის დაღლილი ბრუნდებოდა. როგორც კი პლატონი გამოჩნდებოდა, თინათინი მხოლოდ ორ სიტყვას იტყოდა:

— პლატონი მოვიდა.

ხმაური თანდათან მინელდებოდა. ეკრიალ ცეკვებს ვერ ეწყობოდა. როცა შინ გაჯავრებული ან მოღლილი ბრუნდებოდა, მისი შემოსვლისთანავე მაგნატოფონს გამორთავდნენ ხოლმე.

მარინემ უცხო ენების ინსტიტუტი ერთი წლის წინ დაამთავრა და სკოლაში მუშაობდა. სულ რამდენიმე საათი ჰქონდა, მაგრამ ეს მაინცდამაინც [illegible] ადარდებდა — ასპირანტურისათვის ვემზადებიო.

მარინე ლამაზი, მაგრამ ქარაფშუტა ვოგო იყო. მეგობრებიც თავისი ჯიუსა ჰყავდა. ისინი თითქმის ყოველ საღამოს მარინეს სტუმრები იყვნენ. მეგობარს პირში ეფერებოდნენ, ზურგსუკან კი ლანძღავდნენ — იყო დრო, მინდაძეები შიმშილით იხოცებოდნენ, ახლა კი ფულში ბანაობენო.

მინდაძეების ხშირი სტუმრები იყვნენ მოქეიფე ბიჭები, მომღერლები, კალათბურთელები, უმეტესობა კი უსაქმურები. პლატონს შვილის მეგობრები არ მოსწონდა, მაგრამ მაინც არაფერს ამბობდა, ერთად ერთს ლევან ხიდაშელს აფასებდა — კაცი მარტო ამისგან გამოვაო.

თინათინი ქმრის აზრს არასდროს იზიარებდა, მაგრამ ლევანი მასაც ძალიან მოსწონდა. უფრო სწორად, უკვე სასიძოდაც თვლიდა. თინათინს მხოლოდ ის არ ეკამნიკებოდა, ლევანი რომ ქარხანაში მუშაობდა, თუმცა იცოდა, თავის დროზე ასპირანტურაზე რომ თქვა უარი. არც მისი ქმარი იყო მეცნიერ-მუშაკი, მაგრამ კარგ სპეციალისტად ითვლებოდა და ყველა პატივს სცემდა. თინათინს სჯეროდა, ლევანს დიდი მომავალი ჰქონდა, მაინც უნდოდა სიძე მეცნიერ-მუშაკი ჰყოლოდა.

თინათინი ლამაზი ქალი იყო, თუმცა მის სახეს უკვე სიბერე შეჰპარვოდა. მთელი ახალგაზრდობა ხელმოკლეობაში გაატარა. სიმდიდრის პატრონი კი მაშინ გახდა, როცა შუბლსა და საფეთქლებზე ნაოჭები შეეპარა. მოსკოვში პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ყოველდღე კოსმეტიკის კაბინეტში დადიოდა. თმას ახალგაზრდულად ივარცხნიდა. თავისი ასაკისთვის მეტისმეტად შეუფერებლად ეცვა. ისეთ კაბებს იკერავდა, ახალგაზრდობაში რომ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. შინაც ყოველთვის მდიდრულად იცვამდა. თითებზე

ბრილიანტისთვლებიანი ბეჭდები ეკეთა. მკერდსა და მკლავებს ძვირფასი სამკაულება უმშვენებდა. სიღარიბეში გატარებული წლების ანაზღაურებას ცდილობდა. საშინლად სწყინდა, როცა მარინეს მეგობრები დეიდა თინათინს ან ქალბატონ თინათინს დაუძახებდნენ ხოლმე. ეს ყველამ კარგად იცოდა და თინიკოს ეძახდნენ.

თინათინი თავისი ქალიშვილის მეგობრებთან ტოლივით კამათობდა, პრეშეირებსა და კონცერტებზე მათთან ერთად დადიოდა.

მაშინ თბილისში კალათბურთი განსაკუთრებულად შემოვიდა მოდაში. ეს უკვე ქალიშვილების დამსახურება გახლდათ. უნივერსიტეტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდში ერთი ბიჭი თამაშობდა — ჯემალ თეეზაძე. შესახედავად ტარზანს ჩამოჰგავდა. ქალიშვილები მისი ეშხით დადიოდნენ კალათბურთის საყურებლად.

თინათინ მინდაძეც ჯემალ თეეზაძის თაყვანისმცემელთა სიაში ეწერა.

— ღმერთო ჩემო, რა ფლეგმაა! — ამოიძახებდა ხოლმე ქალბატონი თინათინი, როცა ჯემალ თეეზაძე ბურთს ძალზე მშვიდად მოათავსებდა ხოლმე კალთში.

ეს უკვე მარინეს და მისი მეგობრების გაგლენა იყო.

საერთოდ, თინათინს სმენა ძალიან გამახვილებული ჰქონდა. ცდილობდა, ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი ფრაზები დაეჭირა და პირველსავე შემთხვევაში გამოეყენებინა. „დაითარსა“, საწყალი ბიჭი! ხელი არ წაუვიდა“, — იტყოდა თინათინი, როცა ჯემალს თამაში არ გამოუვიდოდა. „ფილი დიდი არაფერია, მაგრამ ამერიკელებმა იციან გაკეთება“, — ისეთი ტონით ამბობდა ხოლმე, თითქოს ბავშვობიდან ასეთი ფრაზებით ელაპარაკოს.

ლევან ხიდაშელი კიდევ ერთი რამის გამო უყვარდა თინათინ მინდაძეს—კამათის დროს ლევანი ყოველთვის მხარს უჭერდა.

ხიდაშელმა ქალის ფსიქოლოგია კარგად იცოდა, არასდროს არ ეშლებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მარინეს კი ლევანი ბევრი რამის გამო მოსწონდა, უმთავრესი ის იყო, რომ მისი მეგობარი ქალიშვილები ლევანზე ჯეუს ჰკარგავდნენ.

მარინე ძალიან განებივრებული გოგო იყო. იცოდა: რასაც მოისურვებდა, მისი მშობლები ქვას გახეთქავდნენ და მაინც შეუსრულებდნენ.

ახლა მას ლევანი მოსწონდა, თუმცა ერთხელაც არ დაფიქრებულა, ლევანსაც მოსწონდა თუ არა იგი. ლევან ხიდაშელს მისთვის სიყვარული გადაკრულადაც კი არ უგრძნობინებია. მარინეს ეს არც ადარდებდა. აზრადაც არ მოსდიოდა, იქნებ ლევანს არ ვუყვარვარო.

მარინეს ლევანი შესახედავადაც ძალიან მოსდიოდა თვალში. უფრო კი ის სიამოვნებდა, რომ მას ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. მართალია, მინდაძეების ოჯახს დიდი სტუმრიანობა და ფართო ნაცნობობა ჰქონდა, მაგრამ ეს ნაცნობები უკანასკნელ წლებში შეიძინეს და ისინი უფრო სტუდენტობასა და ახალგაზრდობას წარმოადგენდნენ.

ლევან ხიდაშელმა კი მინდაძეების ოჯახს ბევრი ცნობილი პიროვნება დაუახლოვა. მარინეს სიამაყეს ჰგვრიდა, რომ ლევანი მწერლებსაც იცნობდა და ფეხბურთელებსაც, მსახიობებსაც და ბეცნიერებსაც.

მარინე საზოგადოებაში გასვლას ისწრაფვოდა და ლევან ხიდაშელი ამიტომ უფრო უყვარდა.

ლევანი კი მინდაძეების ოჯახს მხოლოდ ირონიულად უყურებდა, — მეშჩანი და კუდაბზიკა ხალხი არ ეხატებოდა გულზე. უეცრად გამდიდრებული და თავბრუდახვეული ხალხი ეზარებოდა. მინდაძეებთან კი მაინც დადიოდა. იქ შრომის შემდეგ მოღლილი, ლაზღანდარობაში ისვენებდა. ლევანი მარინეს და მის ქარაფშუტა მეგობარ გოგონებს დასცინოდა, თოჯინებივით ათამაშებდა. მინდაძეები ყოველთვის გულგახსნილი ხვდებოდნენ, ეფერებოდნენ.

ხიდაშელი სიმდიდრის მოყვარული

არ იყო. მამამისი შეძლებული კაცი გახლდათ და ლევანმა სიმდიდრის ფასი არ იცოდა. იგი მარინეს თუნდაც იმიტომ არ ითხოვდა, არავის ეთქვა, ცოლი სიმდიდრის გულისთვის მოიყვანაო.

ლევანს მარინე მინდაძე სხვა მხრივაც არ მოსწონდა. მათი სულიერი სამყარო ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. ლევანი მარინეს ლაქუცაობ?ერთობოდა. თავისი მომავალი მეუღლე კი სულ სხვანაირად ჰყავდა წარმოდგენილი, თუმცა გარკვეული არც თვითონ იცოდა, ეს „სხვანაირი" რას წარმოადგენდა.

მარინე მინდაძის გემოვნებას, მოთხოვნილებებსა და ფილოსოფიას უცხოური კინოფილმები და ჟურნალები აყალიბებდა. ლევანი კი ქალში უფრო შინაგან სილამაზეს, სიღრმესა და ნიშსა სცემდა თაყვანს, ოღონდ ძალზე ჭკვიანი და პრაქტიკული ქალები არ უყვარდა.

ლევანს, რაც დრო გადიოდა, დაოჯახების სურვილი უფრო უქრებოდა. ამ ბოლო დროს მოწონებითაც კი ცოტა მოსწონდა.

მეხუთე კურსზე იყო, დედა რომ ეხვეწებოდა, ცოლი მოიყვანეო. ლევანი ყოველთვის ერთსა და იმავეს უპასუხებდა, ცოლისთვის ჯერ არა მცალიაო. ცოლისთვის მართლაც არ ეცალა. იგი ბევრს მუშაობდა, სწავლობდა, დღე და ღამეს ასწორებდა. ხანდახან, მეცადინეობით რომ მოიღლებოდა, მინდაძეების ოჯახს მიაშურებდა. ნაცნობ-მეგობრები თბილისში უთვალავი ჰყავდა, ყველაზე კარგად მაინც მინდაძეებთან ისვენებდა. მთელი ქალაქის ჯორებსაც ამ ოჯახში იგებდა. თინათინს ფარულად დასცინოდა, თითქოს ეკეკლუცებოდა კიდეც, ერთხელ მთვრალმა ჩუმად ისიც კი უთხრა, მე უბედური კაცი ვარ, თქვენი სიყვარულის უფლება რომ არა მაქვსო. თინათინი ამ სიტყვებზე კინაღამ გადნა და ხელი საკოცნელად გაუწოდა. მას შემდეგ ლევანი კიდევ უფრო შეუყვარდა.

მინდაძეების ოჯახში მეხივით გავარდა ლევანის რუსეთში წასვლის ამბავი. თინათინს ვერ წარმოედგინა ნორმალური ადამიანს ასპირანტურაზე უარი რეფერენდუნდა ეთქვა, ისიც ლევან ნინოშვილისთვის, მთელ ფაკულტეტზე პირველ სტუდენტს. თინათინმა იცოდა, რომ კათედრის გამგემ ასპირანტის ადგილი მხოლოდ მისთვის გამოითხოვა.

მხოლოდ პლატონმა ჩაილაპარაკა დინჯად — ეგ ახალგაზრდა ძალიან შორს წავალ და დედა-შვილს ესღა დარჩათ სანუგეშოდ.

მარინე ლევანს წერილებს ხშირად სწერდა, თინათინი უფრო იშვიათად, ლევანი მათ მოკლედ უპასუხებდა ხოლმე. უფრო თავაზიანობის გულისათვის, თორემ წერილების წერა დიდად არ ეპიტნავებოდა.

ლევანის თბილისში დაბრუნებას მინდაძეები ზარზეიმით შეხვდნენ. დღესაც დიდი სიხარულით ელოდნენ, სტუმრებიც საგანგებოდ დაპატიჟეს, მაგრამ ლევანს ახლა მათთვის არ ეცალა. იგი მთაწმინდაზე მეგობრებს უნდა შეხვედროდა. გადაწყვიტა, მინდაძეებთან გაევლო და მარინეც თან წაეყვანა.

ლევანმა მიხაკები იყიდა და მანქანა მინდაძეების ალაყაფის კარს მიაყენა.

ერთი კრძელი და ერთი მოკლე სიგნალი მისცა. მინდაძეებმა იცოდნენ, ეს ლევან ნიდაშელი იყო. მარინე ჭიშკარში გამოეგება, თინათინი კიბეზე დაელოდა.

ლევანმა თინათინს ხელზე აკოცა და მიხაკები მიართვა.

— გმადლობთ, ლევან! შინ შემობრძანდით! — ნაზად უთხრა თინათინმა.

— არა, ქალბატონო თინათინ, მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე. კარგი იქნება, თუ პატივს დამდებთ და მარინეს ჩემთან გამოუშვებთ.

ლევანი თინათინს ყოველთვის თქვენობით ელაპარაკებოდა, თითქოს განსაკუთრებით აკრძნობინებდა ხოლმე, მიუხედავად თქვენი თავაზიანობისა, მე ჩემს თავს უფლებას მაინც არ ვაძლევ თქვენი კეთილშობილებით ვისარგებლო და ჩვენს შორის მანძილი არ დავიცავო.

თინათინი ლევანის დაცინვას ვერ

ხვდებოდა, ჭაბუკის მოკრძალებას თავის კდემამოსილებას აწერდა და ლევანს კიდევ უფრო ეალერსებოდა.

— შინ შემობრძანდით, აქ ლაპარაკი უხერხულია, — თინათინი სტუმარს წინ წაუძღვა.

ისინი მისაღებ ოთახში შევიდნენ.

— ახლა ბუხარი უნდა გაგვეჩაღებინა, სტუმრებს ველით! — ღიმილით თქვა თინათინმა და სავარძელში ჩაჯდა.

— ოო, აბა ცუდ დროს მოვსულვარ! — შეწუხდა ლევანი.

იგი თინათინის მოპირდაპირე სავარძელში მოკალთდა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— შეიძლება, არა? — მან თინათინს სიგარეტის კოლოფი დაანახვა.

— მოსწეთ, ლევან, ერთი მეც მოგაწოდეთ.

მარინემ საფერფლე მოიტანა. ლევანი ფეხზე წამოდგა, თინათინს სიგარეტი მიართვა, მერე ბენზინის კვესი აანთო და გაუწოდა.

— გმადლობთ, — თქვა თინათინმა, სიგარეტის ბოლი შეიესუნთქა და სავარძელზე გადაწვა.

თინათინ მინდაძემ პაპიროსის წევაც ამ ბოლო დროს დაიწყო. გაიგო, ახლა ქალიშვილებიც ეწევიანენ. თინათინს უფრო ის მოსწონდა, როცა ვაჟი პაპიროსსა და ცეცხლს სთავაზობდა. სიგარეტს საჩვენებელი და შუა თითით იჭერდა. ფერფლის დარეკვის დროს შუა თითს ცერს მიაშველებდა და განთავისუფლებულ შუა თითს პაპიროსს ნაზად დაკაკრავდა. ესეც კინოში ნახა პირველად, მოეწონა და იმავე წუთში გადმოიღო.

— თუ საიდუმლო არ არის, მითხარით, სად მიგყავთ ჩემი ქალიშვილი?

— ჩემს მეგობრებს უნდა შევხვდე. არ მინდა მათთან დიდხანს დავრჩე. მარინესაც გავასეირნებ და მეც უფრო იოლად გავთავისუფლდები.

— კარგი იქნება, თუ მალე მოხვალთ, სტუმრებსაც მოუსწრებთ. მარინე, ლევანს მოართვი რამე.

— არა, ნუ წუხდებით, — შეიცხადა ლევანმა. მერე მარინეს მიუბრუნდა. — შენ ცოტა იჩქარე, დროს ნუღარ დავკარგავთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გუშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზორკესტრს მოვუსმინე ფილარმონიაში. ღმერთო ჩემო, როგორ მღერის თემურ გვრიტიშვილი! — თქვა თინათინმა, როცა მარინე ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიდა.

— შესანიშნავად, ქალბატონო თინათინ. შესანიშნავად! — ლევანი როგორც ყოველთვის, ახლაც დაეთანხმა თინათინს.

— თქვენ ხომ არ იცნობთ თემურ გვრიტიშვილს?

— როგორ არა. თუ მიბრძანებთ, გაახლებთ კიდეც.

— ძალიან გამახარებთ. კვირას ვახშამი გვაქვს, ძალიან ვიწროო წრე ვიქნებით, კარგი იქნება თუ მაშინ მოიყვანთ. ხომ მოვა?

— მოვა, ქალბატონო თინათინ, თვალებს კი არ დაითხრის! ის თვითონ ცდილობს თქვენისთანა ხალხთან დაახლოებას, — ორაზროვნად უპასუხა ლევანმა.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ახალ კაბაში გამოპრანჭული მარინე. კაბა რაღაც ძვირფასი და უცნაური მატერიისაგან იყო შეკერილი. უფრო თეატრალურ კაბას წაგავდა. გულზე მსხვილი ვერცლის ჯაქვით უზარმაზარი მედალიონი ეკიდა. ორივე ხელზე იდაყვებამდე შავი ხელთათმანები ჭქონდა წამოცმული.

— როგორ გშვენის! — წამოიძახა აღტაცებულმა თინათინმა და ფეხზე წამოდგა.

— მართლაც მშვენიერი ქალიშვილი გყავთ, ქალბატონო თინათინ! — თითქოს აღტაცება ვერ დამალა ლევან ხიდაშელმა.

ისიც უმალ წამოდგა და მარინეს ხელი შეაშველა.

მარინე ამაყად იდგა და იღიმებოდა.

— ჩვენ წავალთ, თინიკო! — უთხრა მან დედას.

მარინე დედის ახალგაზრდობით ამა-

ყობდა და ხშირად თვითონაც თინიკოს ეძახდა.

გამოთხოვებისას ლევანმა თინათინს ხელზე აკოცა.

— გმადლობთ ნდობისათვის! — დინჯად თქვა მან და მადლობის ნიშნად თავი დახარა.

თინათინმა სიამოვნებისაგან რაღაც სიცილისმაგვარი ბგერები ამოუშვა და ლევანს ალერსით ხელი ლოყაზე მოუთათუნა.

ლევანმა მანქანა დასძრა. ნაცრისფერი „ვოლგა“ დიდი სისწრაფით მიჰქროდა. ლევანი დროდადრო მარინეს შეხედავდა. მარინე ამას ვრძნობდა და იღიმებოდა.

— მინდაძეების ფერიავ, — დაიწყო ლევანმა, როცა მანქანა თბილისს გასცდა და კომკავშირის ხეივანს შეუყვა, — აბა, ეგ ხელთათმანები გაიძრე!

— რა თქვი! — გაოცებისაგან პირი დაადო მარინემ.

— ხელთათმანები გაიძრე-მეთქი! — ისე თქვა ლევანმა, ქალიშვილისაკენ არც მოუხედავს. პირიქით, თავი ფანჯარაში გაჰყო და ვიღაცას მიაძახა, თვალები შინ ზომ არ დაგრჩა, მანქანას რომ ქვეშ უვარდებიო.

მარინე გათამამებული ქალიშვილი იყო. ასეთ რამეს შამაც კი ვერ უბედავდა, ლევანთან კი მოტყდა. სიამოვნებდა კიდეც ლევანის ასეთი საქციელი. მომავალი ქმრის ჯიუტობასა და მტკიცე ხელს გრძნობდა, მომავალი ოჯახური სცენების წინასწარი განცდა ერთგვარ სიამოვნებასაც ჰგვრიდა. მიუხედავად ამისა, ხელთათმანების გახდას სრულებითაც არ აპირებდა. ერთხანს ლევანს მისჩერებოდა. ვაჟი მისკენ არც იხედებოდა და არც არაფერს ამბობდა, ჯიუტად სდუმდა. მარინემ ჯერ მარცხენა ხელთათმანი წაიძრო, მერე მარჯვენა და უკანა სავარძლზე გადაყარა.

— ძალიან კარგი! — თქვა ლევანმა. მარინესკენ არც ახლა გამოუხედავს. — აბა ეგ ჯაჭვიც მოიხსენი!

ახლა კი გაცცეცხლდა მარინე:

— შენ ცოტა თავს გაგივიდა!

ლევანმა მანქანა მოულოდნელად დაამუხრუჭა, მარინე კიხალამ წინა მინას შეასკდა თავით. ლევანმა ქალიშვილს მარცხენა ხელი ნიკაპში მოაკლო, თავისკენ შემოაბრუნა და თვალებში ჩახედა. მარინემ თვალი ვერ გაუწერა. ვითომ გაბრაზდა, თავი გაინთავისუფლა და წინ გაიხედა.

ლევანმა მდალიონი თვითონ შეხსნა და უკან მოისროლა.

— მე ბევრჯერ გითხარი, როცა ჩემთან მოდიხარ, სადად და სპორტულად ჩაიცვი-მეთქი. კარგად მოგეხსენება, მე მასკარადები არ მიყვარს! გასაგებია?

ლევანმა საკინძე ჩაიხსნა და მანქანა ეძარა.

4.

სუფრა აიგასზე გაამლეკინეს. მოაჯირთან ლევან ნიდაშელი და ნოდარ ერგაძე ისხდნენ. მარინე მინდაძე ლევანმა მეორე მხარეს, თავის პირდაპირ დასვა ვაჟა დვალიშვილის გვერდით. სუფრის ერთ თავში რეზო ქავთარაძე იჯდა, მეორე მხარეს — ბიძინა ართმელაძე.

— როცა თბილისში ვიყავი, მთაწმინდაზე ამოსვლა ფიქრადაც არ მომდიოდა! — თქვა ლევანმა.

— ჩვენი მეტიჩრობის ბრალია, თორემ კაცმა რომ თქვას, ზაფხულში ამაზე უკეთეს ადგილზე სად წახვალ? — თქვა ნოდარ ერგაძემ.

ნოდარ ლევანზე საკმაოდ მომცრო ტანის ბიჭი იყო, მაგრამ ძალზე ღონიერი და ჯანმრთელი კაცის შესახედაობა ჰქონდა. ჯიუტი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. თაფლისფერი მოუსვენარი თვალები ცოტა ნერვიული და ფიცხი კაცის გამოხედვას აძლევდა.

ნოდარ ერგაძე მარტენის საამქროს ცვლის უფროსად მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ვაჟა დვალიშვილი კი საჩამოსმო მალის უფროსი იყო. მას, ნოდარისაგან განსხვავებით, ძალზე უდარდელი და მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა. საქმის კეთების დროს ცოტა ნერვების მომშლელი სიზანტე ახასიათებდა, სინამდვილეში კი

საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი. ჯგუფშიც ერთ-ერთ მოწონავე სტუდენტად ითვლებოდა და ქარხანაშიც საუკეთესო სპეციალისტად იყო აღიარებული.

ბიძინა ართმელაძე ყველასგან განსხვავდებოდა. დანარჩენი ბიჭების გამოსვდეგაში ძალა და ტემპერამენტი იგრძნობოდა. ბიძინას უფრო კანცელარიული ტიპის სახე ჰქონდა. ცივი, ღია თვალები კედელზე გაკრული დათვის ტყავზე მიმაგრებულ შუშის თვალებს მიუგავდა. ამ თაკარა სიცხეზი პიჯაკი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. თეთრი მანჟეტები საგანგებოდ გამოეჩინა. ბიძინა ართმელაძე მეტალურგიის ინსტიტუტში მუშაობდა. მან პირდაპირ ასპირანტურაში ჩააბარა. ქარხანაში ერთი დღეც არ უმუშავნია. დისერტაცია უკვე მზად ჰქონდა და ხარისხის დასაცავად ემზადებოდა.

ლევანმა ბიჭებს გადახედა. სახეზე ყველა შეცვლილი ეჩვენა. უწინდელი უდარდელი გამომეტყველება სადღაც გაქრალიყო. მთთ თვალებში უფრო მეტი ზრუნვა ჩანდა, მეტი სიდინჯე იგრძნობოდა. მარტო ბიძინა ართმელაძის სახე იყო უცვლელი, ძველებურად ცარიელი. არავითარი შინაგანი ძალა მის გამოხედვაში არ იგრძნობოდა, თუმცა გარეგნულად ყველაზე შეცვლილი გამოიყურებოდა. უწინ ჩუმ და გაუბედავ ახალგაზრდას ახლა მეტი რწმენა და თავისუფალი საქციელი ჰქონდა.

ლევანი ამ ბიჭებს შორის მხოლოდ ბიძინას არ ფასობდა. მისი არაფერი სწადდა. ბიძინა საშუალო ნიჭის კაცი იყო და უმაღლესში ხუთიანის მეტი არაფერი მიუღია. ეს მხოლოდ დიდი ენერგიისა და შრომის შედეგი იყო.

როცა ხიდაშელმა ასპირანტურაში შესვლაზე უარი თქვა, ბიძინა ართმელაძეს მხოლოდ მაშინ გაუღვივდა გულში დიდი ხნის ჩაშქრალი ნაპერწკალი. მანამდე იგი ასპირანტურაში შესვლაზე ვერც იოცნებებდა. იცოდა, ლევანს ვერ შეეცილებოდა და თავისი მიზანი მომდევნო წლებისათვის გადადო. როცა ლევანმა მაგნიტოგორსკში წასვლის სურვილი გაანცხადა, ბიძინას იმედი ისევ ჩაესახა. ვაჟა დავალიშვილი და რეზო ქავთარაძე ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებას არ აპირებდნენ. დანარჩენებს კი, თეორიულად შეეძლო შეტოქეობდა.

ლევანს იგი არ უყვარდა და თავის გრძნობებს არც უმალავდა. ბიძინა კი სულ ცდილობდა, მისი მეგობრების სიაში მოხვედრილიყო.

ლევანს სიყვარულით არც დანარჩენები უყვარდა, თუმცა მათ მეგობრულად პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა.

ყველაზე უფრო მაინც დვალიშვილი მოსწონდა. შინაგანად გრძნობდა, ვაჟა მასზე ნიჭიერი ბიჭი იყო, თუმცა ისიც კარგად იცოდა, დვალიშვილს თავისი ნიჭის გამომჟღავნება მაინცდამაინც არ ეხერხებოდა.

ლევანი თავის უპირატესობას ყოველთვის გრძნობდა. ადამიანებთან ურთიერთობას ნიჭიც ჭირდება და საერთო განათლებითაც ვაჟა მასთან ვერ მოვიდოდა.

ხიდაშელმა ისიც იცოდა, მეცნიერული ალღო ვაჟა დვალიშვილს უფრო ჰქონდა. როცა რამეს ხსნიდა, ან ლაპარაკობდა, ყოველთვის ვაჟას უყურებდა. თითქოს მარტო მას ელაპარაკებოდა.

ვაჟა დვალიშვილი არასოდეს ყოფილა ხუთოსანი. არომეულაძეს რეტხვენოდა კიდეც, როცა ვაჟა რომელიმე საგანში სამიანს მიიღებდა, თვითონ კი ხუთიანს. კარგად იცოდა, იმ საგანში იგი ვაჟას ვერ შეედრებოდა. დვალიშვილი ნიშნებზე არასდროს არ წუწუნებდა. ისე იქცეოდა, თითქოს არც ადარდებდა, რას დაუწერდნენ. სულ ერთია, სტიპენდიას ჩვენს ფაკულტეტზე მაინც იძლევიან. ნიშანს კი მეტი დანიშნულება არა აქვსო, — ამბობდა იგი.

ხიდაშელს პირველად ეგონა, ვაჟა ორიგინალობს, თითქოს ამით უნდა ხალხს თავისი უპირატესობა აგრძნობინოსო, მაგრამ მალე დარწმუნდა, ვაჟა ნამდვილად უშუალო კაცი იყო: არავითარი თამაში და მაიმუნობა არ შეეძლო.

იგი დამაჯერებლად ვერასდროს ვერ ლაპარაკობდა. ბევრი ლექტორი კი სტე-

დენტის კილოსა და რიხსაც დიდ ანგარიშს უწევდა.

— ჩემი აზრით, ნიშნების ორბალიანი სისტემაც საკმარისია, — ამბობდა ვაჟა, — დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი. დამაკმაყოფილებელი სტუდენტს მაშინ უნდა დაუწერო, როცა საგანი კარგად იცის, მასზე სრული წარმოდგენა აქვს. დანარჩენ მის უნარს და ნიჭს კი მომავალი მუშაობა გამოაჩენს.

ერთხელ ვაჟამ მეტალურგიულ პროცესებში სამიანი მიიღო, ბიძინამ — ხუთიანი. თუმცა წინა დღით მილებში აირების მოძრაობის დინამიკაში დვალიშვილმა ამეცადინა.

ვაჟა ჩაბარების დროს ჩვეულებისამებრ იღიმებოდა, ლექტორი თითქმის არც უსმენდა.

— დაამთავრეთ? — ჰკითხა ბოლოს მან, როცა ვაჟა გაჩუმდა.

— დიახ! — უპასუხა ვაჟამ.

ლექტორმა ფურცლებს გადახედა. ყველაფერი ზუსტად იყო დაწერილი. მაინც სამიანი დაუწერა.

— ნიშანი რატომ ჩაწერინე, გადააბარებდი! — უთხრა დერეფანში ართმელაძემ.

— რა მნიშვნელობა აქვს! — გიეცინა ვაჟას.

— რატომ უნდა ეგონოს, რომ საგანი არ იცი?

— არ მაინტერესებს, მაგას რა ეგონება.

— მაინც, ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს, — არ გატყდა ბიძინა.

— ეჰ, მე და შენ სულ სხვადასხვა სიბრტყეებში ვართ, ჩემო ბიძინა. შენ სირცხვილად ის მიგაჩნია, კაცმა თუ საგანში ხუთიანი ვერ მიიღო. მე კი ის მიგაჩნია, ვიღაც შტერს დავუშტაიცო, რომ საგანი ხუთიანზე მაქვს მომზადებული. ეგ რომ ნორმალური ლექტორი იყოს, ავდილად მიხვდებოდა, საგანი ვინ როგორ იცის. ყველაფერი სწორად მეწერა, ყველაფერი ვუპასუხე, მეტი რა უნდოდა. მე მეტალურგი ვარ, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ხომ [illegible] ვარ, ნიშანი დიქციაში ან მანერაში [illegible] მიმატონ. მე ხომ ვიცი, ხუთიანი [illegible] ნიშ. არაფერი ფასი არა აქვს, ეს რომ დოცენტმა ბერიშვილმაც იცოდეს.

ლევანს სჯეროდა, ვაჟა პატიოსანი და ცოტა ფანატიკოსი ბიჭი იყო. ლევანს ბევრჯერ შეუმჩნევია, ვაჟას სახე როგორ გაებადრებოდა, რაიმე რთულ ამოცანას რომ ამოხსნნდა. იგი მეტალურგიაზე შეყვარებული კაცი იყო და კვლავით ინსტიტუტში მუშაობა ვერც კი წარმოუდგენია.

ვაჟას შემდეგ ლევანი ყველაზე დიდ პატივს რეზო ქავთარაძეს სცემდა. რეზო მისი სკოლის მეგობარი იყო. ხიდაშელს არ უყვარდა, როცა ვინმე მის მიზნებს ან გრძნობებს ჩასწვდებოდა, იგი თავის ფიქრს არასდროს სხვას არ უზიარებდა. რეზოსთან კი რამდენჯერმე გაუმხელია თავისი მიზნები, მართალია, ბავშვობის დროს, მაგრამ მაინც გაუმხელია და ამიტომაც მასთან თავს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა. ქავთარაძეს მაინც დიდ ანგარიშს უწევდა, მისი ნიჭისა სჯეროდა, თანაც იცოდა, ჯგუფის ამხანაგებში ყველაზე ვაქკაცური ბუნებისა იყო. უსამართლობას ვერ იტანდა, ფიცხი ხასიათი ჰქონდა.

ნოდარ ერგაძე მეგობრებს ნიჭით ჩამოუვარდებოდა. თუმცა იგი მოწოდებით ნამდვილი ინჟინერი გახლდათ. ქარხანა ერგაძეს თავის სტიქიად მიაჩნდა.

ლევანს კარგად ახსოვდა, როგორ გაიცნო ნოდარი. იგი სოფლიდან ჩამოსული ბიჭი იყო და სხვებზე მოკრძალებულად იქცეოდა. როცა ბიჭებს სპორტულ სექციებში სწერდნენ, ხიდაშელი ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდში ცენტრალურ თავდამსხმელად ჩაეწერა. მასთან ნოდარი მივიდა და ჩუმად უთხრა:

— მე შენი დუბლი ვიქნები.

ხიდაშელმა ნოდარს ზემოდან გადახედა. არ უყვარდა, როცა კაცი სხვის უპირატესობას ასე იოლად აღიარებდა. სულ მალე ნოდარზე აზრი შეიცვალა, იგი გაცილებით ძლიერი და მებრძოლი აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა.

ლევანმა ბიჭებს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი.

„კარგი უქნიათ, ბიძინაც რომ წამოუყვანიათ, — გაიფიქრა მან, — რაღაცით ხომ უნდა გავირთოთ თავი“.

ლევანმა ბიძინას დამცინავად შეხედა. ბიძინა დაიბნა და გაუბედავად ჰკითხა:

— ლევან, ახლა რას აპირებ, ჩვენთან მოხვალ მეტალურგიის ინსტიტუტში თუ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იმუშავებ?

ბიჭებმა ხიდაშელს შეხედეს; ყველას აინტერესებდა, მათი მეგობარი მომავალში რა გზას დაადგებოდა. ეს კაცი მათთვის რაღაც ამოუხსნელი ამოცანა იყო. ვერავის გაეგო, რა სურდა, რისკენ ისწრაფვოდა.

მარინემაც ცქვიტა ყურები. ლევანი მასთან სერიოზულად არასდროს ლაპარაკობდა. იქნებ ახლა მაინც გავიგო, რას აპირებსო, — ფიქრობდა იგი.

— ოქტომბერში ასპირანტის ადგილი მოგვდის, ბარემ ჩვენთან ჩაიბარე, — არ ცხრებოდა ართმელაძე.

მას თავისი თავი მეგობრებთან შედარებით ყველაზე უფრო გზამნასულად მიაჩნდა და ოდნავ მედიდური კილოთი ლაპარაკობდა.

ლევანს გაეღიმა. ყველაზე უფრო ბიძინას ერთმა სიტყვამ გააოცა — ჩვენთან ჩაიბარეო. სხვა დროს ბიძინა რჩევის მიცემას ვერ გაუბედავდა. მან კარგად იცოდა, ლევან ხიდაშელი ჭკუას არავის ეკითხებოდა.

„დისერტაციას დიდი ძალა ჰქონია“,— გაიფიქრა ლევანმა.

იგი მიხვდა, მეგობრებს მისი პასუხი ძალიან აინტერესებდათ. „ბორჯომში“ მოსცა, მერე, მარჯვენა ხელი ბიძინას ნიკაპში ამოსდო და დამცინავად უთხრა:

— თქვენთან (ლევანმა ამ სიტყვას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი), მეტალურგიის ინსტიტუტში, მოსცლას არ ვაპირებ. ცოტა უხერხული მეჩვენება, შენ კანდიდატი იყო და მე — ასპირანტი. გაიგე, საყვარელო?

მოულოდნელად ბიძინას ხელი უშვა, საქმიანი გამომეტყველება მიიღო. ბიჭებს მიუბრუნდა.

— რუსთაველი ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, ეს ბიჭი ბევრ ინჟინერს უკვე მოველაპარაკე, მგონი, თქვენთან ცვლის უფროსი გადადის ცენტრალურ ლაბორატორიაში, არა? — მიუბრუნდა იგი რეზოს.

— კი, თხუთმეტიდან! — მიუგო სახტადდარჩენილმა რეზომ.

— საქმეზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა ერთი ჭიქა ღვინო დამალევინეთ,— ლევანმა მარინეს ჭიქა შამპანურით შეუვსო.

ბიჭები ერთბაშად გამოცოცხლდნენ. ნოდარმა ღვინო ჩამოასხა და პირველი ჭიქა აიღო.

— არ გეგონოთ თამადობას ვაპირებდე. თამადა, როგორც ყოველთვის, ლევანი იქნება. მე მხოლოდ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი. ლევანის ჩამოსვლას გაუმარჯოს. ვინ იცის, სად არ ვიყავით დაფანტული, ბოლოს ყველამ თავი საქართველოში მოვიყარეთ. შენ ყველაზე გვიან ჩამოხვედი, ალბათ ამიტომ, შენი ჩამოსვლა ყველაზე უფრო გვგვეხარდა. გაგიმარჯოს, კარგად იყავი! — ნოდარი ალავერდს ვაჟასთან გადავიდა, ჭიქა სწრაფად დასცალა და მარინეს მიუბრუნდა, — მარინე, მაპატიე, რომ პირველად შენი სადღეგრძელო არ შევსვი.

— როგორ გეკადრებათ! — გაიცინა მარინემ.

რეზო ქავთარაძე:

ახლა რომ უმაღლეს სასწავლებელში შევდიოდე, ნამდვილად მეტალურგიის ფაკულტეტს ავირჩევდი. მაშინ კი ეს სპეციალობა რატომ ავირჩიე, არ ვიცი. ბავშვობაში ბევრ რამეზე მიოცნებია, ხან მფრინავობა მინდოდა, ხან რკინიგზა მიტაცებდა. უნივერსიტეტი ერთხელაც არ გამსხენებია.

რკინიგზა ბავშვობაში მიყვარდა. შემეძლო მატარებლის დერეფანში მთელი დღე ვმდგარიყავი. ვიდექი და ბორბლების რიტმს ყურს ვუგდებდი. მინდოდა უსასრულოდ მემოგზაურა. განსაკუთრე-

ბით მომწონდა. მატარებელი რომ რკინის ბლოკებიან ხიდებზე გადადიოდა. ფანჯარაში რკინის რთული ფერმების საოცარი, ფანტასტიური ნახაზები ელავდა; ყურში კი მძლავრი, რიტმული ხმა გუგუნებდა.

მგონი პირველად მაშინ შემიყვარდა ფოლადი და მისი კონსტრუქციები. უზარმაზარ მშენებლობებს, მაღალი ძაბვის ფოლადის ბოძებს ეულგრილად ვერ ჩაეკუნცლიდი ხოლმე. მათ რთულ, დახლართულ კონტურებში თავისებურ ძალასა და სილამაზეს ვხედავდი. მე ძალიან მიკვირს, როცა რკინის კონსტრუქციებს ხალხი სიმახინჯეს ეძახის, — განა მატარებელსა და ლინდგის საოცარი განწყობილება არ შეაქვს კინოფილმებში?

განსაკუთრებით მომწონდა, როცა მატარებელი გვირაბში შევიდოდა. კედლებზე მიმაგრებული ნათურები ზღაპრულად ელავდნენ, ისინი თავბრუდამხვევი სისწრაფით მოჰქრიდნენ და უჩინარდებოდნენ. სინათლე და სიბნელე ერთმანეთს რიტმულად ენაცვლებოდა. ყურში ბორბლების მოგუდული გუგუნი ჩამესმოდა. თითქოს რკინა-ბეტონის გვირაბში გამოკეტილი ხმა კედლებს აწყდებოდა და გასასვლელს ვერ პოულობდა. მატარებელი გვირაბიდან რომ გავიდოდა, განთავისუფლებული მოგუდული ხმაც შვებას პოულობდა და სივრცეში გაიფანტებოდა.

მატარებელი ამ დროს თითქოს წყალში ჩაყვინთულ კაცსა ჰგავდა, რომელიც წყლის ზედაპირზე ამოსვლის შემდეგ შვებით ამოისუნთქავს ხოლმე.

კაცმა რომ თქვას, რა იყო აქ მოსაწონი? ეს ცოტა ძნელი ასახსნელია. განა ადვილი ასახსნელია, რად უყვარს კაცს იარაღი?

მე განსაკუთრებით სამხედრო აღლუმები მიყვარდა; ახლაც არანაკლებ მიყვარს. კრეისერებისა და სახაზო გემების სურათები კედლებზე მქონდა გაკრული. მათი თუჯის ზარბაზნების მრისხანე ლულების ცქერას არაფერი მერჩია. ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს ძალას ვგრძნობდი. ეს ძალა მიმორჩილებდა და ამაღლებდა.

სკოლა რომ დავამთავრე და სამეფო ჩვენაზე მიდგა, ყველანი დავიბენით, მით უმეტეს, — მედალოსნები. ცუდია, რომ სკოლაში მოსწავლეებს არ ესაუბრებიან სხვადასხვა სპეციალობების თავისებურებებზე. უმრავლესობა თითქმის ბრმად ირჩევდა მომავალ პროფესიას. ზოგი მშობლების კვალს გაჰყვა. ჩვენი კლასიდან ერთი ბიჭი სამშენებლო ფაკულტეტზე იმიტომ შევიდა, რომ მამამისი მშენებელი იყო. მეორე კი იმიტომ არ შევიდა, რომ... მამამისიც მშენებელი იყო. შეიძლება იმის მიხედვითაც გემსჯელა, ცხოვრებაში ვის როგორ გაუმართლა.

იმ დროს მოდაში ორი ფაკულტეტი იყო — ფიზიკო-ტექნიკური და მეტალურგიული. ფიზიკო-ტექნიკური ფაკულტეტი სწორად იმ წელს გახსნილა, როცა სკოლა დავამთავრეთ. მაშინ გარკვევით თვითონ ლექტორებმაც არ იცოდნენ, ამ ფაკულტეტის სტუდენტები რა უნდა გამოსულიყვნენ. ხმებიც კი დადიოდა, ეს ფაკულტეტი საგანგებო მნიშვნელობისაა და იქ მისაღებად მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის ახალგაზრდებს არჩევენო.

ამან ფაკულტეტი საკმაოდ რომანტიულ ბურუსში გაახვია. საკმარისი იყო კაცს ეთქვა, ფიზიკო-ტექნიკურ ფაკულტეტზე შევდივარო, რომ მას უკვე სხვანაირი თვალით უყურებდნენ და ნიჭიერი კაცის სახელს მიაკერებდნენ. ქალიშვილები ასეთ ბიჭებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და მათ ნიჭზე ერთ მითქმა-მოთქმას ტეხდნენ.

ბევრი ჩემი თანაკლასელი ამჩატდა, სპეციალობაზე უბრალო წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და საბუთები მაინც ამ ფაკულტეტზე შეიტანა.

საღამოობით ქუჩებში ესეირნობდით, ერთმანეთს ვხვდებოდით, ფიზიკო-ტექნიკური ფაკულტეტის ბიჭებს თავი ყველაზე ამაყად ეჭირათ. როდესაც ჰკითხავდნენ, რომელი ფაკულტეტი აირ-

ჩიეო, ისინი ასჯერ ნათქვამ და გაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდნენ:

— ეჰ, გადავდე თავი და შევდივარ ფიზიკო-ტექნიკურზე.

მე მგონი, არჩიულ ფაკულტეტზე უფრო ამ სიტყვებით გამოწვეული რეაქცია მოსწონდათ. რუსთაველის პროსპექტზე განგებ დასეირნობდნენ, იქნებ ვინმემ გვკითხოს, რომელ ფაკულტეტზე შედიხარო.

საღამოობით ვიკრიბებოდით და ჩვენს მომავალზე ელაპარაკობდით. თავი უკვე დამოუკიდებელ ადამიანებად მიგვგიხდა. ყველა თავის არჩიულ პროფესიას აქებდა, თავის ნაბიჯს ამართლებდა.

ჩუმად მხოლოდ მე და ხიდაშელი ვიყავით. მე ჯერ კიდევ ვერ გადამეწყვიტა, რომელ ფაკულტეტზე გამეგრძელებინა სწავლა. ლევანს ვატყობდი, ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა, თუმცა არაფერს ამბობდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ მეტალურგიის ფაკულტეტი ავირჩიე. ეს მოდის გულისთვის არ გამიკეთებია. რუსთაველში მხოლოდ ერთხელ ვიყავი ექსკურსიაზე; მას შემდეგ ჩემი მეხსიერებიდან არ გამქრალიყო ეს უზარმაზარი ქარხანა. მახსოვს, ხუთას ტონიან ხიდურ ამწეებს თვალ ვერ მოვწყვიტე.

ბრძოლაში იმ დროს შევედით, როცა ქუროებს ცელიდნენ. მაშინ არ მესმოდა, რას აკეთებდნენ. საქშენები დახსნეს; მაღალმა წნევამ ცეცხლი გარეთ გამოაგდო. საქშენებიდან ცეცხლი ისეთი გრიალით გამოჯარა, ეეგანებოდათ, ზარბაზნები ავტომატურად ისვრიანო. წნევა ჯერ კიდევ არ იყო გათანაბრებული, როცა ქუროების გამოცლა დაიწყეს. ცეცხლის ალი მუშებს სახეში სცემდა. ყველაზე წინ ოსტატი იდგა. მხარზე უზარმაზარი ქუროს თავი ედო და ისე მუშაობდა. გვერდზე დამხმარე მუშები იდგნენ. ისინი რეზინის ბილებით ოსტატს სახეზე წყალს ასხამდნენ. გამოცა მათმა ვაჟკაცობამ. პირველად მაშინ მივხვდი, მეტალურგი მარტო ცოდნით შორს ვერ წავიდოდა, თუ იგი ნამდვილი ვაჟკაცი არ იქნებოდა.

ის ექსკურსია ბევრჯერ გავიხსენე. ერთ დღეს რუსთავში ისევ ჩავედი და ქარხანა დავთვალიერე.

„გადაწყდა, — დავასკვენი მე, — მეტალურგი უნდა გავხდე, მხოლოდ მეფოლადე“. — მარტენის საამქროო ყველაზე უფროო მომეწონა.

როცა ჩემი გადაწყვეტილება შინ განვაცხადე, დედაჩემმა ერთი ისეთი იკივლა, მეზობლები შეაყარა. მეტალურგიულ ქარხანაში, ბიჭო, უწონ ტყვეებსა და პატიმრებს ამუშავებდნენო.

— გაჩერდი, თუ ქალი ხარ, ნუ სულელობ! — გაბრაზდა მამაჩემი.

ამ თემაზე მეორე დღემდე აღარ გველაპარაკია. დილით, ახალი გამოღვიძებული ვიყავი, როცა მამაჩემი საწოლზე ჩამოჯდა და მკითხა:

— შენი გადაწყვეტილება საბოლოოა?

— საბოლოო.

— კარგად იფიქრე და ყველაფერი აწონ-დაწონე?

— ყველაფერი!

— რას მიბრაზდები?

— როდის გიბრაზდები!

— რა ვიცი, ისე ცივად და მოკლედ მელაპარაკები...

მამაჩემი გაჩუმდა, ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე წამოდგა და წავიდა. თვალი გავაყოლე. უეცრად იგი მოტრიალდა და მითხრა:

— კარგი, იყოს ნება შენი. მხოლოდ რაკი მეტალურგობა საბოლოოდ გადავიწყვეტია, სხვა სპეციალობაზე აღარ იფიქრო. აღარც სხვის ლაპარაკს დაუგდო ყური. შენი ხელობა ახლავე, დღევანდელი დღიდანვე უნდა შეიყვარო. მეტალურგია ძნიმე დარგია და მეტად რთული მეცნიერებაა. ცანცარა კაცი მეტალურგი ვერ გახდება.

მამაჩემი წავიდა.

— ბოლოსდაბოლოს, გადაწყვეტილსად შედიხარ? — მკითხა საღამოს ერთმა ამხანაგმა.

— მეტალურგიის ფაკულტეტზე, — დაუდევრად ვთქვი მე.

ბიჭებმა მოწონების ნიშნად თავი დაქნიეს.

— მეტალურგიულზე? — ფიცხლად მომიბრუნდა **ხიდაშელი.**

— ჰო, — ისევ უდარდელად ვთქვი და ლევანს გამომცდელად შევხედე.

— აბა, ისევ ერთად გვისწავლია, მეც მეტალურგიის ფაკულტეტზე შევდივარ, — თქვა მან და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— შენც მეტალურგიულზე შედიხარ? აქამდე რატომ არ ამბობდი? — შემოეხვივნენ ბიჭები.

ვატყობდი, ლევანი მართლაც ნანობდა, აქამდე, რომ არაფერი უთქვამს. ხომ ვიცოდი, მას ყველაფერი დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა. ლევანს არ საამოვნებდა, როცა სხვის გზას გაჰყვებოდა, სხვის რჩევას დაუჯერებდა.

კიდევ კარგი ხანს ვისეირნეთ. ხიდაშელს მეტი აღარაფერი უთქვამს, მთელი საღამო სდუმდა. ის იყო, დაშლას ვაპირებდით, ლევანმა ჩუმად მითხრა, ნუ წახვალ, შენთან საქმე მაქვსო. მარტონი დავრჩით. ლევანმა „ინტურისტში“ შემიპატიჟა. მე ფული არა მქონდა, თავი ცოტა უხერხულად ვიგრძენი. მაინც შევყევი.

„ინტურისტის“ გაჩინარაღნებულ დარბაზში ცოტა დავიბენი. რესტორანში პირველად ვიყავი. ლევანს ყველაფერში ეტყობოდა, რესტორანი მისთვის ახალი ხილი არ იყო. განაპირა მაგიდა აირჩია ქუჩის მხარეს. ოფიციანტს ხელით ანიშნა, ჩემთან მოდიო.

ლევანმა სიგარეტი მომაწოდა, თუმცა კარგად იცოდა, არ ვეწეოდი. კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე. იმავე წუთში ვინანე, ვიგრძენი, თავს ვერ ვიმორჩილებდი. სიგარეტს ვიღაცის ან რაღაცის გულისთვის ვეწეოდი. იმ წუთში მე თითქოს სხვა ადამიანს ვთამაშობდი, სხვა ბიჭი ვიყავი. პაპიროსი ჩავაქრე და საფერფლეში ჩავაგდე.

— რას მიბრძანებთ? — ცალყბად გვკითხა ოფიციანტმა, ეტყობოდა, თვალში არ მოვუვედით; ორთავეს ძალზე ბავშვური გამოხედვა გვქონდა.

— რა გაქვთ ხეირიანი? — გამოცდილი კაცივით ჰკითხა ლევანმა.

— რაც გაგეხარდებათ! — ისევ ადგებულად თქვა ოფიციანტმა.

ლევანმა იმდენი რამე შეუკვეთა, ოფიციანტი ერთბაშად დატკბა და მეტისმეტად თავაზიანი გახდა:

— სამზარეულოდან რას ინებებთ?

— სუკი გაქვთ?

— თქვენთვის გავაჩენ.

— აბა შენ იცი, ოღონდ არ გამოაშრონ, ბრონეული ბლომად მოაყოლონ.

— ღვინოს რომელს მიბრძანებთ? — სულ ჩაშაქრდა ოფიციანტი.

— შენი სახელი?

— გაბრიელი, ბატონო.

— ჩემო გაბრიელ, მოდი, ჯერ ორი ბოთლი „გურჯაანი“ მოგვიტანე. იცოდე, ცივი იყოს.

— ბატონი ბრძანდებით.

— ძალიან გამეხარდა, მეტალურგიის ფაკულტეტი რომ აგიჩრევია, — მომიბრუნდა ლევანი და თითები მაგიდაზე აათამაშა, — ერთად ვისწავლით, მერეც ერთად ვიმუშავებთ, ამას რა სჯობია...— უცებ იგი მეზობელ მაგიდაზე ვიღაცას მიესალმა და ფეხზე წამოდგა, — ერთი წუთით დაგტოვებ. არ მოიწყინო!

ლევანი წავიდა.. თვალი გავაყოლე. ჩვენს უკან ვიღაც ხანშიშესულ კაცებს ორი მაგიდა გაეერთიანებინათ. სუფრას რვა კაცი უსხდა, მე ჩვეულებად მჭონდა ყველაფერი დამეთვალა. ამას რატომ ვაკეთებდი, თვითონაც არ ვიცოდი. არც კი დავფიქრებულვარ, ის ხალხი რატომ დავთვალე. ახლაღა გამახსენდა; რესტორანში რამდენი მაგიდა იდგა, — უკვე დათვლილი მქონდა. ორკესტრშიც შვიდი კაცი უკრავდა. დარბაზში სამი ჯაღი ეკიდა, თითოეულზე ოცდაათი ნათურა ენთო...

საერთოდ, ყველაფრის გამოთვლა მიყვარდა. მატარებელი დაიძვრებოდა თუ არა, უკვე მისი სიჩქარის გამოანგარიშებას ვიწყებდი. ჯერ საათს დავნიშნავდი და გავიგებდი. რამდენ წამში გადიოდა მანძილს ელექტრონის ერთი ბოძიდან მეორემდე. მერე დაახლოებით ავიღებდი მანძილს ამ ორ ბოძს შორის და გამოვთვლიდი მატარებლის სიჩქა-

რეს. ასეთი ანგარიში მიყვარდა კიდეც, მაგრამ კინოში ნათურებს, რიგებსა და სკამებს რატომ ვითვლიდი, არც კი ვიცოდი.

გამეცინა და თვალი ისევ მაგიდისკენ გავაპარე: ერთი სქელი კაცი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. თეთრი კიტელი ეცვა. ჩასუქებულ კისერზე ცხვირსახოცი ჰქონდა ხელი შემოდებული. მან ლევანს მხარზე ხელი გადახვია, თან ამხანაგებს რაღაცას უხსნიდა. ალბათ ლევანის ვინაობას აცნობდა. დანარჩენები იღიმებოდნენ და ლევანს მისჩერებოდნენ. ბოლოს ჩასუქებულმა კაცმა ჭიქა მიაწოდა. ლევანმა საკმაოდ მოზრდილი სადღეგრძელო თქვა. ფეხი ფეხთან ჰქონდა მიდგმული, გაჭიმული ლაპარაკობდა. ხმაურში არაფერი მესმოდა, თუმცა ისინი საკმაოდ ახლოს ისხდნენ. დროდადრო იცინოდნენ და მოწონების ნიშნად ლევანს თავს უქნევდნენ. ჩასქელებული კაცი ლევანს წელზე ხელს უტყაპუნებდა, თან მეინახეებს ანიშნებდა, ხომ გითხარით, რა ბიჭიაო.

ლევანმა ჭიქა ბოლომდე დაცალა. ვიღაცამ მწვადის ნაჭერი მიაწოდა. ლევანმა მადლობა გადაუხადა და წამოსვლა დაიპირა. მსუქანმა კაცმა სკამი ისევ შესთავაზა, დაბრძანდიო. ლევანმა ჩემზე რაღაც ანიშნა, ალბათ უთხრა, ამხანაგი მელოდებაო. მსუქანმა კაცმა გამოიხედა. მე თვალი ავარიდე. ვიცოდი, ლევანს ეტყოდნენ, ამხანაგიც მოიყვანეო. ტანში გამცრა. იმ ხალხთან მისვლა არაფრად მეჭაშნიკებოდა: შემეშინდა, ვაითუ დამიძახონ-მეთქი. კინაღამ გამეცინა: რაკი ხიდაშელმა აქ შემომიყვანა, ესე იგი, ჩემთან ლაპარაკი სურდა... ის კი საწამ თავისას არ გააკეთებდა, არავის ნებასურვილს არ აჰყვებოდა.

ოფიციანტმა საუზმე მოიტანა. მე ანგარიში დავიწყე, ეს პურმარილი რამდენი დაჯდებოდა. მაშინ ჩემს ბიუჯეტს მხოლოდ ტრანსპორტისა და კინოს ბილეთების ფული შეადგენდა. ამ სუფრის ღირებულება ასტრონომიულ ციფრად მომეჩვენა. ერთ ვახშამში ამდენი ფულის დახარჯვა წარმოუდგენელი მეგონა.

— ბოდიში, დიდხანს მიგატოვე, — ცოტა გამიგრძელდა ლაპარაკი, — მეფხვერა ლევანმა და მაგიდას მიუჯდა.

— ვინ არიან? — ვკითხე მე.

— ნაცნობები არიან. აბა, თვეზი გადაიღე.

ლევანმა ღვინო დაასხა.

— გაგვიმარჯოს! — თქვა და ერთბაშად დალია.

— გაგვიმარჯოს! — ვთქვი მე და ლევანს მიებაძე.

მეოთხე ჭიქაზე ალკოჰოლს შეუჩვეველი ორგანიზმი ღვინომ ადვილად დაიმორჩილა; კარგ ხასიათზე დავდექი. მიხაოდა რესტორანში ჯდომა. სითამამეც მომემატა. ცოტა გავიჭიმე კიდეც და დარბაზი მოვათვალიერე. რატომღაც მინდოდა, ვინმე ნაცნობი დამენახა, მასაც შევემჩნიე. უკვე ვგრძნობდი, პატარა ბიჭი აღარ ვიყავი, ახლა მე რესტორანში სიარულიც თავისუფლად შეძეძლო.

— რომელ სპეციალობაზე შეგაქვს საბუთები? — მკითხა მოულოდნელად ლევანმა.

— ფოლადის მეტალურგიაზე, მარტენის საამქრო ყველაზე უფრო მომწონს, — გულწრფელად ვუთხარი მე.

— სწორად გადაგიწყვეტია, — დამეთანხმა ლევანი, — მეც ფოლადი ვამჯობინე. ნამდვილი მეტალურგია ბრძმედი და მარტენია, გლინვა მე მეტალურგიად არ მიმაჩნია. გლინვის სპეციალობაზე შესვლას სჯობია მექანიკის ფაკულტეტზე შეხვიდე.

— არ მეგონა თუ საინჟინრო დარგზე შეხვიდოდი, ისიც მეტალურგიის ფაკულტეტზე, — ვუთხარი მე.

— ვითომ რატომაო? — გაიცინა ლევანმა და ჭიქებში ღვინო დაასხა.

— შენ უფრო მეცნიერული და თეორიული მუშაობა გიტაცებდა.

— მერე ვინ გითხრა, რომ ახლაც ∂რ მიტაცებს?

— მაშინ სხვა დარგზე შესულიყავი, თუნდაც ფიზიკურზე.

ლევანმა ისე გაიცინა, თითქოს მითხ-

რა, რა გულუბრყვილო კაცი ყოფილხარო. მერე სიგარეტი ამოიღო. დიდხანს თითებით სრისა, არ ჩქარობდა, რაღაცას ფიქრობდა, ბოლოს ასანთი გაჰკრა, სიგარეტს მოუკიდა. ანთებული ასანთი ერთხანს ხელში ეჭირა, როცა ასანთი ბოლომდე დაიწვა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა. სული შეუბერა, ჩააქრო და ნამწვავი საფერფლეზე დაადგა.

ფიცხლად მომიბრუნდა:

— სხვა დარგზე! — გაიმეორა ჩემი სიტყვები. — იცი კი რა მდგომარეობაა სხვა დარგებზე? მეცნიერები თავზეხაყრელად არიან, დოცენტები ნახევარ შტატზე მუშაობენ. [illegible]თელი შენი ახალ-გაზრდობა უფროსების ლაქუცს უნდა შეალიო. ისე ვერაფერს მიაღწევ. შენ კი კარგად იცი ჩემი ხასიათი: სხვების თვალებში ყურება არ შემიძლია, სხვების მოწყალებას ვერ დაველოდები. ყველაზე ცუდ დღეში მაშინა ხარ, როცა გრძნობ, რომ შენს უფროსზე ათი თავით მაღლა დგახარ. იცი ხანდახან კაცი რატომაა შენი უფროსი? იმიტომ, რომ შენზე ადრე დაიბადა. აი, იმ სქელ კაცს ხედავ, რომელთანაც წეღან მე მივედი? ყველანი ისინი საკმაოდ ცნობილი ადამიანები არიან. კარგი თანამდებობებიც უკავიათ. აბა მიდი და მაგათ ლაპარაკს დაუგდე ყური, მაგათ მისწრაფებებს გაეცანი. იდეალები, მუსიკა, ლიტერატურა, ფერწერა, მთელი ლამაზი სამყარო მაგათ მიღმა რჩება. რაღაც ამაღლებული რომ თქვა, შეიძლება დაგცინონ კიდეც. ვონებით, ნიჭით, ინტელექტით ისინი შენზე დაბლა დგანან, მაგრამ შენზე ადრე დაიბადნენ; რაღაც სავალდებულო საქმის გაკეთება მოასწრეს და ახლა შენი უფროსები არიან. [illegible]მეტი რაღა დაგრჩენია, მაგათ დუდუჭუზე უნდა იცეკვო. გაიგლის წლები, როლები შეიცვლება. მერე შენი წარსულის უნდა შეეფაცხეს. მე ინსტიტუტში დარჩენას ვაპირებ. იქაც ბევრი იქნება ასეთი ხალხი. სანამ არ დაბერდები, ვერაფერს მიაღწევ. აბა, ბიჭი ხარ და თავი გამოიჩინე! როგორც შაპპანური საცობს, ისე გისვრიან ინსტიტუტიდან.

— ყველა ხომ ასეთი არ არის. ხომ არიან ნამდვილი, დიდი მეცნიერებიც.

— არიან, როგორ არ არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ურთიერთობა მათთან როდი [illegible]ბიდება.

— მაშინ მამაშენის დარგი რატომ არ აირჩიე?

— მაგას შენ სერიოზულად მეუბნები? — მკითხა გაოცებულმა ლევანმა.— მე ხალხს იმას ვათქმევინებ, ხიდაშელს გზა თავის პროფესორმა მამამ გაუკვალო? ვეტყობა, ცუდად მიცნობ.

ლევანმა ღვინო ისე დალია, სადღეგრძელო არ უთქვამს. მიეხვდი, უტაქტოდ მოვიქეცი, ამხანაგს ვაწყენინე. ჭიქას ხელი მოვკიდე და დავლიე. მერე ორივე ჭიქა შევავსე. ჩუმად ვიყავი, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— მე რომ საკუთარი თავისა არ მჯეროდეს, არ გავიქაჩებოდი, — დაარღვია დუმილი ლევანმა, — მეტალურგიის ფაკულტეტი ჩემი მიზნებისთვის ზედგამოჭრილია. ახალი დარგია, საქართველოში ორი ხელრიანი მეცნიერიც კი არ მეგულება. თუ კაცს თავი გაბია, მალე გამოაჩენ, რა ბიჭიც ბრძანდები.

— თვითონ მეტალურგის სპეციალობა გიყვარს? — ვკითხე მე.

გაიცინა. ერთხანს ჩუმად იყო. მერე ცალი თვალი მოჭუტა და მითხრა.

— სიყვარული გამარჯვებას მოჰყვება ხოლმე. [illegible]შენ გგონია, მე მუსიკა არ მიყვარდა? არცთუ ცუდად ვუკრავდი. მუსიკოსობას არ ვაპირებდი, სასაცილოც იქნებოდა მუსიკოსობაზე მეფიქრა. თვითონ მუსიკა უსაზღვრო სიამოვნებას მგვრიდა. შენ თუ იცი, მუსიკა განსაკუთრებით როდის გატკბობს? როცა შენ თვითონ უკრავ. მე უკვე მეცხრე კლასში ვიყავი. ერთ წელიწადში მუსიკალურ ათწლედს დავამთავრებდი, როცა კაცი მუსიკას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის სწავლობს, ათწლედი სავსებით საკმარისია, მე კი თავი დავანებე. იმიტომ, რომ სიყვარულისა და სიამოვნებისთვის აღარ მეცალა. მეორე უცხო ენის სწავლა დავიწყე. როცა კაცს დიდი

რამე გაქვს ჩაფიქრებული, სიყვარული გვერდზე უნდა გადასდო!

ლევანი ჯიქურ მომჩერებოდა. მე ვხედავდი მის აღგზნებულ თვალებს, ბოლოს იგი დაცხრა, გაიცინა და ჭიქას ხელი წამოავლო.

— შეეგეშვათ ამ საუბარს, ეს ჩვენს პროფესიას გაუმარჯოს!

ჭიქა მომიჭახუნა. არაფერი მითქვამს, სადღეგრძელო ისე დავლიე.

მისმა საუბარმა გამაოცა, თავბრუ დამახვია, დამბანია კიდეც. მე, ალბათ, ნამდვილი საინჟინრო კაცი ვიყავი. ამდენ ამბებზე არ ვფიქრობდი. შეიძლება ლევანი მართალს ამბობდა? არ ვიცი, მაშინ ამდენი ანალიზის თავი არ მქონდა. მხოლოდ ერთი რამე ვიცოდი — იგი პატიოსანი კაცი იყო. თუმცა ხანდახან ისეთ რამეს გააკეთებდა, მის პატიოსნებაში ეჭვი მეპარებოდა. მახსოვს, ალგებრის გაკვეთილზე რადენჯერ უთქვამს მასწავლებლისთვის, — გუშინ ერთ ამოცანას ვეწვალე და ვერაფრით ვერ ამოვხსენიო.

კლასის ამხანაგები, განსაკუთრებით უსაქმურები და ჩამორჩენილები, ლევანს პირდაღებულები უყურებდნენ. ისინი საშინაო დავალებასაც არ ასრულებდნენ, თორემ ზედმეტი ამოცანის ამოხსნა მათ ფანტაზიას აღემატებოდა.

— აბა, გამობრძანდი! — ეტყოდა მასწავლებელი ლევანს.

ხიდაშელი დაფასთან გადიოდა და ამოცანას ისე თავისუფლად ამოხსნიდა ხოლმე, ეჭვიც არ მეპარებოდა, შინ რომ უკვე ამოხსნილი ჰქონდა.

მე ახლაც ვერ მივმხვდარვარ, ლევანს ასეთი ამბები რისთვის სჭირდებოდა. იგი სკოლაში ყოველთვის პირველ მოწაფედ იყო აღიარებული. ახლა კი მამის კვალს იმიტომ არ მიჰყვებოდა, ხალხს არ ეთქვა, გზა მამამ გაუკაფაო. თანდათან ვრწმუნდებოდი, ამ კაცისა არაფერი მესმოდა.

ლევანმა ორი ბოთლი ღვინო კიდევ შეუკვეთა. ერთი გვეყოფოდა-მეთქი — ვუთხარი მე.

— რა გენაღვლება, დავლიოთ! — მითხრა ლევანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც გინდა-მეთქი, — ჩავიქნიე ხელი.

უკვე მაგარი მთვრალი ვიყავი. ლევანი კვლავ წარბშეუხრელად იჯდა და დროდადრო სიგარეტს ეწეოდა. აღარ ლაპარაკობდა. ვინ იცის, იქნებ იმასაც ნანობდა, რაც ილაპარაკა. ლევანთან ერთად ექვსი წელი ვსწავლობდი. ამ ექვსი წლის განმავლობაში პირველად ილაპარაკა ჩემთან ასე გულახდილად.

ესტრადაზე ორკესტრი რაღაც სისულელეებს უკრავდა. ასე, ორმოცდაათ წელს მიღწეული, ჩასუქებული მომღერალი ქალი საშინლად იჭაჭებოდა; კისრის ძარღვები განსაკუთრებით მაშინ ებერებოდა, როცა მაღალ ნოტას აიღებდა ხოლმე. მოტიტვლებულ გულზე მძივები ეკიდა. იმდენი პუდრი ეყარა, სუნს მაგიდასთან ვგრძნობდი. სიმღერის დროს სულ ჩვენ მოგვჩერებოდა.

რატომღაც მომინდა მასთან მივსულიყავი და კისერზე სული შემბერა. მაინტერესებდა, პუდრი როგორ გაბოვიერდებოდა.

ესტრადის წინ სუფრას სამი კაცი უსხდა. ეტყობოდა, სოფლიდან ჩამოსულები იყვნენ.

მომღერალს პირდაღებული მისჩერებოდნენ. დროდადრო ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ, ნახე რა ქალია. მათ ალბათ მომღერლის მოშიშვლებული მკერდი უფრო მოსწონდათ, ვიდრე მისი სიმღერა და შეკვეთას შეკვეთაზე აძლევდნენ.

— მოეშვი, თუ ძმა ხარ, აქეთ მოიხედე! — მითხრა ლევანმა და ჭიქა მომიჭახუნა.

ის ორი ბოთლი ღვინოც გამოვცალეთ. საშინლად დავთვერი. ფეხზე რომ წამოვდექი, ყველაფერი დატრიალდა. მხოლოდ ერთი ფრაზა დამამახსოვრდა. ოფიციანტმა ლევანს უთხრა, უკვე გადახდილიაო. ალბათ იმ ჩასუქებულმა კაცმა გადაიხადა.

შინ როგორ მივედი, არ მახსოვს. მეორე დღეს ცუდ ხასიათზე გამეღვიძა. ხი-

დაშელის ნალაპარაკევი გამახსენდა. ვგრძნობდი, სხვისი სიხარულით არ ცხოვრობდა. ვგრძნობდი და მწყინდა, მენანებოდა ასეთი ნიჭიერი და ენერგიული კაცი.

მას შემდეგ ლევანს ყოველთვის ვაკვირდებოდი. ინსტიტუტში გატარებული წლების განმავლობაში ცუდი არაფერი შემიმჩნევია. პირიქით, ჯგუფში ყველას უყვარდა და ყველა პატივსა სცემდა. როცა მე მისი კაი ბიჭობის ამბავს გავიგებდი, მიხაროდა. ჭიასავით შემოჩენილი ეჭვის გაფანტვას ვცდილობდი. ლევანი რუსეთში წავიდა. ასპირანტურაზე უარი თქვა. ეჭვი მაინც შემომრჩა გულის სიღრმეში, თუმცა იგი არავისთვის გამიმხელია. იქნებ მაშინდელი საუბარი იმ პატარა ბიჭის ფილოსოფია იყო, რომელიც ცხოვრებასთან შებმას იწყებდა? მას მერე წლები გავიდა. ლევანი გამოიცალა, დადინჯდა. იქნებ გეგმები შეიცალა. ან იქნებ რუსეთში იმიტომაც წავიდა, რომ ცოდნა პრაქტიკულად გაეღრმავებინა? ჩემი აზრი ამხანაგებს, ჯერ კიდევ მაშინ ვუთხარი, როცა ხიდაშელის მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე კამათობდნენ. მაინც არა მჯეროდა, რომ თავის გეგმებს ასე იოლად დაივიწყებდა.

ახლა კი ეჭვი სამუდამოდ გამეფანტა. იგი ისევ ქარხანაში იწყებს მუშაობას. იქნებ... ჩემს თავზე გული მომივიდა. ეჭვიანი კაცი დასანახად მეზარება, მე კი ისევ რაღაცას ვეჭვიანობ, რაღაცას ვეძებ. კაცი ქარხანაში მოდის — მორჩა და გათავდა.

ოთიქოს თავისუფლად ამოვისუნთქე და ლევანს შევხედე. იგი რაღაცას ჰყვებოდა და ხმამაღლა იცინოდა.

არ მეგონა თუ ლევანი ასე მიყვარდა.

ნოდარ ერგაძე:

კურსზე სამოცდათხუთმეტი კაციდან სამოცდაათი მედალისანი ვიყავით, ორი ფრონტიდან დაბრუნებული გვერია. ისინიც უგამოცდოდ ჩარიცხეს. მხოლოდ სამი კაცი იყო კონკურსგამოვლილი. ერთმანეთს სახეზეც არ ვიცნობდით:

მახსოვს, პირველ სექტემბერს როგორ ვღელავდი. ახალ ცხოვრებას ვეზიარებოდ სულ სხვა ცხოვრებას. გარკვეული წარმოდგენა არც კი მქონდა, როგორი იქნებოდა ეს ახალი ცხოვრება. თუმცა შინაგანად ვგრძნობდი, ჩვენი ცხოვრების უფრო კარგი პერიოდი იწყებოდა, ასე თუ ისე, უკვე დამოუკიდებელი ადამიანები ვიყავით. მშობლებიც უფრო სხვანაირად მექცეოდნენ, რაღაც უპირატესობას მაძლევდნენ. მამაჩემმა საათი მიყიდა. ომი სულ ხუთი წლის დამთავრებული იყო. მაშინ საათი ბევრ რამეს ნიშნავდა. შალის საკოსტუმეც მიყიდეს. საშვიდნოემბრად თბილისში შეაკერინე, ფულს იქ გამოგიზავნითო, — მითხრა დედაჩემმა.

ინსტიტუტში მოელი ორი საათით ადრე მივედი. გული აჩქარებით მიცემდა. ნაცნობი ვერავინ დავინახე.

ცხრილი ერთი კვირით ადრე გადავიწერე. პირველ დღეს მხოლოდ ორი ლექცია გვქონდა — უმაღლეს მათემატიკასა და ხაზვაში. გული დამწყდა, არ მინდოდა, პირველი დღე ასე მალე დამთავრებულიყო.

დერეფანში უამრავი ხალხი იდგოდა. მაინტერესებდა, ჩემთან ერთად ჯგუფში ვინ იქნებოდა, მაგრამ სანამ ლექცია არ დაიწყებოდა, ამდენ ხალხში აბა ვის გავარჩევდი. წინასწარ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ კურსზე არცერთი გოგო არ გვეყოფა. აბა, ამ დარგზე რომელი ჭკუათმყოფელი გოგო შემოვიდოდა.

ზარის დარეკვას მოუთმენლად ველოდი.

ჩვენი აუდიტორიის მახლობლად ბიჭები შეჯგუფულიყვნენ.

ალბათ ესენი არიან მეტალურგებიმეთქი, — ვფიქრობდი.

მათ შორის ერთი ჭაღარა კაცი იდგა. ალბათ ესაა ფრონტიდან დაბრუნებული, ნეტა ამხელა კაცს რა სწავლა აუტუდა-მეთქი? — მიკვირდა და ჭაღარას თვალს ვერ ვაცილებდი. იგი ასკით და შესახედაობით ჩვენს შორის ისე გამოირჩეოდა, თავი უნერხულად ვიგრძენი.

როგორც იქნა, ზარი დაირეკა. უზარმაზარი აუდიტორია მთლიანად გაივსო. კურსზე სამი სპეციალობის ხალხი ვიყავით: მეფოლადეები, ჩამომსხმელები და მგლნისავები. საერთო საგნებში გაერთიანებული ლექციები გვიტარდებოდა.

ყველანი ერთმანეთს ვათვალიერებდით.

აუდიტორიაში ჭაღარა, კოჭლი კაცი შემოვიდა. იგი წყნარად მოგვესალმა და კათედრასთან მივიდა. ეს იყო დოცენტი კვერნაძე.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კვერნაძემ ჯიბიდან სათვალე ამოიღო, გაიკეთა და ჟურნალი გადაშალა. პირველად მგლნისავების ჟურნალი შეხვდა. სიას დინჯად კითხულობდა. გვარებს მარცვლავდა. ფეხზე წამომდგარ სტუდენტს ყურადღებით მისჩერებოდა. ალბათ ცდილობდა, მისი სახე დაემახსოვრებინა. არც ჩვენ ვაკლებდით ხელს. როგორც კი სტუდენტი დაიძახებდა „ვარ“ და ფეხზე წამოდგებოდა, ყველანი მისკენ მივბრუნდებოდით და თვალით ავზომ-დაზომავდით.

მეორე ჩვენი ჟურნალი იყო. კვერნაძე სიას კვლავ ნელა კითხულობდა. ბიჭებს ახლა უფრო ყურადღებით ვაკვირდებოდი, ვცდილობდი, გვართან ერთად მათი სახეებიც დამემახსოვრებინა.

— ხიდაშელი ლევან! — ამოიკითხა ლექტორმა.

სიჩუმე არავის დაურღვევია. ყველამ აქეთ-იქით მიმოვიხედეთ. ფეხზე არავინ წამომდგარა.

— ხიდაშელი ლევან! — გაიმეორა კვერნაძემ, სათვალე მოიხსნა და აუდიტორიას გადახედა.

— არ არის, პატივცემულო ლექტორო! — დაიძახა ჩემს უკან ერთმა ბიჭმა.

როგორც მერე გავიგეთ, ეს ბიჭი, რეზო ქავთარაძე, ხიდაშელის სკოლის მეგობარი ყოფილა.

ჯერ რეზოს შევხედეთ, მერე კვერნაძეს. გვეგონა, რაღაც საშინელი მოხდებოდა. გაგიგონიათ? კვერნაძემ სათვალე ისევ დინჯად გაიკეთა, ჟურნალში რაღაც ჩანიშნა და სიის ამოკითხვა განაგრძო.

„უბედური, — ვფიქრობდი მე, — ახლა პირველ დღეს გახდა ავად!“

სხვანაირად ვერც ვიფიქრებდით. ეს „ავადმყოფობა“ ზეზოდ, პირველი ლექციის გაცდენა როგორ შეიძლებოდა.

— ავად არის? — ჰკითხა ვიღაცამ რეზოს.

მე ყურები ვცქვიტე და რეზოსკენ სანახევროდ მივბრუნდი.

— ავად რა გახდის, ლომივით ბიჭია, გაგრაშია დასასვენებლად! — ჩურჩულით უპასუხა რეზომ.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ლექტორმა სიის ამოკითხვა დაამთავრა. სათვალე ჯიბეში ჩაიდო. დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო და ჩუმად დაიწყო:

— მე წაგიკითხავთ უმაღლესი მათემატიკის კურსს. წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, მათემატიკა ძალიან ადვილი საგანია თუ ყოველდღიურად იმეცადინებთ. თუ იზარმაცებთ, არაფერი გამოგიგვათ. პატარა ბავშვები აღარა ხართ, ყოველწუთს რომ ჭკუა დაგარიგოთ. ეს ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ.

კვერნაძემ სათვალე ისევ გაიკეთა და დაფისკენ მიბრუნდა.

— ჩვენი დღევანდელი ლექციის თემაა: ვექტორი.

რვეულები სწრაფად გადავშალეთ და კონსპექტების წერა დავიწყეთ. კვერნაძე ლექციას ნელა კითხულობდა, თითქმის გვკარნახობდა. ყოველ სიტყვას ყურადღებით ვიწერდი, თუმცა ხასიათი გამიფუჭდა. პირველი დღე, პირველი ლექცია სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი. რატომღაც მეგონა, ყველაფერი უფრო საზეიმოდ იქნებოდა: მოგვილოცავდნენ ინსტიტუტში შესვლას, გვესაუბრებოდნენ ჩვენს არჩეულ სპეციალობაზე.

რამდენიმე თვის შემდეგ მე მივხვდი, რომ კვერნაძეს მეტალურგიაზე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. იგი მათემატიკოსი გახლდათ და უკვე ოცდაშვიდე წელი იყო ერთსა და იმავე, საინჟინრო პროგრამით გათვალისწინებულ კურსს კითხულობდა. ხოლო ის სა-

ზეიმო დღე, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ახალი და ამაღელვებელი იწყებოდა, მისთვის იყო ჩვეულებრივი და შეიძლება მოსაწყენი სამუშაო დღეც.

შესვენებაზე თავი უკვე ჯგუფების მიხედვით მოვიყარეთ. მე ჩუმად ვიდექი და ლაპარაკში არ ვერეოდი. ბავშვობიდანვე ასეთი ხასიათი მჭონდა, სხვებივით იოლად ვერ ვახერხებდი უცნობებთან გაშინაურებას.

ბიჭებმ ვაკვირდებოდი და ვიწმუნდებოდი, ჩვენს საუკუნეში ჯერ კიდევ რამოდენა პატივს სცემენ ადამიანის ფიზიკურ ძალას. უფრო მეტად მოსული და ტანადი ბიჭები ლაპარაკობდნენ. სუსტები და გამხდრები ჩუმად იყვნენ და მათ საუბარს უსმენდნენ. ყველაზე მეტ ხალხს გიორგი ქარსაულიძესთან მოეყარა თავი. გიორგი ძალისანი იყო, სპორტის ოსტატი. მე მას გაზეთებიდან ვიცნობდი. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა ჭაბუკთა შორის. ეს უკვე კმაროდა იმისათვის, რომ მხოლოდ მას ელაპარაკა და სხვებს ესმინათ.

პაპიროსს ყველა ეწეოდა. დიდი არაფერი დაკვირვება უნდოდა, ბევრს პაპიროსი პირველად ეჭირა ხელში, ისინი ბოლს არც კი ყლაპავდნენ. ხანდახან მაინც გადაუცდებოდათ ხოლმე, ხველა აუტყდებოდათ და უხერხულობისაგან წითლდებოდნენ. ერთ პაპიროსს გაათავებდნენ თუ არა, იმავე წუთში პირში მეორეს იჩრიდნენ.

დერეფანში მორიგე ლექტორები დადიოდნენ. ბიჭები მოსაწევად განკუთვნილ დერეფანში პაპიროსს ლექტორების გვერდით ეწეოდნენ. ეს ძალიან მოსწონდათ. გრძნობდნენ, რომ ახლა უკვე დამოუკიდებელი ადამიანები იყვნენ. პაპიროსის წევას აღარავინ დაუშლიდათ. ბევრი სულ მოლად ბავშვივით გამოიყურებოდა. ისინი ყველაზე მეტს ქაჩავდნენ. ცდილობდნენ პაპიროსით მიეღოთ დასრულებული მამაკაცის იერი.

ბიჭები უფრო თავის სპეციალობაზე ლაპარაკობდნენ. მგლინავები გლინვას აქებდნენ, მეფოლადეები მარტენს. ზოგიერთები კამათში ჩაბმას ვერ ბედავდნენ და უმიზეზოდ იღიმებოდნენ. ლექტორებზეც ბევრ ყურმოკრულ ამბავს ჰყვებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ კარგი მათემატიკას კვერნაძე გვიკითხავს. აბა ზარიძე ყოფილაა! — დაიწყო ერთმა, — ერთხელ თურმე, შუადამისას, ოთხი ჩიჭრილი სტუდენტი ჩაუსაფრდა ქუჩაში. სტაცეს პალტოში ხელი და უთხრეს, ნიშნები აქვე ჩაგიწერე, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო. მომეცით მატრიკულებიო, უთქვამს ზარიძეს. ბიჭებმა მატრიკულები მიაწოდეს, ზარიძემ თურმე მატრიკულები ჯიბეში იტაცა და ის ოთხი ბიჭი ისე აზლა, ერთმანეთს ვეღარ სცნობდენ. მეორე დღეს ოთხივე დაუბარებია და უთქვამს: წაიღეთ თქვენი მატრიკულები, თქვე ძათხოვრებო, ამ სემესტრში კი დაგიწერეთ სამადლოდ სამიანი, მაგრამ, იცოდეთ, იმ სემესტრში მიფრთხილდითო.

ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ.

მეხუთე დღე გავიდა, რაც სწავლა დაიწყო. ხიდაშელი მაინც არ გამოჩენილა. როცა ლექტორი ლევანს გვარს ამოიკითხავდა, რამდენიმე კაცი ერთად იძახდა, არ არისო.

— რა ეჩქარება! — იტყოდა ერთი.

— ხვალაც ამ თვისაა! — დაუმატებდა ამხანაგების სიცილში მეორე.

გამოუცდელ სტუდენტებს იმდენად უჩვეულოდ გვეჩვენებოდა ლექციების გაცდენა, რომ ხიდაშელზე რაღაც რომანტიკული აზრიც კი შეგვექმნა. მის გამოჩენას უცნაური ინტერესით ველოდით.

ბიჭებმა ამ ხუთ დღეში ერთმანეთიც კი ვერ გავიცანით ხეირიანად. ლევან ხიდაშელი ჯერ თვალითაც არავის ენახა, მისი სახელი და გვარი კი მთელმა კურსმა იცოდა.

მეექვსე დღეს ხიდაშელმა აუდიტორიის კარი შემოაღო. იგი თავის დროზე მაინც არ მოსულა, ათი წუთი დაგვიანია. ყველა მიხვდა, დაგვიანებული სტუდენტი ლევან ხიდაშელი იყო.

რატომღაც მეგონა, მის გამოჩენაზე აუდიტორიაში ხარხარი ატყდებოდა. ბიჭები მერე გამოტყდნენ, ჩვენც ასე გვე-

გონაო. ყველა სიცილის მოლოდინში ყოფილა, ხმის ამოღება კი ვერავინ გაბედა: კარებში იდგა მაღალი, ვაჟკაცური გამომეტყველების ჭაბუკი. მისი ბრინჯაოსფერი სახე და დაკუნთული სხეული თითქოს გვეუბნებოდა, ბიჭებო, არაფერი შეგეშლოთო.

სტუდენტები ხან ლევასს ჰისჩერებოდნენ, ხან ლექტორს. თითქოს რაღაცას ელოდნენ. კვერნაძემ ხელით ანიშნა, დაჯექი, ხელს ნუ მიშლიო.

ლევანმა აუდიტორიას გადახედა, რეზოს თვალი ჩაუკრა, ხელის აწევით მიესალმა და ჩემს გვერდით დაჯდა.

— არ ჩაიწერ? თუ გინდა რვეულს მოგცემ, — უთხრა ერთმა სტუდენტმა უკანა მერხიდან.

— რაო, ახალი აღმოვაჩინე რამეო?— გულუბრყვილოდ იკითხა ლევან ხიდაშელმა.

— ახალი რა უნდა აღმოეჩინა.

— აბა ეს ამბები წიგნში უკეთ სწერია.

ლევანი წამოიწია, უკან მოტრიალდა და ბიჭები ჩაათვალიერა.

— ქალაშვილები არა გვყავს, კაცო?— იკითხა ხმამაღლა.

ბიჭებს გაეცინათ.

— სიწყნარე, რა ამბავია? — მოიხსნა სათვალე კვერნაძემ.

— უკაცრავად, მაპატიეთ! — ფეხზე წამოიჭრა ლევანი.

შესვენებაზე ხიდაშელს თვალი ვეღარ მოვკარი. მეორე საათზე აღარ შემოსულა, სადღაც გაიპარა.

— ეს რა კარგი ვინმე ყოფილა! — იძახდნენ ბიჭები.

ჯერ თურმე სად ვიყავით!

არაორგანული ქიმიის ლექციაზე მოხუცმა პროფესორმა რუსუდან ალავიძემ გამოგვიცხადა: ჩვენს კათედრასთან სტუდენტთა წრე მუშაობს, ვისაც სურვილი გაქვთ ჩაეწერეთო. ორი თემაც შემოგვთავაზა: მენდელეევის სისტემა და ფუძე-ტუტეები. ვის სურს ამ ორი თემიდან ერთ-ერთის დამუშავებაო, დასძინა ბოლოს და აუდიტორიას თვალი გადაავლო.

ყველანი ჩუმად ვიყავით. თემის დამუშავების სურვილი დიდი მქონდა, ძაგრამ მეშინოდა, ხმას ვერ ვიღებდი. ალბათ სხვა ბიჭებიც ჩემს დღეში იყვნენ. სდუმდნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ.

— ნუთუ არავინ არის მსურველი? — იღიმებოდა რუსუდან ალავიძე.

— მე დავამუშავებ პირველ თემას,— ფეხზე წამოდგა ხიდაშელი.

ყველამ პირი დაიღო, ამას არავინ ელოდა.

— ძალიან სასიამოვნოა, — თქვა მოხუცმა პროფესორმა, — მაშ თქვენ მენდელეევის სისტემასა და ვალენტობას აიღებთ, არა?

— დიახ!

— რა გვარი ბრძანდებით? — ჰკითხა პროფესორმა და თავისი პატარა უბის წიგნაკი გადაშალა.

— ლევან ხიდაშელი, ფოლადის ჯგუფიდან.

— რეფერატს რომელი რიცხვისათვის წაიკითხავთ?

— პირველსავე პარასკევს.

— დრო გეყოფათ? იცოდეთ, საჩქარო არაფერია.

— მეყოფა, პატივცემულო პროფესორო.

მეორე პარასკევს არაორგანული ქიმიის წრის მეცადინეობას მთელი კურსი დაესწრო. რუსუდან ალავიძე ამას კი არ მოელოდა, სიხარულს ვეღარ მალავდა. მე გულში მეცინებოდა, რა იცოდა მოხუცმა პროფესორმა, სად იყო ძალლის თავი დამარხული.

ლევანი დაფასთან გავიდა და რეფერატი ზეპირად წაიკითხა. იგი დინჯად მსჯელობდა, გადმოცემის საოცარი უნარი და სუფთა დიქცია ჰქონდა. ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ არც ერთ ბგერას არ ჰკარგავდა. აუდიტორიას ისე ელაპარაკებოდა, თითქოს რეფერატს მხოლოდ ერთ კაცს უკითხავსო. შეკითხვებზეც მოხდენილად უპასუხა. შემაჯამებელ სიტყვაში რუსუდან ალავიძემ თქვა, ასეთი სიამოვნება დიდი ხანია არ მიმიღიაო.

იმ დღიდან ლევანს სულ სხვა თვალით ვუყურებდით. ხიდაშელი სულ მალე კურსზე საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. საკურსო მოცემულობებს ყველაზე რთულს არჩევდა. კონფერენციებზე ყოველთვის ურთულეს რეფერატებს ამუშავებდა. ვერ იტანდა, როცა სხვისი მოხსენება უფრო მეტ ხმაურსა და კამათს გამოიწვევდა. პირველობა უყვარდა, მაგრამ სხვას არასდროს არ წყენინებდა, თავის უპირატესობას არ აგრძნობინებდა. არც თავის მოჩვენება იცოდა. რა საქმეშიც პირველობას ვერ მოიპოვებდა, ყველაფერს თავს არიდებდა.

მე და ლევანი ინსტიტუტის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში ერთად ჩაგვრიცხეს. რაიონის ნაკრებში ცენტრში ვთამაშობდი. როცა ეს მწვრთნელს ვუთხარი, კინაღამ სიცილით მოკვდა — შენისთანა პატარა ტანის კაცს ცენტრში რა უნდაო და პირველსავე წვრთნაზე მარჯვენა გარემარბის ადგილზე გამომიყვანა. ცენტრში ორი თავდამსხმელი გვყავდა, ლევან ხიდაშელი და ოთარ გორდაძე, გეოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

თბილისის პირველობაზე უნივერსიტეტის წინააღმდეგ ცენტრში ლევან ხიდაშელი დაიყენეს. მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა. მერე მწვრთნელმა გამოცვალა. ლევანი თითქმის სულ გარღვევაზე თამაშობდა, თავისი ძლიერი მხრებისა და სირბილის იმედი ჰქონდა. მაშინ უნივერსიტეტის გუნდში ცენტრალურ მცველად დაბალი, ვერცხლისწყალივით მოძრავი ბიჭი ჰყავდათ. ლევანი რამდენჯერაც გაექცა, იმდენჯერ უკანიდან ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი აართვა. ხედავდა, არ გამოსდიოდა. მაინც ჯიუტობდა და ისევ გარღვევაზე გასვლას ცდილობდა.

ოთარ გორდაძემ გაცილებით უკეთ ითამაშა. ლევანს ბოლმა ახრჩობდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

მეორე შეხვედრა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან გვქონდა. მწვრთნელს თხოვა, — მაშინ თამაში არ გამომივიდა, ახლა გამომიყვანე, მჯერა ბურთლებით უკეთ ვითამაშებო. მწვრთნელმა უარი რიდი უთხრა. პირველ ტაიმში ცენტრში ისევ ლევანი დააყენა, მეორე ტაიმში კი ოთარ გორდაძე. ლევანმაც კარგად დაინახა, გორდაძემ ახლაც უკეთ ითამაშა. მას შემდეგ ვარჯიშზე აღარ მოსულა. მწვრთნელმა და ბიჭებმაც ბევრჯერ ჰკითხეს, ფეხბურთს თავი რატომ დაანებეო. ლევანი ყველას ერთ პასუხს აძლევდა, მაგისი დრო აღარა მაქვსო.

მე პირველად მჯეროდა ლევანის ნათქვამი. იგი მართლა ბევრს მეცადინეობდა. ორ უცხო ენას სწავლობდა. მაგრამ ერთმა შემთხვევამ თითქოს თვალი ამიხილა.

საგაზაფხულო სესიების წინ მოსკოვიდან ცნობილი პროფესორი ნესტორო. ვი გვეწვია და მეტალურგიულ პროცესებში ლექცია წაგვიკითხა. პირველ კურსზე სპეციალურ საგნებს არ გავდიოდით. ლექციას მაინც დავესწარით, თუმცა პროფესორის ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი გავიგეთ. უფროსი კურსელები პროფესორს შეკითხვებს აძლევდნენ, თვითონაც ლაპარაკობდნენ.

პირველკურსელები უკან ვისხედით და ხმას არ ვიღებდით.

— არა უშავს, ჩვენნ დროც დადგებ! — ჩაგვილაპარაკა მოულოდნელად ლევანმა, ფეხზე წამოდგა და აუდიტორია გამოიწვევად დატოვა.

მივხვდი, უნდოდა ეთქვა „ჩემი დროც დადგებაო“, მაშინ იმასაც მივხვდი, ფეხბურთს თავი რატომ დაანება. ყველას გვაოცებდა მისი ნიჭი და ენერგია. მაგრამ რისკენ ისწრაფვოდა, რა უნდოდა, არც მაშინ ვიცოდი და ახლა მისმა ქარხნებში ხეტიალმა სულ თავგზა ამიბნია.

ერთი კი მჯერა, ლევანს ალბათ უფრო დიდი რამე აქვს ჩაფიქრებული, ვიდრე ბიჭებს ჰგონიათ.

ვაჟა დვალიშვილი:

ჩვენი გამოშვების წელს ასპირანტურაში მხოლოდ ერთი ადგილი მოვიდა. ყველა დარწმუნებული იყო, ეს ადგილი

ლევან ხიდაშელს დარჩებოდა. ამას კათედრის გამგეც არ მალავდა, კარგად იცოდა, ლევანთან მეტოქეობის ვერავინ გაბედავდა.

ასპირანტურაში შესვლაზე არასდროს არ მიოცნებია. ქარხანა მიზიდავდა და საამქროში მუშაობა ყველაფერს მერჩია. ასპირანტურა და ლაბორატორიებში ფუსფუსი რომ მდომოდა, მაშინ სხვა ფაკულტეტს ავირჩევდი.

მე თვითონ მეტალურგიული ქარხნის სილამაზე მიტაცებდა. ამ სილამაზეს კი, საამუყაროდ, თვითონ მეტალურგებიც ცოტნი ხედავენ.

ეროხელ საავდმყოფოში ვიწექი. ავადმყოფების კვნესას ყურს ვუგდებდი და ვფიქრობდი, ექიმობა ყველაზე კეთილშობილური პროფესიაა-მეთქი. მაგრამ მე ჩემი სიცოცხლის ერთ საათსაც კი არ დავუთმობდი ამ დიდებულ საქმეს. ექიმი ყოველდღე ავადმყოფებს, მომაკვდავებს, ჩალურჯებულ და მისუსტებულ ადამიანებს ხედავს. იგი ყოველდღე ირწმუნდება, რა უმწეოა ადამიანი. იგი ვერ გრძნობს მათ ძალას, ფანტაზიას, მისწრაფებებს, ოცნებას. იგი ხედავს მხოლოდ მკვდარ უჯრედებს, მოღლილსა და უმწეო ორგანიზმს.

ჩემს პალატაში ერთი ცნობილი პროფესორი, მიხეილ მაღლაკელიძე იწვა. უნივერსიტეტელი მეგობრებისაგან ხშირად გამეგონა ამ კაცის ქება. იგი დიდებული ორატორი ყოფილა. მისი ლექციების მოსასმენად თურმე სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც კი შედიოდნენ აუდიტორიაში. მსმენელებს ოცებდა და ატყვევებდა მოხუცი პროფესორის ნათელი გონება, დახვეწილი ლოგიკა და ფანტაზია.

სტუდენტებს პროფესორი მაღლაკელიძე უძლეველ, ღვთაებრივ ადამიანად ჰყავდათ წარმოდგენილი. ახლა იგი ჩემს გვერდით იწვა და არაფრით არ განირჩეოდა დანარჩენი ავადმყოფებისაგან. ექიმებისათვის იგი ჩვეულებრივი ავადმყოფი ორგანიზმი იყო, უძლური და უმწეო. ისინი იოტისოდენადაც კი ვერ გრძნობდნენ პროფესორის ძალას.

მეტალურგიული ქარხანა კი სულ სხვა საქმეა. იქ ყოველი ბრძმედი თუ მარტენის ღუმელი, ბლუმინგი თუ ხელოვნური ხიდური ამწეები ადამიანის ძალაზე და მისი გონების უსაზღვროებაზე მეტყველებენ. როცა ათას შვიდას გრადუსზე ადუღებულ ფოლადს შესცქერი, გაოცებს, თუ რა შეუძლია ადამიანს.

მე სწორედ ქარხანა მაინტერესებდა, ძძლაკი ქარხანა და მეტალურგიის ფაკულტეტიც იმიტომ ავირჩიე. ელექტრომექანიკურ ქარხანაში ვერ ვიმუშავებდი. იქ თითქმის ყველაფერი გარკვეულია, ყველაფერი ნათელია. იქ ყველა მანქანა ცნობილ პრინციპებს ემყარება. შემოქმედებაც უფრო ნაკლებია.

მარტენის საამქროში კი ყოველი დნობა ჰადრაკის პარტიასა ჰგავს. ერთი და იგივე დნობა არასდროს არ გამეორდება. რამხელა სიამოვნება მიგრძნია, როცა მარკას აცილებული ფოლადი ისევ მარკით გათვალისწინებულ ნორმებში მომიქცევია. განა შემოქმედება არაა, როდის მოახდენ განქანგვას, ფრიშირებას, როდის მოახდენ აწიდვას, რა დროზით შეიყვან განმქანგველებს.

შეიძლება მე ზომაზე მეტად მიყვარს ჩემი პროფესია. იქნებ ელექტრიკოსი ან მექანიკოსი დაზგების ავტომატიკაში დიდ ჰარმონიას ხედავს. ან იქნებ ექიმი, რომელმაც სიკვდილს გამოსტაცა ადამიანი, იმ დღეს თავს ყოვლისშემძლე და უბედნიერეს ადამიანად თვლის? ამაში ეჭვი არ მეპარება. ალბათ, თავის პროფესიაში ყველა ხედავს დიდ სილამაზეს, ვისაც კი მომავალი ხელობა სიყვარულით აურჩევია.

რატომღაც ყოველთვის მჯეროდა, ლევან ხიდაშელი მხოლოდ ქარხანაში იმუშავებდა. იმხელა ენერგიის მქონე კაცი ლაბორატორიაში ფრთებს ვერ გაშლიდა.

მახსოვს ჩვენმა დეკანმა და კათედრის გამგემ პირი როგორ დაიღეს, როცა ლევანმა მაგნიტოგორსკში მუშაობის სურვილი გამოთქვა. პირველად მათ ეს ხუმრობა ეგონათ. როცა დარწმუნდნენ, ხი-

დაშელი არ ხუმრობდა, დეკანმა ირიონიულად ჩაიცინა:

— დიდხანს იფიქრე, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდი?

— როგორ, თქვენ არ მოგწონთ ჩემი გადაწყვეტილება? — იმავე ტონით ჰკითხა ლევანმა.

— რატომ, პირიქით! — დაიბნა დეკანი.

— მომავალ წელს სტუდენტებს რომ ჩამოიყვანთ, იქ დაგხვდებით. სტუდენტებს მე თვითონ ვუხელმძღვანელებ.

— არა მგონია მომავალ წელს კიდევ გიხილოთ ქარხანაში.

— რატომ, თქვენ საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებით.

ლევანს აღტაცებული მივიხრებოდი. ჰიხაროდა, რომ წინასწარმეტყველება კამეიმართლდა. წარმოდგენილი მქონდა, ქარხანაში როგორ დატრიალდებოდა. მეტალურგიულ ქარხნებს სწორედ ხიდაშელისთანა ბიჭები შეეფერება.

ერთხელ, მგონი მეორე კურსზე, პრაქტიკის შემდეგ დონეცკიდან თბილისში ვბრუნდებოდით. აგვისტო იყო. მთელი ქვეყანა აყრილიყო და შავი ზღვისკენ მიეძგზავრებოდა. ბილეთების შოვნაზე ფიქრიც კი ზღაპარსა ჰგავდა. ჩვენ ექვსნი ვიყავით. ყველას კკაოცებდა ხიდაშელის შეუპოვრობა და ენერგია. იგი საფეიერის უფროსებთან ჯიქურ შედიოდა. არ ვიცი, მათ რას ეუბნებოდა, მაგრამ ექვსი ბილეთი ყოველთვის გამოჰქონდა. დონეცკიდან ილოვაისკში ჩავედით. იქიდან როსტოვში, როსტოვიდან ტუაფსეში, ტუაფსედან სოხუმში. მატარებელში შესვლაზე მთელი ღამი უნდა გადაგვეხადა. ლევანი ხალხს მკერდით მიაპობდა, გზას გვინთავისუფლებდა...

სოხუმში, მატარებელში წინ ვიღაც თმახუჭუჭა ჩაფსკენილი ბიჭი გადაგვიდგა. ხომ ხედავთ, ადგილი არ არის, სად მიძვრებითო, — გვითხრა აგდებულად. აბა თუ ადგილი არ არისო და ლევანმა იგი თავისუფალ კუთხეში მიაგდო. ბიჭი გაჯავრდა და გაარტყა. გამწარებული ლევანი ყელში სწვდა. ბიჭი გაფაორთხალდა, ხელიდან გაუძვრა, ტამბურის კარი მიუკეტა და დანა ამოიღო. ლევანმა მარჯვენა მოსსლეტილად მოიქნია, შუშა ამტვრია და ბიჭს ხუჭუჭა თმებში ხელი ჩავლო. მარცხენა ხელით კარი შეაღო, დანა გამოგლიჯა და გადაუმტვრია. მერე შუშის ნამსხვრევებისაგან დასერილი და სისხლში ამოსვრილი მარჯვენა ყბაში ისე ამოარტყა, გონდაკარგული ბიჭი ნახევარ საათს ველარ მოვაბრუნეთ. ვიღაცამ ლევანს ხელი ოდეკოლონით გადაპანინა და ცხვირსახოცით შეუხვია.

ლევანს გაოცებული მივჩერებოდი. იგი იმ წუთში მენთაველ ჰგავდა, რომელსაც აღელვებულ ზღვაში ხუთი ადამიანის ბედი ებარა. მე მგონი, ეს ლევახ ხიდაშელს ძალზე სიამოვნებდა, ამით ალბათ, უზარმაზარ ენერგიას იშოშმინებდა.

ჩემი წიხასწარმეტყველების პირველი ნაწილი გამართლდა, იგი არ გაჰყვა მეცნიერებას, მაგრამ რას აპირებს მომავალში?

ლევან ხიდაშელი ჩემს თვალში მრავალფეროვნიან განტოლებას ჰგავდა.

5.

ლევანმა თითქმის ყველა სადღეგრძელო ჩამოათავა.

— ახლა შეგჯამოთ. თქვენ რა გენაღვლებათ, მე ხვალ დილით ცვლაში გავდივარ, — თქვა ერგაძემ.

— ჰო, სწორია! — გამოცოცხლდა ბიძინა.

— შენ ხომ აღარ გადიხარ ცვლაში, სად მიგეჩქარება? — ჰკითხა ბიძინას ხიდაშელმა.

— მე რა მენაღვლება, თუნდაც ხვალ დილამდე ვისხდეთ. მარინემ მოიწყინა და იმიტომ ვლაპარაკობ, — იმართლა თავი ბიძინამ.

ლევანმა მარინეს გადახედა და ოდნავ აგდებულად უთხრა:

— მართლა მოიწყინე? ნუ მოიწყენ, თორემ ბიჭები შემოწუხდნენ.

მარინემ ხმა არ გასცა, ოღონდ ისე შეხედა, თითქოს უთხრა, კმარა დაცინვაო.

— აბა, თითოც დავასხათ! — ბრძანა ლევანმა.

რეზომ ოფიციანტი მოიხმო და ყურში უთხრა, ანგარიში მომიტანეო.

ლევანი ოფიციანტს მიუბრუნდა.

— გენაცვალე, შენი სახელი?

— ბაგრატი, შენი ჭირიმე.

— ბაგრატ ჩემო, თვალში ხომ არ გეპატარავები?

— როგორ გეკადრება, შენი ჭირიმე!— გაიღიმა ბაგრატი.

— აბა, ჩემთან მოდი, — მერე რეზოს მიუბრუნდა, — შენ მაიმუნობას თავი დაანებე.

— რეზო მართალია, დღეეახლელ დღეს ჩვენი რიგია, — გაიქაჩა ვაჟა.

— შენ მანდ დაჯექი, თვალი კარგად ვაახლე! — ხელი დაუქნია ლევანმა, — თუ ფული ასე გაწუხებს, ხვალაც ამ თვისაა.

ლევანი ისევ ბაგრატს მიუბრუნდა:

— ხომ ხედავ, ბიძაჩემო, მილიონერები ვქეიფობთ, კომბინატორები. რამდენიც გინდა მოგვატყუე, ოღონდ ანგარიში მე მითხარი ყურში.

— როდის იყო, ბატონო, ვინმეს ვატყუებდი, — საცოდავად ამოიკვნესა ოფიციანტმა.

— აბა, ბიჭო, აბა! ფრთები ამოგვლია მხრებზე? — შეიცოდა ლევან ხიდაშელმა და ბიჭებს ღვინო დაუსხა.

ბიძინამ მარინეს ჭიქა შამპანურით შეუვსო.

ლევანმა ბოთლი ძირს დადო.

— არა, ეს სადღეგრძელო ყველამ შამპანურით დავლიოთ. ბაგრატ, მოდი აქ!

ბაგრატი მობრუნდა.

— რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე.

— ეს ყველაფერი წაიღე, ოთხი ბოთლი შამპანური და შოკოლადი მოგვიტანე.

— ბატონი ბრძანდები.

სუფრა სასწრაფოდ განაახლეს.

ლევანმა ტანწერწეტა ჭიქებში შამპანური ჩამოასხა.

— მე ხელმეორედ მინდა ყადღეგრძელო მარინე მინდაძე. .

— ლევან, ნუ იცი გვარით ლაპარაკი! — გაბრაზდა მარინე.

— აბა, ნუ მიჯავრდები, შენ ... ნერვიული ხალხი არ მოყვარს.

რეზოს არ მოსწონდა, რომ ლევანი მარინეს ოდნავ აგდებულად ექცეოდა. ერგაძეს კი ვერ გაეგო, ლევანი მარინეს დასცინოდა თუ ბიძინას.

— ბიჭებო, მე მგონი, თანახმა იქნებით, მარინე რომ ხელმეორედ ვადღეგრძელოთ. რა იქნებოდა დღევანდელი ჩვენი სუფრა, მარინეს გარეშე? შენ ხომ იცი, — მიუბრუნდა მარინეს, — მაგიდასთან ატომგულივით იჯექი. ჩვენ ელექტრონებივით და პროტონებივით შენს ირგვლივ დავბორიალობდით. ოღონდ ყველა საკუთარ ორბიტზე. ასე არ არის, ბიძინა? — გადახედა ლევანმა არაშელაძეს.

— დიახ! — დაეთანხმა ბიძინა.

— აი, ხომ ხედავ! — ლევანმა მარინეს შეხედა და მარცხენა ხელის ცერა თითი ბიძინასკენ გაიშვირა, — ბიძინაც მეთანხმება. ყველანი შენს ირგვლივ ვმოძრაობდით, ყველანი შენ გეპრანჭებოდით. საწყალმა ბიძინამ, ნიჭიერმა და იმედისმომცემმა მეცნიერ-მუშაკმა, ამ ჯოჯოხეთურ სიცხეში ჰალსტუხით დაიხრჩო თავი.

ბიძინა დაცინვას გრძნობდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ღვინისაგან გაწითლებული კიდევ უფრო წითლდებოდა. ოფლი ასხამდა. ლევანმა იცოდა, ბიძინა ღვინოს ვერ ეგუებოდა. მაინც აძალებდა, არცერთი ჭიქა არ შეარჩინა.

მარინე ყველამ მოკრძალებით ადღეგრძელა. ქალიშვილი გაბრაზებული იჯდა. ბიჭებს სადღეგრძელოზე ნაძალადევი ღიმილით უპასუხებდა, — გმადლობთო. ლევანის საქციელი არ მოსწონდა. თუმცა გულის სიღრმეში სიამოვნებდა მისი სითამამე.

ჯერი ლევანის სადღეგრძელოზე მიდგა. ხიდაშელი ფეხზე წამოდგა:

— თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ნუ გაჯერდებთ, მოდი, ყველას ერთად გაგვიმარჯოს და აქედან წავიდეთ.

მანქანაში მარინე წინ ჩაჯდა, ლევანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვვერდით. ბიჭები უკან მოკალათდნენ.

— ლევან, ნელა იარე! — გააფრთხილა გზაში ბიძინამ.

— მაგაზე გაწყენინებ! — უთხრა ლევანმა და სისწრაფეს მოუმატა.

— ლევან! — იკივლა შეშინებულმა მარინემ.

— მართლა, ბიძინა, შენი ბოთე პროფესორი როგორ ბრძანდება? — სიტყვა ბანზე აუგდო ლევანმა. — მახსოვს ფეხის თითებზე კოჭრები ჰქონდა, ფეხსაცმელი ნეკეებთან ისევ ამოჭრილი აქვს?

— ლევან, კარგი, არ გრცხვენია! — ჩუმად უთხრა მარინემ.

— კი, კბილებიდან ოფლი მდის! — გაიცინა ლევანმა. — სჯობია სიგარეტი მონახო, აქ სადღაც მიგაგდე.

მარინემ სიგარეტის კოლოფი მიაწოდა. ლევანმა მარჯვენა ხელით ერთი ცალი სიგარეტი ამოაძვრინა და კოლოფი უკან დაუბრუნა.

— შენ არ მოსწევ?

მარინემ სიგარეტი ამოიღო. ართმეულაძემ ბენზინის კვესი აანთო და მიაწოდა.

— აი, ხომ ხედავ, რა ჯენტლმენები არიან მეტალურგები, — თქვა ლევანმა ისევ, რომ მარინესკენ არც მიუხედავს. მერე ცალი ხელი უკან გადასწია, ბიძინას ბენზინის კვესი გამოართვა, სიგარეტს მოუკიდა და უკანმოუხედავად დაუბრუნა.

ლევანმა მოსახვევში სიჩქარეს მოუკლო, როგორც კი სწორ გზაზე გავიდა, მარინეს შეხედა. მარინე ფანჯრისკენ მიყუჟულიყო და სიგარეტს აბოლებდა.

— ბიძინა, — დაიწყო ისევ ლევანმა, — ხომ ხედავ, ახლა ყველა კულტურული ქალიშვილი პაპიროსს ეწევა.

გაბრაზებულმა მარინემ სიგარეტი ფანჯრიდან გადააგდო.

ლევანი მაინც არ ცხრებოდა.

— მიხვდება ამას შენი პროფესორი? ცხოვრებას კვალში უნდა მისდიო, ბიძია. სიმონ დობორჯგინიძეს კი, ჩვენებმა რომ ქერჩი აიღეს, მას შემდეგ გაზეთი არ წაუკითხავს. ასე ჰგონია, ომი მაშინ დამთავრდა.

— მე დობორჯგინიძესთან არ ვმუშაობ.

— აბა, ვისთან ხარ?

— გრიგოლ სანგლიძესთან.

— ოო, ბოდიში, ჩემი სიტყვა უკან მიმაქვს. გრიგოლ სანგლიძე პროფესორი დობორჯგინიძესთან შედარებით ნამდვილად პროგრესული მოვლენაა. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთს რომ ფეხით თამაშობენ, ის მაინც იცის.

— გეყოფა, ლევან! — გააფრთხილა კიდევ მარინემ.

— მოდი, ჯერ მარინე და ბიძინა მივიყვანოთ, მერე თქვენ რუსთავში აგიყვანთ, — ვიითმ ვერ გაიგონა ლევანმა.

— როგორ გეკადრება! — იყვირა ერგაძემ, — ახლა გვიანაა, შენც ნასვამი ხარ. სჯობია, ტაქსების გაჩერებამდე გაგვიყვანო.

ლევანი აღარ გაძალიანებულა. ტაქსების გაჩერებაზე ვაჟა, ნოდარი და რეზო ჩამოვიდნენ.

— შენ სადღა მიდიხარ. ხვალ ხომ თავისუფალი ხარ? — ჰკითხა ლევანმა რეზოს.

— თავისუფალი კი ვარ, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, ჩემთან დარჩი. მერის ბიჭები დაურეკავენ.

რეზოს წინაღმდეგობა აღარ გაუწევია. სიმთვრალე შეეპარა და გამხიარულდა: სტუდენტობა გაახსენდა. გიორგის ხასიათზე დადგა.

ლევანმა მანქანა მანამდე არ დასძრა, სანამ ბიჭები ტაქსში არ ჩასხდნენ. მერე ართმელაძე გაიყვანა ვაკეში.

— კარგად იყავით! — ძლივს ამოღერღა ბიძინამ.

— რამ დაათრო, ეს დეგენერატი? — გაიცინა ლევანმა.

გმირთა მოედანზე გავიდნენ.

— ერთი საათით რომ ჩვენთან წამოხვიდე, ქალბატონი თინათინი ძალიან გაგვიჯავრდება? — ჰკითხა ლევანმა მარინეს.

— დაცინვას თავი დაანებე, გეყო, დღეს რაც მამაიმუნე.

— ნუ მიბრაზდები, — დაუყვავა ლევანმა და თმაზე ხელი გადაუსვა.

მარინემ ვაჟის ხელი მოიშორა.

— შინ მიმიყვანე, შენ სადაც გენებოს, იქ წაბრძანდი.

— მე რომ შენთან ყოფნა მინდა?

მარინემ ვაჟს თვალებში შეხედა, ხომ არ დამცინისო. ლევანი მშვიდად მისჩერებოდა, მარინემ წინ გაიხედა.

— რომელი საათია? — მოლბა ქალიშვილი.

— ზუსტად თორმეტის ნახევარია.

— თუ პირობას მომცემთ, რომ ერთ საათში შინ მიმიყვანთ, წამოვალ.

ლევანმა მანქანა დაძრა.

— სად წავიდეთ? — მიუბრუნდა რეზოს.

— რა ვიცი, ახლა სად იქნება ღია რესტორანი.

— ისეთ ადგილზე წავიდეთ, სადაც ყავას მოგვიხარშავენ.

— მაშინ ვაგზლის რესტორანში გავიდეთ. აეროდრომი შორსაა, ბევრი დრო დაგვეკარგება.

ხუთ წუთში სადგურში იყვნენ. ლევანმა მანქანა ფიროსმანის ქუჩაზე დაიყენა. მერე ქუჩა გადაჭრეს და რესტორნისაკენ ნელა წავიდნენ. მოედანზე ცარიელა ტრამვაი მირახრახებდა. ლევანს რაღაც გაახსენდა, მანქანასთან მიბრუნდა და პატარა, იაპონური ტრანზისტორი წამოიღო.

რესტორნის შესასვლელთან ორი მთვრალი კაცი იდგა.

— იცანი? — ანიშნა წითურ კაცზე რეზომ.

— როგორ არ ვიცანი! — გაეღიმა ლევანს.

ის მაღალი, წითური კაცი მთელს თბილისში ცნობილი მოქეიფე — არეშიძე იყო.

— ეგ უბედური თურმე ყოველდღე სვამს, — თქვა მარინემ.

— შენ საიდან იცი? — ჰკითხა ლევანმა.

— მირანდას მეზობელია. მის ბინადაპირ ცხოვრობს.

— რას მელაპარაკები! აქამდე მეგონა, რომ რესტორანში ცხოვრობდა.

6.

უზარმაზარ დარბაზში ჭაჭანება არ იყო. ოფიციანტები დახლთან მიმსხდარიყვნენ და ლაპარაკობდნენ, ყველამ ახალშემოსულებს შეხედა.

ლევანმა მყუდრო მაგიდა შეარჩია. ოფიციანტებს მაღალი, მსუქანი ქალი გამოეყო და მათთან მივიდა.

— თქვენთან ყავას თურქულად ხარშავენ? — ჰკითხა ლევანმა.

— თურქულად არა. თუ გნებავთ, შავს მოგართმევთ.

— აბა თქვენს მზარეულს გადაეცი, ამბაკოვიჩმა შემოგითვალა, თურქული ყავა მოგვიხარშეთქო.

— ბატონი ბრძანდებით. კიდევ რას მიირთმევთ?

— სამარკო კონიაკებიდან რომელი გაქვთ?

— გრემი, ვარციხე, ენისელი.

— ერთი ენისელი და შოკოლადი.

— ხილს არ ინებებთ, არაჩვეულებრივი გორული ატმები გვაქვს.

— რაკი არაჩვეულებრივია, რა გაეწყობა. ბორჯომიც მოიტანეთ! — შეიძახა ლევანმა ოფიციანტს.

— ამბაკოვიჩი ვინ არის? — ჰკითხა გაოცებულმა მარინემ.

— ვიცი და არ გეუბნები? — გაიცინა ლევანმა.

ნოდარმა ტრანსზისტორი ჩართო, სიჩუმე მშვიდმა ჯაზურმა მელოდიამ დაარღვია. უზარმაზარი დარბაზი თითქოს უფრო მყუდრო გახდა.

— სტენკენტონი! — თქვა ლევანმა,— მოგწონს სტენკენტონი? — მიუბრუნდა რეზოს.

— მაინცდამაინც არ მომწონს, უფრო სწორად, არ მესმის. ალბათ, ძალიან ჩამოვრჩი.

გაგრძელება იხილეთ 67-ე გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

მთელი არსებით

I

ვინც ყოველ დილას ეგებება კეთილი ზრახვით,
ხარობს, ნეტარებს გაღიმებულ მოყვასის ნახვით;
ხელოვანია, კოსმონავტი თუ მეცნიერი, —
ცდილობს მომავალს გაუკაფოს გზა ბედნიერი;

მხვნელ-მთესველია, მეფუტკრეა თუ მევენახე,
ალალი შრომის ნაყოფს იმკის, უბრწყინავს სახე, —
გული მიღელავს მასთან ტკბილად გაბაასებით, —
არ შემიძლია, არ მიყვარდეს მთელი არსებით.

II

ვინც ბოროტ ზრახვით ეგებება განთიადის შუქს,
კეთილი კაცის ღიმილი და წარმატება შურს;
მუხანათია, კაცთმოძულე და წამგლეჯელი, —
მუდამ მზად არის თავის ძმაზეც აღმართოს ხელი;

არავინ უყვარს, არც თავისი მშობელი მხარე,
ავკაცობაზე ფიქრობს მხოლოდ ყოველ ცისმარე;
ვის გულშიც თითქოს ბუდე არის ბილწ უნასების, —
არ შემიძლია, რომ არ მძულდეს მთელი არსებით.

ᲦᲐᲓᲝ ᲡᲣᲦᲐᲑᲔᲩᲘᲫᲔ

ᲝᲗᲮᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡᲐᲡ

სახურავებქვეშ ღელავს ცხოვრება...
მზე გაწოლილა სახურავებზე,
იგი გასცქერის შემთაგორებას
და თეთრ მწვერვალთა უვალ ტრავერსებს.

გახელებულა წვიმის წყურვილით
ცხელი თუნუქი, ცხელი შიფერი.
არის ქალაქი შემობურვილი
გავარვარებულ შუქით შვიდფერით.

დაბლა ვნებების ვულკანებია, —
სახურავები ამოზნექილან.
ზამთარს ბუხრები უკვამლებია,
მზეზე ბუხრები მთლად დახეთქილა.

გაცხელებულა ზეამართული
ანტენები და მეხამრიდები.
სანაპიროზე მაღალ სართულთა
ახლოს გრილდება წყალში ხიდები.

სახურავებქვეშ ღელავს ცხოვრება...
ბავშვი ზღაპრებში ეძებს თილისმას.
სიყვარულს დასდევს განუშორებლად
ცბიერი ჭინკა სიძულვილისა.

მზეზე ამური ფრთას შლის კეთილი,
ჩრდილს ეფარება ძველი მითები.
და სახურავებს ღრუბლის მკვეთელი
ხელში უპყრიათ მეხამრიდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩრდილები მღერიან

ჩრდილები მღერიან გრილ სიმღერებს,
ჩრდილები მღერიან.
ველზე სახაგამშრალ ჩალის ღერებს
შუადღის ფერი აქვთ.
ჩრდილში გამოხვეულ მაგ სითეთრეს
დიდ ზღვასთან ელიან.
ჩრდილის წნული ფაცხა გავიკეთე,
მივადგი თელიანს.
ქოხში შევაფარებ ჩემ წყნარ ფერებს,
ჩემ ცხელ კერიას.
ჩრდილები მღერიან გრილ სიმღერებს,
ჩრდილები მღერიან.

ვარძიის ვაზები

ლუმპავს თქორი ღრუბლის რძისა
ვაზებს ძველი ვარძიისას.
ვაზო, მასვი სანათლავი
ღვინო ოქროს ბარძიმისა.
აღმართები ავათავე
ამ შორეულ მანძილისა.
აბრეშუმის ტომრით მომაქვს
შუქი ტაო-ტანძიისა.
ჰე, სოფელო, დრო სადა მაქვს
დაქანცვისა ან ძილისა.
მთას ფარდაგი ჩამოვგლიჯე
ქარბუქისა, ქარწვიმისა.
ვაზო, რტოზე ჩამოგიჯენ
მართვეს ლექსის არწივისას,
ოღონდ მასვი ტკბილზედაშე
თაძარ მეფის ვარძიისა.

უსამართლოგა

საუკუნეებს შენ მოპყვები განუშორებლად,
მღვრიე თვალებით აცქერდები სულში ცხოვრებას.
მონებად ჰყიდდი უცხოეთში ადამიანებს,
ალალმართალთა გულზე რისხვით გადაიარე.
არაკაცებში, კაცუნებში სახიერდები,
კაცობრიობას უკვირს, ქვეყნად რომ არ ბერდები.
მოგიხვეჭია ოქრო-ვერცხლი, ყალბი დიდება,
ცხეებამდე ეშვერ მაცდურ მკლავებს ხიდებად.
მრავალმა ბრძენმა ჯვარზე გაცვა და შეგაჩვენა,
დედამიწაზე მაინც შესძელ დღემდე დარჩენა.
მაგრამ ამქვეყნად ალალ პოეტს ლექსს ვერ წაართმევ.
ერთი დღეც მოვა, უკვდავება გაგასამართლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

ახალი რვეულიდან

წლეგმა განსაჯოს

ჰო, არაფერი მიპოვნია, ძმებო, იოლად.
დრომან სიკეთე მომანიჭა ფიორ-ფიორად.

და მეც ვბუხუნებ: — ასე ცოტა როგორ ვიკმარო?! —
დამიდასტურე, დიდო მზეო, სუფთა ცისკარო!

ბედმა მარგუნა ბევრი ღელვა და გადარევა
და განა დუნე, მოშაქრული დროის ტარება.

კვლავაც მზადა ვარ, რომ გავუძლო ყველა სიმძიმეს,
მამულზე ზრუნვას ვერა ძალა ვერ მიმიძინებს.

კვლავაც ფეხზე ვარ და ვეწევი უღელს იქეთკენ,
სადაც მეგულვის ჩემი სალხის დიდი სიკეთე.

ვეძებ სიმართლეს ამ მიწიდან მაღლა ზეცამდე,
მჯერა იმისი, რაც ვაკეთე, რასაც ვეცადე.

მშობლიურ ჰაერს არა ვხარჯავ უქმად, იოლად,
წლებმა განსაჯონ — ვინ დიოდა მტკვრად და იორად!

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

სიყვარული — მეტი დედას,
მამას? — მეტი მორიდება.
განა შენი, განა ჩემი,
ასეთია განაჩენი!

უმცროსს ერგოს უმცროსისა,
უფროსს — მისი საუფროსო,
გაუმარჯოს ფერსა ცისას
და სიცოცხლის საუფლოსო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. 23-Ი ᲒᲕ.

— არასდროს აღარ გაიმეორო ეგ სიტყვა. რას ჰქვია ჩამორჩი?! ახლა ნიჰილიზმის ეპოქაა. რაც არ გესმის, უნდა თქვა — სისულელეა, არ ვარგა-თქო. დღეს გულწრფელად სუბარი პროვინციალობად ითვლება. მერე და შენ იცი, ვინ არიან დღეს ნიჰილისტები? უნიჭოები და უსაქმურები. ისინი შურით სკდებიან და ყველაფერს დასცინიან. რასაც იტყვი, საწინააღმდეგოს გეტყვიან. გულწრფელად თუ რამეს ურჩევ, ეჭვით შეგცქერიან, ხომ არ დამცინისო. ალბათ გახსოვს, მე ცურვაზე დავდიოდი. იქ ერთი ჩემი ნაცნობი ბიჭიც დადიოდა, ვვარი არ მახსოვს. უცნაური ვვარი ჰქონდა. ვხედავდი, „კროლს“ სწორად არ ცურავდა. გულწრფელად ავუხსენი, ხელის მოსმის დროს წყლიდან ზომაზე მეტად ამოდიხარ მეთქი. პასუხად იცი, რა მითხრა:

— ?!

— სამაგიეროდ, შენ ფეხების რიტმი არ გვარგაო.

რეზომ გაიცინა.

— აბა რა გგონია, ჩემო ბიძიკო. მე ჟურნალისტებსაც ბევრს ვიცნობ, ისტორიკოსებსაც. ისინი აინშტაინის ფარდობითობის თეორიაზე ისე თავისუფლად ლაპარაკობენ, გაოცებისაგან შეიძლება თმები დაგიხუჭუჭდეს. მე და შენ უბრალო ნახშირბადიან ფოლადებზე ვერ გავბედავთ ასე დარწმუნებით ლაპარაკს.

მართლა, აეროდრომზე იცი, ვინ შემხვდა?

— ?!

— ცივი მიქაძე.

— ალბათ ვეღარც იცნობდი, — გაიცინა რეზომ, — ასეა, ძმაო, ხალხი შეიცვალა.

— მე ცოტა არ იყოს, დავიბენი. მიხვდი, რასაც გეუბნები, არა? საერთოდ, ცხოვრებაზე დავიბენი. კაცი თურმე ყველაფერს უნდა მოელოდე.

ოფიციანტმა კონიაკი, ყავა, შოკოლადი და ატმები მოიტანა.

— ბიჭოს, მართლაც არაჩვეულებრივი ატამი ყოფილა! — თქვა ლევანმა.

რეზომ ერთი ატამი გაფცქვნა, თეფშზე დაჭრა და მარინეს მიაწოდა. ლევანმა კონიაკი დაასხა.

— მე ცოტა დამისხი! — წყნარად თქვა მარინემ.

ლევანმა სიგარეტი ამოიღო და მარინეს გაუწოდა.

— მოდი, სამთავეს გაგვიმარჯოს, — თქვა ლევანმა და კონიაკი დალია.

— გაგვიმარჯოს, — თქვა რეზომ.

მარინემ უხმოდ მოსვა.

— რატომ არ სვამ? — ჰკითხა ლევანმა.

— არ მინდა.

— ევროპაში ახლა ყველა სვამს...

— ისევ დაიწყე?

— არა, მე მინდოდა მეთქვა, ცივილიზირებული ქალიშვილი მგონიხარ-მეთქი.

— ლევან, გაჩუმდი, თორემ წავალ!

— ჰო, კარგი, გაჩუმდები. ოღონდ, ცოტა დალიე,—ლევანმა ყავა მოსვა,— ეს თუ ყავაა და...

— კარგი თუ გინდოდა, ჩვენთან ავსულიყავით.

— ახლა არა, მქონდა დედაშენის ცერემონიების თავი.

— ლევან!

— ბოდიშს ვიხდი, ოღონდ დალიე. ორი კაცი ხომ არ დავლევთ ამდენ კონიაკს.

მარინემ დალია.

— აი, ასე! ახლა შენ რადიოს მოუსმინე, მე და რეზო ცოტახანს საქმეზე ვილაპარაკებთ.

ლევანმა ჭიქები ისევ შეავსო.

— თქვენი საამქროს უფროსი რა გვარია? — სხვათაშორის ჰკითხა რეზომ.

— ხუნდაძე.

— რა კაცია?

— ძველი მუშაა. კარგი კაცია, მაგრამ უმაღლესდამთავრებული ხალხი გულზე არ ეხატება. მათი არაფერი სწამს.

— ეგ ძველი სომეერაა.

— არც გაემტყუნება. ოცი კაციდან ქარხანაში სამი ინჟინერი თუ რჩება. საამქროში ცვლის უფროსობას ინსტიტუტში ლაბორანტად მუშაობა ურჩევნიათ.

— ჩვენი პრაქტიკის დროს ლუმელებს დინასის თაღი ჰქონდა. ახლაც ისეთ ...ნეზიტის აგურითაა ნაგები.

— აირზე გადახვედით?

— არა, ისევ მაზუთზე ვმუშაობთ. სამი წელია აირზე გადასვლაზე ლაპარაკობენ, საშველი მაინც აო დაადგა.

— მოიცა, მე რომ უნდა შეეცვალო, რა გვარია? — სხვათაშორის ჰკითხა ლევანმა.

— ოთარ რამიშვილი.

— ვინ არის, მე არ ვიცნობ?

— საიდან გეცოდინება, მოსკოვში დაამთავრა, ფოლადის ინსტიტუტი.

— რატომ მიდის მარტენიდან?

— მუშებთან ვერაა კარგად, — რეზომ უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა და სიგარეტი საფერფლეზე დააგდო, — ნამეტანი წვრილმანი კაცია, უბრალო რამეზე ჯაჭდანებს. მეტალურგებს, ხომ იცი, არ უყვართ წვრილმანი კაცი. ისე, ნამდვილად კარგი ინჟინერია.

— ხომ არ მოგეწყინა? — მიუბრუნდა ლევანი მარინეს.

მან უკვე ეგონო, რისი გაგებაც სურდა. დაახლოებით წარმოიდგინა, როგორი კაცი უნდა შეეცვალა.

— დაამთავრეთ საიდუმლო სერობა? — იკითხა მარინემ.

— ჯერ არა, ოღონდ დალიე.

— ახლა მე ვიტყვი სადღეგრძელოს!— თქვა რეზომ.

— სიამოვნებით.

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! — რეზომ სულმოუთქმელად დალია.

ლევანმა ჭიქა მარინეს მიუჭახუნა.

— შენ თუ არ მოგვეშველე, ძალიან დავთვრებით.

— მეტი აღარ მინდა, პაპაროსი მოშეცი.

კოლოფში სიგარეტი აღარ აღმოჩნდა. ლევანმა ოფიციანტს ანიშნა, ორი სიგარეტი მოგვიტანეო.

— ინსტიტუტში ხომ არ ყოფილხარ? — ჰკითხა რეზომ.

— ასეთი გულჩვილი გახსოვარ?

— მე მაინც მეგონა, ქარხანას აღარ დაუბრუნდებოდი.

— ვითომ რატომაო?

რეზოს ხმა აღარ ამოუღია. ფინჯანი აიღო და ყავა მოსვა.

— სულ მთლად გაციებული.

— ახლავე მოვატანინებ. მაინც რატომ გეგონა, რომ ქარხანაში აღარ ვიმუშავებდი.

— რა ვიცი, ასე მეგონა.

ორივენი გაჩუმდნენ. რეზოს კარგად ახსოვდა ლევანის საუბარი ინსტიტუტში შესვლის წინ. ლევანი კი გრძნობდა, რომ ყველაზე კარგად მას რეზო იცნობდა.

— ჩემო რეზო, იცი, რას ამბობენ ძველი მთავარსარდლები? მთავარი ის კი არ არის მოიგო მეორეხარისხოვანი შეტაკება, მთავარია მოიგო გენერალური ბრძოლა.

ლევანმა უკანასკნელ სიტყვაზე გაიცინა.

— ვხუჭრობ, ჩემო რეზო, ერთ დროს მართლაც ვოცნებობდი მეცნიერებაზე. უკვე დიდი ხანია ამ სურვილმა გამიარა. ჩემი საქმე არ არის ლაბორატორიაში ჯდომა და ცდების ჩატარება. აბა, დავლიოთ!

— ეს ვის გაუმარჯოს! — იკითხა რეზომ.

— ვისაც შენ გინდა, იმას გაუმარჯოს, — უთხრა ლევანმა და ოფიციანტი მოიხმო, — ყავა კიდევ მოგვიტანე.

— მეტი აღარ შეიძლება, სამზარეულო იკეტება.

— შენ რომ არ იყავი ასეთი ნერკიული?

— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.

— აბა, წადი და ჩემი სახელითა სთხოვე.

ოფიციანტი წაკიდა.

— რაო, ვის გაუმარჯოს? — იკითხა ლევანმა.

— მარინეს რიგია, ახლა მარინემ თქვას სადღეგრძელო.

— მარინე, აბა ამოშაქრე.

— მე სადღეგრძელოების თქმა არ მიყვარს, — გაინაზა მარინე.

— მაშინ გუნებაში ჩაიფიქრე.

— ჩავიფიქრე! — ეშმაკურად თქვა მარინემ და ლევანს შეხედა.

— შენს ჩაფიქრებულს ვაუმარჯოს! — რეზომ დალია.

— შენ რატომ არ სვამ? — ჰკითხა მარინემ ლევანს.

დარწმუნებული იყო, ხიდაშელი მიუხვდა, რაც ჩაიფიქრა.

ლევანმა ჩუმად დალია, ყავის უკანასკნელი ყლუპი დააყოლა და ფინჯანი გადააბრუნა.

— იცი მკითხაობა? — თვალები გაუბრწყინდა მარინეს.

— მერე და როგორი! დონბასში ერთმა ბერძნის ქალმა მასწავლა.

მარინემ თავისი ყავაც დასცალა და ფინჯანი გადააბრუნა.

ლევანი ტრანზისტორს მიუბრუნდა. ერთხანს აწვალა, ხეირიანი ვერაფერი დაიჭირა და გამოთიშა.

— რატომ გამოთიშე? — ჰკითხა მარინემ და საათს დახედა; — ახლა დაიწყება კარგი კონცერტები.

ლევანმა ტრანზისტორი ისევ ჩართო და მარინესაკენ მიაჩოჩა.

ოფიციანტმა ყავა მოიტანა.

— წასვლის დროც მოვიდა, — თქვა მარინემ.

— ბარემ ანგარიშიც გვითხარი, — უთხრა ოფიციანტს ლევანმა.

— ამას მე გადავიხდი, — ჯიბეს ხელი გაიკრა რეზომ.

— აბა, ტემპერამენტი დაიოკე! — გაბრაზდა ლევანი და მაჯაზე ხელი წაავლო, — ბიჭო, ეს სამი წელი ბორშჩისა და არაყანის მეტი არაფერი მიჭამია. ფული მაქვს ჩეჩქვით.

რეზოს ხმა აღარ ამოუღია. ბოთლს ხელი მოავლო და დარჩენილი კონიაკის განაწილებას შეუდგა.

— მე აღარ მინდა! — მარინემ ჭიქას ხელი დააფარა.

7.

კიბეზე წყნარად ავიდნენ.

— ბიჭოს, ფეხი მეშლება. სმას გადაეჩვეულვარ! — გაეცინა ლევანს.

— ამ ხუმრობა-ხუმრობაში კარგად დავლიეთ. — დაამშვიდა რეზომ.

ყანჩაველების ბინიდან ისევ ისმოდა ჩხუბის ხმა. ლევანმა საათს დახედა, პირველი სრულდებოდა.

— ვინ ჩხუბობს? — ჰკითხა რეზომ.

— სიმონ ყანჩაველი გახსოვს? — კარი შეაღო ლევანმა.

— ფილარმონიის მსახიობი? როგორ არ მახსოვს, — რეზო სავარძელში მოწყვეტილი დაეშვა.

— ლამაზი ცოლი მოიყვანა, ასე ოცდაათი წლის.

— თვითონ, თუ არ ვცდები, ორმოცდახუთის მაინც იქნება.

— იქაც შენი შვიდი!

— ოო, გასაგებია, ალბათ, რქები ეფხანება. მე სად დავწვე?

— აგერ დივანზე დაწექი, ბალიშს და ზეწარს ახლავე გამოგიტან. აბაზანაში არ შეხვალ? ცივი წყალი მოგნთლავს.

— მაგის თავი აღარა მაქვს.

ლევანმა ბალიში და ზეწარი გამოიტანა. თვითონ გაიხადა და საბანაოდ მოემზადა. რეზო დივანზე წამოწვა.

— ამ უახლოეს დღეებში გასტროლებზე ხომ არ მიბრძანდები ბატონი სიმონი? — იკითხა რეზომ.

— თუ გინდა, გაგიგებ.

— აქამდე არ გაგიგია? დაგიგვიანებია, ჩემო ძმობილო.

ლევანმა მაღვიძარა საათი მომართა და კარადის თავზე დადგა.

— კარადის თავზე რა უნდა საათს? — გაოცდა რეზო.

— ეჰ, ერთი ისეთი ამბავი გადამხდა, მას მერე სულ კარადის თავზე ვდგამ მაღვიძარა საათს: დილით შვიდ საათზე ქარხანაში უნდა ვყოფილიყავი. საათი დავაყენე და თავთან სკამზე დავდგი. დამშვიდებულმა დავიძინე. დილით, ზარის ხმამ გამომაღვიძა. საერთოდ, ზარის ხმაზე ტანში მაკრიალებს. უსიამოვნოდ შევიშმუშნე, ღილაკს, თითი დავაჭირე და საათს ხმა ჩავუწყვიტე. მერე, ეტლი გემრიელად გავიზმორე, ვერ ავდექი. ცოლმა ვე, ხელახლა როგორ ჩამეძინა. ეტყობა, მთლად ვერ გამოვეხიზლდი. შენ კარგად იცი, ქარხანაში რაც მოხდებოდა. მას მერე საათს კარადის თავზე ვინახავ. სკამი აუცილებლად მეორე ოთახში გამაქვს. როცა საათი დარეკავს, იძულებული ვარ ფეხზე წამოვდგე, მეორე ოთახში გავიდე, სკამი გამოვიტანო, კარადის თავზე ავძვრე და საათი ისე გავაჩერო. ჩაძინების საშიშროებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

— თუ ასეთი ნიჭიერი იყავი, რესტორნიდან „ბორჯომი“ რატომ არ წამოიღე?

— მაცივარი სავსეა „ბორჯომით“ და ლუდით.

— გნებდები! — იყვირა რეზომ და ხელები მაღლა ასწია.

— თუ ჭკვიანად იქნები, მაცივარში სხვა სასმელებიც მეგულება, უფრო სერიოზული განსრით.

— ეჭვი აღარაფერში მეპარება! ღიმემშვიდობისა! — რეზომ ზეწარი წაიფარა და კედლისკენ გადაბრუნდა.

— აბა, ჰე! — უპასუხა ლევანმა და საბაზანაში შევიდა.

თავი მესამე

1.

მარტენის საამქროს უფროსი, ელიზბარ ხუნდაძე, ორმოცდაოთხუთმეტს მიღწეული ჯმუხი კაცი იყო, სიტყვაძუნწი და მკაცრი. სახე ერთთავად ჩამოსტიროდა. ძველმა მუშამ მარტენის საამქროს უფროსობამდე გზა თავისი გამჭრიახობითა და შრომისმოყვარეობით გიიკვალა. ცხოვრებაში მარტენის ღუმელების მეტი არაფერი აინტერესებდა და არც იცოდა. დილიდან დადამებამდე ღუმელებს არ სცილდებოდა. სამსახურის დამთავრების შემდეგ შინ წავიდოდა, ისადილებდა, ცოტას დაისვენებდა და ისევ საამქროში ბრუნდებოდა. შვებულება რა იყო, არ იცოდა.

ჯერ კიდევ პატარა ბიჭი რუსეთში წავიდა და მეტალურგიულ ქარხანაში შავ მუშად მოეწყო. თითქმის მთელი რუსეთი შემოიარა. რუსთავში მეტალურგიული ქარხანა რომ ამუშავდა, რუსეთში გაფანტული ქართველი მეტალურგები მოიწვიეს. მაშინ ელიზბარი ოსტატი იყო. ბევრი ქართველი მეფოლადე გამოზარდა, თვითონ ჯერ ცვლის უფროსად დანიშნეს, მერე საამქროს უფროსის მოადგილედ. ბოლოს მარტენის საამქროც ჩაბარეს. ელიზბარმა იცოდა, იგი იგივე თავის ცხოვრების მწვერვალზე იყო ასული. ამაზე წინ წასვლის საშუალებას არც ცოდნა აძლევდა და არც ასაკი; არცა სურდა. საამქროს უფროსობაც კი ზედმეტად მიიჩნდა. მარტენის გაძღოლა სადღა შემიძლია, მაგრამ ერთი ხეირანი ინჟინერი არ მყგულება ამ ხელა საამქროშიო.

როცა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ამუშავდა, ქართველი ინჟინერ-მეტალურგები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. საინჟინრო თანამდებობების ნახევარზე მეტი შრომაში დაწინაურებულ პრაქტიკოს სპეციალისტებს ეჭირათ. ელიზბარი მაშინ უკვე საამქროს უფროსი იყო, როცა რუსთავში ქართველი მეტალურგების პირველი თაობა მოვიდა. თავიდანვე აითვალისწუნა უმაღლესდამთავრებული ინჟინრები. გემოვნებით ჩაკმული ლამაზ ბიჭებს აგდებულად უყურებდა, „თეთრხელა მეტალურგებს“ ეძახდა, შათი არაფერი სწამდა.

ბევრი ინჟინერი ქარხანას ვერ უძლებდა, ისინი ათასგვარ ლაბორატორიებსა და კვლევით ინსტიტუტებში გარბობდნენ, მძიმე შრომას თავს არიდებდნენ. როცა ელიზბარი მათი განთავისუფლების ბრძანებას სწერდა, გულმოსული თავისთვის ბუტბუტებდა:

— ლაწირაკები, ძუძუმწოვრები. მიეჩვევნენ ლუკის პირში ჩადებას, ხელის განძრევა აღარ უხდათ.

ქარხანაში ახლად მოსულმა ახალგაზრდა, გამოუცდელმა ინჟინრებმა თავიდან ბევრი წვრილმანი რამე არ იცოდნენ. ელიზბარი ყოველთვის ცდილობდა, ისინი რაიმეს უცოდინარობაში გამოეტყვა და დაეცინა, ინსტიტუტისთვის ცარიელი გაეცარა.

ელიზბარი იმასაც ხედავდა, ახალგაზრდა ინჟინრები რა მალე ერკვეოდნენ ყველაფერში. სულ რამდენიმე თვე და ფოლადის დნობის ყველა პრაქტიკული საიდუმლოება იცოდნენ. ამ საიდუმლოებათა ჩაწვდომას კი ელიზბარმა თითეული წლები მოანდომა. არც ეს მოსწონდა: ყველაფერს იოლად აღწევენ და შრომის ფასი არ იციანო. ელიზბარმა არ იცოდა, ინსტიტუტში სწავლის დროს სტუდენტის თავში რამდენ ფორმულასა და თეორიას უნდა გაევლო, შემდგომში რომ ყველაფერს ადგილად ჩასწვდომოდა.

ახალგაზრდა ინჟინრებმა მეტალურგიის ისეთი ამბები იცოდნენ, რასაც ელიზბარი, ალბათ, ვედარასოდეს გაიგებდა. იგი მეცნიერულად ვერ ერკვეოდა იმ ურთულეს პროცესებში, რომლებიც მარტენის ღუმელში ფოლადის დნობისას მიმდინარეობს.

ყველანი როდი გარბოდნენ. ბევრი მართლაც კარგი ინჟინერი იყო. ხუნდაქე გრძნობდა, ზოგიერთები საამქროს მასზე უკეთაც გაუძღვებოდნენ, მაგრამ მაინც არა ტყდებოდა: ჯერ ვნახოთ, წლები გავიდეს, მერე ვილაპარაკოთ, რა ბიჭებიც არიანო.

ელიზბარი პატიოსანი, მშრომელი და სამართლიანი კაცი იყო. სიყვარულით საამქროში მაინცდამაინც არ უყვარდათ. პატივს კი ყველა სცემდა.

გაადუღებდი რამეს და შავ დღეს დაგაყრიდა, კარგს კი არასდროს მოგიწონებდა. ხმას იშვიათად ამოიღებდა, მხოლოდ საქმეზე ლაპარაკობდა. სიცილი რა იყო, არ იცოდა. ახლა ირგვლივ ახალგაზრდა ინჟინრები ეხვია. ისინი ათას რამეზე საუბრობდნენ და კამათობდნენ: ლიტერატურაზე, მუსიკაზე, სპორტზე. ელიზბარს ამისი არაფერი გაეგებოდა. არც მათ საუბარში ერეოდა. ინჟინრები მეტალურგიის ამბებზეც ხშირად ლაპარაკობდნენ. რაღაც რთულ ფორმულებს სწერდნენ, დიაგრამებს ხაზავდ-

ნენ. ელიზბარს არც ეს თეორიული საკითხები ესმოდა. ამ დროს მათთან საუბარს ერიდებოდა.

ელიზბარი საკუთარ ძალას მხოლოდ მარტენის საამქროში გრძნობდა. იქ ყველა კუნქუული, მოქლონი და კრონშტეინი ხუთი თითივით იცოდა. ტოლს არავის უდებდა, არაფრის არ ეშინოდა, არაფერი არ აწუხებდა. როგორც კი საამქროს დასტოვებდა, სხვა ხალხში გაეწიოდა, სხვა საქმისა და პრობლემის წინაშე დადგებოდა, თავი უმწეო ბავშვი ეგონა. იმავე წუთში ხოჭოსავით თავშესაფარს ეძებდა. ეს თავშესაფარი კი მარტენის საამქრო იყო. იგი მხოლოდ აქ ცხოვრობდა, ლაღად სუნთქავდა. მის გონებამდე ამიტომაც არ მოდიოდა, თუ მეტალურგს, მეფოლადეს, მარტენის საამქროს გარდა რაიმე სხვა გატაცებანი და მიზნები უნდა ჰქონოდა.

კიდევ ერთი წელიწადი და ელიზბარს პენსია უწევდა; ტანში უსიამოდ აყრჭოლებდა. ვერც კი წარმოედგინა, ქარხნის გარეშე სიცოცხლე თუ შეიძლებოდა. ახალგაზრდობას კი საქმის ასეთ სიყვარულს ვერ ამჩნევდა.

აი, ახლა მის წინ ლევანი ხიდაშელი იდგა, — მაღალი, ჩამოსხმული ჭაბუკი, იგი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გამოუგზავნა, მიხეილ გიორგაძემ. თან ძალიან უქო, კარგი ბიჭიაო.

„ბიჭად ბიჭი, მართლაც კარგი ჩანს“.— ფიქრობდა ელიზბარი და ხმის ამოღებას არ ჩქარობდა. სკამიც კი არ შესთავაზა.

ლევან ხიდაშელი ერთ ხანს ელოდა, ან ახლა შემთავაზებს სკამს, ან ახლაო. ხმის ამოღებას რომ ვერ ეღირსა, სკამი ჯიქურ გამოსწია და მაგიდას მიუჯდა.

ელიზბარი გაბრაზდა, მაგრამ არაფერი უთქვამს:

„ერთი ამ ძუძუმწოვარას დამიხედე!“

— გიმეშავნიაო სადმე? — ამოიღო ბოლოს ხმა საამქროს უფროსმა.

— უფრო მეტი, ვიდრე თქვენ გგონიათ! — გამომწვევად უპასუხა ლევანმა.

პირველი შთაბეჭდილება ძალზე ცუდი დარჩა ელიზბარ ხუნდაძეს, მომავალი ცვლის უფროსი არ მოეწონა. ლევანმა თავიდანვე აგრძნობინა, მართალია, საამქროს უფროსი ხარ, მაგრამ არ ვგონოს ჩემზე მეტი რამე იცოდეო.

ინტერესებდა, საქმეში გამოეცადა ხიდაშელი. მის ხელში ბევრ ახალგაზრდას გაუვლია, მაგრამ ეს არცერთს არ ჰგავდა, რაღაც სხვანაირი ბიჭი იყო. ელიზბარი ვერ მიხვდა, მაინც „რანაირი“ იყო ლევან ხიდაშელი.

„თუ სადმე წაიტეხე ფეხი, მერე ვნახოთ, რა რიხით ილაპარაკებ“, — ფიქრობდა ელიზბარი და რაღაც განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდა, ახალი ინჟინერი ცვლაში როდის გავიდოდა.

ის დღეც დადგა. ლევანს ღილის ცვლაში მოუწია მუშაობამ. მას ნოდარ ერგაძე უნდა შეეცვალა. ცვლაში გასვლამდე ორი დღე სამილე ფოლადის მარკების დნობის ტექნოლოგიის შესწავლას მოანდომა. ამ მარკის ფოლადი მას არასდროს გამოეცდნო. ორჯერ ცვლაშიც გაყვა ნოდარს. ერთხელ ივი ცვლის გადაბარებასაც შეესწრო და ოთარ რამიშვილი შეთვალიერა.

მუშებმა იცოდნენ, ოთარი ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაჰყავდათ. იგი ახალ ინჟინერს უნდა შეეცალა. ისინი სიხარულს ვეღარ მალავდნენ. მოეწონათ უფროსი. ერთმანეთს ანიშნეს, მაგარი ბიჭი უნდა იყოსო.

ლევანი აჭრნენდა, ხმა მომავალი ხელქვეითები თვალით რომ ზომავდნენ. არაფერს იმჩნევდა; მხოლოდ, როგორც კი ხელსაყრელ მომენტს იპოვიდა, რამიშვილს მალულად თვალს შავლებდა.

ოთარი დაბალი, გამხდარი, სათვალიანი ბიჭი იყო; ოცდარვა-ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. ლურჯი სატინის ხალათი ეცვა. ზედა ჯიბეები ათასგვარი ინსტრუქციებით ჰქონდა გამობერილი. ამ ინსტრუქციებისა და უბის წიგნაკებს შორის პატარა ლოგარითმულ სახაზავსაც. მოუჩანდა თავი.

ცვლაში გასვლისას ლევანი ქარხანაში შუაღამისას მივიდა. ერგაძე თავის ოსტატს ელაპარაკებოდა.

— ამ შუაღამისას რამ მოიყვანა! — ჩაილაპარაკა მან, როცა ლევანი დაინახა.

— ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო, — გაიცინა ოსტატმა.

— არაა ისე საქმე, შენ რომ გგონია! — მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ნოდარმა და ლევანის შესაგებებლად წავიდა.

— გთენებამდე ვერ გასძელი? — ჰკითხა შორიდანვე.

ორივენი ხელსაწყოების ჯიხურში შევიდნენ.

— შენ ხომ არა გგონია, ვღელავ? ეგ პერიოდი დიდი ხანია გავიარე. რაც არ უნდა იყოს, პირველი ღღეა. მინდა, თავიდანვე კარგად ვიცოდე, რომელ ღუმელში რა პროცესია. რამდენი დნობა გამოუშვი?

— ხუთი.

ორივენი გარეთ გავიდნენ და ღუმელებს ჩამოუარეს.

საამქროში ლაპარაკი თითქმის შეუძლებელი იყო. ღუმელების ახლოს ხმის ამოღებას, საერთოდ, არ ჰქონდა აზრი. საწვავად ბუნებრივი გაზისა და მაზუთის კარბონაციის ნარევს ორთქლით აფრქვევდნენ თერმიტ ატმოსფერო წნევაზე. ამას საამქროში შემოსული ორთქლმავლების კვიცი და ხიდური ამწეების ხმაური ემატებოდა. მთელი საამქრო ისე ზანზარებდა, ყურთასმენა აღარ იყო. მუშები ერთმანეთს ხელებით ელაპარაკებოდნენ. ოპერატორებს და მემანქანეებს ბრძანებასაც ხელებით აძლევდნენ. აი, ახლაც, როცა ნოდარი და ლევანი პირველ ღუმელთან მივიდნენ, მეფოლადე ხიდური ამწეს მემანქანეს „ელაპარაკებოდა“. მან ლოყაზე ხელი მოისვა, — ეს ნიშნავდა, კირი ღუმელთან მოიტანეთ.

ხიდაშელს გაეღიმა, მას მაზუთის საწვავიან მარტენის საამქროში არასდროს ემუშავნა და პირობითი ნიშნებიც დავიწყებული ჰქონდა. მეხსიერების ძალა ჯაატნა და გონებაში ყველაფერი აღადგინა. ხელსაგულების ერთმანეთის პარალელურად, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა განმანგვლების მოტანას ნიშნავდა. მომუშტულ ცალ ხელს მაღლა თუ ასწევდი, მემანქანემ უკვე იცოდა, ციცხვის აწევას/ეთხოვდი. ცერის დაბლა დაშვება თუჯის ჩამოსხმას ნიშნავდა, საჭვენებელი ფერების ბრუნვა — ფეროსილიციუმის მოტანას, თვალის ქვეშ, ღაწვზე თითის დადება — შემოწმებას...

—აირზე გადასვლას აღარ აპირებთ? — ყვირილით ჰკითხა ლევანმა მეგობარს.

— ჰა? — ვერ გაიგო ნოდარმა.

— აირზე არ გადადიხართ? — ახლა ხელებით ანიშნა.

ნოდარმა თავი დააქნია და ხელები გაშალა, თითქოს ამბობდა, ვაპირებთ, მაგრამ ღმერთმა იცის — როდისო.

ყველი ღუმელი შეამოწმეს. მესამე, მეოთხე და მეშვიდე ღუმელებში კაზმს ტვირთავდნენ. მეშვიდე ღუმელზე ჩატვირთვას ოსტატი ხელმძღვანელობდა. ლევანი ოსტატთან მივიდა და რაღაც შენიშვნა მისცა. ნოდარმა იცოდა, მისი ოსტატი გამოცდილი კაცი იყო და არაფერი შეეშლებოდა. ახლა სახის გამომეტყველებაზე ატყობდა, ოსტატი ლევანს დაეთანხმა. თვითონ საქმეში აღარ ჩაერია. ჩატვირთვას ახლა ლევანი ხელმძღვანელობდა. ოსტატმა მემანქანეს ანიშნა, თხევადი თუჯი მოიტანეთო. როცა ხიდაშელი და ოსტატი ღუმელს მოსცილდნენ, ნოდარი ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა, შავი სათვალე აიფარა და ღუმელს ჩახედა. მან უკვე იცოდა, ლევანმა ოსტატს რაც მიუთითა: ჯართი ალაგ-ალაგ გამდნარიყო, თხევადი თუჯის ჩასხმა დაეგვიანებინათ.

ოსტატმაც კარგად იცოდა, ცივ ჯართზე თუჯის დასხმა არ შეიძლებოდა. თუჯი ღუმელში მაშინ უნდა ჩაასხა, როცა ჯართი კარგად გახურდება, ზუსტად მაშინ, სანამ ლითონნი დაგნობას დაიწყებს. თუ ჯართმა გადნობა დაიწყო, ლითონის გუბეები დგება, თუჯის ჩასხმის შემდეგ ქიმიური რეაქციები მძაფრად მიდის და ამ დროს სამუშაო მოედანზე წვიდა და ლითონი იღვრება ხოლმე. ეს კი ძალზე საჰიფათოა და ღუმელთან მისვლაც საშიშია.

ნოდარმა ოსტატს ხელით ანიშნა, ეს როგორ მოგვიდაო, მანაც ასევე უპა-

ხუხა, სამ ღუმელში ერთდროულად მოგვიწია კაზმის ჩატვირთვამ და ამბა რა უნდა მექნა.

ნოდარი ახლა მეფოლადეს მიუბრუნდა და ანიშნა, ფრთხილად იყავითო.

ორთქლმავალი მეშვიდე ღუმელის წინ გაჩერდა, თუჯი მოიტანეს.

ლევანი ღუმელთან ახლა ისე ტრიალებდა, თითქოს მეფოლადე ყოფილიყოს. ნოდარს ეღიმებოდა და ხმას არ იღებდა. უშნო ფხუკიანობა არ უყვარდა. არ სწყინდა, ლევანი რომ მის საქმეებში ჩაერია. თუმცა თვითონ იცოდა, ლევანს ამას ვერ გაუბედავდა.

ნოდარს ცვლა ლევანისთვის უნდა გადაებარებინა. ეს მისი პირველი დღე იქნებოდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში; პირველი შეხვედრა და პირველი შთაბეჭდილება მეუშებთან და უფროსებთან. პირველი შთაბეჭდილება კი ბევრ რამეს ნიშნავს, განსაკუთრებით — მეტალურგიულ ქარხანაში. ლევანს პირველად უნდა გამოედნო უცნობი მარკის ფოლადი. სხვის საქმეებშიც ამიტომ ერეოდა, უნდოდა, ახლავე ყველაფერი სცოდნოდა, რომელ ღუმელში რა მდგომარეობა იყო, რა პროცესი მიდიოდა.

ნოდარი იმასაც კი ფიქრობდა, ლევანის ცვლაში დავრჩები, მოვეხმარები, რაც არ უნდა იყოს, საამქროში კაცი პირველად გამოდის, ვიითუ რამე გაუჭირდესო. ეს აზრი უმალვე უარჰყო. ჯერ ერთი, მუშებს არ უნდა დაენახათ, რომ ცვლის ახალ უფროსს დახმარება სჭირდებოდეს; მეორეც, თვითონ ლევანი განაწყენდებოდა.

როცა ოპერატიული შეკრების დრო დადგა, ლევან ხიდაშელმა უკვე კარგად იცოდა, მარტენის საამქროს რვაე ღუმელში რა ხდებოდა, სად რა პროცესი მიდიოდა.

ოპერატიულ შეკრებას ლევანის ცვლის ოსტატები და მეფოლადეები განსაკუთრებული მოელვარებით მოელოდნენ. ერთი ენახოთ, ახალი უფროსი რა ბიჭიაო.

იმ დღეს ოპერატიული შეკრება საამქროს უფროსთან ჩატარდა. ლევანი ყველაზე ბოლოს შეავიდა კაბინეტში. მეფოლადეები ფეხზე წამოდგნენ.

— გაიცანით, თქვენი ახალი ცვლის უფროსი ლევან ხიდაშელი, — მიმართა შეკრებილთ ელიზბარ ხუნდაძემ.

ლევანმა მეფოლადეებს თავი დაუკრა და გაუღიმა. იგი თავისი ახოვანი ტანით ყველასაგან გამოირჩეოდა, უნიში ტანსაცმელი და მძიმე ბათინკები უხდებოდა, ვაკაცურ იერს აძლევდა.

ელიზბარი ახლა ლევანს მოუბრუნდა და მაგიდასთან მდგომი დაბალი კაცი წარუდგინა.

— ეს ვახლავთ საამქროს ობერ-ოსტატი გიორგი მელაძე.

ლევანმა დაბალ, დიდთავა და დაკუნთულ კაცს ხელი ჩამოართვა.

— ესენი თქვენი ცვლის ოსტატები არიან — არჩილ და ვასო ხარაიძეები. ძმები ვახლავან, ჩემი ბატონო, და ძალიან კარგი ბიჭები არიან.

შემდეგ ელიზბარმა მეფოლადეები წარუდგინა. ლევანმა ყველას ხელი ჩამოართვა. თან ცდილობდა მათი გვარები და სახელები დაემახსოვრებინა.

— თქვენი წინა ცვლის ბიჭებს ალბათ ნოდარი გაგაცნობდათ, — უთხრა ელიზბარ ხუნდაძემ, — გაკიგე წუხელ შუაღამისას მოსულხართ საამქროში. ალბათ, ღელავთ, არა?

ლევანს ეწყინა, საამქროს უფროსშა ასეთი სიტყვები ხელქვეითების თანდასწრებით რატომ მითხრაო.

— დროულად მოუსწენებიათ წუხანდელი ამბები, ბატონო ელიზბარ.

საამქროს უფროსი შეკრთა, ლევანს შეხედა. ხიდაშელი იღიმებოდა. სათქმელი უკვე უთხრა და ახლა აღარ უნდოდა საქმე გაემწვავებინა.

— მერე რა არის აქ საწყენი? ვინც ეგ მითხრა, თქვენი შექება ჰქონდა განზრახული. განა საძრახისია მარტენის საამქროში სამუშაოდ გასვლისას პირველ დღეს კაცი რომ ღელავდეს?

ეს სიტყვები ელიზბარმა მშვიდად წარმოთქვა. არც მას უნდოდა, ხალხის თვალში ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა,

თითქოს თანამშრომელთან წალაპარაკება მოუვიდა.

— პირველ დღეს თქვენს საამქროში, ბატონო ელიზბარ! — გაუსწორა საამქროს უფროსს ხიდაშელმა. — თორემ ეს ხალხი იფიქრებს, კაცი ქარხანაში პირველად ყოფილა და პირდაპირ ცვლის უფროსად გვინაშვავენო. რუსეთის ოთხ ქარხანაში მიმუშავია და თითქმის ყველა მარკის ფოლადი გამომიდგნია.

ახლა კი ჩამოუშვა ცხვირი ელიზბარმა. ჟურნალს ჩაეჩერდა და ფანქარს დაუწყო წვალება.

— გეხუმრეთ, ბატონო ელიზბარ, საწუენად არაფერი მითქვამს, — ღიმილით დაუმატა ლევანმა და დანარჩენებს გადახედა.

არავის სახეზე არ წაუკითხავს უკმაყოფილება.

ხოდარძა თვალიც ჩაუკრა და გაუღიმა. ლევანი მიხვდა, არ გადაუჭარბებია. თავისი სათქმელი კი თქვა, ყველას აგრძნობინა, ხელს იოლად არავის წამოაკვრევინებდა.

ბზოლოდ გიორგი მელაძის გამოხედვა არ მოეწონა. გიორგი მარტენის ღუმელების საუკეთესო მეოდნედ ითვლებოდა. იგი მთელს კავშირში სახელგანთქმული ობერ-ოსტატი იყო. ხშირად სხვა ქარხნებიც კი იწვევდნენ ღუმელების შესაკეთებლად. თეორიისა მასაც ბევრი არაფერი გაეგებოდა, ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული. ჯერ სავსებით ახალგაზრდა კაცი იყო, ოცდახუთიმეტი წლისა არც იქნებოდა. სწავლის გაგრძელების სურვილი არასდროს არ ჰქონია. იცოდა, თავისი საქმის პროფესორს ეძახდნენ. ობერ-ოსტატისათვის ესეც კმაროდა. მასაც არ უყვარდა, როცა ახალგაზრდა ინჟინერები მეცნიერული ცოდნით ამაყობდნენ.

„ვიეზედი, რა ჩიტიც ყოფილხარ“, — დაასკვნა ელიზბარ ხუნდაძემ.

დუმილი მაინც არ დაურღვევია. ერთხანს ისევ მაგიდას დასჩერებოდა.

— აბა, დავიწყოთ, — მოულოდნელად თქვა მან და ფოლადის დნობის პასპორტები მოითხოვა.

ოპერატიული შეკრება დაიწყო.

ელიზბარ ხუნდაძე ცვლის უფროსებს ყურს თითქმის არ უგდებდა:

„ეს როგორ გამიბედა ამ ძუძუშოვარამ! — არ ასვენებდა ბოლმა საამქროს უფროსს. — ისე ეტყობა, მაგარი ბიჭი უნდა იყოს. მაგრამ ძალიან ნუ გთამამდება, შვილოსა, თორემ ვნახავ, ბევრჯერ წაიტეხ კისერს. მერე გაგახსენდება, ბებერი ხარის რქანიც ეწევიანო, მაგრამ გვიან იქნებაო“.

ელიზბარს ფული თავის თავზე უფრო მოსდიოდა. სიტყვა როგორ მომიჭრა, რა ენა დამებაო. თუმცა კარგად იცოდა, ვერაფერი შვილი მოლაპარაკე გახლდათ... გულბოროტი კაცი არ იყო, მაგრამ ძუძუმშოვარას დაცინვა როგორ შევარჩინოო, ამაზე ჯავრობდა.

როცა შეკრება დამთავრდა, ელიზბარი ლევანს მიუბრუნდა.

— თუ თქვენი სურვილიც იქნება, მე ვთხოვ ნოდარს ცვლაში ორი საათით მაინც დარჩეს და ცოტას წაგეხმაროთ. წეღან გაფიცდი, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც პირველი დღეა. — საამქროს უფროსმა ლაპარაკი თქვენობით დაიწყო და „შენობით“ დაამთავრა. როგორც თვითონ ამბობდა, მარტენის საამქროში ჭიპმოჭრილ და დაბერებულ კაცს არ ეხერხებოდა ტყლარჭვით ლაპარაკი.

— მე თქვენ ამას არ გაკადრებდით, ბატონო ელიზბარ! — ხიდაშელს ამ სიტყვებზე წეღანდელივით აღარ გაუღიმია, იგი სიბრაზეს აღარ მალავდა.

ნოდარმა გულში გაიფიქრა, რა კარგი ვქენი, წეღან ლევანს დარჩენა რომ არ შევთავაზეო.

— ძალიან კარგი! — ფეხზე წამოდგა ელიზბარი. — მაშინ ყველანი წაბრძანდით და საქმეს მიხედეთ.

ძმები ხარაიძეები კარგი ოსტატები იყვნენ, მაგრამ ხიდაშელი ფოლადის დნობას ყველა ღუმელში თვითონ ხელმძღვანელობდა. არჩილი ძმაზე მთელი თორმეტი წლით უფროსი იყო. მეტალურგიული ტექნიკუმი ჯერ კიდევ რუსთაველის ქარხნის ამუშავებამდე დაამთავ-

რა და ურალში მუშაობდა. როცა რუსთაველში გადმოვიდა, იქ დროს ვასომაც მოიხადა სამხედრო ვალდებულება და შოფრობას აპირებდა.

— ბიჭო, ქარხანაში გამომყევი, შოფრობას ყოველთვის მოასწრებ, — ურჩია უფროსმა ძმამ.

ვასოს ძმის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და ქარხანაში წაჰყვა. დამხმარე მუშიდან დაიწყო მისი კარიერა და ოსტატობას მიაღწია. სოფელში გაზრდილ კაცს პირველად ქარხანა არ მოეწონა. ლითონის უზარმაზარ ფერმებზე, და კონსტრუქციებში, ცეცხლსა და გუგუნში რომ მოექცა, თავი გალიაში გამომწყვდეული ეგონა. აქეთ-იქეთ ეხეთქებოდა. ბეგრჯერ გაპარვაც დაპირა, მაგრამ ძმა გადაუდგა წინ.

— რა ვქნა, ქარხანა ჩემი საქმე არ არის, სხვა ხელობა უნდა ვისწავლო! — წუწუნებდა ვასო.

— არსად წახვიდე, შე მამაძაღლო, ბიჭებში თავი არ მომქრა! — ბრდღვინავდა აარჩილი.

ვასო ნამუსიანი ბიჭი იყო და ძმის შერცხვენა არ უნდოდა. მეტალურგიის ტექნიკუმი დაუწყრებლად დაამთავრა. მალე მეფოლადედად დაწინაურეს. პირველი ღნობა რომ თვითონ გამოუშვა, მეტალურგობას ვერმა მაშინ გაუგო. ადრე ყველაფერი იოლი ეგონა. იგი ღუმელს ისე უყურებდა, როგორც გარეშე კაცი მისჩერებია დაფასთან მიმსხდარ მოჯადოკეებს. საჭადოკო დაფას თვითონ რომ მიუჯდა, მაშინ მიხვდა, ყოველი სვლა რა ძნელი გასაკეთებელი ყოფილა.

ახლა რომ მოგეკლათ, ქარხნიდან ვეღარ გაადგებოდით. ძველი ცვლის უფროსი არ მოსწონდა, ამბობდა — უგერგილო და უნდილი კაციაო. უფროს ძმას სხვაზე ძვირის თქმა არ უყვარდა, მაგრამ რამიშვილზე ისიც ხშირად ამბობდა — უდღეურია, ეს მამაძაღლი.

ოთარ რამიშვილის ცვლის უფროსობის დროს გეგმას წელიწადში სამჯერ თუ ასრულებდნენ. ძმები კარგი ოსტატები იყვნენ, მაგრამ რამიშვილი ხალხს ვერ ამორჩიოლებდა და მეფოლადეებმა თავი აიშვეს. სხვა ცვლის მეფოლადეებიც გათამამდნენ. თითქმის ყოველთვის ცვლან ცუდად გაწყობილ ღუმელებს. [illegible] დნენ; ბალბანი შეფასებაშიც სტყუოდნენ. ოთარს იბრიყვებდნენ. მეფოლადეები ჩხუბობდნენ, მაგრამ სხვა ცვლის მუშები რაკი ერთხელვე გათამამდნენ, ლაგამი ვეღარავინ ამოსდო.

თვითონ ოთარის ხელქვეითებმაც აიცრუეს მუშაობაზე გული. ღუმელების ჩატვირთვა ვერასდროს რიგიანად ვერ ხერხდებოდა. რამიშვილი უფროსებს ვერაფერს უბედავდა. საკაზმე ეზოდან ყველაზე ცუდ ჯართს ყოველთვის მის ცვლას უგზავნიდნენ ხოლმე. თვითონ კი ნერვიულობდა, წვრილმან ამბებზე ჩხუბობდა.

ლევანი ყველას მოეწონა. იგი მოსული, ღონიერი ბიჭი იყო. ეს კი მარტენის საამქროში ბევრ რამეს ნიშნავდა. ახლა ყველას აინტერესებდა, მეშაობაში როგორი იქნებოდა. ოპერატიული შეკრების შემდეგ მუშები ძმებს შემოეკვეხენენ. როგორი ბიჭიაო, კითხულობდნენ ერთხმად. ბიჭად ბიჭი კარგიაო, მოკლედ მოჭრა აარჩილმა. ვასომ კი ტუჩები მოპრუწა და მარჯვენა ცერი თითი მაღლა ასწია, ოქრო ბიჭიაო. ოთარ რამიშვილს კი არა ჰგავს, უფროსების დანახვაზე რომ კანკალებდაო.

ვასო ჯარში ნამყოფი კაცი იყო და ძლიერ ადამიანებს პატივს სცემდა.

არჩილ ხარაიძეს არ ეუბნოკა, როცა მისი გასაკეთებელი საქმეც ცვლის უფროსმა გააკეთა. ცხვრი ჩამოუშვა, მაგრამ არაფერი უთქვამს. იფიქრა, პირველი დღეა და ალბათ ყველაფერს თვითონ იმიტომ დაჰკანკალებსო.

ვასოს კი თავდაზე გული მოფხანა ცვლის ახალმა უფროსმა, გოგია ნემსაძეს რომ ამოსდო ლაგამი.

გოგია მეორე ღუმელზე მეფოლადის თანაშემწედ მუშაობდა. ამოდენა მუტრუკი მთელი დღე ლაზღანდარობის მეტს არაფერს აკეთებდა. ოთარი ვერაფერს უბედავდა. ვასოც ბეგრჯერ ეჩხუბა, არაფერი გამოუვიდა. გოგიას მეფოლადე წყნარი კაცი იყო და ხმას არ იღებდა.

ჩხუბსა და აყალმაყალს, მირჩევნია, მისი საქმეც მე გავაკეთოო, — იტყოდა იგი და ხელს ჩაიქნევდა ხოლმე.

„ქარხანაში ფულის გასაკეთებლად არის მოსული“! — ბრაზობდა ვასო.

ლევანმა თავიდანვე შეამჩნია უსაქმური მუშა, მაგრამ არაფერი თქვა. არ უნდოდა, პირველსავე დღეს ვინმესთვის შენიშვნა მიეცა. როცა მეორე ღუმელთან კიდევ ჩაიარა და მეფოლადის თანაშემწე ისევ ნიჩაბზე ჩამოკიდებული დაინახა, ვეღარ მოითმინა, ხელსაწყოების ჯიხურში შევიდა და ვასოს დაუძახა:

— ვინ არის ეგ ბიჭი?

— რომელი? — ჰკითხა ვასომ და მეორე ღუმელისაკენ გაიხედა.

— აი, ის მაღალი ბიჭი, ღუმელის ფანჯარაში უსათვალოდ რომ იყურება.

— მეფოლადის თანაშემწეა, გოგია ნემსაძე.

— აბა, ერთი დამიძახე!

ოსტატი გარეთ გავიდა და გოგიას ანიშნა, უფროსი გეძახისო.

მეფოლადის თანაშემწე ერთხანს ისევ ისე იდგა, ნიჩაბზე ჩამოკიდებული. ვითომ ოსტატის ნათქვამი ვერ გაიგო. მერე ნიჩაბი იქვე უგულოდ მიაგდო და ზლაზვნით წამოვიდა. გზაში სიგარეტი ამოიღო, ვიღაც მუშასთან შეჩერდა, ანიშნა, ასანთი მომეცი‌ო. მუშამ ხელი გაუქნია, არა მაქვსო. გოგია ჯიხურში შევიდა, ჯერ ვიღაცას ასანთი გამოართვა, სიგარეტს მოუკიდა და მერე ღიმილით თქვა:

— გისმენთ, უფროსო!

ლევანმა მეფოლადის თანაშემწე თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა. მაღალი, ჯანიანი მწითური ბიჭი იყო. გრძელი, დაკუნთული მკლავები და ნიჩაბსოდენა მტევნები ჰქონდა.

— შავი სათვალე თუ გაგიტყდა, რატომ ოსტატს არ უთხარი? — ჰკითხა მშვიდად ლევანმა.

— არ გამტეხია, აგერა მაქვს ჯიბეში, — გოგიამ ჯიბიდან სათვალე ამოიღო და ლევანს დაანახვა.

— ღუმელში როცა იყურები, რატომ არა ხმარობ?

— არ მინდა და არა გხმარობ! — მკვახედ მიუგო ნემსაძემ.

— მართალია, თუ არ გინდა, [illegible] და იხმარო! — ისევ მშვიდად უთხრა ლევანმა.

მეფოლადის თანაშემწე ასეთ პასუხს არ ელოდა. იგი ფიქრობდა, უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევისათვის ახალი უფროსი ამიყვირებაო და დასახვედრად იყო გამზადებული. ახლა ეს ახმახი კაცი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა და უხერხულად იგრიხებოდა.

— გატყობ, ხასიათზე ვერა ხარ, თავს ცუდად ხომ არა გრძნობ? — ისევ წყნარად ჰკითხა ცვლის უფროსმა.

— არა, უფროსო, ავადმყოფს რა მიგავს!

— იქნებ შინ გაქვს რაიმე უსიამოვნება ან გადაუდებელი საქმე, მითხარი და გაგიშვებ. შენ საქმეს როგორმე მოვუვლით.

გოგიამ იფიქრა, ხომ არ დამცინისო. ცვლის უფროსს ყურადღებით შეხედა. მსგავლ, ხიდაშელი არ დასცინოდა. ამას ცვლის უფროსის წყნარი სახე და მშვიდი კილო მოწმობდა. საქმის ასე შემობრუნებას აღარ ელოდა. ოსტატმაც პირი დაალო, ლევანს გაოცებული მიაჩერდა.

— არაფერი უსიამოვნება არა მაქვს, უფროსო, მადლობელი ვარ.

ლევანი ფეხზე წამოდგა. გოგია ნემსაძე სიმაღლეში სჭარბობდა კიდევ, მაგრამ ისე შეხედა, თვალებით მოტეხა ამოდენა ვაჟკაცი.

— თუ არაფერი გტკივა და არაფერი გიჭირს, გადი და ისე იმუშავე, კაცს რომ შეეფერის. იცოდე, მე ბევრი გაფრთხილება არ მიყვარს.

მეფოლადის თანაშემწე ახლა ამას აღარ ელოდა. თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა. უფროსს პირდაპირ შეხედა, ინკინრის მრისხანე თვალებს ვერ გაუძლო, თავი დახარა და გარეთ გავიდა.

ვასომ სიამოვნებისაგან ლოყა მოიფხანა.

„ამა გეგონა ყველასთან გაგიჟდოდა? ვერ მოგართვეს“, — ვინ იცის, მერამდენედ ამბობდა გულში ოსტატი.

ახალი ცვლის უფროსი მას უკვე უყვარდა.

ლევანი ერთი შეხედვით მიხვდა, ოთარ რამიშვილი რა კაციც იყო. რეზო ქავთარაძისაგან ისიც გაიგო, მუშებს რატომ არ უყვარდათ ძველი ცვლის უფროსი. ლევანმა იცოდა, მუშები ახლა მას ოთარ რამიშვილს ადარებდნენ. იცოდა და ყველაფერს საწინააღმდეგოდ აკეთებდა.

მეექვსე ღუმელთან ფოლადის გაშვების წინ ღარი შეამოწმა. მუშას ანიშნა, ჯერ შეიცადე, ფოლადის გამოსაშვები ხვრელი არ გახვრტოლო.

მეფოლადეს სქელი ხელთათმანები გამოართვა და ღარის გაწმენდა დაიწყო ღარს კედლებზე ხვრელის ამოსავსები მაგნეზიტური ფხვნილის ნარჩენები მიხმობოდა. ლევანმა ღარი გულდასმით გაწმინდა და ფაქიზად ამოასუფთავა.

არჩილი გაწითლდა, მეფოლადეს გაბრაზებულმა შეხედა, ეს როგორ მოგვიდეო. ლევანი საქმეს მორჩა. ხელთათმანები გაიხადა და მეფოლადეს დაუბრუნა. ვაჟკაცი კაცი აიწურა, იფიქრა ახალი უფროსი საყვედურს მეტყვისო. ლევანმა გაუღიმა და ანიშნა, ასე არ სჯობიაო. დარცხვენილმა მეფოლადემ ხელები გაშალა და უსიტყვოდ მიუგო, რასაკვირველიაო.

ლევანმა ოსტატს ანიშნა, ხვრელი გახვრიტეთო.

მარტენის ღუმელში ფოლადი ათას ექვსასს—ათას შვიდას გრადუსზე დუღს. ღუმელის ახლოს ისეთი სიცხეა, შეუჩვეველი კაცი ათ ნაბიჯზე ახლოს ვერ მივა. თუ ღუმელის ერთი ფანჯარა მაინც აჩის ღია, მაშინ ხომ თავი საკირეში გეგონება.

მეფოლადეები ამ სიცხეს მიჩვეულნი არიან. ღუმელთან ისე ახლოს და თავისუფლად მუშაობენ, თითქოს სიმხურვალის შეგრძნება დაუკარგავთო. ტანზე სიმსუქნის ნატამალი არსად ამჩნევიათ, მათ გამოხედვაში ძალა და სიმსუბუქე იგრძნობა.

მეფოლადის ტანსაცმელი სამ დღეში მარილის ლაქებით თეთრდება. ერთი ცვლის განმავლობაში, თითოეულ მუშაზე ოცდაექვსი ლიტრი მარილიანი წყალია გაანგარიშებული. პირველად, როცა ლევანმა მაგნიტოგორსკში ოსტატად დაიწყო მუშაობა, ცვლაში, ალბათ, ორმოც ლიტრა წყალს მაინც სვამდა. ყოველ წუთში გაზიანი წყლის ჯიხურთან ეკუდა.

მერე თანდათან მიეჩვია. ლევანმა იცოდა, მუშები როგორ დასცინინან ახლადგამომცხვარ ინჟინრებს, ღუმელს ორ მეტრზე ახლოს რომ ვერ ეკარებიან. იცოდა და სიმხურვალეს არ უშინდებოდა. პირველი დღიდანვე ღუმელთან ახლოს ტრიალებდა. ნებისყოფაც ძაბავდა, საშინელ დღეში ვარდებოდა, მაგრამ არ უნდოდა მეფოლადეების სახეზე დამცინავი ღიმილი დაენახა. ერთი თვის შემდეგ სხვა მეფოლადეებივით პაპიროსს ისიც საანალიზოდ აღებული გამდნარი ფოლადიდან უკიდებდა.

გოგია ნემსაძე გაგიჟებული იყო, ცვლის უფროსის დამამცირებელი სიტყვები როგორ გადაყლაპეო. თავის თავზე გული მოსდიოდა, რა ენა ჩამივარდა, სიტყვა ვერ შევუბრუნეო. ერთი თვითონაც ვნახო რა ბიჭია, ისე რომ იქაჩებაო. გოგიას უნდოდა, ხიდაშელი რიმეში გამოეჭირა და სამაგიერო მიეზღო.

შემთხვევაც მალე მიეცა: ღუმელთან საანალიზოდ სინჯი აიღეს. ლევანი ამ დროს მივიდა მათთან. გოგიამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და ცვლის უფროსს მიაწოდა. ხიდაშელს პაპიროსი ახალი მოწეული ჰქონდა, მაგრამ მეფოლადის თანაშემწე არ გაწეწილა და სიგარეტი მაინც გამოართვა. არ იფიქროს, წელანდელი ლაპარაკის შემდეგ ეეპუტებიო. გოგია რკინის კოვზთან მივიდა და პაპიროსს გამდნარ ფოლადზე მოუკიდა. ლევანს ასანთის ამოსაღებად ჯიბისკენ წაღებული ხელი გაუშეშდა. ძიხვდა, გოგია სადაც უმიზნებდა. მუშები ცვლის უფროსს მისჩერებოდნენ. ხიდაშელი არ დაბნეულა: მუშებს არც აგრძნობინა, გოგია ნემსაძეს მივუხვდი და მისი გამოწვევა მივიღეო. ჯიბიდან შავი სათვალე ამოიღო. ვითომც აქ არაფერიაო,

ღუმელს ფანჯრის სარკმლიდან ჩახედა. მერე სიგარეტი სარკმელთან დინჯად მიიტანა და მოუკიდა. საშინელმა სიმხურვალემ სახე დასწვა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ორი ნაბიჯი გადადგა და კიბეურში მუშას ანიშნა, ეს ფანჯარა სანახეგროდ გააღეო. მერე გოგიას მიუბრუნდა, აქ მოდიო.

გოგია ცვლის უფროსთან ახლოს მიიდგა. ორივემ სათვალე მოიმარჯვა. ლევანმა უკანა კედელი დაანახვა, ანიშნა, ცუდად არის შეკეთებული, დოლომიტი კარგად ვერ მოგიფარქვეგიაო.

ღუმელში ლიფონი დუღდა. ცეცხლის ალი გამდნარი ლითონის ზედაპირზე გრიალებდა.

მეფოლადის თანაშემწე სიცხეს ვეღარ უძლებდა. ცვლის უფროსს თავი სასწრაფოდ დაუქნია, — მართალი ბრძანდებითო და უკან გადახტა. ლევანი ადგილიდან არ დაძრულა, მუშას ხელით ანიშნა, ფანჯარა დახურეო:

უზარმაზარი ლითონის ფანჯარა დაბლა დაეშვა. ლევანმა შეებით ამოისუნთქა. ცეცხლი ისევ ღუმელში მოეშუყდა. გალიაში ახლადშეგდებული ლომვითი ბდღვინავდა და კედლებს ასკდებოდა. ცოტა კიდევ და ალბათ ამ ჯოჯოხეთურ სიცხეს ლევანიც ვეღარ გაუძლებდა. ნებისყოფა დაძაბა. მიხვდა, ნემსაღე აქაც დაამარცხა. სიგარეტი ერთხელ კიდევ მოქაჩა, ნაშეკვი მოისროლა და მესამე ღუმელზე გადაინაცვლა.

მეორე ღუმელის მეფოლადემ დაუსტვინა, ეს რა ბიჭი ყოფილაო. ვასომ ხელით ანიშნა, აბა რა გეგონაო.

დარცხვენილმა გოგიამ შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა და უზარმაზარ ვენტილატორთან მივიდა. თითქმის ზედ გადაეჯდა. ერთმა მუშამ შუბლთან თითი მიიტანა, ჭკუაზე ფარაკალი ხომ არა ხარ, გაცივდებიო. გოგიამ შეუკურთხა, შენ მაინც მოგიგერეხ კისერს, ვინ გკითხავს, ჩემს საქმეში რას ერევიო.

— კისერიც გიტეხია, — ხმამაღლა თქვა მუშამ.

უხაროდა, გოგია ნემსაღე რომ წამოაჩოქეს, მერე ლევანს გახედა და ეუბნებოდა, — შენი მამა ვაცხონე, ეს ჯაგის ჯავრი რომ ამომყარეო.

მეექვსე ღუმელიდან ფოლადი გამოუშვეს. ლითონი თითქოს ღუმელში ვერ ეტეოდა, ერთბაშად გადმოხეთქვას ლამობდა. ციცხვი ნელ-ნელა ივსებოდა. ირგვლივ სილიციუმის უთვალავი შოკიცმეფე ნაპერწკალი იფრქვეოდა.

ლევანი ღარის შორიახლოს იდგა და მომყადარ ფოლადს ხარბად მისჩერებოდა. ეს იყო მისი პირველი გამოდნობილი ფოლადი ოუსთავის მარტენის საამქროში. დაფიქრდა. ცდილობდა გარკვეულიყო, ღელავდა თუ არა. დარწმუნდა, სრულებით არ ღელავდა. დარწმუნდა და ესიამოვნა.

ოსტატმა ხიდური ამწის მემანქანეს ანიშნა, განმეანგველები მოიტანეო. ლევანმა ღუმელს წინიდან შემოუარა. უკანა კედლის გაწყობა ფოლადის გამოშვებისთანავე დაიწყეს. მანქანა დოლომიტს უკვე მესამე ფანჯრიდან იფრქვევდა. ლევანმა მუშას ანიშნა, მანქანასთან მიმიშვიო. მუშა ჩამოეცალა. ლევანმა მანქანას ხელი მოჰკიდა. მძლავრი მკლავებით ბავშვივით დიმორჩილა.

არჩილი შემობრუნდა. ლევანი უკანა კედელს დოლომიტს ისე ოსტატურად იფრქვევდა, ალტაცება ვეღარ დამალა. როცა მანქანა შემდეგ ფანჯრასთან გადაანაცვლა, მუშას ანიშნა, ახლა შენ განგრძეო.

ლევანს განსაკუთრებით მესაშე ღუმელის მეფოლადე მოეწონა, — ლექსო არჩემაშვილი. რაღაც გულჩათხრობილი კაცი ჩანდა და ცვლის უფროსის ყურადღება თავიდანვე მიიქცია. ხარივით მუშაობდა, ერთი წუთით არ დაუსვენია. მისი ხელქვეითები თავისუფალ წუთს რომ ნახავდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ, იცინოდნენ და ლაზღანდარობდნენ. ლექსო ყოველთვის ცალკე დგებოდა. თითქოს რაღაც სევდა აწუხებდა, ნიჩაბს დაეყრდნობოდა და ისევ ღუმელს მიაჩერდებოდა. კაზმის ჩატვირთვა ყველაზე ნაკლებ დროში მოასწრო. ლევანმა შეაქო და გაუღიმა. ცვლის უფროსი გა-

ოცდა, მეფოლადის სევდიან სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შეტოკებულა.

ლევანს წყალი მოსწყურდა და ჯიხურთან მივიდა, იქ მაზუთის მფრქვეველების გუგუნი ნაკლებად ისმოდა. ოსტატი უკან გაჰყვა.

— მგონი, საქმე კარგად მიდის! — უთხრა არჩილმა.

ლევანმა გაზიანი წყალი მოსვა, პირი გამოიღერო. დანარჩენი გადაღვარა, ცარიელი ჭიქა დახლზე გააცურა და ოსტატს მიუბრუნდა.

— საშუალოდ, ჩემო არჩილ. აბა ის რა ცვლაა, თუ ექვს ჩქაროსნულ დნობას მაინც ვერ გამოუშვებ.

„აგაშენა ღმერთმა“! — გაიღიმა გულში არჩილ ხარაიძემ.

შორს თეთრხალათიანი ქალიშვილი გამოჩნდა. ლევანმა იცნო ექსპერსლაბორატორიის ქიმიკოსი — დღეს უკვე მესამედ ხვდებოდა. ქალიშვილი ვიღაცას ეძებდა. მუშებმა გაზიანი წყლის ჯიხურისაკენ მიანიშნეს. იგი შემობრუნდა და პირდაპირ მათკენ გამოემართა. მეხუთე ღუმელის ანალიზი მოიტანა. ქიმიკოსი დაიბნა, წესით ანალიზი ოსტატისთვის უნდა მიეწოდებინა. ცვლის უფროსი რომ დაინახა, შეეყოყმანდა — ვაითუ ეწყინესო. ხიდაშელი მიხვდა ქალიშვილის გასაჭირს და ანიშნა, ოსტატს მიაწოდეო.

არჩილს უფროსის საქციელი ესიამოვნა. ქაღალდს დახედა და შეიჭმუხნა.

— მოხდა რამე? — ლევანმა შენიშნა, ოსტატს რაღაც არ ეჭაშნიკა.

— გოგირდი მომატებულა! — ოსტატმა ქაღალდი ცვლის უფროსს მიაწოდა.

— არაფერია, — გაიღიმა ლევანმა, — მადანი მოამზადეთ, პოლირებამდე ღუმელში წიდა დავაყენოთ.

ღუმელში მადანი ჩატვირთეს. მაღალი ფუძიანობის მქონე აქტიური წიდები ლითონის დფღილამდე დააყენეს. სწვავი მოუმატეს და ლითონი 1650 გრადუსამდე გადაახურეს. გოგირდი ამოწვეს, მაგრამ ამ რთული პროცესის დროს ლითონში მანგანუმის შემცველობა შემცირდა. დაყვანის დროს მწვანე წიდიდან აღდგენის ხარჯზე მანგანუმის შემცველობა ნორმით გათვალისწინებულ დონემდე აიყვანეს.

ხუთ ღუმელში საქმე კარგად მიდიოდა. საათნახევარს უკვე ლითონის წმინდა დფღილამდე იგებდნენ. კიდევ იყო შესაძლებლობა მეექვსე ღუმელიდანაც ჩქაროსნული დნობა გამოეშვათ. ეს ოხერი გოგირდი რომ არ გამოჩხერილიყო. ლევანმა გადაწყვიტა ლითონის განქანგვა მეექვსე ღუმელშიც აბაზანის ნაცვლად ციცხვში მოეხდინა. მაშინ ექვს ჩქაროსნულ დნობას ვაითუშვებდა. ცვლის უფროსს კი როგორ უნდოდა ყველა ღუმელში ჩქაროსნული დნობა ჩაეტარებინა.

„ჯანდაბას, ექვსიც კარგია“. — დაიმშვიდა თავი.

მერე ოსტატს მიუბრუნდა და თავისი გადაწყვეტილება გაუზიარა.

არჩილი გამოცდილი კაცი იყო, მიხვდა, ეს უკვე ბრძანებას ნიშნავდა.

— მე წავალ, ფეროსილიციუმს შეკამოწმებ! — თქვა ლევანმა და წავიდა.

ფეროსილიციუმის ნატეხები ცვლის უფროსს არ მოეწონა. უმრავი მსხვილი ნატეხი მოხდა თვალში. წესით კი თითოეული ნატეხი ორკილოსახევარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ლევანმა ორი მოზრდილი ნატეხი შეარჩია და საკაზმე ეზოს ბრიგადირთან წაიღო.

ვალიკო აზარაშვილი მაგიდას უჯდა. კაბინეტში რომ ვიღაც შემოვიდა, დაეხახა, მაგრამ თავი არ აუღია, რაღაც ქაღალდებს ჩასჩერებოდა.

ლევანი განაწყენდა, ამოდენა კაცი შემოვედი, ბაშვი ხომ არ ვგონივარო და ფეროსილიციუმის ორი უზარმაზარი ნატეხი მაგიდაზე ცხვირწინ დაუგდო.

— რა ამბავია, ამხანაგო! — აზარაშვილი შეხტა და ხიდაშელი შეათვალიერა.

„ალბათ ეს არის ახალი ცვლის უფროსი“, — მიხვდა ბრიგადირი.

— დახედე და მიხედები! — მოკლედ მოჭრა ლევანმა, — იცოდე, მეორედ

არ მომიყვანო, ნახევარ საათში ყველაფერი რიგზე იყოს.

ხიდაშელი წავიდა. ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ მან პირველი ღუმელის მეფოლადეს დაუძახა:

— ბორის, ჩემთან მოდი.

მეფოლადეს გაუკვირდა, ასე უცებ ჩემი სახელი როგორ დაიმახსოვრაო.

— გისმენ, უფროსო.

— აბა, ერთი წადი და ფეროსილიციუმი შეამოწმე, წელან იქ ყველაფერი რიგზე კარ იყო.

მეფოლადეს გულში გაეცინა, როცა ფეროსილიციუმის გამოცელის ამბავი გაიგო.

„იკადრეთ, ხომ?! აბა რა გეგონათ, ახლაც დაგვიბრიყვებთ? გიტირებთ დედა!“ — გაიფიქრა მეფოლადემ და გახარებული უკან მობრუნდა.

ბორისმა ეს ამბავი თითქმის მთელ საამქროს მოსდო: ახალმა ცვლის უფროსმა ვალიკო ზზარაშვილი იფრინაო.

ლევანი ცეცხლივით ტრიალებდა.

ჰაერი მილებით პირდაპირ აბაზანაში შეიყვანეს.

დუღილი დაიჭარეს. ფოლადი ციცხვებში განაყრეს.

ექვსი ჩქაროსნული დნობა ერთ ცვლაში! მეფოლადეებს არ სჯეროდათ საკუთარი გამარჯვება. ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ. ახალ უფროსს აქებდნენ.

ლევანი ჩუმად იყო, ვითომც აქ არაფერიაო, სიხარულს არ იმჩნევდა. მიზანს მიაღწია, მთელი საამქრო აალაპარაკა, შეიძლება მთელი ქარხანაც.

არჩილ ხარაიძეს სიხარულისაგან კიბიდან ცრემლები წამოსცვივდა, როგორც იქნა გაიხარა, ფრთები გაშალა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ყბა უკანკალებდა. ეშინოდა, ტირილი არ წასაკლესო.

ვაჟა დვალიშვილი საჩამომსხმო მალიდან ამოვიდა, ლევანს გამარჯვება შორიდანვე მიულოცა. ახლოს რომ მივიდა, გადეხვია:

— ყოჩაღ, ძმაო. მაგარი სამუშაო გაგვიჩინე!

ლევანმა გაიცინა:

— ჯერ სადა ხარ!

— გისმინოს უფალმა! — [illegible] ვაჟამ.

ობერ-ოსტატი გიორგი მელაძე საამქროს უფროსთან შევიდა და შორიდან მიაძახა:

— რას ერჩი, კარგი ბიჭი ყოფილა ახალი ცვლის უფროსი.

ელიზბარმა პასუხი დაუგვიანა, ობერ-ოსტატს დაწყნარება აცალა და ხმადაბლა უთხრა:

— მეც ეგ მინდა, ჩემო გიორგი. ღმერთმა ქნას, მომავალშიც ასე გაგრძელოს.

ოპერატიულ შეკრებაზე საამქროს უფროსმა მადლობა ძლივს ამოღერღა: „ქება ჯერ ადრეა, დრო გამოაჩენს რა ბიჭია ბრძანდები“, — ფიქრობდა იგი.

მიუხედავად დილანდელი განაწყენებისა, ელიზბარს ახალი ინჟინრის წარმატება მაინც უხაროდა, თუმცა ამ სიხარულს სრულებით არ იმჩნევდა.

— იმ კაი დედმამიშვილს ერთი მადლობა დაენანა? — გულწრფელად ბრაზობდა ვაჟა დვალიშვილი.

— ეჰ, ჩემო ვაჟა, — უდარდელი ღიმილით უთხრა ხიდაშელმა, — მაგის მეტი სადარდებელი არ მოგცეს ღმერთმა. აბა, ჩაჯექი მანქანაში, სახლამდე მიგიყვან.

3.

ლევანი ღვინის სმას ერიდებოდა, თუმცა ღვინოს კარგად იტანდა და მეგობრებში ყველაზე მაგარ მსმელად ითვლებოდა. იგი მხოლოდ მაშინ სვამდა, როცა მეტი გამოსავალი არა ჰქონდა. ქეიფი ძალიან უყვარდა, მაგრამ დროის გაფლანგვა გულს უკლავდა, ხასიათს უფუჭებდა. ვასო ხარაიძეს უარი მაინც ვერ უთხრა; ისტატაბა ბავშვის დაბადების დღეზე მიიწვია. ვასო ხათრიანი ბიჭი იყო. ლევანს რაღაც ღვთაებრივი ადამიანივით უყურებდა და დაპატიჟებას ვერც გაუბედავდა, ერთი ამბავი რომ არ მომხდარიყო.

ლევანი მანქანით შინ ბრუნდებოდა.

ტაქსების გაჩერებაზე ხარაიძე დაინახა, შოფერს რაღაცას ეკაჭრებოდა. ლევანმა „ვოლგა“ გააჩერა და ვასოს დაუძახა. ოსტატმა ხიდაშელი იცნო, შოფერს თავი მიანება და მასთან მიირბინა.

— დაჯექი! — ლევანმა მანქანის კარი გაუღო. ვასო ჩაჯდა.

— რას ეკაჭრებოდი? — ჰკითხა ლევანმა.

— ხვალ სოფელში წასვლას ვაპირებ. ბავშვის დაბადების დღე მაქვს, ღვინო უნდა ჩამოვიტანო.

— არ მოგაყვება?

— როგორ არ მომყვება. მაგრამ ოთუსბირს მიფასებს.

— მანქანის ტარება იცი?

— აბა სხვა რა ვიცი, ჯარში ავტონაწილში ვიყავი.

— ძალიან კარგი. მე აქ ამხანაგთან უნდა დავრჩე, შენც ადექი და ჩემი მანქანა წაიყვანე.

— როგორ გეკადრებათ, უფროსო! — შეიცხადა ვასომ.

— აბა, ნუ იპრანჭები, მე, ხომ იცი, არ მიყვარს, ვაჟკაცი რომ იპრანჭება.

— ეს რა გამოვიდა, უფროსო.

ლევანმა ვიწრო ქუჩაში გადაუხვია და მანქანა ერთ პატარა სახლთან გააჩერა.

— წასვლას როდის აპირებ?

— ბარემ ამ საღამოს წავალ.

— აბა ახლა მე მინდობილობას დაგიწერ, შენც ქარხანაში ადი და დაამოწმებინე.

მეორე საღამოს ვასომ გარეცხილი და გაკრიალებული „ვოლგა“ ლევანს მიუყვანა. თან იღრიჯებოდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერა ბედავდა.

— რა იყო, ბიჭო, ამოშაქრე! — უთხრა ლევანმა.

— თუ გვიკადრებთ, ხვალ საღამოს იქნებ თქვენც მობრძანდეთ ჩემი ბიჭის დაბადების დღეზე?

— მოვალ, რატომაც არ მოვალ, — გაიცინა ცვლის უფროსმა.

ლევან ხიდაშელი ხარაიძეებთან მოგვიანებით შევიდა. ძმებს უფროსის მოსვლის იმედი დაკარგვოდათ და სუფრას მისხდომოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრას უფროსი ძმა თამადობდა. ლევანის დანახვაზე ყველა წამოიშალა.

— აბა დაბრძანდით, დაბრძანდით, ასე თუ შეწუხდებით, ისევ წავალ! — თქვა ლევანმა.

ყველანი დასხდნენ.

ვასოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მისი ჩასუქებული, ლოყაწითელი ცოლი — ანეტა ლევანს შეყვარებულ თვალებით შეაცქეროდა. ქმრისაგან ახალი უფროსის ქებით ყურები ჰქონდა გამოქუდილი. სიხარულით მეშვიდე ცაზე ფრინავდა. — ამისთანა კაცმა ჩვენს ოჯახში მოსვლა იკადრაო.

არჩილს თავდაპირველად სწყინდა. ცვლის უფროსი მის საქმეებში რომ ერეოდა. ალბათ არ შენდობაო, ფიქრობდა გამოცდილი ოსტატი და „გული სტკიოდა. ოთარის დროს ჩამორჩენილები რომ ვიყავით, ვაითუ ჩემი ცუდი მუშაობის ბრალი ჰგონიაო. ჩუმად იტახჯებოდა, აკვიატებულ იქვებს ძმასაც არ უმხელდა. სულ მალე გული მოუბრუხდა, ახალი უფროსი ძმასავით შეუყვარდა. მუშაობის დაწყებიდან მესამე დღეს ხიდაშელს რუსთავის გაზეთიდან მოაკითხეს. ლევანმა კორესპონდენტს წერილი ისე დაუწერინა, არცერთი მეფოლადე არ გამორჩენია. განსაკუთრებით ოსტატი ძმები შეაქებინა. თავის თავზე კი უთხრა, თუ ძმა ხარ, მე შემეშვი, ჩემი ქება სხვა დროისათვის გადავდოთო. ვასოს ეშვები გაეფაანტა. თავისუფლად ამოისუნთქა, საქმესაც გული უფრო დაუდო.

„აკაცი რომ გენდობა, თავი უნდა მოიკლა და არ უნდა დააღალატო“. — ფიქროობდა იგი.

ლევანმა ოსტატის ბიჭს ნამდვილი ფეხბურთის ბურთი მოუტანა. არჩილმა ჭიქა გაავსო და ლევანს მიაწოდა. ერთხანს გადაწყვიტა, საჯარიმოს დავლუვინებო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა — ვაი თუ ეწყინოსო; ვეღარ გაუბედა.

— ამ ჭიქით, მოდი, შემოსწრებული დავლოცოთ! — დაიწყო არჩილმა.

ოსტატს ღვინო თავში გასჯდომოდა და სიცილამდე შეპპარვოდა.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ, ლევაზიც წამოდგა. ცვლის უფროსი მუშებთან ისე იქცეოდა, არასდროს ხაზს არ უსვამდა, მე ინჟინერი ვარ, თქვენ კი მუშებიო. მათთან მათებურ ენაზე ხუმრობდა და ლაპარაკობდა. ოღონდ ერთ რამეს ყოველთვის აგრძნობინებდა ხოლმე — მე უფროსი ვარ, თქვენ კი ხელქვეითებიო.

— მე ლაპარაკზე ცოტა უკაცრავად ვარ, მაგრამ ორი სიტყვა მაინც მინდა ვთქვა, — დაიწყო არჩილმა, — შენ გამომარჯოს, ქარხანაში შენს მოსვლას გაუმარჯოს. შენ წინ წაგიძღეო და ვინც შეგარცხვინოს, მარჯვენა გაუხმეს! — არჩილმა ჭიქა დააპირქვავა.

ცვლის უფროსი ყველამ ერთხმად აადგრძელა. ლევანმა ჭიქა ასწია და არჩილივით მოუქცია.

— დღეგრძელობისათვის მადლობა მომიხსენეთა. ერთი რამე მინდა გითხრათ. ქარხანას ნამუსიანი კაცი უყვარს. როგორც სანგარში ჯარისკაცი ჯარისკაცს ვერ უღალატებს, ისე მეტალურგიულ ქარხანაში მეფოლადემ მეფოლადეს არ უნდა უღალატოს. მოდი, ეოთმანეთს არ ვუღალატოთ.

— აი, გაგიმარჯოს! — შესძახეს მეინახეებმა.

ლევანმა ჭიქა გამოსცალა და გადააბრუნა.

— ასე მტერი დაგეცალოთ.

— გაამოს, გაამოს! — მიაძახა არჩილმა.

ვასო სულ ხიდაშელს მისჩეოეზოდა. დროდადრო ცოლს ანიშნებდა, თეფში გამოუცვალე, ყურადღება მიაქციეო.

— აბა, ერთი იუბილარი დაშანახვეთ! — დაიძახა ლევანმა.

ვასო წამოხტა და ბიჭი შემოიყვანა.

ლევანმა ბიჭი ხელში აიტაცა.

— რამდენი წელი შეუსრულდა?

— ექვსი, ჩემო ბატონო!

— სახელი რა გქვია, ბიჭუნა!

ბიჭმა ლევანი იუცხოვა და ხმა არ ამოიღო.

— კახა! უთხარი, მამიკო!

ლევანმა ბავშვი დასვა და ჭიქა შეავსო.

— თუ თამადა ნებას მომცემს, ამ ჭიქით კახას სადღეგრძელოს შევსვამ. კახას გაუმარჯოს, გაიზარდოს დიდი ბიჭი და გაახაროს შობლების გული. კაცის ტკივილი გაეგოს და სამშობლოს გამოსდგომოდეს!

ვიდაცამ მრავალჟამიერი წამოიწყო. მერე ვერავინ უთხრა. აქა-იქ გაუბედავი ბანი გაისმა. პირველი მაინც ჯიუტობდა ხალხს თითებით ანიშნებდა, მეორე მომაშველეთო. ლევანმა ჭიქა გამოსცალა, ერთი ლუკმა ფხალი დააყოლა, ის იყო, იმედდაკარგული მომღერალი გაჩერებას აპირებდა, რომ ისეთი მეორე უთხრა, ხალხმა გაოცებისაგან პირი დააღო. ბანები გათამამდნენ, სიმღერამ ფრთა გაშალა. სამზარეულოდან გამოსული ქალები კედელთან გამწკრივდნენ. ვასო რაღაც ნიტარებამ შეიპყრო, ლევანს თვალს არ აშორებდა, გულში სულ ერთ წინადადებას იმეორებდა, — შენი ჭირიმე, შენიო.

თვალებაქუფუნებული არჩილი ფეხზე იდგა. ოსტატი სიმღერაზე მწყარალდ იყო და არც იქაჩებოდა. ოღონდ დროდადრო აღფრთოვანებული იძახდა.

— აი, იცოცხლეთ და იმხიარულეთ, ბიჭებო!

გოგია ნემსაძე ბანს ურევდა. პირველმა ხელით ანიშნა, შენ გაჩერდიო. გოგია მაინც თავისას არ იშლიდა. ლევანმა ქათმის ბარკალი აიღო და პირში ჩასჩარა.

— ოო, არხიარულალოოო. — დაამთავრა პირველმა ხმამ და მერე ხმამაღლა დააყოლა, — აი, იხარე ჭერო, მოკვდი მტერო!

ლევანმა შენიშნა, მესამე ღუმელის მეფოლადე ლექსო არჩემაშვილი ძველებურად მოწყენილი იჯდა. თვალებში სევდა ჩასდგომოდა. ლევანმა არ იცოდა, ლექსო ასეთი ჩუმი და გულჩათხრობილი კაცი იყო, თუ რაიმე სატკივარი აწუხებდა.

— შენ რას მოგიწყენია, ლექსო! — მხიარულად გადასძახა ლევანმა.

მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა.

ლევანი შეკრთა. ხალხს თვალი მოავლო. ყველას სახეზე წამიერმა სევდამ დაისადგურა.

— ეს, ჩემი ბიჭის ნათლიაა, თორემ დღეს არ იყო აქ მოსვლის ხასიათზე, — რაღაც საოცარი გულისტკივილით თქვა ვასო ხარაიძემ.

— რა იყო. შეგემთხვა რაღე?

— ცოლი ჰყავს ავად! — ისევ ვასომ უპასუხა.

— სერიოზული ხომ არაფერი სჭირს?

— რა ვიცი, სიმსივნეს ეშვობენ. ექიმებს ვერაფერი გაუგიათ. — ამოღერღლა ბოლოს ლევანმ.

— ბავშვები გყავს?

— ქალ-ვაჟი მყავს, შენი ჭირიმე.

— კარგმა ექიმმა თუ ნახა ვინმემ?

— რუსთაველ ყველამ ნახა, მირჩიეს თბილისში დაფწვინეო.

— დიდი ხანია ავად არის?

— ნახევარი წელი უჩიოდა ტკივილებს.

— შენ ჩემი ტელეფონის ნომერი იცი?

— აბა, საიდან მეცოდინება?

ლევანმა კალმისტარი ამოიღო და ტელეფონის ნომერი დაუწერა.

— ხვალ ხომ საღამოს ცვლაში ვმუშაობთ. დილით დამირეკე, დედაჩემის საავადმყოფოში დავწვენ. საუკეთესო ექიმებს გავასინჯებ. მალე დედაჩემიც დაბრუნდება და თავზე დავაყენებ.

— აი, შენ გაგახარა ღმერთმან! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

ლექსომ ტელეფონის ნომერი ჯიბეში ჩაიდო, თავს ძალა დაატანა და სიცილით თქვა:

— აბა, ნუ მოიწყენთ, ხალხო!

ორი სადღეგრძელოს შემდეგ ლევანმა ბოდიში მოიხადა, სუფრა ადღეგრძელა და წავიდა. ს

ერთხელ, დროის მოსაგებად, სანამ ჯართს მოიტანდნენ, კირქვა სუფთა ქვედზე ჩატვირთეს, ეს კი აშკარა დანაშაული იყო. აღმწერელმა ოპერაცია ათი ბალით შეაფასა. ლევანმა აღმწერელს ჟურნალი თავზე გადახია. მას შემდეგ ხიდაშელის ცვლას ჰაიჰარად ვერაფერს უბედავდნენ. საკაზმე ეზოს ბრიგადირი ახარაშვილი ლევანის შიშით აღარ თაღლითობდა, ყოველთვის საუკეთესო ჯართსა და ფეროსლიეცუმს ურჩევდა; ერთ წუთს არაფერს უგვიანებდა.

ლევანის ხელქვეითებმა იგრძნეს მტკიცე ხელი, მუშაობის ხალისიც მიეცათ. ქარხანაში ამაყად დაიბჯენდნენ, თითქოს ამბობდნენ, აბა ახლა ნახეთ, რა ბიჭებიცა ვართო.

ლევანი დირექტორის კაბინეტში შევიდა. იორამ რუხაძე ფეხზე წამოდგა და ლევანს ხელი ჩამოართვა. მიხეილ გიორგაძემ ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე მარცხენა ხელი მხარზე დაჭერა და უთხრა:

— ყოჩაღ, ბიჭო, აბა შენ იცი, თუ ასე გააგრძელებ!

ქარხნის დირექტორი ლევანს დააცქერდა:

— მე თქვენ საიდანღაც მეცნობით, ყმაწვილო!

ლევანს „ყმაწვილო“ არ მოეწონა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— ალბათ, სადიპლომო გეგმარს რომ ვიკავდი, იქიდან გახსოვართ, თქვენ მე პირადად დამისვით კითხვები.

— დიახ, დიახ! გამახსენდა! — გაღიმა იორამს.

ქარხნის დირექტორის გონებაში კარგად აღსდგა ეს დღე. უზარმაზარი აუდიტორია სტუდენტებით იყო გაჭედილი. ყველას აინტერესებდა, ლევან ხიდაშელი დიპლომს როგორ დაიკავდა. იორამი მაშინ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრი იყო.

ხიდაშელი თავიდანვე თვალში მოუვიდა. ასეთი ვაჟკაცი ქარხანაში ცეცხლივით დატრიალდებაო, გაიფიქრა და ფეხზე წამოდგა. მისი ნახატები გადაათვალიერა.

— უკაცრავად. — მოულოდნელად შეაჩერა ლევანი, — თქვენ მარტენის ჯართის პროცესი გქონდათ მოცემული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯართული, — მშვიდად, ეჭვიანად ეკითხა ლევანმა.

— კარგით. განაგრძეთ! — თქვა იორამმა და მარტენის საამქროს გეგმარზე ერთგან წითელი ხაზი გაუსვა.

ლევანმა კარგად დაინახა წითელი ხაზი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ლაპარაკი ისევ აუღელვებლად განაგრძო.

ხიდაშელის ხელმძღვანელი ზურაბ ჯანაშვილი ფეხზე წამოდგა, ნახაზთან მივიდა და იმ ადგილს დახედა, სადაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა წითელი ხაზი გაუსვა. მან თითი ტუჩთან მიიტანა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

აუდიტორია ახმაურდა, ყველა დაიძაბა, მიხვდნენ, ლევანს რაღაც შეცდომა მოუვიდა. ლევანი ისევ მშვიდად იყო, მღელვარება არ ეტყობოდა, ისევ დინჯად და მკაფიოდ ლაპარაკობდა.

როცა საამქროს ეკონომიურ ანგარიშზე გადავიდა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ ლევანს ანიშნა, კმაყოფილებით მერე კომისიის წევრებს გადახედა.

— შეკითხვები ხომ არავის გაქვთ?

— მე მაქვს შეკითხვა! — ფეხზე წამოდგა იორამ რუხაძე.

დარბაზი კიდევ უფრო გაინაბა.

— ამ ახალგაზრდის გეგმარია მარტენის ჯართული პროცესი რუსთავის პირობებში. ესე იგი, ფოლადის დნობა მხოლოდ ჯართისაგან იწარმოება. ქარხანაში ბრძმედები არ იმუშავებს და. აქედან გამომდინარე, მარტენის საამქროს არც თხევადი თუჯი ექნება. თხევად თუჯს ღუმელებში ჩასხმამდე, კარგად მოგეხსენებათ, მიქსერში ასხამენ. თუ პროცესი ჯართულია და თუჯი არა გვაქვს, მაშინ არც მიქსერია საჭირო. ასე არ არის ყმაწვილო?

— დიახ! — დაეთანხმა ხიდაშელი.

— მაშინ მარტენის საამქროს მთლიან გეგმარში მიქსერი რატომ გაქვთ გამოსახული? მაპატიეთ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს საამქროს

გეგმარი საიდანღაც მექანიკურად გაქვთ გადახაზული.

— პირდაპირ არ ვიცი, როგორ მოხდა, — წამოხტა ლევანის ხელმძღვანელი ზურაბ ჯანაშვილი, — ის იმის ბრალია, რომ ხიდაშელი ძალიან გაყოყოჩდა და მთელი დიპლომი ისე იანგარიშა, ჩემთვის არაფერი უჩვენებია, უბრალო რჩევაც კი არ უკითხავს.

— ეს იმის ბრალია, — ხმადაბლა და ოდნავ დამცინავი სიდინჯით დაიწყო ლევანმა, — რომ თქვენს მიერ მოცემული დავალება იყო უაზრობა და მე შევეცადე იგი ცოტა რეალური გამეხადა.

— მე ამას არ მოვითმენ! — წამოხტა ფეხზე ჯანაშვილი.

— დაწყნარდი, ჯერ მოუსმინე! — შეაწყვეტინა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა გორდელაძემ.

აუდიტორია ახმაურდა. ლევანმა შეიცადა, სანამ ხალხი დაწყნარდებოდა. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, წყნარად და აუღელვებლად დაიწყო:

— ჩემი გეგმარი, თქვენ უკვე იცით, იყო მარტენის საამქრო რუსთავის პირობებში, სადაც ღუმელები ჯართული პროცესით იმუშავებდნენ.

ლევანმა თავის ხელმძღვანელს დამცინავი მზერა ესროლა. იგი ზურაბ ჯანაშვილს ვერ იტანდა. ახალგაზრდა მეცნიერი ლევანზე სამი-ოთხი წლით უფროსი თუ იქნებოდა. დისერტაცია ახალი დაცული ჰქონდა და თავი ძველი, ვამოცდილი მეცნიერივით ეჭირა. ბიჭებს ოცი წლით უფროსივით ელაპარაკებოდა. ლევანნ დასცინოდა, „ბატონ ზურაბს“ ეძახდა. ჯანაშვილი დაცინვას ვერ იგებდა და „ბატონობას“ იფერებდა. სტუდენტები სიცილით იგუდებოდნენ.

ხიდაშელმა ხელმძღვანელს ერთხანს კიდევ უყურა და რუსთავის ქარხნის დირექტორისკენ მიბრუნდა, თითქოს მარტო მას ელაპარაკებოდა.

— თუ გავითვალისწინებთ ამიერკავკასიის მძიმე მრეწველობას, და აქედან გამომდინარე — ჯართის რესურსებს, მარტენის ღუმელებს სამი წლიანობიდან გაჩერების სიშშოროვა ეწყებოდა. მე ვიანგარიშე რუსეთიდან შემოტანილი ჯართის ხარჯები. ტონა ფოლადის თვითღირებულება თითქმის ორჯერ გაიზრდება. მოგეხსენებათ, შავი ზღვის სანაპირო საკუთრორტო ზონაა და ჯართის შემოტანა მხოლოდ ბაქოს შორეული გზით უნდა მოხდეს.

ქარხნის ეკონომიური ანგარიშისას ეს გავითვალისწინე და პერსპექტიულ გეგმაში ორი პატარა ბრძმედი და მიქსერიც ვიანგარიშე. ეს საშუალებას მოგვცემდა მარტენის ღუმელების რიცხვი ათამდეც კი გაგვეზარდა. ჩემს პატივცემულ ხელმძღვანელს ერთხელ მაინც რომ გადაეშალა ჩემი დიპლომი, იქ ნახავდა პატარა თავს, სადაც ქარხნის პერსპექტიული ანგარიში მქონდა გაკეთებული.

ასე რომ, პატივცემულო ეორამ, მარტენის საამქროს გეგმარი მე მექანიკურად არ გადამიხაზავს.

შეიძლება თქვენ შემედავოთ, დიპლომი არ არის რეალური და შეიძლება ასეთი პირობითი დავალების ანგარიშიო. არ ვკამათობ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: სადიპლომო დავალებას როდი აქვს მარტო მეცნიერული მხარე. მას მეორე მხარეც გააჩნია. არ ვიცი, ამ მხარეს გნებავთ პედაგოგიური დაარქვით, გნებავთ ფსიქოლოგიური. დიპლომანტი უდიდესი ხალისით მუშაობს, როცა სადიპლომო დავალება ნამდვილია, რეალური და ჰაერში არ არის გამოკიდებული...

— კმარა! — შეაწყვეტინა ღიმილით ქარხნის დირექტორმა და პროფესორ გორდელაძეს ანიშნა, კარგი ბიჭი ყოფილაო.

გორდელაძემ თანხმობის ნიშნად თვალი ჩაუკრა.

ეორამ რუხაძემ ზუსტად აღადგინა სამი წლის წინანდელი ამბავი. არცერთი წვრილმანი დეტალი არ გამორჩენია. იგი ფეხზე წამოდგა, ხიდაშელს ხელი გაუდახვია.

— მახსოვს, ყმაწვილო, ყველაფერი კარგად მახსოვს. ოღონდ მე მეგონა,

რომ ასპირანტურაში შეხვედი და კათედრაზე დარჩი. პროფესორ გორდელაძეს შენი დიდი იმედი ჰქონდა. მახსოვს, დიდხანს მელაპარაკა, ნამდვილი ჰეცნიერი გვეზრდებოო.

— რა ვიცი, მე ქარხანაში მუშაობა ვაჯობინე. კაცი მეტალურგი თუ ხარ, ქარხანაში უნდა იყო.

რუხაძემ გაიცინა და მთავარ ინჟინერს მიუბრუნდა:

— აბა, რა გეგონა, ჩემო მიხეილ, მე და ლევან ხადაშელი ძველი ნაცნობები ვართ.

თავი მეოთხე

1.

ივლისის მიწურული იყო. მინდაძეების ოჯახი გაგრაში გასამგზავრებლად ემზადებოდა. თინათინი ქმარს ყოველდღე ეჩხუბებოდა, მარტო ჩვენ ვიხრჩობით ამ სიცხეშიო, მაგრამ უფრო ადრე გამგზავრება ვერაფრით ვერ მოაბერხეს.

საღამოს მათთან ჩვეულებისამებრ ბევრმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. ოთახები არეულ-დარეული მოჩანდა. ავეჯზე ნაცრისფერი ტილო გადაეფარებინათ: მხოლოდ სასტუმრო დარბაზი გამოიყურებოდა ძველებურად. მაგნატოფონი ჩართეს, რამდენიმე წყვილი საცეკვაოდ წამოდგა. ლევანი ლელასთან და მირანდასთან ერთად კუთხეში მიდგმულ პატარა მაგიდასთან მოკალათებულიყო.

დიდი სუფრა ხილით, კონიაკით და შამპანერით გაეწყოთ. მაგიდას არავინ უჯდა. დროდადრო მოსამსახურე ქალს ავეჯი შემოჰქონდა.

ლევანი ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა და მოცეკვავე წყვილებს მისჩერებოდა. ძოულოდნელად წამოხტა, ერთი ბოთლი შამპანური და სამი ჭიქა აიღო. მერე ისევ თავის სავარძელში ჩაჯდა.

— მე ნუ დამისხამ! — უთხრა ლელამ.

— ვითომ რატომაო? — გაიოცა მირანდამ.

— ცოტას მოვსვამ თუ არა, თავი მტკივნეულობს ხოლმე.

— კარგი ნიშანია! — გაუღიმა ლალმა, გამხდარმა ბიჭმა.

იგი ამ დროს მათ ახლოს ცეკვავდა და ლელას სიტყვებს შემოხვევით მოკრა ყური.

— ძალიან ძველია, ზურიკო! — დასცინა ლელამ.

— ლევან, ვიცეკვოთ! — შესთავაზა მირანდამ.

— მეზარება! — ლევანმა ცივი შამპანური დალია, ჭიქა მაგიდაზე დადგა და სიგარეტს მოუკიდა.

— მეც მომაწოდე! — უთხრა მირანდამ.

— არ გინდა, პლატონი არ შემოვიდეს! — გააფრთხილა ლელამ.

— შემოვა და შემოვიდეს! ჯერ თავის მრეკლს ასწავლოს ჭკუა.

ლევანმა სიგარეტი მიაწოდა და ბენზინის კვესი ისევ ამოიღო.

მირანდამ სიგარეტი გააბოლა. მერე ლევანს ბენზინის კვესი გამოართვა და დახედა.

— სადაურია?

— ამერიკული უნდა იყოს.

— აბა მაჩვენე! — უთხრა ლელამ.

— კარგი ერთი, საქმე არაფერი გაქვთ? — ლევანმა ბენზინის კვესი ჯიბეში ჩაიგდო.

ამ დროს მარინეც გამოჩნდა, იგი ორ ქალაშვილს მოუძღოდა წინ.

— ეს ვინ არის? — ანიშნა ლელამ მირანდას ერთ მათგანზე.

— ნათია ყიფიანი, კონსერვატორიის სტუდენტი გახლავთ.

კონსერვატორიის ხსენებაზე ლევანმა ყიფიანისაკენ გაიხედა. გაიხედა და გაშეშდა. ქალაშვილს თვალი ვეღარ მოსწყვიტა. ნათიას მოქნილი ტანი რაღაც ჰაეროვნების განცდას ბადებდა. ძალზე მსუბუქად მოაბიჯებდა. იისფერი სპორტული პერანგი და ყავისფერი სადა კაბა ეცვა. ისეთი სწორი ქერა თმა ჰქონდა, გეგონებოდა, წყლიდან თავი ახლა ამოუყვიაო. გამოყვანილი, ოდნავ წინ გამო-

წეული ტუჩებიდან ორი ფართო კბილი მოუჩანდა, რაც მის სახეს ოდნავ ბავშვურ ერს აძლევდა. მისმა ფეხებმა და მოქნილმა ტანმა ლევანს რომელიღაც ახალგაზრდა მხატვრის ნახატი მოაგონა. ერობაშად ვერ გაიხსენა იმ მხატვრის გვარი. თუმცა ახლა ამაზე ფიქრისათვის არ ეცალა, ქალაშვილს მონუსხულივით მისჩერებოდა. თითქოს გულიც აუჩქარდა. რაღაც უცნაურმა გრძნობამ აიტაცა. ასეთი რამ არასდროს არ განეცადა.

— ვინ არის ეს გოგო? — იკითხა ლევანმა, თუმცა მისი სახელი და გვარი გონებაში ისე ჩაებეჭდა, ალბათ არასდროს წაიშლებოდა.

— ნათია ყიფიანი! — გაუმეორა მირანდამ და ლევანს ცნობისმოყვარე თვალები მიანათა.

ქალიშვილი ალღოთი მიხვდა, ლევან ხიდაშელი რა დღეშიც იყო.

— პირველი გოგოა, რაც მართალია, მართალია! — ჩაჩურჩულა სხვათაშორის ლევანს.

ნათიას შემოსვლამ რაღაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ვიღაცამ მაგნიტოფონიც კი გამორთო. ბიჭებმა კარტის თამაში შეაჩერეს და ნათიას გასაცნობად წამოიშალნენ. ლევანი არ წამომდგარა, იგი კედლისკენ მიბრუნდა და შამპანურს წრუპავ დაუწყო.

— შენ არ გიიცნობ? — ჰკითხა ორაზროვნად მირანდამ.

— რა მეჩქარება, დავიცდი, ჩემი რიგიც მოვა, — უდარღელად უპასუხა ლევანმა და ჭიქა ხელახლა შეავსო.

ვიღაცამ მაგნიტოფონი ისევ ჩართო. ერთმა ბიჭმა კარტი მაგიდაზე დაყარა და ნათია საცეკვაოდ გაიწვია.

— ლევან, შენ მგონი, რაღაცას ჭყეებოდი... — ორაზროვნად ჰკითხა ლელამ.

ლევანს მანაც შეამჩნია მოღალვრება. თუმცა ჭაბუკი ნათიასკენ არ იხედებოდა, ვითომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

— არაფერს არ ვყვებოდი! — გაბრაზდა ლევანი და პირში ისევ სიგარეტი გაიჩარა.

— ყმაწვილო, ზედიზედ ეწევი, ტუნ უკვე ღლავ! — გაიღიმა მირანდამ.

ლევანმა ზიზღით შეხედა. მოეჩვენა, ქალიშვილი გველივით იღიმებოდა, თუმცა უმალვე გაახსენდა, რომ გველები არ იღიმებიან.

მირანდა და ლელა მარინეს ყველაზე უახლოესი მეგობრები იყვნენ, მაგრამ მისი ყველაფერი შურდათ. საქმე საქმეზე რომ მომდგარიყო, არ დაინდობდნენ. იმავე წუთში გაჰყიდიდნენ. მათ შურდათ მარინეს შესახედაობაც და სიმდიდრეც. შურდათ, რომ მარინეს თაყვანისმცემლები ბუზებივით ეხვეოდნენ და ხიდაშელიც ხფანგში ჰყავდა გაბმული.

მირანდამ შეატყო, ლევანს თვალები როგორ აემღვრა, დამცინავი ღიმილი მოიშორა, ვაქისკენ დაიხარა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ნუ ბრაზობ, შეერიგდეთ, ისე იცოდე, მე ახლოს ვიცნობ.

ლევანმა წარბი ასწია და მირანდას კითხვის ნიშნით შეხედა.

— ოღონდ იჩქარე, ხომ ხედავ, ბიჭები ფუტკრებივით ეხვევიან.

ლევანმა ხმა არ ამოიღო. ნაფაზი ერთხელ კიდევ დაარტყა და სიგარეტი საფერფლეში ნერვიულად მოსრისა.

ნათიასთან ცეკვაზე მართლაც რიგი იყო. ლევანმა გაიფიქრა, დროა საცეკვაოდ მეც გავიწვიოო. იგი ტანზოს დაელოდა. ტანგოს რიტმზე უფრო ადვილად შეიძლებოდა ცეკვის დროს საუბარი.

ნათიას თავდაპირველად ლევანი არც კი შეუმჩნევია. იგი მხოლოდ ცეკვის დროს დაინახა, როცა გვერდით ჩაუარა. ქალიშვილს გაახსენდა, რომ ეს ვაჟი მის გასაცნობად არ წამომდგარა. იგი ისე იქცეოდა, თითქოს ნათია საერთოდ არ დაენახოს. ამიტომ უფრო გაუკვირდა. როცა ლევანმა მოულოდნელად საცეკვაოდ გაიწვია. ქალიშვილმა იგრძნო ვაჟის ღონიერი ტალღა. მარჯვენა ხელი ლევანის დაკუნთულ მხარზე ისე ედო. თითქოს თითის დაკარება ეშინიაო. ლევანი ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა. ნელნელა იბოღმებოდა, რა ენა ჩამივარდაო.

ნათია იღიმებოდა ღა ცეკვავდა. ლევანს თითქოს ბუჭში ეჭირა ქალიშვილის მოქნილი ტანი.

მარინეს არ მოეწონა. ლევანი რომ ასე ატაცებული დაინახა. თემურ გვრიტაშვილთან მივიდა და სთხოვა მაცეკვეო. ისიც გაჰყვა. მარინე ცეკვავდა, თვალი კი ხიდაშელისკენ გაურბოდა. თემური ვერ ამჩნევდა, ქალიშვილის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა. თვალები სანახევროდ მოეხუჭა და მელოდიას უსიტყვოდ ხმას აყოლებდა.

— რა შესანშნავად ცეკვავთ! — ამოიღო ბოლოს ხმა ლევანმა.

— ეგ დღეს უკვე ხუთჯერ მოვისმინე! — ისე თქვა ნათიამ, თითქოს რაღაც ეტკინაო. — ყველა ბიჭი დიალოგს ამ სიტყვებით რატომ იწყებს?

ლევანი გაფითრდა.

— მე მეექვსე ბიჭი არა ვარ, მე ვარ ლევან ხიდაშელი და ვთქვი ის, რაც ვიგრძენი.

— ცუდად არ გამიგოთ! — შეწუხდა ნათია.

ლევანს ხმა აღარ ამოუღია, როგორც კი მელოდია დამთავრდა, ნათია საკარძლამდე მიაცილა. თვითონ ქალიშვილებთან დაბრუნდა.

— აკი ცეკვა არ გინდოდა? — უკბინა მირანდამ.

— გააჩნია ვისთან!

— აბა, აბა, შენ თავს გაგვიდა!

— მოიცა, ენა ნუ წაგიძრეკია. შენ ის მითხარი, თუ შეგიძლია საქმე ისე დაატრიალო, რომ ნათია მე გავაცილო?

— მაგაზე ადვილი რაა? — გაიცინა მირანდამ.

იგი დინჯად წამოდგა, ჯერ ვიღაცას დაელაპარაკა, თითქოს ნათიასთან მისვლას არც აპირებდა. მერე ნათიას საკარძლის გვერდით ჩამოჯდა. ნათია ამ დროს გვრიტაშვილთან ცეკვავდა. იგი აღარ იღიმებოდა. ხასიათი გაფუჭდა. გული ეტკინა, უნებურად უცნობი ბიჭი რომ გაანაწყენა. ლევანი ზურგშექცევით იჯდა. ნათიასკენ ერთხელაც აღარ გაუხედავს.

ცეკვა დამთავრდა. ლევანმა თავი გააპარა და დაინახა, მირანდა უკვე ნათიას ელაპარაკებოდა.

ნათიას გუნება აღარ გამოუკეთდა. ცოტა ხანს კიდევ იცეკვა, მერე მოიბოდიშა და წასვლა გადაწყვიტა.

— ლევანიც მიდის, მანქანითაა! — უთხრა მირანდამ. — ლევან!

ლევანი მირანდასკენ მტრიალდა.

— მოდი აქ ერთ წუთს!

ლევანი ზლაზვნით წამოდგა.

— ნათიაც შინ მიდის, ბარემ წაიყვანე.

— დიდი სიამოვნებით.

— მიდიხართ? — ჰკითხა ქალიშვილს მარინემ ნაძალადევი ღიმილით.

იგი სწორედ ამ დროს მივიდა მათთან. არ ეიამოვნა, ლევანი ნათიას გვერდით რომ დაინახა.

— დიახ, ძალიან მეჩქარება.

მარინე აღარ შეპატიჟება. უკვე ნანობდა, რა ღმერთი გამიწყრა და ნათია ყიფიანი მოვიპატიჟეო. ხიდაშელი ნათიას სხვებივით თავს არ დასტრიალებდა, მაგრამ აღარც მარინე გახსენებია. ქალიშვილი შინაგანმა გრძნობამ მიახვედრა, ლევანის გულში რაღაც ხდებოდა.

— შენც მიდიხარ? — ჰკითხა გაოცებულმა ლევანს.

— მე ერთი კაცი მყავს სანახავი, აუცილებლად უნდა შევხვედე.

— ხომ იცი, ლევან, მე ხვალ გაგრაში მივდივარ, შენ პირველ ცვლაში იქნები და ვერ გამაცილებ!

ეს ფრაზა ნათიასათვის იყო გამიზნული. თითქოს მარინე აფრთხილებდა. ხომ ხედავ, ჩვენ უკვე რა დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთშიო.

ლევანი ისე იყო ატაცებული, მარინეს ორაზროვან სიტყვას ვერ მიხვდა.

— ერთ საათში მოვბრუნდები, უკიდურეს შემთხვევაში საათნახევარში! — სწრაფად თქვა ლევანმა.

უნდოდა, მარინე თავიდან მალე მოეშორებინა. ერთი სული ჰქონდა, ნათიასთან მარტო როდის დარჩებოდა.

სწორ ქუჩაზე გავიდნენ თუ არა, ლევანმა რადიომიმღები ჩართო. სავიოლინო კონცერტს გადმოსცემდნენ.

— მენდელსონი! — თქვა ნათიამ.

მანქანა ტროლეიბუსის ხაზზე მიდიოდა და რადიომ ხრიალი დაიწყო.

— რატომ ხრიალებს? — შეწუხდა ნათია.

ლევანმა ვიწრო, წყნარ ქუჩაზე გადაუხვია. ხრიალი შეწყდა.

— თქვენ სად ცხოვრობთ? — ჰკითხა ლევანმა.

— ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე. თქვენ, ალბათ, იქით არ მიდიოდით, არა?

— რა მოხდა მერე!

ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე გავიდნენ. ლევანმა თვალი ნათიასკენ კაპარა. ქალიშვილი მუსიკით ისე იყო გართული, ვაჟის გამოხედვა არ შეუმჩნევია. ლევანმა მანქანა შეაბრუნა და წყნეთის მხარეს აუყვა. ნათიას არც გაუკვირა, მანქანამ მხარი როდის იცვალა. იგი ახლოლოდ მაშინ გამოერკვა, სასაფლაოს რომ გასცდნენ.

— აქეთ სად მივდივართ?

— მუსიკას ისე უსმენდით, არ მინდოდა თქვენი მყუდროება დამერღვია. ქვეყნოთ ხომ ტროლეიბუსის ხაზებია, რადიო ისევ ხრიალს დაიწყებდა.

ნათიას გაეცინა.

— მოვაბრუნო? — ჰკითხა ლევანმა.

— რატომ? ბარემ ბოლოამდე მოვისმინოთ, ოღონდ ძალიან შორს ნუ წავალთ. — უთხრა ნათიამ.

ქალიშვილს მობრუნება ერჩია, მაგრამ ფიქრობდა, ლევანს არ ეგონოს, შეეშინდაო.

გადმოცემა დამთავრდა. ლევანმა რადიო გამოთიშა და მანქანა შემოაბრუნა.

— გიყვართ მენდელსონი? — ჰკითხა ნათიამ.

— ძალიან, თუმცა ამ ბოლო დროს მუსიკისთვის აღარ მცალია.

— თქვენ ინჟინერი ხართ, არა?

— დიახ, ინჟინერ-მეტალურგი.

— იმ წუთში მივხვდი.

— როგორ?

— არ ვიცი როგორ, მაგრამ შეგხვდეთ თუ არა, მივხვდი.

„ესე იგი, ჩემზე უფიქრია“, — ფიქრობდა გულში ხიდაშელს.

— თქვენ ჩემზე ნაწყენი ხართ?

— ისე, ცოტათი! — გაიღიმა ლევანმა.

— ძალიან გთხოვთ, მაგაზე ნულარ იფიქრებთ.

— მაგ თხოვნას აუცილებლად შეგისრულებთ. ახლა საით წავიდე?

— ჯერ პირდაპირ, რიგის ქუჩაზე მარჯვნივ აუხვიეთ ფალიაშვილის ქუჩამდე და იქვე კუთხეში გააჩერეთ.

— ბატონი ბრძანდებით.

— ძალიან დაგაგვიანეთ, არა?

— როგორ გეკადრებათ.

— მეშინია მარინეს არ ეწყინოს. თქვენ ხომ დაპირდით, ერთ საათში მოვალო. — ორაზროვნად უთხრა ნათიამ.

ლევანი ფიცხლად მოტრიალდა. ახლა გაახსენდა მარინეს სიტყვები და მიხვდა, მინდაძის ქალიშვილმა სადაც დაუმიზნა. საფეთქლებზე სისხლი მოაწვა. მაგრამ მღელვარება დაიოკა და სხვათა შორის თქვა:

— კიდევ კარგი, რომ გამახსენეთ, მე, ალბათ, დამავიწყდებოდა.

— მიცემული სიტყვა არ უნდა დაგავიწყდეთ! — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად თქვა ნათიამ. — უკვე მოვედით.

ლევანმა მანქანა გააჩერა. ნათია დაემშვიდობა. ლევანი ერთ ხანს კიდევ იდგა. გული შეეკუმშა. ნათიასთან გატარებულმა ნახევარმა საათმა ააფორიაქა. თავის ცხოვრებაში პირველად შეიპყრო სოცარმა გრძნობამ, რომლის მსგავსი მანამდე არაფერი განეცადა.

საათს დახედა. ათი სრულდებოდა. მოდი, მარინესთან მიგბრუნდებიო, — ერთი კი ვიგლეო გუნებაში, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა: ახლა არ იყო მინდაძეების ხასიათზე. ამ დაუვიწყარი ნახევარი საათის შემდეგ არაფრად ეპიტნავებოდა მინდაძეებისა და მისი სტუმრების ლაყბობის მოსმენა. არც ეპიტნავებოდა და... ალბათ, ნათიასაც ეწყინებაო, — გაიფიქრა უნებურად.

მარინე თორმეტ საათამდე ელოდებო-

და ლევანს. სტუმრები ნელ-ნელა დაიშალნენ. ყველაზე ბოლოს მირანდა და ელა გამოეშვიდობნენ. მარინემ მეგობრები უხალისოდ გააცილა. მირანდამ ელას თვალი ჩაუყარა. მარინე კი იმჩნევდა, თორემ ტირილი უნდოდა.

2.

ლევანმა კიბე ნელა აიარა. თავისი ბინის კართან შეჩერდა და ჯიბეში გასაღებს დაუწყო ძებნა. როგორც იქნა, იპოვა. ის იყო საკეტში გაუყარა, რომ მოპირდაპირე კარმა გაიჭრიალა და სიმონ ყანჩაველის ჭაღარაშეპარული თავი გამოჩნდა.

— აა, ჩემს ლევანს გაუმარჯოს! ბიჭო, ორი კვირის წინ ჩამოსულხარ და იმის ღირსი არ ვიყავი, ერთხელ ჩემს კარზე მოგეკაკუნებინა?

სიმონი ლევანს გადაეხვია და მხარზე ხელი მოუთათუნა. დალეული და ჩამოშვებარი სიმონი ლევანს მხრებამდეც ვერ სწვდებოდა. თავი სასაცილოდ აეწია ძაღლა და ქვემოდან შესჩერებოდა.

— როგორ დავაკაკაცებულხარ, დადინჯებულხარ... შემოდი ჩვენთან, გვინახულე, გვიამბე სად იყავი, რას აკეთებდი...

„ეს მინდოდა ახლა?!“ — გაიფიქრა გამწარებულმა ლევანმა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა — ღმერთი ახსენა და სიმონს შინ შეჰყვა.

იზა სავარძელში იჯდა. სტუმრის დანახვაზე ფეხზე წამოდგა და ნაზად გაიღიმა.

სიმონმა ლევანი ცოლს წარუდგინა.

— ლევან ხიდაშელი, ჩვენი მეზობელი და შესანიშნავი ახალგაზრდა! — მერე ლევანს მოუბრუნდა, — ეს ქალბატონი ჩემი მეუღლე გახლავთ.

— ჩვენ უკვე ვიცნობთ...

— იცნობთ? — წარბი შეიკრა სიმონმა.

— მე უკვე ვიცოდი, რომ ეს ქალბატონი თქვენი მეუღლე გახლდათ. მომილოცავს გამგდნიერება, ბატონო სიმონ. — არ დაიბნა ლევანი და იზას ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, შეცდომა ხომ კარგად გამოვასწორეო. მერე იზას ხელი მოკიძალებით ჩამოართვა...

— დაბრძანდით! — იზამ სკამი შესთავაზა.

ლევანი სკამზე ჩამოჯდა, ფეხ-ფეხ-ლობდა წარმოუდგინა, ყოველდღე რა ოჯახური სცენები ტრიალებდა ყანჩაველებთან.

— როგორ დავაკაკაცებულხარ, — აღტაცებას ვეღარ მალავდა სიმონი და ჭაბუკს მხარზე ხელს უტყაპუნებდა.

— იზა, — მიუბრუნდა ცოლს, — ლევანი ჩემს ხელშია გაზრდილი, ამხელა მახსოვს, ა, ამხელა! — სიმონმა ხელებით მოზომა, რამოდენა ახსოვდა ლევანი, — ეჰ, როგორ გარბის დრო!

ლევანს მეზობლის ლაპარაკი აღიზიანებდა და სულ იმის ბოლოდინში იყო. კარტოფილის გაძვირებაზე ან ახლა დამიწყებს ლაპარაკს და ან ახლაო.

— თქვენ როგორ ბრძანდებით, ბატონო სიმონ, როგორ მიდის თქვენი საქმეები? — ზრდილობისათვის ჰკითხა ლევანმა და იმავე წუთში მიხვდა, რა გამოუსწორებელი შეცდომა მოუვიდა.

— ეჰ, ძალიან ცუდად, ჩემო ლევან. ძალიან ცუდად! — ამოიხვნეშა სიმონმა. — ყველაფერს ფასი დაეკარგა. ვინც კი ორი თითით როიალზე დაკვრა ისწავლა, ყველა ფილარმონიაში მუშაობს. აღარავითარი კულტურა, აღარავითარი დისციპლინა! ლოთობენენ და მაიმუნობენ. რაიონებში სცენაზე პირდაპირ მთვრალები გამოდიან. აღარაფერს აღარ დაგიდევენ. კაცაშვილი პატრონი არ არის...

„ახია ჩემზე, რა მრჯიდა, რა ენა მისწრებდა წინ“, — ფიქრობდა ლევანი.

იზა ჩუმად იჯდა. საუბარში არ ერეოდა. ისევ ფულმოღეღილი კაბა ეცვა. ჯიშიანი მკერდი მოუჩანდა. სიმონი თავის ფასაჯირს ჰყვებოდა. შენიშნა, ლევანი უყურადღებოდ უსმენდა. მის მზერას თვალი გააყოლა და იზას მოშიშვლებულ მკერდს წააწყდა.

— დიახ! — მოულოდნელად თქვა მან და ლაპარაკი შეწყვიტა, მეორე ოთახში გავიდა და ცოლს დაუძახა:

— იზა, ერთ წუთს აქეთ გამოდი!

იზა წამოდგა, ლევანს ისე გადახედა.

თითქოს უთხრა — ვაი ჩემი ბრალი აბ ქაცის ხელშიო.

სიმონნ მალე გამობრუნდა. იზას ცოტა შეაგვიანდა. მოწყვეტილი შემოვიდა, თითქოს ფერიც დაკარგვოდა. მოღეღილი მკერდი აღარ მოუჩანდა, ტანზე დახურული ხალათი გადაეცვა.

ლევანი მიხვდა, მეორე ოთახში რაც მოხდა. ცოლ-ქმრის ნაზი დიალოგიც კი წარმოიდგინა, გაეღიმა და ფეხზე წამოდგა.

— ბატონო სიმონ, ახლა ძალიან დაღლილი ვარ, ხვალ უთენია უნდა ავდგე, სხვა დროს შემოგვიღით.

— სანამ თქვენები არ ჩამოსულან, შემოიარე ხოლმე, ერთად ვივახშმოთ.

— გმადლობთ. ბატონო სიმონ, მაპატიეთ, გაბედნიერება რომ ხელკარიელმა მოგილოცეთ.

იზა ლევანს დაცინვას მიუხვდა და ლოყები აეტაცა.

— კიდევ კარგი, იოლად გადავრჩი! — ხმამაღლა წამოიძახა ლევანმა, როცა კარი შეიკეტა და თავი სამშვიდობოს იგრძნო.

დივანზე წამოწოლას აპირებდა. უნებურად სარკეში თავის თავს მოჰკრა თვალი. ახლოს მივიდა, დააკვირდა. თმები შეისწორა. მკერდი გამოზნექა, მკლავებიც მოჭიმა, საკუთარი თავი მოეწონა, კმაყოფილი ღიმინზე გულადმა წამოწვა და თვალები ჭერს მიაპყრო.

ახლა იგი მარტო იყო, სულ მარტო. შეეძლო, რამდენიც უნდოდა, იმდენი ეოცნება. ღიმინზე მოუსვენრად ტრიალებდა. ბოლოს გაიხადა და ჩაწვა.

ძილი მაინც არ მოეკიდა, თვალწინ სულ ნათია ედგა.

ტელეფონმა დარეკა.

„ალბათ თენგიზი იქნება, ახლა მაგის ლაპარაკის თავი არა მაქვს“, — გაიფიქრა ლევანმა.

ტელეფონი ერთხანს გაჩერდა. მერე ისევ დაიწყო წკრიალი.

გაბრაზებული ლევანი წამოდგა და ტელეფონს საბანი გადაიფარა. ზარის წკარუნი ძლივსღა ისმოდა.

„ნუთუ მიყვარს? — ეკითხებოდა ლევანი თავის თავს. — მერე, ასე ეფორბაშად? ასე ერთი ნახვით?“.

რა არ სცადა, რომ ნათიაზე ფიქრი თავიდან ამოეგდო. არაფერი არ გამოუვიდა... გამთენიისას ძლივს ჩაეძინა.

თავი მეხუთე

1.

ღამით რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ფერადი ნათურებით გაჩირაღდნებული უზარმაზარი პარკი ფეგონებათ. ბრძმედები და ცათამწვდომი მილები საახალწლოდ მორთულ ნაძვისხეს წაგავს.

მეტალურგიულ ქარხანაში ერთი წუთითაც არ კვდება სიცოცხლე. ბრძმედი და მარტენი რაკი ამუშავდება, მისი გაჩერება აღარ შეიძლება. მეტალურგიამ არ იცის უქმე დღე, ახალი წელი და დღესასწაული. განუწყვეტლივ მოდიან ეშელონები, მოაქვთ მადანი, ჯართი, ქვანახშირი, კირქვა, ფეროშენაღნობი, ცეცხლგამძლე მასალები, დოლომიტი, ალუმინი; მიაქვთ მილები, ფოლადის ფურცლები, ნაგლინი.

ამ უზარმაზარ ქარხანაში ვინ დათვლის, რამდენი პროფესიის ხალხი მუშაობს. ყველამ თავისი საქმე იცის, ყველა თავის უბანზე იბრძვის. ელექტროკოსს არ ეევლება თუჯის დნობის საიდუმლოება იცოდეს. არც მექანიკოსები არიან ვალდებულნი მარტენის საამქროს ტექნოლოგიაში ერკვეოდნენ.

მთავარმა ინჟინერმა კი ყველაფერი უნდა იცოდეს, — ამ უზარმაზარ ქარხანაში მისთვის უცნობი კუნჭული არ უნდა არსებობდეს. მთავარი ინჟინერისათვის არც სამუშაო საათები ზუსტად განსაზღვრული. ვინ იცის, როდის აწკრიალდება ტელეფონი, როდის გამოიძახებენ ქარხანაში, — ყაჩაღივით, ცხენი სულ შეკაზმული უნდა ჰყავდეს.

მიხეილ გიორგაძე მებრძმედე იყო. სანამ მთავარი ინჟინერი გახდებოდა, თორმეტი წელი საბრძმედე საამქროში გაატარა. ახლა ყველა საამქროს მისი თვალი და გული სჭირდებოდა. ყვე-

ლა დანადგარს თავს დასტრიალებდა. ბრძმედი მაინც განსაკუთრებულად უყვარდა. ყველაზე უფრო მაშინ გაცხარდებოდა ხოლმე, ავარია რომ საბრძმედე საამქროში მოხდებოდა.

იმ დღეს დილიდანვე ვერ იყო კარგ ხასიათზე, გული აწუხებდა. საღამოს გრილი აბანაო მიიღო და დასაძინებლად ადრე დაწვა.

„მოვიღალე, — გამოუტყდა საკუთარ თავს მთავარი ინჟინერი, — ბევრი ბევრი, კიდევ სამი წელი შეკძლო მუშაობა და, ვაი, ჩემი ბრალი მერე!“

მალე ჩაეძინა.

შუაღამისას ტელეფონი აწკრიალდა. მიხეილ გიორგაძე კურდღლივით ძილს იყო მიჩვეული, თვალები იმ წუთში დაჭყიტა. მაინც ცოლმა დაასწრო. ყურმილი უკვე ელენეს ეჭირა ხელში.

— იქნებ უკმისოდ გახვიდეთ იოლად, ძალიან სუსტად იყო დღეს, გულს უჩიოდა.

მიხეილი მეუღლის ზედმეტ ყურადღებას ვერ იტანდა. მკაცრ ცხოვრებას მიჩვეული კაცისათვის სინაზე უცხო ხილი იყო. ორიოდე წლის წინათ ცოლი ამას ვერც გაუბედავდა. ახლა მოტყდა და ელენეც შფოთავდა. მისი დარდი არ ასვენებდა. მიხეილს არ უნდოდა ყოველ წუთს გახსენებოდა, რომ მის ძოუსვენარ, ენერგიით აღსავსე ორგანიზმს სიბერემ დარია ხელი.

— რას მიდ-მოვდები, ქალო, — წამოხტა მიხეილი, ცოლს ყურმილი გამოგლიჯა და რიხიანად ჩასძახა, — გიორგაძე გისმენთ!

ელენე ქმრის გამომტყველებას შეშფოთებული აკვირდებოდა. მთავარ ინჟინერს სიბრაზისაგან სახე დაღრიჯა, ყურმილი ბერკეტზე დაახეთქა და ჩაცმას შეუდგა.

ავარია სწორედ საბრძმედე საამქროში მომხდარიყო, პირველ ბრძმედზე. მანქანა კარგა ხანია ქვემოთ ელოდა. მიხეილს ერთი სული ჰქონდა, სანამ იქამდე მიაღწევდა.

ბრძმედში ძალზე გადიდებული წნეა. მადნის, აგლომერატისა და განძაგ-ველების ჩატვირთვა კი განუწყვეტლივ მიმდინარეობს. კაზის ჩატვირთვა ... ტარა ვაგონეტებით ხდება. ამ ვაგონეტებს სკიპებს ეძახიან, ყოველი სკიპის ჩაცლის დროს ბრძმედს თავი უნდა მოეხადოს. ბრძმედში მაღალი წნევა და ტემპერატურა რომ შეინარჩუნონ, ზედა, ვიწრო ნაწილში ორ უზარმაზარ ლითონის ძაბრს აყენებენ. სკიპიდან მასალა პირველად ზედა ძაბრში ცვივა, შემდეგ ზედა ძაბრი დაიწევს დაბლა, ბრძმედს გაფართოებული ნაწილისაკენ, და თავისუფალი ღრიჭოებიდან მასალა მეორე ძაბრში ჩაიყრება. როგორც კი ზედა ძაბრი დაიცლება, იგი კვლავ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდება და ბრძმედი ჰერმეტულად იკეტება. ამის შემდეგ ქვედა დიდი ძაბრიც ავტომატურად დაიწევს უფრო ქვემოთ. — გაფართოებული ნაწილისაკენ და კაზმი ბრძმედში ჩაიყრება. ბრძმედში არც წნევა ეცვლა და არც ტემპერატურა. ავარიაც სწორედ აქ მოხდა: ქვედა ძაბრსა და კედელს შუა უზარმაზარი კირქვის ნატეხი გაიჭედა. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ლოდს ძვრაც ვეღარ უყვეს.

— თვალები სად ჰქონდათ! — ყვიროდა მთავარი ინჟინერი, — კირქვა რატომ არ შეამოწმეს. კაზს ვინ გაატანა ამოდენა ლოდი, ვინ!

მიხეილ გიორგაძე საამქროში დაცოფებული შეეკარა, მაგრამ იქ არავინ დახვდა. ყველამ კარგად იცოდა მთავარი ინჟინრის ფიცხი ხასიათი. მთელს სიბრაზეს პირველსავე შემხვდურზე გადმოანთხევდა. მუშები საკერძეზე ავიდნენ და იქ მიმიალნენ. ზოგიერთებმა ჯიხურს შეაფარეს თავი.

ბრძმედი თხუთმეტსართულიანი სახლის სიმაღლეა. საკერძეზე მუშები ლიფტით ადიან. თანაც აირწინაღებს იკეთებენ, რადგან ბრძმედიდან მომწაფველი გაზი ამოდის.

მიხეილის გულის პატრონს მაღლა ასვლაზე არც უნდა ეფიქრა. საამქროს უფროსი, ცვლის უფროსი და მათი

მოადგილეები უკვე მაღლა იყვნენ, დაბლა არ ჩამოდიოდნენ. იცოდნენ, მთავარი ინჟინერი იქ ვერ ავიდოდა. ისედაც გამწარებულებს ახლა მასთან ჩხუბის თავი აღარა ჰქონდათ.

გიორგაძე დაბლა, საამქროში მშიერი მგელივით დარბოდა, ყვიროდა, ილანძღებოდა. ერთხანს ასე იწრიალა, უცებ ჯიხურში მუშებს მოჰკარა თვალი.

— რას მემალებით? სად არის ზურაბ მინდელი, სად არის მეთქი! — მიეჭრა იგი მუშებს, — მოგზსნით, დაგანიავებთ! ერთ კაცს არ დავტოვებ ამ საამქროში!

— საკერძეზეა, უფროსო!

— შენ ვისი ცვლა ხარ?

— ჯუმბერ მგელაძისა!

— ისიც მაღლა ბრძანდება?

— დიახ, უფროსო.

— რა შვილია, დაბლა დამხვდებოდ! აბრძანდი ახლავე და ორთავეს უთხარი, დაბლა ჩამოვიდნენ.

„იოლად გადავრჩი“, — გაეხარდა მუშას და სულმოთქმულად გავარდა.

ბრძმედში წნევა უკვე დაცემული იყო. ტემპერატურა რვაას გრადუსზე ჩამოეყვანათ. ტემპერატურის მეტი შემცირება აღარ შეიძლებოდა, — გადახურებული ცეცხლგამძლე აგური დასკდებოდა.

გიორგაძე ხელსაწყოების ჯიხურში სკამზე ჩამოჯდა. მეორე მუშას უთხრა, წყალი მომიტანეო.

ახალგაზრდა ბიჭმა ერთ წუთში მოურბენინა გაზიანი წყალი.

მიხეილმა წყალი მოსვა და ჭიქა არმატურის თაროზე შედგა.

— მემალებიან შენი უფროსები, არა? არაფერი უშველით, დედას ვუტირებ ორთავეს...

მუშა მაღლა ავიდა და საამქროს უფროსს უთხრა, გიორგაძე დაბლა გიბარებსო.

ზურაბ მინდელი იოლად არ წამოეგებოდა ანკესზე.

— ხომ ხედავ, საქმეს ვაკეთებ?

მუშამ ერთხანს კიდევ იწრიალა, მინდელს ვედარაფერი შებედა და გამობრუნდა.

— არ ჩამობრძანდა, ხომ? — შორიდან მოაძახა მთავარმა ინჟინერმა.

— შვილია, დაბლა ჩამოვიდეს! სულ მაღლა ხომ არ იქნება. ჩამოვა და გამოვუყვან წრიას.

მიხეილმა წყალი კიდევ მოსვა.

— ქვა დიდია?

— დიდია, ხუთ კილოგრამამდე იქნება.

— ახლა რას აკეთებენ?

— ზედა ძაბრი უკვე მოხსნეს.

— შემდეგღელები მოვიდნენ?

— მაღლა არიან.

— აირწინალები თუ აქვს ყველას?

— მინდელს და ცვლის უფროსს არა აქვთ მხოლოდ.

— მაგათზე ახია, თუ მოიწამლებიან. ასეთი ავარია გაგიგონია? არა, ეკითხები მე შენ, ასეთი ავარია გაგიგონია-მეთქი? ძაბრში კირქვა გაჯეუჭდეს, სირცხვილით თავი სადღა გამოგვეყოფა!

მიხეილი ფეხზე წამოხტა. უცებ მკერდში ყრუ ტკივილი იგრძნო, ხელი გულზე მიიდო, ისევ დაჯდა, წყალი მოსვა და გაბრაზებულმა გადააფურთხა.

— ასე მალე რამ გაგათბო, შე ოხერო!

მუშა ჭიქას ეცა, ახალი წყალი მოუტანა.

მთავარმა ინჟინერმა წყალი დალია და მუშას მიუბრუნდა:

— შენი სახელი?

— ლადო!

— ლადო, აბა, ახლა ადი მაღლა და მინდელს უთხარი, თუ ძაბრის ამოღება არ ხერხდება, შემოჭრან და ბრძმედში ჩააგდონ, ოღონდ სანამ ბრძმედში წყლის ორთქლს გაუშვებენ, აირწინალები გაიკეთონ, აირწინალები არც მერე მოიხსნან. გასაგებია?

— გასაგებია, უფროსო.

მინდელს დანა ბელს არ უხსნიდა. მაგრამ მთავარი ინჟინრის დანაბარები რომ მოისმინა, გაელიმა. აირწინალი კი მაინც არ გაიკეთა.

მიხეილი ისევ ჯიხურში იჯდა. დროდადრო თითო ყლუპ გაზიან წყალს მო-

სვამდა და საქმეს ქვემოდან ხელმძღვანელობდა.

ბრძოლაში წყლის ორთქლი გაუშვეს და მომზადებული ნახშირაბგი უნებელ ნახშირორჟანგში გადაიყვანეს. მოწამვლის საშიშროება აღარ იყო, მაგრამ ბრძოლის თავზე უაირწინაღოდ მუშაობა მაინც არ შეიძლებოდა.

საკერძეზე ორთქლის ისეთი ბოლქვები ამოდიოდა, ბრძოლის ყელში რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო. შემდეგ ბლებს თოკს აბამდნენ და ძაბრისაკენ რიგრიგობით უშვებდნენ. მათ დენზე შეერთებული გრაფიტის ღერი ეჭირათ ხელში. როგორც კი ძაბრზე დაეშვებოდნენ, გრაფიტის ღერი რკინამდე ინტუიციით მიჰქონდათ. ვოლტას რკალი შეიკვრებოდა თუ არა, კაშკაშა ალი ავარდებოდა და შემდეგ ბლებში მაშინღა არჩევდნენ ლითონის ჩამოქცეულ კონტურებს. ისინი დაკვირვებით მუშაობდნენ, ლითონის ძაბრს ფრთხილად ჭრიდნენ.

ლითონი ძალიან ნელა, მაგრამ მაინც იჭრებოდა. თითოეული მუშა ორ-სამ სანტიმეტრს თუ შემოჭრიდა, მერე მაღლა ამოჰყავდათ და მას სხვა ეწაცვლებოდა.

ასე გათენდა. ცვლა შეიცვალა. თუმცა ზურაბ მინდელი და ჯუმბერ მგელაძე ისევ ფეხმოუცვლელად იდგნენ საკერძეზე. მათ ახალი ცვლის უფროსი ანზორ გიგინეიშვილი მიემატა.

გიორგაძე ისევ ჯიხურში იჯდა, წასვლას არც ფიქრობდა. დროდადრო მასთან ოსტატი ჩამოდიოდა და საქმის ვითარებას აცნობდა. მთავარი ინჟინერი მოკლე განკარგულებებს იძლეოდა. ერთხანს ფეხზე წამოდგა, მაგრამ მუხლებში სისუსტე იგრძნო და ისევ დაჯდა. წუხანდელმა უძილობამ კიდევ უფრო მოთენთა. უძილობას კაცი კიდევ გაუძლებდა, მაგრამ ნერვიულობამ სულ მოუთავა ხელი.

— აბა, ჩემს ბიჭს დამიძახე! — მიუბრუნდა ვიღაცას მინელილი.

„ჩემს ბიჭს“ გიორგაძე თავის შოფერს ეძახდა.

— გრიშა! — შორიდან დაუძახა მინელილმა ქოშინით მომავალ შოფერს. ჩემსას წადი და საქმელი მოამზადე.

გრიშამ სულელური, პური და თერმოსით ჩაი მოიტანა. ეს იყო მთავარი ინჟინრის საუზმე.

ვიღაცამ სკამი მიაწოდა. გრიშამ ყველაფერი სკამზე დააწყო და სარავით დაერჭო.

— წადი, აღარ მჭირდები!

— როდის მოვიდე?

— აბა მე რა ვიცი, მინდელის ბიჭს ჰკითხე! — გაჯავრდა მიხეილი.

გრიშა წავიდა. მიხეილმა თერმოსიდან ჩაი ჩამოასხა და წრუპავა დაუწყო.

— არ მიდის? — ჰკითხა მინდელმა დაბრუნებულ ოსტატს.

— რას წავა, შოფერმა საუზმე მოუტანა.

— არ წავა და ნუ წავა. მიცადოს. სანამ არ მოსწყვინდება.

მეორე ღამეს, გამთენიისას ძაბრი ძლივს შემოჭრეს და ახალიც დააყენეს.

საამქროს უფროსმა წნევის მომატება ბრძანა. სკიპებმა მუშაობა დაიწყეს და ბრძოლში ტემპერატურამაც იმატა.

ზურაბმა შვებით ამოისუნთქა და ცვლის უფროსს ხელი გაუწოდა. მეორე ღამე იყო, არცერთი დაბლა არ ჩამოსულა. ამ ორი ღამის განმავლობაში ორი ლუკმაც კი არ შეუჭამიათ. საქმელისათვის ვიღას ეცალა. ბრძოლი მომაკვდავი ადამიანივით სუნთქავდა, ხრტინნებდა, სულს ღაფავდა.

მთავარი ინჟინერი ბორგავდა, დაბლა იცდიდა — საქმეს ზურაბ მინდელიც კარგად გაართვევდა თავს, მაგრამ გული არ უსვენებდა, ყველაფერს თვითონ ეცნობოდა და ხელმძღვანელობდა. მდივან ქალს დაურეკა, პირველ ბრძოლში ვარ, ხალხი აქ გამომიგზავნე და ყველაფერი აქ მაცნობეო. სხვა საამქროებიდან ცადაუდებელი საქმეებისათვის გიორგაძეს ბრძოლში აკითხავდნენ.

მინდელმა ერთხელ კიდევ შეამოწმა საკერძე და ხელთათმანები გაიძრო.

უკვე თენდებოდა. ცაზე ვარსკვლავები აღარსად ჩანდა. თბოელექტრო-

ცენტრალის უზარმაზარ საკვამლე მილზე წითელი ნათურები მკრთალად ბჟუტავდა. ბრძმედის საკრძალდან ხელისგულივით მოსჩანდა მთელი რუსთავი. კანტიკუნტად ავტობუსებმაც დაარღვიეს ღილის მყუდროება. ქალაქი იღვიძებდა.

ზურაბი დაბლა ჩამოვიდა. თვალები დასწეთლებოდა. ერთთავად შურნი იყო ამოსცარიელი. ხელსაწყოების ჯიბეურში შევიდა. მთავარი ინჟინერი სკამზე იჯდა და ჩაის სვამდა.

საბრძმედე საამქროს უფროსი ჯერ ძიხეილს მიესალმა, მერე ქუდი მოიხადა, სადღაც მიაგდო და სკამზე ჩამოჯდა.

— მორჩით? — ჰკითხა მთავარმა ინჟინერმა.

ხმაში სიბრაზე აღარ ეტყობოდა. უკვე ყველაფერი გადახარშული ჰქონდა. თანაც მინდელის ჩასისხლიანებულ თვალებს რომ შეხედა, საყვედურის სათქმელად ენა აღარ მოუბრუნდა.

ზურაბმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— კაზმის ჩატვირთვა დაიწყო?

— ოცი წუთია დაიწყო.

მთავარი ინჟინერი წამოდგა. ხელსაწყოებს დააკვირდა.

— ხედავ? — გიორგაძემ საამქროს უფროსს ხელსაწყოებზე მიუთითა, — ყველაფერი როგორ მერყეობს? ბრძმედი ჭირეულ ქალსა ჰგავს. ალბათ ამერიკაში ამიტომ არქმევენ ქალის სახელებს. აქედან ფეხი არ მოიცვალო, სანამ საქმე საათივით არ აეწყობა.

მიხეილ გიორგაძე დაბლა ჩავიდა და მანქანაში ჩაჯდა.

— გრიშა, მაღლა ადი, თერმოსი დამრჩა.

ვრიშამ ძრავი გამორთო და საბრძმედე საამქროში ავიდა. მალე დაბრუნდა. ხელში თერმოსი ეჭირა.

— მინდელი მაღლაა? — შორიდან დაუძახა მთავარმა ინჟინერმა.

— მაღლაა, სკამზე სძინავს.

— უკან აბრუნდი, უთხარი ჩამოვიდეს, შინ წავიყვან. სულ ერთია, ახლა მაგის საამქროში ყოფნას ფასი აღარა აქვს.

2.

ბრძმედის ავარიამ მარტენის საამქროში ფოლადის მოწოდება შეაფერხა.

ლევან ხიდაშელმა ცვლა რომ ჩაიბარა, სამი ღუმელი დახვდა ჩასატვირთი. თხევადი თუჯი კი მარტო ერთ ღუმელს თუ ეყოფოდა. ცვლის უფროსმა აღარ იცოდა, რა ექნა. უფროს მემიქსერესთან მივიდა.

— თუ ძმა ხარ, ციცხვები გაამზადე, მთავარ ინჟინერს ვთხოვ, თუჯი მარაგიდან მომცეს.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი. მე ოღონდ გიორგაძემ მიბრძანოს და ჩამოსხმას არ დაგიგვიანებ.

მიქსერი უზარმაზარი ციცხვია; იგი მარტენის საამქროს თაფშია მთთავსებული. ბრძმედიდან მოტანილ თუჯს ჯერ მიქსერში ასხამენ, მერე კი საჭიროების მიხედვით მარტენის ღუმელებს აწვდიან. მიქსერში ხუთას ტონაზე მეტი თხევადი თუჯი ეტევა ერთდროულად. არასდროს არ შეიძლება მისი ბოლომდე დაცლა. მიქსერის მთელი მოცულობიდან მხოლოდ ორი მესამედი თუჯის დახარჯვა ნებადართული. თუ მეტი გამოსავალი არ არის, მარაგის გადმოსხმის უფლებას მხოლოდ ქარხნის მთავარი ინჟინერი იძლევა.

ლევანი საამქროს უფროსთან შევიდა.

— რა ვქნათ ახლა? — პირდაპირ დაიწყო ხიდაშელმა.

— რისი რა ვქნათ? — გაოცდა ელიზარი.

— თუჯი საიდან ჩავასხა ღუმელებში?

— თუჯი ორ საათში გვექნება, — დინჯად უპასუხა საამქროს უფროსმა, თან დნობის პასპორტებს დაუწყო თვალიერება.

ლევანს მისი მშვიდი სახე ნერვებზე შლიდა.

— ორი საათის მერე რა ჯანდაბად მინდა!

— აბა, მე რა გიშველო! ააფრინე ალალიო... ხომ გაგიგონია.

— გეგმას რომ ვერ შეგასრულებ, ეგ ანდაზა მიშველის?

— გეგმა უნდა შეასრულო.

— მაშინ მთავარ ინჟინერს დაურეკეთ. კეთილი ინებოს და განკარგულება გასცეს, თუჯი მარაგიდან ჩამომისხან.

— მე ახლა მაგაზე მთავარ ინჟინერს ვერ შევაწუხებ, — მშვიდად განაგრძო ხუნდაძემ და თან მეორე ჟურნალი გადმოიღო.

— ვითომ რატომ ვერ შეაწუხებთ? — ლევანი ჟურნალს მისჩერებოდა, ცოტაც და ხელიდან გამოგლეჯდა.

— შენ ჯერ, გეტყობა, კარგად ვერ იცნობ ჩვენს მიხეილს. ალბათ, გაიგებდი, პირველ ბრძმედზე ავარია მოხდა, სულ ერთი საათია, რაც სამუშაოს მორჩნენ. გიორგაძემ ორი ღამე ბრძმედზე გაათია. ახლა კაცმვილი სიახლოვეს ვერ მიეკარება.

— მე ჩემს პირად საქმეს კი არ ვთხოვ.

— ვიცი, მაგრამ, რას იზამ. ღმერთმა იცის, თხოვნა არ მეზარება, ახლა თხოვნა წყლის ნაყვა იქნება... მოკლედ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.

— ეგ ყოფილა მთლად უფროსი.

— აბა შენ ვინ გეგონა? — დამცინავად ჰკითხა ელიზბარმა.

— მე თვითონ დავურეკავ.

— შენი ნებაა.

ლევანმა ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— მთავარი ინჟინერი მინდა, ამხანაგი გიორგაძე.

— მიხეილ გიორგაძე შინ წავიდა! — უპასუხა მდივანმა.

— სახლის ტელეფონის ნომერს ვერ მეტყვით? გმადლობთ.

ლევანმა ტელეფონის ბერკეტს ხელი დააჭირა და ნომერი აკრიფა.

ხუნდაძე დაიძაბა. დაახლოებით იცოდა, ამ ლაპარაკს რაც მოჰყვებოდა. მეხის გავარდნის მოლოდინში ფანჯარს აწვალებდა.

ქალმა გააგონა.

„ალბათ მეუღლეა“, — გაიფიქრა ლევანმა და წელში გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონო, მარტენის საქმე დან ვრეკავ, ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს, თუ შეიძლება, ბატონ მიხეილს სთხოვეთ.

მიხეილი ის იყო დასაძინებლად ემზადებოდა, ტელეფონმა რომ დაიწკრიალა.

— რა მოხდა? — გასძახა ცოლს.

— ჯანდაბა და უბედურება! ახლა მარტენის საამქროდან გირეკავენ.

მთავარი ინჟინერი ტელეფონთან შეშფოთებული მიიჭრა. იცოდა, ასეთი ავარიისა და ქარხანაში ორი ღამის ფეხმოუცვლელად ყოფნის შემდეგ ტუიულუბრალოდ არავინ დაურეკავდა.

„ალბათ, კიდეე მოხდა რამე!“ — ფიქრობდა იგი და უსიამოვნო ამბის მოლოდინში გული ეკუმშებოდა.

— გიორგაძე გისმენთ!—ჩვეულებისამებრ გააგონა მთავარმა ინჟინერმა.

— ლევან ხიდაშელი გაწუხებთ, მარტენის საამქროს ცვლის უფროსი.

— რა ამბავია, პირდაპირ მითხარი.

ცვლის უფროსი ასეთ უკმეხ პასუხს არ ელოდა. დაიბნა, აღარ იცოდა, სათქმელი როგორ დაეწყო. ერთბაშად გადაწყვიტა, ყველაფერს პირდაპირ ვეტყვიო.

— მიქსერში ცოტა თუჯი დარჩა. ღუმელები კი მზადაა თუჯის ჩასასხმელად. გთხოვთ განკარგულება გასცეთ, თუჯი მარაგიდან გადმოგვისხან.

მიხეილი სიბრაზისაგან გალურჯდა, ენა ჩაუბარდა. ვერ წარმოედგინა, ამხელა უბედურების შემდეგ, ამ უბრალო საქმისათვის თუ შეაწუხებდნენ. უნდოდა ეყვრა, თავხედი ცვლის უფროსი გაელანძღა, მაგრამ გული არეში ისევე ტკივილი იგრძნო, მარცხენა ხელი მკერდზე მიიდო და დინჯად თქვა.

— დაელოდები, სანამ თუჯი არ მოვა.

— ბატონო მიხეილ, თუჯი ორ საათს კიდევ არ იქნება, მანამდე მოვაცდინოთ სამი ღუმელი?

— მე უკვე გიპასუხეთ. გასაგებია?

— გასაგები მხოლოდ ერთი რამეა:

თუ თქვენ ბრძანებას არ გასცემთ, სამი ღუმელი ორ-ორი საათით გაცდება.

— როგორ მიბედავ! — მაინც იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მიხეილმა და საკრძალში ჩაიკეცა. ყურმილი ხელიდან გაუვარდა.

შეშინებული ელენე ქმარს მივარდა.

— რა მოხდა!

— არაფერია! ვალერიანის წვეთები დამალეთვინე და თავი დამანებე! — მიხეილმა ჰაერში მოქანავე ყურმილს ხელი წაატანა და ბერკეტზე დააგდო.

ხიდაშელს ყურმილი ისევ ეჭირა ხელში. თუმცა კარგა ხანი იყო წუყვეტილი ზუმერი ესმოდა.

ცვლის უფროსის უკანასკნელ სიტყვებზე ელიზბარიც კი წამოხტა, მთავარ ინჟინერს ეს რა გაუბედოთ.

ლევანმა ყურმილი ბერკეტზე ფრთხილად დადო, მერე თითქოს მოულოდნელად რაღაცამ მოუარაო, გარეთ გავარდა.

კარებში საამქროს უფროსის მოადგილე შეეფეთა.

— რამ გადარია? — ჰკითხა მოადგილემ ელიზბარს.

— ის ანდაზა ხომ გაგიგონია, დედის წინ მოხტუნავე კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლისფერი ტურაო.

მოადგილემ ვერ გაიგო ელიზბარი ამას რისთვის ამბობდა, მაგრამ მაინც გაიცინა. თან საამქროს უფროსს რაღაც ბრძანება დაუდო წინ. ელიზბარმა ბრძანება ჩაიკითხა, კალმისტარი მონახა, ხელი დინჯად მოაწერა. მერე ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

„ეჰ, ყმაწვილო, შენ ინჟინრობა მარტო წიგნები ხომ არ გგონია, — ფიქრობდა ელიზბარი. — არა, შვილოსან, აქ ადამიანებთან გაქვს საქმე, ადამიანებთან...“

მარტენის საამქროს უფროსს გამყოლი ბელი არა ჰქონდა. ხიდაშელთან პირველი შეტაკება აქამდე ცხრაჯერ დაავიწყდებოდა, მაგრამ ახალი ცვლის უფროსი მაინც არ მოსდიოდა თვალში. საქმეს ვერ დაუწუნებდა; ხიდაშელმა ყველაზე ჩამორჩენილი ცვლა ხიბარა და ყველაზე მოწინავე ცვლა უკან ჩამოიტოვა. ბიეებსაც უყვარდა, — ამბობდა თვითონ ელიზბარს ეურჩებოდა. მის კიკაკობაში მაინც ეჭვი ეპარებოდა.

გრძნობდა, ამის საბაბი არა ჰქონდა. ცდილობდა, ეჭვი გულიდან ამოეგდო, ვერ ახერხებდა. ვერც ვერავის უმხელდა. სულ ერთი იყო, მაინც არავინ დაუჯერებდა.

„ანდა რატომ უნდა დაძიჯერონ, — კარგის მეტი ხიდაშელისაგან არავის არაფერი ახსოვს. ცოდნასა და მუშაობაში ტოლი არა ჰყავს. ბიეებს ისე უყვართ, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ“.

ტელეფონმა დარეკა. ელიზბარი ფიქრებიდან გამოერკვა.

„ეჭვი გულიდან უნდა ამოვიგდო, ალბათ, ვცდები. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე“, — დაასკვნა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ?

— შენა ხარ, ელიზბარ!

ელიზბარმა იცნო მთავარი ინჟინრის ხმა.

— მე გახლავართ, ბატონო მიხეილ.

— კაი ჯიბგრი გყავს ეგ ხიდაშელი. შინაც არ მომცა მოსვენება. გაუმოასხით თუჯი მიქსერიდან, მუშაობას ნუ შეაფერხებთ.

— გისმენთ, ბატონო მიხეილ.

მთავარმა ინჟინერმა ყურმილი უმალ დაკიდა.

ელიზბარი ერთხანს იმავე პოზაში დარჩა. მერე მდივანს დაუძახა, ცვლის უფროსი მომინახეო.

თავი მეექვსე

1.

თბილისი დაცარიელდა. ხალხი დასასვენებლად გაიკრიფა. მინდაქეები გაგრაში გაემგზავრნენ. ნათიაც სადღაც წავიდა. ლევან ხიდაშელი ბევრს ეცადა, მაგრამ მის ადგილსამყოფელს ვერ მიაკვლია. ნათიაზე ფიქრს თავიდან ვერ იშორებდა.

პირველი სექტემბრისათვის, ალბათ, აუცილებლად ჩამოვაო, — დაასკვნა ლევანმა.

მოლოდინში დღეებს ითვლიდა; დრო კი ძალიან ნელა გადიოდა.

ოც აგვისტოს თბილისში ლევახის მშობლებიც დაბრუნდნენ. ლევანი შინ არ დახვდათ. ნინო ელესვდა, ერთი სული ჰქონდა, ამდენი ხნის უნახავ შვილს გადახვევოდა.

რუსთავიდან დაბრუნებული ლევახი ლია ფანჯრებზე მიხვდა, ჩვენები ჩამოსულანო.

ვარლამმა შვილი გადაკოცა და ძალულად აათვალ-ჩაათვალიერა. ბევრი ლაპარაკი არ ეხერხებოდა. კმაყოფილებას ვერ მალავდა. ლევანს სერიოზული, საქმიანი კაცის გამოხედვა ჰქონდა. ნინო შვილს ეხუტებოდა, ჰკოცნიდა. თან თათხავდა, მშობლების ასე დავიწყება როგორ შეიძლებაო. როცა შეიტყო, ლევანი ისევ ქარხანაში მუშაობდა, შეიცხადა, რას იკლავ თავს იმ დასაწვავ ქარხანაშიო. მერე ქმარს მიუბრუნდა:

— ურჩიე რამე, რას დამფიჯებულხარ! ბავშვს ქარხანაში უნდა ამოხდეს სული?

— მე რა ვურჩიო. ამიერიდან აქეთ უნდა მირჩიოს! — გაიცინა ვარლამმა.

— ნეტავი შენს გულს.

ვარლამი შვილს საქმეებში არ ერეოდა. ახსოვდა, ლევანი ზოგიერთი ამოცანის ამოხსნას რომ ვერ მოახერხებდა, თავს მოიკლავდა, სანამ სწორ პასუხს არ მიიღებდა. ვარლამს კი დახმარებას არასდროს არა სთხოვდა.

ბავშვობაში ლევანი ხშირად ჩხუბობდა, როგორც არ უნდა გაელახათ, შინ ხმას არ ამოიღებდა; უფროს ძმას არასდროს მოიშველიებდა. ვარლამს უხდოდა, შვილს მისი დარი აერჩია, ფიქრობდა, გზას უფრო ადვილად გაიკაფავსო. იმასაც მიხედა, შვილი მამის ყვალს რატომ არ გაჰყვა. გულში მოსწონდა კიდეც ლევანის ხასიათი. მისი სწამდა და იცოდა, ვაგლახად არ დაიჩაგრებოდა. ნინო მაინც არ ცხრებოდა. — ლევანი იცინოდა და დედას ამშვიდებდა:

— კარგი დედა, დაწყნარდი, ჩემი ხელ-მისა მე ვიცი.

— საქმეს რას დავეძებ, შვილო, ღმერთმა ჯანმრთელი გაგაჩინა და იმ უბედურებაში არ დაავადმყოფდე.

სამი წლის შემდეგ მთელმა ოჯახმა ძლივს მოიყოლა ერთად თავი. საზეიმო სუფრაზე თენგიზი ცოლშვილით მოკიდა.

ლევანს ასეთი სუფრა არ ეჭაშნიკებოდა. რაღაც უხერხული გრძნობა იპყრობდა. ნათესავებთან წასვლას ხომ სიკვდილი ერჩია.

მშობლებთან სითბოს გაჯოჩენა არ ეხერხებოდა. ამ სამი წლის განმავლობაში წერილებსაც იშვიათად იწერებოდა. მისი წერილები ყოველთვის მშრალი იყო და სულ რამდენიმე სტიქონისაგან შესდგებოდა. ძალიან უკვირდა, როცა ძმისაგან ხუთგვერდიან წერილებს ღებულობდა, — გაოცებული იყო, თენგიზი ამდენ თბილ სიტყვას საიდან იგონებს, ან ხუთი გვერდის დასაწერად რა ნერვები ჰყოფნისო.

ლევანი ჩუმად იჯდა. ძმისწულების ალაიქოთზე გული უწუხდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. განსაკუთრებით თენგიზი არ მოსწონდა. იგი ისევ უფროსობდა და ძმას პატარა ბიჭივით ელაპარაკებოდა.

— ახლა რას ფიქრობს ეს ვაჟბატონი, ცოლის მოყვანას არ აპირებს? — ჰკითხა თენგიზმა მამას.

— თუ ძმა ხარ, მომეშვი! — უთხრა უკმეხად ძმას ლევანმა.

პატარა ბიჭმა შარვალი ჩაასველა. თენგიზი წამოხტა და ბავშვს შარვალი მოხერხებულად გაახადა. ციალამ უთხრა მაცალე, მე გამოვუცვლიო, მაგრამ მეუღლემ ყური არ ათხოვა. მეორე შარვალი თვითონვე ჩააცვა. ეს საქმიანობა უდიდეს კმაყოფილებას ჰგვრდა თენგიზს.

უმცროსი ძმისათვის უცხო ხილი იყო ასეთი გრძნობა და უკვირდა, თენ-

გიზს ოატომ სიამოვნებს ქალის საქმის კეთებაო. მერე თავის რძალს შეხედა. ციალა ძალზე გულკეთილი და უბრალო ქალი იყო. ნამდვილი მეოჯახე. წყნარი ხასიათი ჰქონდა. მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაეგო. შინ ჯდომას არაფერი ერჩია, მაგრამ ერთ წუთს ვერ გასძღებდა უქმად. მთელი სახლი დაწკრიალებული ჰქონდა.

თენგიზი ცოლით ამაყობდა და თავი ბედნიერ კაცად მიიჩნევდა.

ლევანს რძალი უყვარდა. თუმცა ვერც კი წარმოიდგენდა, ასეთი ქალი თუ როდესმე მოეწონებოდა. თენგიზს ცხოვრებაში ცოტაც ჰყოფნიდა და წყნარი ბუნების პატრონი ციალაზე უკეთეს ცოლს ვერ ინატრებდა.

ლევანს მოულოდნელად ნათია გაახსენდა. ხასიათი გაუფუჭდა. თვალწინ მისი კკვიანი, ნატიფი სახე წარმოუდგა. ნათიას ქერა თმა, გაბუტული ტუჩები და წინა ორი ფართო კბილი ვიდაც უცნოელ მსახიობს აგონებდა. ლევანის წარმოდგენაში ნათია საიდუმლოებით მოცულ ფერიას ჰგავდა.

უნებურად ნათია რძალს შეადარა. საქმისა და სარეცხისაგან გაუხეშებულ ხელებზე რომ დახედა, ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა. რატომღაც წარმოიდგინა თენგიზი და ციალა აბაზის გულისთვის ბაზარში როგორ ეკაპრიჭოდნენ დახლიდარს. ისიც იცოდა, თენგიზი ცოლს იატაკის გაპრიალებაში როგორ ეხმარებოდა.

ნათიამდე სიყვარულიო, არავინ ჰყვარებია. მოწონებით კი ბევრი მოსწონდა. ერთი ქიმიკოსი ქალიშვილი გაახსენდა. ლევანს იგი გულში ჩაუვარდა, თითქმის შეუყვარდა კიდეც. მაგრამ ერთი შემთხვევის გამო ის ქალიშვილი მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოეშალა.

სტიპენდიებს არიგებდნენ. სალაროსთან გრძელი რიგი გაიჭიმა. ქალიშვილი რიგში იდგა. მოქანცული სახე ჰქონდა. ერთი შეხედვა და ლევანის თვალში იგი ძალზე უბრალო, ჩვეულებრივ ქალიშვილად იქცა.

„ათი დღე და ნათია თბილისში იქნება“. — ფიქრობდა ლევანი.

საუბარი როგორღაც სიმონ ყანჩაველზე ჩამოვარდა.

— კიდევ იჩხუბა, მაგ უბედურმა? — იკითხა თენგიზმა.

— ნამტანი იქვიანი კაცია. — თქვა ნინომ.

— არა აქვს საეჭვოდ საქმე თუ? ახია, რას მოჰყავდა ქვეყნის ნათრევი ქალი!— ნიშნის მოგებით თქვა თენგიზმა.

მერე ძმას მიუბრუნდა.

— ბიჭო, შენ არ წაგძლიოს სულმა, რაც არ უნდა იყოს, მეზობელია.

— აღარ მორჩები ამ სულელურ ლაპარაკს? — შეუღრინა ლევანმა.

— ვის უბედავ მაგას შენ? — გადმოჭაჩა თვალები თენგიზმა.

— შენ ვიბედავ და უფრო მეტსაც გეტყვი, ჩემს ჭკუის სწავლებას თავი დაანებე!

— ერთი ამ მაიმუნს დამიხედეთ! ბიჭო, გენოსი რომ გახდე, მაინც ჩემი უმცროსი ძმა იქნები. ეს ხომ არ გავიწყდება?

ლევანმა თეფშს ხელი ჩაჰკა და ფეხზე წამოხტა.

— აბა ჰე, დაერიეთ ერთმანეთს! — გაბრაზდა ნინო.

— უყურე ამ მაიმუნს! — არ ცხრებოდა თენგიზი.

— კარგი, გეყოფა ახლა! — ხმას აუწია ვარლამმა.

— მე წავედი! — თქვა ლევანმა.

— არსად არ წახვალ! — წამოხტა ვარლამი.

— კარგი, დედა, ახლა! ნუ ჩაგვამწარებთ სადილს.

— მაშინ ეგ ვაჟბატონი გააფრთხილეთ, შტერულ ლაპარაკს თავი დაანებოს.

— ვინ ლაპარაკობს, ბიჭო, შტერულად! — წამოხტა თენგიზი.

— დაჯექი შენ მანდ! — უყვირა ვარლამმა.

— ციალა, ჩაიცვი, წავიდეთ აქედან.

— კარგი, თენგიზ. გასულელდი?

— ჩაიცვი, მე შენ გეუბნები.

— ასე რამ გადაგრია? ბავშვს სძინავს, გამოიღვიძებს და წავიდეთ.

— არა უშავს, მძინარეს წავიყვანთ.

— ჩვენ რა დაგიშავეთ, შვილო! — ლამის ატირდა ნინო.

— ვაი ჩემს თავს, ეს რა შვილები დამიზრდია! — წამოვარდა ვარლამი, — ახლავე დაჯექი შენს ადგილზე!

თენგიზმა ანერვიულებულ მამას რომ შეხედა, ხმისამოუღებლად დაჯდა. ლევანი გარეთ გავარდა.

„ასე ცხოვრება არ შემიძლია, — ფიქრობდა იგი, — დედაც მიყვარს, მამაც, ძმაც, რძალიც და ძმისშვილებიც. მათთან ერთად ცხოვრება კი არ შემიძლია!“

ლევანს ხასიათი ეშხამებოდა, როცა მის ოცნებას თუ გრძნობას რაიმე ზღუდავდა. უკანასკნელ წლებში დამოუკიდებელ ცხოვრებას ისე შეეჩვია, ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობაც კი უჭირდა. „ნეტავ მალე მომცემდნენ ბინას რუსთავში“.

2.

პირველ სექტემბერს მინდაძეებიც ჩამოვიდნენ თბილისში. ლევანმა ჩვეულებისამებრ მიხაკები იყიდა და ქალბატონ თინათინს მიართვა. მარინეს მთელი დასვენება ჩაშხამდა. დარდად წაჰყვა, ლევანი რომ იმ საღამოს უკან არ მობრუნდა. ახია ჩემზე, ნეტავ ვიცოდე, ნათიას დაპატიჟებას ვინ მეხვეწებოდაო, — უჯავრდებოდა თავის თავს.

ლევანს ცივად შეხვდა, მაგრამ იმ ამბავზე ხმა არ ამოუღია, ვითომ აღარც კი ახსოვდა. შურისძიების წყურვილი სადღაც გაქრა, — ლევანი კვლავ მასთან იყო.

მინდაძეების ოჯახი გამოცოცხლდა. დაიწყო გაუთავებელი სტუმრიანობა. ლევანიც თითქმის ყოველდღე მათთან იყო, იმედი ჰქონდა, ნათიას კიდევ შეხვდებოდა. ზარის ყოველ დარეკვაზე თვალებს აცეცებდა, მაგრამ ნათია არსად ჩანდა. ბოლოს დარწმუნდა, ნათიას მეორედ აქ არავინ მოიწვევსო. მარინე პირიქით, როგორც კი შემთხვევა ეპოვნდა, ნათიას ოსტატურად ანაძრახებდა ხოლმე.

ლევანმა გადაწყვიტა, ნათიასთვის დაერეკა, მაგრამ გადაიფიქრა, — ნამეტანი სტუდენტურად ბამომივო.

ბოლოს ამჯობინა, თავისუფალ დღეს დილიდან სახლთან დასდარაჯებოდა.

ლევანმა ნათია შორიდანვე დაინახა. გული უცანაურად აუძგერდა.

„ზღვაზე ყოფილა“, — გაიფიქრა მან, როცა ქალიშვილის ბრინჯაოსფერ სახეს მოჰკრა თვალი.

ნათია კიდევ უფრო ლამაზი ეჩვენა. კარგა შორს გაუშვა, დაელოდა, სანამ სხვა ქუჩაზე გადაუხვევდა. არ მიმიხვდეს, რომ ვდარაჯობდიო.

ქალიშვილს გვერდზე ჩაუქროლა, წინ გადაასწრო და მანქანა მოშორებით გაიჩერა. როცა ნათია მანქანას მიუახლოვდა, ლევანი გადმოვიდა და ქალიშვილს ღიმილით მიესალმა:

— გამარჯობათ, ნათია!

— გამარჯობათ, ლევან! — შეკრთა ქალიშვილი.

— მეგონა, ვეღარც კი მიცნობდით.

— რატომ?

— დაბრძანდით მანქანაში.

— მე ძალიან შორს მივდივარ.

— მით უკეთესი,—შეაპარა ლევანმა. ნათია მანქანაში ჩაჯდა.

— რატომღაც მეგონა ვერ მიცნობ-დით, ცოტა ვღელავდი კიდეც, მანქანის გაჩერებისა მეშინოდა.

— უკვე მეორედ ამბობთ მაგას. ჯერ ის მითხარით, რატომ გეგონათ, რომ ვერ გიცნობდიო? მერე ისიც ამიხსენით, მანქანის გაჩერებისა რატომ გეშინოდათ?

— პირველ კითხვაზე იოლად გაგცემთ პასუხს: ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შევხვდით, ამ თვენახევრის წინათ, ისიც რაღაც ნახევარი საათით, სულაც არ გამიკვირდებოდა, რომ ვერ გეცნეთ. საათ წავიდეთ?

— დიდმის მასივისაკენ, თუ ძალიან არ შეწუხდებით.

— მეტი რა გზაა, უნდა შევწუხდე!— ლევანმა მანქანა კაკე-საბურთალოს გადასასვლელისაკენ შეაბრუნა. — მეორე კითხვაზეც რომ გაგცეთ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი პასუხი, სულ ცოტა, სამი ამბავი მაინც უნდა მოგიყვეთ.

— მე უკვე მზად ვარ მოვისმინო პირველი ამბავი.

— ძალიან კარგი. ჩვენ უკვე ვუახლოვდებით იმ ადგილს, სადაც პირველი ამბავი გადამხდა. წყნეთში მივდიოდი. ზუსტად იქ, — ლევანმა ხელი გაიშვირა, — ფიზკულტურის ინსტიტუტის წინ, ქალი დავინახე. მივხვდი, წყნეთში მიმავალ მანქანას ელოდებოდა. ვიფიქრე, ბარემ წავიყვან-მეთქი და მანქანა გავუჩერე. იგი უკან ჩაჯდა. წყნეთში რომ ავედით, მიბრძანა, ახლა ამ ქუჩაზე გადაუხვიეო. მანქანა იმ ვიწრო მოსახვევში არ გაეტია. აბა ახლა ზემოდან მოვუაროთო. იმდენი ქნა, სანამ თავისი სახლის წინ არ მიმიყვანა. ხელჩანთა გახსნა, ხუთმანეთიანი დამიგდო და გადავიდა. ქალბატონო, როგორ ტეკადრებათ-მეთქი, ვუთხარი და ფული უკან დავუბრუნე. შენი სამოწყალო რა მჭირსო, — მიყვირა გაბრაზებულმა და ფული მანქანაში შემომიგდო.

ნათია სიცილით კვდებოდა.

— მეორე ამბავიც ასე საინტერესოა?

— კიდევ უკეთესი. დიღომში ვისთან მიდიხართ?

— ბებიასთან. იქ მარტო ცხოვრობს და, როცა დროს ვიპოვი, ყოველთვის ჩავდივარ ხოლმე.

— ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე. ერთხელ ისევ წყნეთში მივდიოდი. სასაფლაოსთან სურსათ-სანოვაგით დატვირთული ახალგაზრდა ქალი დავინახე. ცალ ხელში ხუთი ცოცხალი წიწილა მაინც ეჭირა, ტაქსს ელოდებოდა. ისიც წყნეთში მოდიოდა, შემეცოდა, მანქანა გავუჩერე. დაბრძანდით-მეთქი ვუთხარი. შემატყო, ხალტურის შოფერს რომ არ ვგავდი. შე საზიზღარო, ამისთანა/ რა შემამჩნიეო, — ისეთი მიყვირა ქალმა, რომ მანქანა ადგილიდანვე ასი-ასი მეტრით დავძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ გადავწყვიტე მანქანა აღარავისთვის აღარ გამეჩერებინა.

— გეტყობათ გაგიჩერებიათ, რაკი მესამე ამბავი დაგრჩათ მოსაყოლი.

ლევანმა პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან შემოუხვია და მცხეთის გზაზე გავიდა.

— მესამედ, პირიქით, წყნეთიდან მოვდიოდი. წვიმიანი საღამო იყო. თითქმის ბნელოდა. ავტობუსების გაჩერებაზე სასიამოვნო შესახედაობის ახალგაზრდა ქალი იდგა. მანქანა გავუჩერე და შევთავაზე, ჩაბრძანდით-მეთქი. ქალმა გამიღიმა და გვერდზე მომიჯდა. ოცი მეტრიც არ გვქონდა გამოვლილი, მივუბრუნდი და სახეზე თვალი შევავლე. ისევ იღიმებოდა. პირველი ორი შემთხვევის შემდეგ ვიფიქრე, ამ ქალს, რაკი ჩამიჯდა, ალბათ, ორიოდე თბილი სიტყვა უნდა ვუთხრა-მეთქი და დიდი ოსტატობით ქათინაური შევაპარე. ერთბაშად თავში მეხი დამეცა. როგორც მერე დავადგინე, ახალგაზრდა ქალბატონმა თავში ხელჩანთა ჩამარტყა და თან ლანძღვაგინებაც მომაყოლა, შე საზიზღარო, ახლავე მანქანა გაიჩერე, უპატრონო ხომ არ გგონივარო.

ნათია იცინოდა.

— მე მგონი, თქვენს ორ კითხვას ამომწურავი პასუხი გავეცი, არა?

— სავსებით.

— თქვენთვის, ალბათ, უკვე გასაგებია, რატომ მეშინოდა, როცა მანქანა გაგიჩერეთ.

— ამჯერად მშვიდობიანად გადარჩით, მაგრამ ჯერ ხომ შუა გზაში ვართ.

— მე თქვენი ბებიის იმედი მაქვს.

— ბებიაჩემს ნუ ეხუმრებით.

— ბებიათქვენს კარგი გემოვნება აქვს?

— შესანიშნავი, რატომ მეკითხებით?

— ძალიან მაინტერესებს, თუ მოვეწონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ცოტა ძნელი საქმეა.

— თქვენ მაინც ჰკითხეთ, რა გენაღვლებათ.

— კითხავ, თუ აქედან გამოვა რამე.

— ესე იგი არ მოვეწონები?

— ვინ იცის. წინასწარ გული რატომ უნდა გაიტეხოთ.

— მე უკვე ვღელავ.

— ნუ გეშინიათ, მე თქვენს მხარეს ვიქნები.

— ნათია, ერთი ქართული ანდაზა მინდა გითხრათ.

— ბრძანეთ.

— შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო. გაგიგონიათ?

— ჰო, რაღაც მაგონდება.

— მე ძალიან მჯერა ამ ანდაზისა.

— მეც!

— ჰოდა, იცით, რა მინდა გირჩიოთ?

— ??

— ხომ არ სჯობია დიღომში მცხეთის გავლით მოვბრუნდეთ?

— თქვენ ასე გგონიათ?

— მე, პირადად, დიღომში სულ მცხეთის გავლით ვბრუნდები.

— მაშინ რა გაეწყობა. ვენდობი თქვენს გამოცდილებას. სჯობია ბებიასთან მშვიდობიანად მივიდეთ.

გახარებულმა ლევანმა სიჩქარეს მოუმატა, ნათიამ მცხეთაში წასვლა არ გადაიფიქროსო.

სპიდომეტრის ისარი ასოც კილომეტრს უჩვენებდა. როგორც კი დიღომს გასცდნენ, ლევანმა სიჩქარეს მოუკლო.

— ნათია!

— ბატონო.

— მხოლოობით რიცხვს როგორ ეგუებით?

— შესანიშნავად.

— შენც ჩემი ხასიათი გქონია.

— შენ წარმოიდგინე, კი. იცი, ლევან ჯვარზე არასდროს არ ვყოფილვარ.

— მართლა?

— სირცხვილით ვერსად გამიმხელია. როცა მკითხავენ, სულ ვიტყუები, ნამყოფი ვარ-მეთქი.

ლევანმა ჯვარისკენ მიმავალ გზაზე გადაუხვია.

— აქეთ საით მივდივართ?

— არ მინდა ტყუილის თქმამ ცოდვ მოგიწიოს.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ დიღომში მივდიოდით მცხეთის გავლით?

— ჯვრის გავლითაც შეიძლება.

— მაგას რა სჯობია.

— ახლა რომ გაგიტაცო და რუსეთში წაგიყვანო, რას იტყვი? — ჰკითხა ლევანმა.

— ჩემი აზრით, მაინც სჯობდა, ჯერ ბებია გვენახა.

— მართალია, ბებია უნდა ვნახოთ. ვითომ ეწყინება ბებიას, რომ არ ვნახოთ?

— ასე გატაცება მაინც არ ივარგებს. ძალიან საზაფხულოდ ვარ გამოწყობილი. რუსეთში ახლა ცივა.

— გიყიდი ქურქს. წაგიყვან ტაიგაში და ვიცხოვრებთ მარტონი.

— ოღონდ იცოდე, მანქანით დიდხანს მგზავრობას ვერ ვიტან.

ლევანმა მანქანა მონასტრის უკანა მხარეს დააყენა ასფალტის პატარა ბაქანზე.

ნათია მანქანიდან მსუბუქად გადმოხტა. ლევანმა ქალიშვილს თვალი ვერ მოსწყვეტა.

ნათიამ შენიშნა ვაჟის დაჟინებული მზერა.

— ასე ნუ მიყურებ!

— ბოდიში, ახლავე დავითხრი თვალებს, — დაამშვიდა ლევანმა.

— მეტისმეტს ნუ იზამ! — მოლბა ნათია.

მონასტრის ეზო რუსი ტურისტებით იყო სავსე. გულზე ყველას ფოტოაპარატი ეკიდა და წამდაუწუმ აჩხაკუნებდნენ.

— მონასტერი ახლოდან სულ არ სტოვებს დიდებულ შთაბეჭდილებას, — მცხეთიდან კი რა გრანდიოზული მოჩანს! — გაიკვირვა ნათიამ.

— ეს მონასტერი აქ იმიტომ ააშენეს, რომ ადამიანებმა შეხედონ მცხეთიდან.

— მაშინ აქ რატომღა ამოდიან?

— იმიტომ ამოდიან, რომ აქედან დაინახონ მცხეთა.

— მე აღტაცებული ვარ შენი მიხვედრილობით. ლევან, ნახე, აქეთ რა კარგია, — ნათიამ პატარა კლდისკენ გაიშვირა ხელი.

ორთავენი კლდეზე ჩამოსხდნენ. დაბლა მცხეთა ნახატივით მოჩანდა. ტყეს უკვე სიყვითლე შეპარვოდა.

— აქედან მცხეთა დეკორაციებს არა ჰგავს? — თქვა ნათიამ.

— შეიძლება. თეატრში დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ.

— რატომ?

— ეტყობა, ნერვები აღარ მყოფნის. არ მსიამოვნებს სცენაზე იმ კაცის დანახვა, აბანოში ან ბაზარში რომ შემხვედრია. თანაც თუ შექსპირს თამაშობს. უკანასკნელად თეატრში ოთხი წლის წინათ ვიყავი. ჩემი ნათესავის ხათრით წავედი. როლი მისცეს და პრემიერაზე დაგვპატიჟა.

— რა როლი მისცეს? — დაინტერესდა ნათია.

— კულისებში ყვიროდა — „მოდიან, მოდიანო“! მეორედ შედარებით მაგარი როლი მისცეს.

— ეგ, ალბათ, უფრო სერიოზული როლი იყო! — იცინოდა ნათია.

— მესამე ხოჯოს თამაშობდა რომელიღაც ზღაპარში.

— პირველი ხოჯო მაინც ყოფილიყო! — კვდებოდა სიცილით ნათია. — ახლა რას აკეთებს?

— თეატრში მეხანძრეთა რაზმის უფროსია. ჰო, მართლა, ნათია, მე ცოტა მეხსიერება მღალატობს. კარგად აღარ მახსოვს, სიყვარული აგიხსენი?

— მგონი, ამიხსენი. სამწუხაროდ, მე დამავიწყდა, რა გიპასუხე.

— ნუთუ ვერ გაიხსენებ?

— შეეცდები.

უცებ ისინი სიჩუმემ გამოარკვია. მიხვდნენ, მონასტრის უზარმაზარ ეზოში მარტონი დარჩნენ. ტურისტები უკვე წასულიყვნენ. ერთმანეთს თვალებში შეხედეს. ნათია შეკრთა. ახლოა იგრძნო, ვაეთან რა ახლოს იჯდა. მისი თმები ლევანს ლოყაზე ეფბშოდა.

„მაკოცებს? — შიშმა აიტანა ნათია, — ვაი თუ მაკოცოს, მაშინ ყველაფერი დაპატარავდება, ჩვეულებრივი ვახდებიან“.

სდუმდნენ. დაბლა მატარებელი ბორბალ-ბორბალ დიოდა. მათ ყურამდე ბორბლების ყრუ ხმა აღწევდა. ლევანი ღელავდა. ნათია ახლოს იყო, სულ ახლოს. მისი თმები ლოყაზე ელამუნებოდა, მისი სუნთქვა ესმოდა.

ზოსარკული ზეკა თვითმფრინავმა გაკაწრა.

„ვაკოცო? — ფიქრობდა აღელვებული, — არა, არ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება“.

ლევანმა ვნება დაიოკა, ფეხზე წამოდგა. ქალიშვილს რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა.

ნათიამ თავისუფლად ამოისუნთქა. გადარჩა რაღაც წმინდა, ენით გამოუთქმელი გრძნობა. გრძნობა, რომელმაც დილიდანვე შეიპყრო ქალიშვილი და მის არსებაში სამუდამოდ დაისადგურა.

3.

ლევანი შინ გახარებული დაბრუნდა. კიბეზე თვალისდახამხამებაში აფრინდა და ზარის ღილაკს თითი დაეჭირა. ზარი არ მუშაობდა. კარზე ბრახბრახუნი ატეხა. დედამ გამოხედა:

— ჩუმად, ბიჭო! — ჩურჩულით უთხრა ნინომ.

— რა იყო, მოხდა რამე? — შეშინდა ლევანი, დედის გაფითრებული სახე რომ დაინახა.

— სისხლი ჩაექცა იმ საცოდავს! — ნინომ სიმონის კარზე მიანიშნა.

— რას მელაპარაკები!

— საშველი ჭამე და საავადმყოფოში წამიყვანე.

ლევანმა ამოიხვნეშა. ისადილა და დედა საავადმყოფოში წაიყვანა.

— იმ ქალმა მოუსწრაფა სიცოცხლე და გონებადაკარგული კიდევ მის სახელს ამბობს, ენას უჩლექს! — ბრაზობდა გზაში ნინო...

სიმონი ცალკე პალატაში იწვა. გრძნობაზე მოსულიყო, თვალებს ძლივს ამოძრავებდა. ნინოს და ლევანს გაჟირვებით ანიშნა, მადლობელი ვარო. იზა სასთუმალთან უჯდა. სიმონს მისი ხელი ტუ-

ჩებთან ჰქონდა მიტანილი. დროდადრო ტუჩებს აცმაცუნებდა. ალბათ, ცოლს ხელზე ჰკოცნიდა.

„ახია შენზე“, — გაიფიქრა ლევანმა და ფანჯარასთან მივიდა.

საავადმყოფოს წინ დიდი ბაღი იყო. სკამებზე ავადმყოფები და მათი მნახველები ისხდნენ. ზოგიერთები შინიდან მოტანილი საჭმელით სადილობდნენ, ზოგნი დომინოს თამაშობდნენ.

ლევანმა თავი ცუდად იგრძნო. სადაც გაიხედა, ყველგან ავადმყოფი დაინახა. სახსრებმა ტეხვა დაიწყო. ერთი სული ჰქონდა, აქედან როდის გააღწევდა.

— ლევან, — ჩურჩულით დაუძახა შეილს ნინომ, — შენ ახლა იზას წაიყვან, სიმონთან მე დავრჩები.

მერე იზას მიუბრუნდა:

— მარტო ბულიონი გაუკეთეთ და ჩქარა მობრუნდით. ახა წადით, დროს ნუღარ დაკარგავთ.

ლევანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ოღონდ აქედან გასულიყო და ალარფერს დაგიდევდათ.

იზა მანქანაში ჩუმად იჯდა. მხოლოდ თავიდან ლევანს ბოდიში მოუხადა, შეგაწუხეთო. ლევანმა მოკლედ უპასუხა, როგორ გეკადრებათო.

იზამ საავადმყოფოდან სიმონის ტანსაცმელი და რაღაც ქვაბები წამოიღო.

მანქანიდან გადავიდნენ თუ არა, ლევანმა ტვირთი ჩამოართვა. იზამ ოთახის კარი შეაღო. ლევანი შეჰყვა.

იზამ ბადე ჩამოართვა და საკუჭნაოში გაიტანა.

ლევანი სავარძელში ჩაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და გაბოლა. იზა სამზარეულოში გავიდა.

ლევანი ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა. იაპონურ გრავიურას მისჩერებოდა, თუმცა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. იზამ ქათამი ქვაბში ჩადო და უკან დაბრუნდა. ლევანის პირდაპირ დაჯდა დივანზე. თავი სევდიანად ჩაჰკიდა, თვალები იატაკს გაუშტერა. სიჩუმეს რეპროდუქტორის ხრიწიანი ხმა არღვევდა. იზა წამოდგა, რეპროდუქტორი გამორთა და ისევ დივანზე ჩამოჯდა. ლევანმა ქალს შეხედა: მოკლე კაბა მაცვია, ასეა. და, მუხლისთავები მოუჩანდა. ლევანზე ისე არაფერი არ მოქმედებდა, როგორც ქალის მუშშიშვლებული მუხლები. თვალის მორიდება სცადა, ისევ იაპონურ გრავიურას შეხედა. თავი ვერ დაიმორჩილა. წამსაც არ გაეკლო, ისევ იზას მოშიშვლებულ მუხლებს მისჩერებოდა. იზა კი ჯიუტად სდუმდა. ხმას არ იღებდა, ისევ ერთ წერტილს დაშტერებოდა.

ლევანს ალარ ახსოვდა, იზასთან როგორ გაჩნდა.

— რას შერები, რას! — იზამ თავი გაინთავისუფლა და ლევანს სახეში გაარტყა.

ვაჟმა მკლავები მარწუხივით შემოუჭირა, გაშშაგებული მკერდზე დაეკონა.

— გამიშვი, გესმის! გამიშვი, გამიშვი, გამიშვი! — იზა ლევანს სახეში გამეტებით ურტყამდა.

ერთბაშად ქალმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და ლევანის ძლიერ მკლავებში გაინაბა.

●

ლევანი დაბლა ადრე ჩავიდა და მანქანაში ჩაჯდა. ხასიათი გაუფუჭდა, თითქმის მთელი საათი გავიდა, იზა კი აო ჩანდა. ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. ბოლოს იზაც გამოჩნდა. დარცხვენილმა მანქანის უკანა კარი გამოაღო. გრძნობდა, ვაჟს უკვე ეზიზღებოდა. გზაში არც ერთს ხმა არ ამოუღია. კიბეზე ლევანმა შესთავაზა, ქვაბის ატანაში მოგეხმარებიო. ქალმა თავი გააქნია, საჭირო არ არისო.

ნინო დერეფნის ბოლოში ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში იჯდა. თვალებზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. იზა ყველაფერს მიხვდა. იატაკზე ჩაიკეცა და ქვითინი აუვარდა.

პალატიდან საგორავებიანი ტახტით სიმონის ზეწარგადაფარებული ცხედარი გამოიტანეს. ლევანმა თვალი აარიდა და კიბეზე დაეშვა.

ნინო აბაშიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]

მოთხრობა

გაბო ჩუმი, უსიტყვო კაცია, ერთიორი ჭიქა ღვინოა საჭირო, რომ პირზე მომდგარი სიტყვა თამამად თქვას; სამაგიეროდ, ცოლს ძალიან უყვარს ლაპარაკი. საღამობით დიდი აკაციის ძირში დაჯდებოდა ხოლმე და მეზობელთან დაუზარებლად ლაპარაკობდა. მაგრამ ხანდახან იმ პატარა ჭიშკრიდან მისი გაავებული ხმაც მოისმოდა, — ეჩხუბებოდა იმავე მეზობელს. ასეთი ურთიერთობის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ მათი პატარა სახლები ერთმანეთთან სულ ახლოს იდგა, იმდენად ახლოს, სიცხის დროს ერთი აკაციის ჩრდილი თავისუფლად სწვდებოდა ორივე სახლს.

ჰოდა, ერთხელ გაბოს მეუღლე მეზობელთან უბრად იყო. მაგრამ მის ცხოვრებას მაინც ფარულად თვალს ადევნებდა. ეზოში ვიღაც პირხმელი კაცი შემოვიდა, ჩალის ქუდი იქვე მესერის ბოძზე ჩამოკიდა და მაშინვე ჭიშკრის სიგანე გადაზომა, მანქანა გამოეტევა თუ არაო. მერე მიჯნას გადახედა და კარგახნის ფიქრის შემდეგ ხმამაღლა თქვა:

— სახლი თავისთავად არაფერია, უნდა დაინგრეს, მაგრამ ამ გარეუბნის სიწუნარე ძალიან მომწონს, აქეთ ცხოვრება სწორედ ამიტომ მოვინდომე.

მესერიდან ჩალის ქუდი ჩამოიღო და წასვლის წინ დიასახლისს ისე თავაზიანად დაუკრა თავი, ქალი პირდაპირ გაოცა. კაცი წავიდა და დიასახლისი ცნობისმოყვარეობამ არ მოასვენა: მის ეზო-ყურეში რაღაც ხდებოდა. მალე შეიტყო, ის პირხმელი კაცი მის გვერდით, პატარა სახლში გადმოვიდოდა. გაეხარდა; ვინ იცის, წინასწარ რა არ იფიქრა — ასეთი პატივსაცემი კაცი ახლოს იცხოვრებს, აგერ — ყურის ძირში. დიდი რამაა მეზობელი, — დაგელაპარაკება, დაელაპარაკება... სად ეს კაპასი, უსწავლელი ქალი და სად ამ კაცის თავაზიანი დიმილი. ვერ ისვენებდა. უნდოდა, ქმარი შინ მალე დაბრუნებულიყო, რომ ახალი ამბავი ეხარებინა. ქმარმა კი იმ დღეს რატომღაც ძალიან დაიგვიანა, — შეგინდებისას მოვიდა. დაღლილი იყო, სამზარეულოში მაგიდის კუთხეს მიუჯდა. ცოლი მეორე ოთახიდან კი არ გამოვიდა, გამოფრინდა:

— გაბო, იცი რა მოხდა, ჩვენი მეზობლები გადადიან, სამაგიეროდ, არაჩვეულებრივი ხალხი გადმოდის, კაცს თურმე კვებავჭრობაში დიდი ადგილი უჭირავს.

გაბომ ცერად ახედა ცოლს და შეუბღვირა.

— რაო, რას იბღვირები! ჩემი ომარისთვის პირდაპირ მისწრებაა, ბიჭმა ტექნიკუმი დაამთავრა და რიგიან ად-

ბილზე ვერ მოგვიწყვია. არ იცი, კარგი მეზობელი ნათესავზე უკეთესია?!

ქმარმა ერთი ჭიქა ღვინო გადაჰკრა და წაიბურტყუნა:

— ახლა ნათესავიც გამოიყვანე! ჯერ გადმოვედეს, შე კაი ქალო, წინასწარ რა ეშმაკივით ტიკეტსა ბერავ?!

— გადმოვა, აბა რას იზამს, მაგრამ შენ თუ მწარე არაფერი თქვი, არ შეგიძლია. აბა, გიიხედე, ბარგს გადაზიდვა უკვე დაიწყეს?

ცოლი ნაწყენი გაერიდა, მაგრამ სადაც არ უნდა წასულიყო, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა. პატარა სახლი თითქმის ერთ დღეში დაანგრიეს. მერე სულ ცოტა ხანში ახალი დიდი სახლი წამოჭიმეს. სახლი სულ სხვანაირი იყო, — თითბრის რაფებიანი და ლამაზად შედებილი. ქალს, ცოტა არ იყოს, ასეთი განსხვავება სწყენდა კიდეც! მიჩვეული იყო: ეს ორი პატარა სახლი სულ ასე, ერთმანეთის გვერდით იდგა. ორივეს ვიწრო დერეფნები ჰქონდა და მოძველებული იავნები. ქალი მოუთმენლად ელოდა ახალ მეზობლებს. მათი გადმოსვლა ამ მაყრუებულ ეზოებში რაღაც სიახლეს შეიტანდა და, ვინ იცის, რამდენი ახალი ამბავი ითქმებოდა. მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა: მეზობლები ღამე უხმაუროდ გაუმოვიდნენ, ავეჯს დიდხანს ეზიდებოდნენ, ბაღის მოხმარებაზე უარი უთხრეს. გადმობარდნენ და მერე ამ ორ სახლს შორის მაღალი მესერი ჩააყოლეს. პატარა სახლის ბინადრები ამ მესერიდან ხედავდნენ ხოლმე ახალ მეზობლებს. მათი შავბეწვიანი ლამაზი კატა სულ აივანზე იჯდა და მოჭუტული თვალებით მაღალ კედელს შეჰყურებდა.

— მეზობლების ჩამი-ჩუმიც არ ისმის. ამათი „ვოლგაც“ კი უხმაუროდ დაძვრება, — ცოტა არ იყოს, ნაწყენი ხმით უთხრა სამუშაოდან დაბრუნებულ ბაღის ცოლმა.

— ერთი მაგათი... — ხელი ჩაიქნია ბაღომ.

— რას ერჩი, ურიგო კაცი არ ჩანს; გუშინ შემხვდა და ქუდი საიდან ხელ მომიხადა.

— რა საქმები კაცი ეგ არის, ჯერ თავისი სიცოცხლე გაწუწკებულ კატასავით სულ იმას ფიქრობს, რომელი საწყობიდან რა მოიპაროს.

— მერე შენ რა, შენ ხომ არა გპარავს? ჩვენთვის ძალიან საჭირო ხალხია.

— იმიტომ რომ სალმიანი კაცია? შენ ეგ არ შეგხვედრია, სადაც საჭიროა. აი, მაგალითად, ფულის სამეში. ღიმილით კაცი რომ ფასდებოდეს, ერიჰა! მაგრამ ქალებს ჭკუა არა გაქვთ. თეთრ კბილს და შავ გულს ერთმანეთისგან ძნელად განასხვავებთ.

— ნეტავი ჩემი ბიჭი კარგად მომიწყოს და მაგის გულს სულ არ დავეძებ.

— მერე, ძალიან გინდა, ბიჭმა მაგისი ხელობა შეისწავლოს?

— აბა, შენსავით ტრამვაის შეაბერღეს?

— ბარემ მოვკვდე, რომ ჩემი შრომა მაგის შრომას არ ვამჯობინო, — შესჩივლა ღვინის ჭიქას ბაღომ.

დღეები მიდიოდნენ, მაგრამ ამ ორ სახლს შორის ურთიერთობის ძაფი მაინც ვერაფრით გაიბა. პატარა სახლი მაღალი მესერის იქით მოემწყვდა.

ერთ ღამეს ქალს მეზობლის დასაახლოებლად ახალი აზრი დაებადა. პატარა სახლში ყველას ეძინა, ეს აზრი თავისთავად მოუვიდა. დიასახლისმა ლოგინიდან წამოიწია, მძინარე ქმარს ხელი გაჭკრა:

— ბაბო!

ბაბომ ნამძინარევი თვალები დააჭყიტა და ცოლს მიაშტერდა. ქალმა ერთ წუთს თვალიც კი აარიდა, ისე ულამაზო მოეჩვენა ქმრის გაბურძგნული შავი სახე, მაგრამ ქმარს მაინც უღიმოდა, იცოდა, ამ ღიმილით ბაბოს ყველაფერზე დაითანხმებდა.

— ბაბო, რა იქნება, რომ ჩვენი მეზობლები საახლოებლად მოვიპატიჟოთ?

— რა იქნება და არაფერი.

— რაგორ არაფერი, სუფრა ისეთი უნდა იყოს, რომ არ შეგვრცხვეს.

— უნდა იყოს, აბა, მაშ რა.

— მერე ფული გვინდა! — და ცოლმა კიდევ გაიღიმა, მაგრამ გაბოს შუბლი არ გაუხსნია.

— მე ფულს არა ვჭრი! ფულის მეტი რა გაქვს გადასახული.

— კი მაქვს, მაგრამ... რაც არის — არის, ამ დღისთვის არაფერს არ დავიშურებ. გამოეჩნიდეთ ცოტა!

გაბო და მისი ცოლი მაინც შეთანხმდნენ, რომ სტუმრებს ძალიან გულუბვად და ხელგაშლილნი შეხვდებოდნენ. ქალი დილაადრიან წამოფრინდა. მთელი დღე თავის პატარა სამფლობელოში ფუსფუსებდა, უნდოდა, მისი სამზადისი ყველას დაენახა, მთელ გარეუბანს. საერთოდ, გარეუბანში ადრე წვებიან და ადრე დგებიან. ამ პატარა სახლშიც შუქი ყოველთვის ადრე ქრებოდა. იმ ღამეს კი დიასახლისი დიდხანს ტრიალებდა, ნივგზის სანელებელს ამზადებდა, თან ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრება სახარბიელოდ ვერ მოეწყო. ქმარი მაინცდამაინც არ უყვარდა. მათ ქორწინებაში ეს პატარა სახლი ჩაერია. ეს სახლი ქალს ეკუთვნოდა, გაბოს კი ძალ-ღონის მეტი სხვა არაფერი გააჩნდა. ქალის დედამ შვილის უკითხავად სასიძო შინ მოიყვანა; ეს დიდი ხნის წინათ იყო.

უფროს ვაჟს, ომარს ტკბილად ეძინა. ხვალინდელ დღეს ისიც ელოდა, იცოდა, ამ სამზადისის მიზეზი თვითონ იყო.

ახალი სახლის ყოველთვის დახურული სარკმელი უცებ ვიღაცამ ხმაურით გააღო. დიასახლისმა სიბნელეში ქალის შეშინებული ხმა გაიგონა.

— მეზობლებო, მეზობლებო, გვიშველეთ!

დიასახლისმა თავისი სარკმელი ფართოდ გამოაღო და აღელვებულმა ხმამაღლა გაამხნევა:

— ნუ გეშინია, ახლავე მანდა ვართ! — მერე მძინარე ქმართან მიიჭრა და, როგორც კი შეეძლო, შეანჯღრია:

— გაბო, გაბო. აბა ჩქარა წამოდექი! მეზობლები ველას გვთხოვენ. ქურდავენ!

გაბომ თვალები გაახილა და ცოლს შუბლშეკრული მიაჩერდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო ქურდიო?

— ჰო, ჰო, მისაშველებლად ვვეძახიან.

გაბომ წამოიწია, შავად აბურცული მკერდი წინ გამოსწია და ერთი ღონივრად გაიზმორა. ცოლი აჩქარებდა; ხალათი თითქმის ძალად ჩააცვა. ერთადერთი, რაც ძალიან მოსწონდა ქმრისა, ეს გაბოს უშიშარი გული იყო, ერთ დროს გაბო კარგ მოჭიდავედ ითვლებოდა, უბანში ყველა მოჩხუბრის გამშველებელი იყო. როგორი საფრთხეც არ უნდა ყოფილიყო, უკან არ დაიხევდა. ქალს უხაროდა, რომ გაბო მეზობლებს სწორედ ასეთ დროს დაჭირდა. კარადის თავიდან ძველი ხანჯალი ჩამოიღო და ქმარს გაუწოდა. გაბომ ხანჯალი ჩამოართვა და გარეთ გავარდა. ქუჩაში გავდგა და მეზობლის ჭიშკარს მიადგა. წინ ქალი მიუძღოდა და ამ პატარა სახიფათო გზაზეც კი თვისი ოჯახის სასიკეთოდ აწყობდა გეგმებს: ეს შემთხვევა უსათუოდ დაგვახლოვებსო, ჩემს ბიჭს სწორედ ახლა სჭირდება დახმარებაო. ამ ფიქრებში აქამდე აუღებელ ციხე-სიმაგრეს მიუახლოვდნენ და შეკეტილ მეზობლებს შეეხმაინენ.

ოთახის კარი ფრთხილად გაიღო, შეშინებული ქალი კიბეზე ფეხაკრეფით ჩამოვიდა და ცოლ-ქმარს ჩურჩულით უთხრა:

— ქვედა სართულის ფანჯრები გვიან დავკეტე. ეტყობა იმ დროს ვიღაც გადმოძვრა, ძალიან დიდხანს ხმაურობდა. ხელიდან რადაც ყუთიც კი დაუვარდა.

გაბომ ოთახის კარი მოსინჯა, — დაკეტილი იყო. სარკმელს მკერდგამოწეულმა გაუარ-გამოუარა, შიგ მყოფს ხმამაღლა დაემუქრა. ცოლი კი უცებ გაქრა სიბნელეში, ჭიშკარი ფთხილად გამოაღო და დიდ დროს არ გაუვლია, — მეზობელი. ახალგაზრდა მილიციელი მოიყვანა. ხმაურზე რამდენიმე ცნობისმოყვარე მეზობელმაც შემოიხედა. დაკეტილი კარი გააღეს. პირველად მაინც გაბო შევარდა, შუქი აანთო და... სახტად დარჩა: შავგეწვიანი კატა ხიხილა-

ლის კოლოფსა და კონსერვის ქილებში კუდაწეული იდგა. გბოს მწვანე თვალები შეანათა და მერე ისე უცებ გაუძვრა ფეხებში, თვალი ვერ მოკრეს.

— ფუ! — გადაფურთხა გბომ და თოფნაკრავივით შემობრუნდა.

უეცრად ჭიშკართან მწვანე „ვოლგა“ გაჩერდა, ეზოში სახლის პატრონი შემოვარდა:

— რა ამბავია, რა მოხდა?

— არაფერი, კატამ დაიფრთხო თქვენი მეუღლე, — უპასუხა ერთ-ერთმა თამამმა მეზობელმა. მისი მეუღლე ამ დროს წელში მოხრილიყო, ცდილობდა, მიემაღა ბეგრი ისეთი რამ, რაც ცნობისმოყვარეებს არ უნდა დაენახათ.

— კატა ვისია? — იკითხა სახლის პატრონმა.

პასუხს არ დაელოდა და, ახლა მილიციის თანამშრომელს მიუბრუნდა:

— თქვენ ვინ შეგაწუხათ?

— ჩვენ მოვიყვანეთ, — გაისმა შეშინებული, ჩაწყვეტილი ხმა.

სახლის პატრონს გაბოროტებული სახე გვერდზე მოექცა, მერე გბოს მოუბრუნდა:

— შე კაი კაცო, რაღა მილიციაში გარბოდი, კატას მარტო ვერ მოერიე?! ისე თითქოს ვაჟკაცსა გავხარ.

გბო შეიშმუშნა, პასუხი ვერ მოახერხა, ცოლს ხელით ანიშნა, წავიდეთო. ქუჩაში გავიდა და ხმამაღლა ალაპარაკდა:

— ორმოცი წელია არც არასოდეს შემშინებია და არც არავის დავუფრთხივარ. ორმოცი წელია ჩემ სარდაფში კატა და თაგვი ფხაკურობენ, მაგრამ არ მეღვიძება.

ცოლ-ქმარმა თავისი სახლის კარი შეაღო. სტუმრების მოლოდინში ყველაფერს საადღესასწაულო იერი ჰქონდა; ომარს ისევ ისეთი ძილით ეძინა, დედამ შვილს დახედა და ასლა იგრძნო, როგორი მოღლილი და უძილო იყო. სკამზე ჩამოჯდა.

— ერთი მაგათი! — ვეღარ მოითმინა გბომ, — თუ არ შემეხვეწებიან, სალამსაც არ მივცემ.

ცოლმა თავი გააქნია და ისევ ომარს დახედა. ახალ სახლში სარკმელი ისევ ღია იყო. სახლის პატრონის ხმა მოისმოდა. ისევ ბობოქრობდა, ცოლს გაჯავრებული ეუბნებოდა: „ეს რა მიყავი. იმოდენა ხალხი სარდაფში როგორ შეიყვანე! ეგ სულ მაგათი ოინებია, კატა განგებ შეაგდეს შიგ! იცოდე, მაგ მეზობლების ფეხი აქ არა ვნახოო!“

— ვესმის, კატამ რა ჩაიდინა? — გაიცინა გბომ და ცოლს მხარზე ხელი გადახვია — ეჰ, ქალებო, თქვენ საქმეში მეც რომ გამრიეთ...

ქალს კატა ახლა გაახსენდა. დირეზე გადაგდებულ ხანჯალს ხელი წაავლო. კატას ეძებდა, უბრალოდ კი არა, წყეულითა და მუქარით. იფიცებოდა: სადმე თუ ვნახე, წელს მოვწყვიტავო. აბა, კატას სად იპოვიდა? ის ზევით, დერეფნის კოჭზე გაწოლილიყო, გალურსული იწვა და ძირს გაკვირვებული იყურებოდა. ეტყობოდა, ვერ მიმხვდარიყო, რა აშფოთებდათ ადამიანებს, რატომ ღელავდნენ, რა აწუხებდათ.

ზურაბ რაჯბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოთხრობა

მზე ჯერ არ ამოსულიყო. მიდამოს თხელი ნისლი ეფინა და ნაღვლიანიც კი ჩანდა.

ბიჭებმა წელში მოხრილ მკრეფავებს ჩაუარეს და ეკალმორეულ ჩაის ბუჩქებს მიაშურეს. ჯონდომ ნაბიჯი შეაჩერა, უკან მიიხედა: „ნახატებსა და ფილმებში ჩაის კრეფა ხშირად ზეიმს ეფრო ჰგავს, თითქოს ხალხს საქმე შემოლევია და ამ პატარა, ხასხასა ბუჩქების წიწკნით ერთობაო“, — გაიფიქრა უნებურად.

ამხანაგებს წამოეწია. ბიჭები ერთ-ერთ ამბით შეესივნენ ეკალმორეულ ჩაის ბუჩქებს.

ჯონდო დაიხარა, ეკლის ძირი მოძებნა, ამოქაჩა და ამოაგდო. ახლა მეორე ბუჩქს მიადგა. აქ სამი ძირი ეკალი იყო ერთად. ერთი ამოგლიჯა, მეორემ ხელი გაუკაწრა. ბიჭები თავაუღებლივ მუშაობდნენ; ნელა, ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ. ჯონდომ ეკლის მაგივრად ჩაის ბუჩქს მოსდო კაუჭი. ბრაზი მოერია. მზეს შეხედა:

— კაი გაძლება გინდა! ჯერ შუადღეც არ წამოსულა, — ჩაიბუზღუნა. მზად იყო დაემტვრია, დაელეწა, დაეთხარა ეს ჯუჯა ბუჩქები, მაგრამ... ბიჭები თავაუღებლივ მუშაობდნენ.

ჯონდომ ახალი ბუჩქი გადაწია:

„ე, ბიძინა მაინც რამ გააჩუმა!“ კაუჭი ჩაჰყო, „რა გამძლეობა ჰქონია“. დაატრიალა. „ვინ იფიქრებდა, ამის მოთმინება თუ ექნებოდა ბიძინას.“ ამოქაჩა. „შიომ მაინც ამოიღოს ხმა.“ კაუჭს ეკალი მოაცილა. „თუმცა თვითონ არა თქვა? — იქ გამოჩნდება, ვის რა შეუძლიაო!“ ისევ დაიხარა. „ბაკურას ძალიან უჭირს.“ ერთხანს ეძება ეკლის ძირი. „ყოჩაღ, ბაკურ, რო უძლებ.“ ვერა და ვერ დაახვია რკინაზე. „არა, არა, უნდა გავუძლო, თორემ სირცხვილია“. როგორც იქნა, მოარგო. „აი ვინმემ რო ხმა ამოიღოს, მეც ავყვები“. ამოქაჩა და ეკალი ძირში გადაწყდა. წელში გასწორდა.

— წადი, ამის მომგონიც! — ეს სეხნია იყო.

ჯონდოს იმედი მიეცა.

— მომეშვი, ერთი, თუ ძმა ხარ! . — კაუჭი მიაგდო ჯოკიამ.

— კარგი, ჰო, შეეისვენოთ, — ხელი ჩაიქნია ძინდიამ.

ახლა კი მოეშვა გულზე ჯოხდოს.

— აგე, თქვენი ბიძინა და შიო! ესეც მაგათი ცალკე ფუშაობა! — დაიყვირა ჰოლუშულმა ჰაპუნამ.

„არ გამიკვირდა?!“. — გაიფიქრა ჯონდომ.

ბიძინა და შიო თავიდანვე გაპარულიყვნენ და პლანტაციის ბოლოში ხის ძირას კოტრიალობდნენ.

— ხმა არავინ გასცეთ! — თვალი მოავლო ბიჭებს მინდიამ.

ბიძინამ წორიდანვე დაიწყო მანქვაგრეხა: შიოს მოსდო შარი, ამან ამტეხაო. ბიჭებმა კარგად იცოდნენ, რომელი იყო ამტეხი და რომელი ამყოლი.

ყველა უხმოდ წამოწვა ჯერ კიდევ გრილ ბალახზე.

— ასე არ გვარგებს! — დაიბუხუნა ელგუჯამ

— ვინმე ავირჩიოთ მეთაურად! — წამოიძახა სეხნიამ.

„ახლავე უნდა დავასახელო, თორემ ვაითუ ვინმემ წამოაყრანტალოს და უხიათო ბრიგადიერი შეგვრჩეს ხელში,“ — გაიფიქრა ჯონდომ და ხმამაღლა თქვა:

— რაოა ვინმე, მინდია იყოს!

— იყოს!

— ჰოდა, მისი სიტყვაც კანონი იყოს! — ისევ დაიბუხუნა ელგუჯამ, თან ბიძინას და შიოს დაუბრიალა თვალები.

— კარგი, ვიქნები, თქვა — მინდიამ, — ოღონდ ჯერ გავარკვიოთ, გვინდა მუშაობა თუ არა?

ყველამ ბიძინას და შიოს შეხედა.

— მაგათ რას უყურებთ! — განაგრძო მინდიამ, — ჩვენ მანამდე დავანებეთ თავი მუშაობას, ვიდრე მაგათ გაპარავს გავიგებდით!

— აბა, ეს რა ვაჟკაცის სამუშაოა! — წამოიძახა სეხნიამ.

— მართლაც! — დაამატა ჯონდომ.

მერე ყველა ერთხმად აყაყახდა.

— დღეს რაც მოხდა, მოხდა. ვთხოვოთ, ხვალიდან ჩვენც ამოძირკვაზე გაგვიშვან, — წყნარად თქვა მინდიამ. — ოღონდ იქაც რომ ასე დავიწყოთ...

— არა, კაცო, რას ამბობ! — გააწყვეტინა სეხნიამ.

— ენახოთ, აღდგომა და ხვალეო. ახლა მეორე ამბავი: ფული ერთად დავდოთ, სასადილოში რომ ცალ-ცალკე არ დავიწყოთ სირბილი! სულ ეს არის, რაც მინდოდა მეთქვა. — მინდიამ ბიჭებს გადახედა.

აიშალნენ და სკოლის ეზოსაკენ გაეშურნენ

ბიძინამ ხელმძღვანელები მოძებნა. სერაფიონმა და გოგიმ მშვიდად მოუსმინეს ბრიგადირს, ოღონდ ვარდენმა დაუწყო ჭკუის დარიგება:

— ბიჭო, თქვენ ეგ ეკლები ვერ ამოგიგლეჯიათ და ჯირკებს მოერევით?!

— მოვერევით! — მოუჭრა მინდიამ.

— ეხახოთ, ხვალიდან ამოძირკვაზე გავუშვათ და მერე!... — ხმას აუწია სერაფიონმა.

— ჰო, მერე რაც გინდათ, ის გვითხარით! — გააწყვეტინა მინდიამ.

სერაფიონს გაეღიმა:

— კარგი, კარგი.

ვარდენს ხმა აღარ ამოუღია, სერაფიონი აქ უფროსი იყო.

●

ცისკარს დაასწრეს ბიჭებმა. ჩაის პლანტაცია გაიარეს და ახოზე გავიდნენ. ტყე პირწმინდად გაეჩეხათ. ხის ძირები უშნოდ ამოჩრილიყვნენ მიწიდან. ეკალ-ბარდები იქვე დაეწვათ დალაგ-ალაგ ნახშირი ეყარა.

ბიჭებმა ხორხოცით გაიძვრეს მაისურები და ერიამულით შეუდგნენ საქმეს.

მუშაობით ისე გაერთვნენ, მალე მხოლოდ მათი ცულების ჩახა-ჩუხი ისმოდა. ეტყობოდა, ზოგს პირველად ეჭირა ცული, მაგრამ იხტიბარს არც ისინი იტეხდნენ.

— ეე, ზალიკო, — გაეცინა ჯონდოს — რას შვრები, ფეხებს დაიჭრი!

ზალიკო გაწითლდა, მაგრამ ხმა არ გაუცია, ისევ მოიქნია ცული.

— არ გესმის, კაცი რომ გეუბნება! — ახლა ბიძინამ უყვირა.

ზალიკო, ისევ განაგრძობდა მუშაობას.

— გიჟია, მა რა არი! — ახლა სეხნია მიუბრუნდა ბიჭებს.

— რას შემომჩინდით! — იყვირა გულმოსულმა ზალიკომ.

მუშაობა შეწყვიტეს.

— ჯერ არ დაგვიწყია და უკვე დაერიეთ ერთმანეთს! — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა მინდიამ. ძერე უცებ გაახსენდა და ხმამაღლა დაიძახა:

— წყალი გვეპირდება, ერთმა ჩვენგანმა ზიდოს!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. წყლის ზიდვა ყველას საჩოთიროდ მიაჩნდა.

— გამოვყოთ ვინმე, — დინჯად, საქმეში ჩახედული კაცის კილოთი თქვა ელგუჯამ.

— ზალიკო, აიღე ვედროები და პოტანე! — უთხრა მინდიამ.

— მე რა... — ზალიკოს ენა დაება.

— რა და ფეხები რომ კიხლიან დაიჩეხე, შენ გიყურთო, თუ ვიმუშაოთ! — ძიახალა სეხნიამ.

ზალიკო მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა, მაინც ხავსს ებღაუჭებოდა:

— არ ვიცი, სად არის აქ წყარო!

— წადი და მოძებნე!

ყველას გაეცინა.

— გამარჯობა თქვენი, ნასწავლო ხალხო! — ჩხუბსა და ყაყანში შეუმჩნეველად წამოსდგომოდა ბიჭებს ბერიკაცი.

— იცოცხლე, გაგიმარჯოს, ძიაკაცო! — გაისმა აქეთ-იქეთან.

— რაა რო ცულებს მიწაში სცემთ? — გამომცდელად იკითხა ბერიკაცმა.

— მიწაში კი არა, უნდა ამოვძირკვოთ, — აუხსნა ბაკურმა.

— უყურე შენ! — გაეღიმა ბერიკაცს. ბიჭებმაც გაიღიმეს.

— ასე, ბიძიკოებო, ასე. კარგი ბიჭები ხართ, აქ რომ ჩამოხვედით და სოფელს ეხმარებით. გაგონილა ამდენი ნასწავლი! გუშინ რადიო იძახდა, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა ნასწავლი ხალხითო. რაი მერე! მხვნელ-მთესველი ადარავინ დარჩა და! აბა, ნასწავლი კაცი შეაკვდება ოყიან თოხს?! თქვენც ახლა ახალგაზრდები ხართ და გეხალისებათ, მერე... — ბერიკაცი შეჩერდა, ჩაფიქრდა.

— ძერე სხვა ახალგაზრდები მოგეხმარებიან, ძიაკაცო, რა გამოლევს ახალგაზრდებს ქვეყანაზე, — თავისი ბალიკით, ვიღაცამ დაამშვიდა სეხნიამ.

— არა, ბიძიკო, არა, ეს ფიზიკური, სოფელს მუდმივი მუშახელი ჭირდება.

— აბა სწავლას დავანებოთ თავი? — ჩაეკითხა ჯოკია.

— რავა გეკადრებათ, ბიძიკოებო. უსწავლელი დღეს ახალგაზრდა კი არა, აღარც მოხუცი ვარგა, მარა რადაც უნდა მოვიფიქროთ, რომ სოფელიც არ დაგვეჩაგროს...

— თქვენ ნაღდად მოფიქრებული გექნებათ, — შეაპარა ბიძინამ.

— მე სად მაქ მაგის თავი. ნასწავლები თქვენ ხართ! — დაუბრუნა გლეხკაცმა.

— ძიაკაცო, აქ წყარო სად არის ახლო-მახლო? — საქმეზე გადავიდა მინდია.

— წყარო, ბიძიკო, ამ სოფელში არა გვაქვს. დაბლობი ადგილია და ჭის წყალს ვსვამთ. გამომყევით რომელიმე!

ზალიკომ უხალისოდ აიღო ვეება ვედროები.

ბიჭები მალე დარწმუნდნენ, რომ ყველაზე ძნელი აკაციის ამოძირკვა იყო. ბიძინა მაინცდამაინც არ აკლავდა თავს აკაციის ჯირკებს, ბიჭები ეხმარებოდნენ.

ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწევდნენ წინ. ხანდახან წელში გასწორდებოდნენ ხოლმე, ერთმანეთს რაიმეს უკვიმატებდნენ და ისევ განაგრძობდნენ მუშაობას.

— შესვენება! — დაიყვირა მინდიამ.

მზე ისე აცხუნებდა, მიწას ბუღი ასდიოდა.

— სად პაპაჩემთან გადაიკარგა ზალიკო? — იკითხა პაპუნამ.

— დაგვხოცა ხალხი წყურვილით! — აბუზღუნდა ზიოკ.

— აქამდე ახალ ჭას გათხრიდა კაცი! — ცოფებს ყრიდა ბიძინა.

— ალბათ, სადმე ჩრდილში კოტრიალობს, — დაასკვნა ბაკურმა.

— მოიცათ, იქნებ ჭა შორსაა, — ამშვიდებდა ბიჭებს ელგუჯა.

ისევ ამ ბუზღუწში და სჯა-ბაასში იყ-

ვნენ, ზალიკო რომ გამოჩნდა. წყალს კი არა, ჯერ ზალიკოს ეცნენ.

— შე ბეღოვლათო, სასეირნოდ გაგიშვით?!

— ნაღდად ეძინა!

ზალიკო ტეჩებს აცმაკუნებდა, ვერ ბედავდა, ეთქვა, გზა დამებნაო.

— მოგშვით! — ისევ ელგუჯამ დააშოშმინა.

წყურვილი მოიკლეს, გაბოლეს და ჩრდილში წამოგორდნენ.

— ერთი საათიც წავიმუშაოთ, მერე წავიდეთ, ვისადილოთ და მზე რომ გადაიხრება, მაშინ განვაგრძოთ, — თქვა მინდიამ, მერე ნამუშევარს მოავლო თვალი. ბაკურის სვრელს დააკვირდა, უცებ ეთიღუშა:

— იქ ვინ იდგა?

ხმა არავინ გასცა.

— მე თქვენ გეკითხებით! — უფრო მკაცრად გაიმეორა მინდიამ.

— მე ვიდექი! — წამოდგა ჯონდო.

მინდიას სიტყვა პირზე შეაშრა. ყველამ იცოდა, ჯონდო აშკარად ტყუოდა...

სიჩუმე ისევ ჯონდომ დაარღვია.

— მე ვიდექი, ცული არ მივარგა, ტარი ძვრება და ძალას ვერ ვატან. აკაციები ვერ ამოვძირკვე, — წამოიწყო მაგრამ მინდიამ გააწყვეტინა: — გამიცვალე!

გაცვალეს. მერე მინდიამ განგებ დაუწყო ცულის ტარს კირკიტი. მშვენივრად იყო დაგებული. მაინც წააძრო და ხელახლა დააგო.

ბაკურმა აღარ იცოდა, რა ექნა. არავინ ეუბნებოდა რამეს და უფრო რცხვენოდა.

როცა წამოდგნენ, ჯონდო ბაკურის სვრელს მიუბრუნდა. ბაკურიც უსიტყვოდ ჩაუდგა ჯონდოს სვრელს. ბიჭები მათ არ უყურებდნენ, ჯონდო და ბაკურიც უხმოდ იქნევდნენ ცულებს.

მთელი ძალ-ღონის დაძაბვა მოუხდა ჯონდოს, რომ ბიჭებს წამოსწეოდა. ახლა ელგუჯა და სეხნიაც აღარ წასულან წინ, მაგრამ ჯონდო ვერაფერს მიხვდა.

„ხო მაინც დაგეწიეთ!“ — ნიშნისმოგებით ფიქრობდა ჯონდო, — „ხო დაგეწიეთ!“

●

საერთო საცხოვრებელში გრილოდა. საწოლებზე წამოგორდნენ. ჯოკამ ეს ადგილი ... ასათიანის ლექსების კითხვა დაიწყო. სხვა ბრიგადების ბიჭებიც მოსულიყვნენ.

— ბიჭებო! — აყვირდა ავთო, — ეროდით, სპარტაკიადა ჩავატაროთ: ფეხბურთში, წყალბურთში, ჭიდაობასა და ჭადრაკში.

ავთო იმ ბიჭების სახელით ლაპარაკობდა, ლოთობის მეტს რომ არაფერს აკეთებდნენ.

ეს აზრი ყველას მოეწონა და ხელდახელ იწყეს გუნდების შედგენა.

— ჰმ, მაგათ ჭკონიათ, სპორტში მანც გვაჯობებენ, — ჩაიცინა ჯონდომ, — მერე რიხიანად გვეტყვიან, „არ გვინდოდა მუშაობა, თორემ!“..

— ვისა? ჩვენ გვაჯობებენ?! — გაუკვირდა სეხნიას, — მაგათ თუ ღვინის სმა ვეჯაკცობა ჭკონიათ, მაგაშიც შევეჯიბროთ...

— კო, მერე გინებაშიც მოვაწყოთ ტურნირი, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მინდიამ.

— და ტრაბახშიც. — დინჯად დაურთო ელგუჯამ.

ფეხბურთი მაშინვე ითამაშეს სკოლის ეზოში. ავთოს გუნდელებმა ერთმანეთს დაუწყეს ღრენა და აიკლეს იქაურობა: არა შენი ბრალია წაგება, არა შენი.

საღამოთი მინდია, პაპუნა და ელგუჯა ჭადრაკს ჩაუსხდნენ. შიო და ბიძინა გოგოებთან ლაზღანდარობდნენ. ჯოკა ისევ ლადო ასათიანის ლექსებს კითხულობდა. ზალიკო ლოგინზე თვლემდა, გეგონებოდა, ყველაზე მეტი იმუშავაო. სეხნია ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ყველგან იყო: მოუჯდრაკეებთან, გოგოებთან, მომღერლებთან. ჯონდო სკოლის ეზოში, ხის ძირას, მარტო იჯდა და ფიქრობდა:

„ეს რა გაკეთა ბაკურმა! რამ გამოატანა ამხელა კაცი. მერე კი ძალიან შერცხვა: მეც რამ გადამრია, რომ ვყვიროდი... მაგრამ ელგუჯამ და სეხნიამ

რომ აღარავის გაუსწრეს?! აა!!“ — მხოლოდ ახლა მიხვდა ჯონდო, — „მიტომაც წამოვეწიე ბიჭებს! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!“

— რას ჩაფიქრებულხარ, ჯონდოია!— გამოარკვია ჯოკიას ხმამ.

— ა... ისე, კაი საღამოა, — დაბნეულად უპასუხა ჯონდომ.

— რა საღამოს დარდიც გაქვს ვიცი!— ღიმილით უთხრა ჯოკიამ.

— დარდი? რაზე უნდა ვდარდობდე? — იწყინა ჯონდომ.

— ნუკრიაზე!

— არა, ჯოკია, ახლა ნუკრიაზე არ ვფიქრობდი.

— ახლა არა, მაგრამ...

— არც არასდროს!

— შენ არა თქვი, ახლა არ ვფიქრობდიო, ესე იგი, სხვა დროს ფიქრობ, — არ ეშვებოდა ჯოკია.

ჯონდოს გაეცინა:

— კარგი, ეგრე იყოს.

— იყოს კი არა, ასეა.

— ეგ არც მე ვიცი ჯერ კარგად, — გულახდილად უთხრა ჯონდომ.

●

— წუხელ, სიზმარში სულ ჯირკები ველანდებოდა, — თქვა პაპუნამ.

— ნეტა, როგორ ნახულობენ ამ სიზნრებს?! — უკვირდა ელგუჯას.

ჯერ კარგად არც გახურებულიყვნენ. ელგუჯა და სეხნია ცდილობდნენ, არ გაესწროთ დანარჩენებისათვის. ზალიკო წყალზე იყო წასული. ახლა ბაკურიც გულდაგულ მიჰყვებოდა სვრელს. ალონის სუსხს ჯერ არ გაევლო და რომ არ შეცივნდათ, ბიჭები უფრო სწრაფად იქნევდნენ ცულებს.

— აჰა, აჰაა! აბა დავცხოთ, დავცხოთ, ბიჭებო! — ყვიროდა ჯოკია.

ნატყეევარს ვეძრა მოსდებოდა. ბიჭებიც კაფავდნენ, რომ ხის ძირები არ გამორჩენოდათ.

— აჰა, აჰაა! ნუ შეშინდი, ჯონდოია! — არ იშლიდა თავისას ჯოკია, ახლა შოისკენ მიბრუნდა. მიბრუნდა და... გმინვა აღმოხდა.

ყველამ ჯოკიას შეხედა. ხელდაბ/ცული გაკვრდნოდა, გაფითრებული მაგაზე ისედებოდა. შოიც გახევებულიყო, ხან თავის ცულს დაჰყურებდა უაზროდ, ხან — ჯოკიას გასისხლიანებულ მაკას.

— აბა ჩქარა, თამბაქო დავაყარეთ ჭრილობაზე, თამბაქო! — მცოდნე კაცის იერით თქვა ბაკურმა.

ჭრილობაზე თამბაქო დააყარეს. მერე სუფთა ცხვირსახოცით შეუხვიეს.

— ახლავე წაიყვანეთ ექიმთან, ნემსს გაუკეთებს! — მივარდა მინდია.

ყველას უნდოდა წაჰყოლოდა.

— მარტო შოო წაჰყვება, — თქვა ბრიგადირმა.

— არა უშავს, გაკაწრული აქვს და ეგაა! — ისე მშვიდად თქვა ელგუჯამ, ჯოკიასაც კი გაეღიმა.

წავიდნენ.

ზალიკომ ჯოკიას ცულს წაავლო ხელი, მაგრამ ცივად გააგდებინეს:

— ახლა შენღა გაკლია ხელ-ფეხის დაჩეხვა!

— დაადგე ახლავე!

— გირჩევნია, ამ შენს ვედროებს მიჰხედო!

ზალიკომ უსიტყვოდ დაადგო ცული და ნაწყენმა ჩრდილს მიაშურა. წყალი უკვე მოეტანა.

ორიოდე საათის შემდეგ ჯოკია და შოო დაბრუნდნენ. ჯოკიას შეხვეული ხელი ბინტით ჰქონდა ჩამოკიდებული.

— გაგიკეთეს ნემსი?

— ბიჭო, შამფურივით ნემსი მატკა მუცელში, ძლივს გავუძელი.

— არ უყვირია? — ახლა შოოს ჰკითხეს.

— არა, ნამდვილად არ უყვირია, მარტო კბილებს აღრჭიალებდა, ისიც ჭრილობას რო უფხეკავდა ექიმი, მაშინ.

— რა ამოფხეკა უნდოდა?! — გაუკვირდა ბაკურს.

— რა და, ეგ აყროლებული თამბაქო რომ ჩავაყარეთ, სულ ნამცეც-ნამცეც ამოიღო.

— ა, ჭკუის კოლოფო, ახლა ხომ გაიგე, თამბაქო მავნებელია! — უთხრა ბაკურს სიხნიამ.

შესვენებაზე ბიჭები მდინარეზე ჩავიდნენ. ბანაობით რომ გული იჯერეს, ცხელ სილაზე გაიშოტნენ.

— შენ როდემდე გინდა წვერგაუპარსავმა იარო? — ჰკითხა ბიძინას ბაკურმა.

— ვიდრე დასაწნავი არ გამიხდება.

— მართლა, მოდი ყველამ მოვუშვათ წვერი! — მოეწონა ჯონდოს.

— ჰოდა, „წვეროსანთა ბრიგადა“ დაირქვათ! — მხარი აუბა ჯოკიამ.

— შენ მოუშვებ, მინდია? — ჰკითხა ბაკურმა.

— მოვუშვებ რა!

ბაკურის გარდა ყველამ გადაწყვიტა წვერის მოშვება.

— ჩვენ წვერგაუპარსავი კი არა, წვერმოშვებული ვიქნებით, ბაკურ! — დაამშვიდა ჯონდომ.

— ეგ სულერთია, სირცხვილია — ამბობდა ბაკური.

ზალიკო თავისდაუნებურად ისევ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ყველა წვერმოშვებული ივლიდა და მისი ღინღლის პატრონს რაღა ექნა, არ იცოდა.

●

ბიჭებს გადაეწყვიტათ, კვირას გვიანობამდე სძინებოდათ, მაგრამ თითქმის ყველას უთენია გაეღვიძა. წამოიშალნენ. მარტო შინ იწვა გაუნძრევლად. ბიძინამ ჭიქით წყალი გადაასხა და შიოს ჭყივილმა იქაურობა შესძრა.

დღეს არავინ ჩქარობდა, არც რიგი იდგა პირსაბანთან.

— ბიჭო, ნახე, რა ლამაზია! — წამოიძახა ბიძინამ და ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა.

ელგუჯას გაეცინა:

— პირველად ხედავ მზის ამოსვლას?!

სხვებსაც გაეცინათ.

— თქვენ რაღას იღრიჯებით! — შეუღრინა დანარჩენებს ბიძინამ, — მე მზის ამოსვლაც მინახავს და ჩასვლაც. სოფელში ვარ გაზრდილი.

მზე მართლაც ლამაზად ამოდიოდა.

ბიჭები იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. მზე ეფერებოდა, ატკბობდა, ამხნევებდა ყველას და ყველაფერს: შორს — მის სხივებზე აქოთქოთებულ სვანეთის დათოვლილ მწვერვალებს და ახლოს — გადახასხასებულ ჩაის ბუჩქებს; პატარა ჩხოუშის და მის პირებზე ატეხილ ჭალებს; დაბურულ მუხებს და გაწრიპულ აკაციებს; გრძელნაწნავა ტირიფებს და აშრიალებულ თხმელებს; მათ ქვემოთ აბიბინებულ ბალახს და ბალახში მიმობნეულ ნაირფერ ყვავილებს. ყვავილები მაღლა სწვდნენ ნამძინარეგ, დანამულ თვალებს და მზეს შესცინებდნენ. ჩიტბატონები ჟღურტყულებდნენ და მზის სხივებში ფრთებს აფართქუნებდნენ. მზე ელამუნებოდა გაღმა სერზე წამოჭიმულ სოფლის ახალ საავადმყოფოსა და განმარტოებით ჩამუხლული ბებერი ციხის ნანგრევებს. სოფლის იქით ჩამომქუხარე ენგურს და ყოველ სულიერს.

ყველამ ღრმად, მთელი მკერდით ჩაისუნთქა. შემდეგ უხერხულად შეიშმუშნენ, მიმოიხედეს. თითქოს აგერ, ასლა ჩამოფრინდნენ მზიდან და აქაურობა ეხამუშებათო...

მეორე დღეს შიო აწუწუნდა, თავი მტკივაო და შინ დარჩა. როცა დაღლილი ბიჭები დაბრუნდნენ, ყველას გული მოუვიდა: შიო სკოლის ეზოში ფეხბურთის თამაშობდა. ისე იყო გართული, ვერ შენიშნა ამხანაგების მიახლოება.

— თავი არ დაარტყა, ბიჭო, თორემ, ისევ აგტკივდება! — დაუძახა სეხნიამ.

შიო გაშრა...

მერე ბიძინას ატკივდა კბილი. ზუგდიდში წავიდა და მხოლოდ საღამოთი დაბრუნდა, თანაც მთვრალი.

ბოლოს მინდიამ თქვა, კრება მოვიწვიოთო.

— კრება არა, თათბირი! — იუარა სეხნიამ, — თუ არ უნდათ, ნუ იმუშავებენ, ვინ აძალებს. აგერ, ხომ დაყიალობენ ავთო და მისი ერთგული ძმაკაცები თავიანთ ჭკუაზე.

საღამოზე, ათიევემ რომ მოიყარა თავი, მინდიამ ოთახის კარი ჩაკეტა.

— კიდევ აგტკივდებათ თავი და კბილი? — ჰკითხა შიოს და ბიძინას.

— ეგ წინასწარ არავინ იცის, — დაიწყო შიომ.

ბიჭები არ აჰყვნენ.

— იქნებ ხვალ თქვენ აგტკივდეთ, — ახლა ბიძინამ განაგრძო.

— ჩვენ არა და თქვენ კი ახლა აგტკივდებათ გვერდები! — გაბრაზდა სეხნია.

— შენ რას იმუქრები! — შეუღრინა შიომ.

— ვიმუქრები კი არა, ორივენი საცემი ხართ.

— რაო, ტკივილიც აკრძალულია?!— გაუწვრილდა ხმა ბიძინას.

— აკრძალული არაფერი არ არის!— ხმამაღლა თქვა მინდიამ, — თუ მუშაობა არ გინდოდათ, რაღას მოდიოდით!

— რა მოხდა მერე ერთი დღე... — ისევ სცადეს თავის მართლება.

აქ კი ელგუჯამ ვეღარ მოითმინა:

— გაჩუმდით მაინც, ბიჭო, — ჩაიბუბუნა.

— როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, ოღონდ აქ ვერავის გაგვაცურებთ! — გაბრაზებული წამოდგა მინდია, კარი ფაილო და ოთახიდან გავიდა.

სხვებიც აიშალნენ.

— ბიჭო, — დაიმარტოხელა ბაკურმა ჯონდო, — რას აკლავთ თავს ამ ჯირკებს. კარგი, ისინი ფულმა გადარია, მაგრამ შენ რა ჩემი თქმა გინდა, ჯანმრთელობას რომელი ფულით იყიდი?

ჯონდოს თვალებში მოაწვა სისხლი. მაინც შეიკავა თავი:

— ფულზე გადარეული ჯირკებს არ დაუწყყებს თხრას!

— ვითომ ვერ ხედავ, რომ ისინი ფულისათვის იდგამენ წელებზე ფეხებს?

ჯონდო გაფითრდა:

— რა ფულის გულისათვის, ბიჭო, არა ვრცხვენია?!

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიმ ხმაზე იცნო მომღერლებისა.

— წამო კაცო, წვეროსნები მოდიან.

— წამო კი არა, ესენი საგანგებოდ უნდა შევახუროთ, თორემ სხვებიც წაბაძავენ! — თავი გამოიდო ვარდენმა.

— ახლა ხმა არ გავცეთ. ხვალ შენ მოელაპარაკე, — უთხრა სერაფიონმა გოგის.

ვარდენს არ ესიამოვნა, მაგრამ რაღას იზამდა. ის უფრო წუინდა, რომ ვერ გამოიცნო უფროსის ჩანაფიქრი.

— კარგი, ხვალ ვეტყვი, — დაეთანხმა გოგი.

ხელმძღვანელები თავის ოთახში შევიდნენ. „თავდადებულებიც“ ამას უცდიდნენ: გამოცვივდნენ გარეთ და ისეთი ღრიანცელი ატეხეს, თითქოს ახლაც მთვრალები იყვნენ („თავდადებულები“ ავთოს ბრიგადას შეარქვეს ბიჭებმა, — სულ რომ სვამდნენ და სუფრაზე ეყვნენთებოდათ.).

— აი, გენაცვალეთ, ბიჭებო! — უხაროდათ თავდადებულებს.

— ეგრე არ სჯობია იმ დამპალი ჯირკების ჯაჯგურს!

წვეროსნები უხმოდ შევიდნენ თავიანთ ოთახში.

მეორე დილით შიოს მართლა სტკიოდა თავი, მაგრამ არ გაუხმეინა, მთელი დღე მუშაობდა. საღამოთი ვერაფრით გაიხსენა, როდის გადაუარა თავის ტკივილმა — შესვენებამდე, თუ მის მერე.

ამ დღეს ძალიან დაიღალნენ ბიჭები. ნამთვრალეზე ოფლად იღვრებოდნენ. საღამოთი ლოგინზე წამოგორდნენ.

— მინდია, ყაზახეთში უფრო მაგარი სამუშაო იყო? — ჰკითხა ჯონდომ.

— არა, კაცო, იქ ამდენი სად იყო.

— მართლა?! — გაუკვირდა შიოს.

— ჰო, რაა! — კვერი დაუკრა მინდიას სეხნიამ.

ბაკურს უნდოდა, ეთქვა, აქ რაღა ეშმაკმა გადაგრიაო, მაგრამ ვერ გაბედა.

— ბიჭებო! — იყვირა ბიძინამ.

— რა გაყვირებს, შე ჭინკა! — გაუჯავრდა ჯოკია.

— მოდით, რა გავაკეთოთ, იცით?— ყურიც არ ათხოვა ჯოკიას ბიძინამ.

— აბა, რა მოიგონე კიდევ? — დაინტერესდა ელგუჯა.

— რა და მისმინეთ! მოდით, ყველამ დავწეროთ ქაღალდზე რას ვინატრებდით ამ წუთში.

— ჰო, ეს კარგი მოიფიქრე, მხოლოდ ყველამ გულახდილად დაწეროს, — გაიფრთხილა ბიჭები მინდიამ.

— მაშინ, იცით, როგორ მოვიქცეთ, — ჩაერია ჯონდო, — ყველამ დავწეროთ, რასაც ვინატრებთ და ხელი მოვაწეროთ!

— ეგ რა გამოვა? — ვერ გაიგეს პაპუნამ და ზალიკომ.

გააგებინეს.

ბიძინა უცებ წამოხტა, გოგოებს გამოვართმევ ქაღალდსო.

— რა გოგოები აგიტყდა, აგერ არ გვაქვს ქაღალდი! — დაადევნა სეხნიამ.

მაგრამ ბიძინას მაინც დაუცადეს. ხუთიოდე წუთის მერე მობრუნდა. ყველას დაურიგა თითო ფურცელი.

— აუცილებლად ის დავწეროთ, რასაც ვფიქრობთ! — ერთხელ კიდევ გაიფრთხილეს ბიჭებმა ერთმანეთი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ბიძინამ შეაგროვა ფურცლები. მაგრამ არ წაუკითხავს, ჯერ ერთმანეთში აურია.

— აბა დავწყოთ! — დაიძახა და პირველი ფურცელი გაშალა.

„რას ვინატრებდი და თეთრ გოგოს!“ — წაიკითხა ხმამაღლა.

ატყდა სიცილი.

— ჰო, ჰოო! შავს კი დამიწუნებდი აი, ვიღაცამ ეგ დაჯღაბნე, — ჩაილაპარაკა ელგუჯამ.

„გოგოს!“ — მოკლედ ეწერა მეორე ფურცელზე.

— ა, ამისათვის სულერთია თეთრი და შავი! — საერთო ყაყანში გაისმა ჯოკიას ხმა.

„ახლა ერთი კაი გოგოსთან გავლას არაფერი მირჩევნია!“ — წაიკითხეს მესამე ფურცელზე.

ისევ ატყდა ხორხოცი.

მეოთხე ფურცელზე პირდაპირ გოგო ეხატა.

— ე, ბიჭო, დავხოცილვართ ბალიშებ... ეროვნული ბიბლიოთეკა ყვიროდა სეხნია.

„თანაბრად მუშაობას“, — ეწერა მეხუთეზე.

— ე, რაღაა?! — გაუკვირდა შიოს,— ისევ მე და ბიძინას ხომ არ გვიკაკუნებს ვინმე.

— „ყველანი კმაყოფილი წავიდეთ აქედან“, — წაიკითხეს შემდეგ ფურცელზე.

— ეს ვიღაც დიპლომატია, — თქვა ჯონდომ.

მხოლოდ სამ ფურცელზე არ ეწერა— „გოგო“. ბოლო ფურცელზე წაიკითხეს: „ხვალ დილით რომ მივდიოდეთ შინ“.

— ადგეს და წავიდეს, ვისაც ძალიან უნდა წასვლა, — უკმაყოფილოდ თქვა პაპუნამ.

— ვისაც ჩვენთან ყოფნა მობეზრდა, წაბრძანდეს, — დაუშოწმა ბიძინამ.

— გავაცილებთ, მატარებელში ჩავსვამთ და გამყოლს ვთხოვთ, დედაკოს ჩაბაროს, ისე, რომ იცოდეთ, ბიჭებო, მე ახლავე გავიგებ ამას. ტყუილი კი არ გავედი წყლან გოგოებთან. იქ ათავეს სახელს დავუსვი ნომერი და იმის მიხედვით დავარიგე ეს ფურცლები.

— არაა საჭირო! — მკაცრად თქვა მინდიამ, — თუ უნდა თვითონ იტყვის. რომ ვინმეს იქვი არ შეგეპაროთ, ყველა კმაყოფილი წავიდეთო. მე დავწერე. ეს შეგიძლია შეამოწმო, ბიძინა!

— თანაბრად მუშაობასო, მე დავწერე, თუ გინდა, შეამოწმეთ! — თქვა ზალიკომ და გაწითლდა.

— არაა მეტი საჭირო! — ისევ გაიმეორა მინდიამ.

ყველამ კარგად იცოდა, შინ დაბრუნება ვინც ინატრა.

მინდიამ ბიძინას ფურცლები გამოართვა და დახია.

— არც ეგ იყო საჭირო, მინდია! — ხმამაღლა თქვა ბიძინამ.

ყველა მიხვდა, ვის გასაგონადაც იყო ეს ნათქვამი.

ბიჭებს ხალისი დაეკარგათ. წამოიშალნენ და ვინ საით წავიდა, ვინ საით.

— მე ხვალ წავალ თბილისში, — უთხრა ბაკურმა ჯონდოს, როცა დაიმარტოხელა.

— რატომ ყველასთან არ თქვი!

— მაინც ყველამ გაიგო და.

— აბა მარტო მე ვერ გავიგე?! — იწყინა ჯონდომ.

— წერილი გამატანე, თქვენებთანაც შევიველი.

— ჩვენები ახლა თბილისში არ არიან. წერილი უკვე გავუგზავნე სოფელში.

— ბალიშს დაგიტოვებ, მერე ჩამომიტანე.

— არაა საჭირო, უკვე მივეჩვიე უბალიშოდ წოლას.

— კარგი ახლა, პატარები ვართ, რომ გავიბუტოთ?!

— მე სულაც არ გებუტები, — აუღელვებლად უთხრა ჯონდომ, — და არც არავინ გებუტება. წასვლა შენ აიტეხე, თორემ ვინ გაგდებს აქედან?

— მაგდებს თუ არა, ბიჭო, მეც ახლა მწვანე კონცხზე ვარ.

— მწვანე კონცხზე ან ბიჭვინთაში მალე ყველანი ერთად წავალთ, პირველი ნახევრის ხელფასს მაინც დაუცადე.

— კარგი, ჰო, მოვიცდი.

შაბათს თვის პირველი ნახევრის ხელფასები დაურიგეს. ყველაზე გახარებული თავდადებულები იყვნენ:

— ერთი კაი პურმარილის ფული კი მივიღეთ და!

წვეროსნებმა კი ათ ტოლ ნაწილად გაყვეს თანხა. იმავე საღამოს იქეიფეს. ბაკურს ბრა დაელოცეს.

— ყველაფრისათვის მადლობელი ვარ, ბიჭებო! — ღვინისაგან ვულაჩუკებული გაიძახოდა, — ყველაფრისათვის, განსაკუთრებით... განსაკუთრებით ყველასი! — სიტყვით ვერავინ გამოარჩია. მერე მაინც ჯონდოს მიუბრუნდა და აკოცა.

ბაკურს დაემშვიდობნენ.

ბაკურმა თავისი ბალიში მაინც დაუტოვა ჯონდოს.

ნაქეიფრები ოთახში გვიან დაბრუნდნენ.

— ბიჭებო! — დაიწყო სეხნიამ, — მე ხვალ ვაპირებდი წასვლას. აქ რო ჩამოვედით, ვიფიქრე, ორ კვირას ადგილ ვიმუშავებ, მერე აღარ შემრცხვება ადრე წასვლისა-მეთქი. მაგრამ ახლა არსადაც არ წავალ!

— ყოჩაღ, სეხნი! — გაუხარდათ ბიჭებს.

●

ორშაბათიდან ახალ ნაკვეთზე გადავიდნენ, ტყე უნდა გაეჩეხათ. თუმცა იმას არც ეთქმოდა ტყე: ეკლები, თხმელა და ტყის თხილი მოსდებოდა მიდამოს. აქა-იქ მუხა და აკაცია ერია. ეტყობოდა, ოციოდე წლის წინათ აქ ტყე გაეჩეხათ, მერე მიეტოვებინათ და ახლა ისევ წამოზრდილიყო.

— ცულები უნდა ავლესოთ, დაგვიბლაგვდა! — პირველსავე შესვენებაზე თქვა ელგუჯამ.

ალესილ ცულებს მეორე დღეს გვიან საღამომდე გაჰქონდა მხიარული კაკუნი.

ბიჭებს ეხალისებოდათ ტყის ჩეხვა,— აქ უფრო თვალნათლივ ჩანდა ნაჯაფარი.

სწორედ ახლა, ყველასაგან მოულოდნელად, ბიძინა და პაპუნა დადგნენ, მეტი აღარ შეგვიძლიაო.

ბიჭებს ეწყინთა. ჩვენ რა შეუძლებელს ვეძალებითო, მაგრამ, რადგან აშკარად უარი თქვეს, აღარავის დაუძალებია. ახლა ისინი გოგოებთან ლაზღანდარობდნენ.

შიოსაც მობეზრდა ცულის ქნევა, მაგრამ რცხვენოდა თავის დანებება

მესამე კვირა იწურებოდა.

— დღეს რომ კარგად შევუბეროთ. ტყე წელში გატყდება! — თქვა სეხნიამ.

— ჰო, მერე მეტი ხალისით დავრეკავ ხელს, — დაემოწმა ჯონდო.

— რა არის, ბოლოსდაბოლოს, მეც მინდა მუშაობა! — საცოდავად თქვა ზალიკომ.

— კარგი, აიღე ცული, — უთხრა მინდიამ.

ზალიკომ ცული წვრილ თხმელას მო-

უქნია. პირი ასხლტა ხეზე და თხმელას მხოლოდ კანი ასძვრა.

— ეგრე კი არა, ბიჭო, აი ასე! — ღიმილით უთხრა ელგუჯამ და თხმელა ძირში შიასხვა.

მზის ამოსვლას გაოფლილები შეხვდნენ. მალე აორთქლდა ნამი და გაშრა მიწა.

ჰაერი დამძიმდა. ბიჭები დაიღალნენ. ისე გაერთნენ, ვერ შენიშნეს, როდის დაწინაურდა ელგუჯა, — ათიოდე მეტრით წასულა წინ. გაოფლილი სხეული მზეზე ბრინჯაოსფრად უბზინავს. ვეება ბეჭებზე დავლური გაუმართავთ კუნთებს. აღარც ამხანაგები ახსოვს და ვერც მცხუნვარე მზის სხივებს გრძნობს, — ჰბუბნის და ჰბუბნის! ხმას არავინ იღებს, არ ინძრევიან. ბიჭებს უკვე ოფლი შეაშრა. ელგუჯა კი თითქოს, აგერ ახლა ამოვიდა ჩხოუშიას მორვევიდანო. ტრუსი მაგრად შემოტმასნია ღონიერ ბარძაყებზე და თითქოს ვაკაცის სუნთქვას ვერ უძლებენ ეს ხეები, — ცულს შეხეილით მოქნევამდე ეცემიან მოცელილები.

— გამარჯვება! — გრგვინავს ადუღებული სისხლი და ასკდება დაბერილ ძარღვებს. ძარღვები ფოლადის კუნთებს ავარვარებენ. კუნთები ხტიან, კვეიან გაჭენებულ ლურჯაზე ამხედრებული აფხაზივით, ელვივნ ხევსურის მოქნეული ხმალივით, ბრდღვინავენ...

ასე რომ დიდხანს გაგრძელდეს ცული ვეღარ გაუძლებს: ან ცულის პირი შემოადნება, ან ტარი შემოეფშვნება.

ბიჭები პირდაღებულნი შეჰყურებენ, არ ინძრევიან, თვალს არ ახამხამებენ, სუნთქვაც კი შეეკრათ. დაწინაურებულმა უკან მიიხედა. გაუკვირდა, შეიშმუშნა, დარცხვენილად გაიღიმა და დინჯი, ძმიმე ნაბიჯით გაემართა ბიჭებისაკენ, თითქოს ბოდიშს ითხოვდა.

— უუუ! — ამოიხვნეშა, ჩაჩეხილ ხეებს ამაყად მოაგლო თვალი და დაიბუბუნა: — არ ჩავალაგე ურჯულოებივთა!

მერე ელგუჯამ ზალიკოს უთხრა, წყალი მოიტანეო. ერთხანს ვერც ერთმა ვერ გაიგო, რა თქვა ელგუჯამ. ორცა თვითონ გაბრუნდა ვედროსაკენ, ბაშინ ყველა მიხედა. ზალიკომ დასაწყალა, წყალი მიაწოდა. ელგუჯამ ვედრო მიიყუდა, მერე ძირს დადგა, ისევ მოავლო თვალი მიდამოს და ისევ დაიბუბუნა:

— ხომ ჩავალაგეთ, ა, ბიჭებო!

ახლა ბიჭები ეთანხმებოდნენ — დარცხვენილები და ჯერ კიდევ გამოუფიზიზლებელნი. ეთანხმებოდნენ და ვერაფრით გაეგოთ, რისი რცხვენოდათ. მართლაც და...

მაშინ ხომ ისინი არც ჭარმანის ველზე იყვნენ და არც დიდგორის მთებში!

ეს ხომ არც ბასიანი იყო და არც მარაბდა!!

არც კრწანისი და...

●

არავის ეგონა, თუ ამდენი ხალხი მოიყრიდა თავს ამ თამაშზე. შიო მაინც ბუზღუნებდა:

— ფაკულტეტის ნაცვლად უნივერსიტეტის გუნდი რომ დაეწერათ აფიშებზე, აი მაშინ გენახათ ხალხი!

— შენ ახლა ამ მატჩის ტრანსლაციაც მოგინდება, — უთხრა ჯონდომ.

ტრანსლაცია არა და ფეხბურთის მარშის შემდეგ ორივე გუნდის შემადგენლობა კი გამოაცხადა დიქტორმა. ასეოდე სტუდენტმა ისეთი ყიჟინა დასცა, ზუგდიდელი გულშემატკივრები კიდეც შეფიქრიანდნენ.

წვეროსნებიდან გუნდში ხუთნი თამაშობდნენ. მხოლოდ ახლა ყველა წვერგაპარსული იყო. ორნი თავდადებულებიდან თამაშობდნენ. დანარჩენი მეორეკურსელები იყვნენ.

ფეხბურთის მარშმა, მოთამაშეთა გვარების გამოცხადებამ და გულშემატკივართა ღრიანცელმა ისე დაანია სტუდენტები, მეთორმეტე წუთზე მასპინძლებმა იოლად გახსნეს ანგარიში. თითქოს ახლა მიხვდნენ სტუმრები, რომ მოედანზე იყვნენ და არა სუფრაზე. სტუდენტებმა ცენტრიდან დაიწყეს, თამაში გაათანაბრეს, თუმცა გოლის გა-

ტანას პირი არ უჩანდა. 0:2 — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

შესვენებაზე სტვენით აცილებდნენ სტუმრებს ზუგდიდელები.

გასახდელი გულშემატკივრებს აევსოთ.

აქვე იყო სამივე ხელმძღვანელი.

— ყოჩაღ, სეხნი, ჩოხელი ხარ, ჩოხელი!

— ნახევარდაცვამ კარგად იმუშავა!

— ოტიამ უნდა დაისვენოს!

— მეკარეც გამოსაცვლელია! — გაიძახოდნენ გულშემატკივრები და თან ჯონდოს შეჰყურებდნენ. გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნოდა. ჯონდომ აცალა ყაყანი, მერე თანგუნდელები დაარიგა და ბოლოს გულშემატკივრებს მიხედა:

— აქ რო ყველა გაპროფესორდებით და დაიწყებთ თეორიებს, ვინც გასაყვანია, იმაზე ჩუმად ‹ხართ!

— შენ რა მოგივიდა! — მიუბრუნდა შიოს.

— მუცელი მტკიოდა! — თქვა შიომ. ბიჭებს გაეცინათ. ჯონდო გაბრაზდა:

— ჰოდა, დაჯექი ტრიბუნაზე!

— არა, ახლა კარგად ვითამაშებ!— შიოს ძალიან უნდოდა მოედანზე გასვლა.

— მოედანზე ისევ აგტკივდება მუცელი! — ბოლო სიტყვა ‹განგებ გააგრძელა ჯონდომ.

— არ ამტკივდება, — შიოს ბრაზი მოაწვა.

ჯონდო მიუხედა, შეეცოდა და ხელი ჩაიქნია.

— მე არ მათამაშებ? — არ ეშვებოდა ავთო.

სხვები უსიტყვოდ იბღვირებოდნენ.

— არავის არ ვცვლით! — ხმამაღლა თქვა ჯონდომ და წამოდგა:

— აბა გავედით, გავედით.

მეორე ტაიმი უფრო მშვიდად დაიწყეს.

„...ახლა უნდა თავდასხმას მიშველება“, გაიფიქრა ჯონდომ და წინ წავიდა, ნელა, შემპარავად. მერე უცებ მოწყდა ადგილს, მოატყუა ორი მოთამაშე და საჯარიმოში შეიჭრა, მის წინ ორი მცველი აღიმართა. მარცხნივ შიო თავისუფალად დარჩა, ჯონდომ დაუყოყანებლად მიაწოდა. შიომ მთელი ძალით მოარტყა ფეხი და... ააცილა, ბურთს მიწინააღმდეგე დაეუფლა.

ტრიბუნაზე სტვენა და ხმამაღალი სიცილი გაისმა.

საჯარიმო. მასპინძლებმა კედელი აღმართეს. ძლიერად დაარტყა გოდერძიმ. ბურთი მოხვდა კედელს და მერე ყველაფერი აირია. ოტიამ როგორღაც მოახერხა და კარში დაარტყა. მეკარემ მხოლოდ ბადეშიღა დაინახა ბურთი.

მასპინძლები ამ ბურთმა გამოაფხიზლა და, როგორც იტყვიან, დასახლდნენ სტუმრების ნახევარზე. ახლა დაცვა მოხერხებულად ჰქმნიდა ხელოვნურ თამაშგარეს. სამჯერ, ხუთჯერ, მაგრამ მეექვსედ თვითონ მოტყუვდნენ, — 3:1. სეხნია ისევ აჭიჭყინდა. მსაჯმა გუნდისთავი იხმო. ძლიერს დააშოშმინეს სეხნია.

ამ ბურთმა გატეხა სტუდენტები. ჯონდოს არც თავიდან ჰქონდა მოგების იმედი, მაგრამ ახლა განსაკუთრებით წყინდა, რომ ბიჭები მოეშვნენ.

— „ენგურის“ გუნდს ჩვენი ფიზკულტ! — ხმას აუწია ჯონდომ.

— ვაშა! — დაღლილი ხმით იყვირეს ბიჭებმა.

ჯონდომ მსაჯებს და „ენგურის“ გუნდისთავს მადლობა გადაუხადა.

— ყოჩაღ, კარგად ითამაშეთ! — შეაქო მსაჯმა.

„ენგურელები“ სტუდენტებთან მივიდნენ, ხელს ართმევდნენ და უწონებდნენ თამაშს. სტუდენტების უმეტესობა კმაყოფილი დარჩა. ხუმრობა ხომ არ იყო: „ენგური“ საკავშირო პირველობაზე თამაშობდა, „ბ“ კლასში გადასასვლელად ემზადებოდა.

— ოტიას რომ ორი ნაღდი ბურთი არ ‹აეფუჭებინა!

— შიოს რომ ჯონდოს მიწოდებულზე ფეხი არ აეცდინა...

— მსაჯს რომ თამაშგარედან შეგდებული ბურთი არ ჩაეთვალა!

მოკლედ, თითქმის მოგებულად თვლი-

დნენ გულშემატკივრები ამ თამაშს. ეს მეტისმეტი იყო, მაგრამ სამარცხვინოდ არავის მიიჩნდა წაგება.

●

დილით არავინ აპირებდა სამუშაოდ გასვლას. ცა გაბერილ საადრო ღრუბლებს დაეფარა. აგერ-აგერ დასკდებოდნენ ეს ღრუბლები. მარტო მეორეკურსელთა მესამე ბრიგადამ დააპირა მუშაობა, მაგრამ ისინიც გზიდან დაბრუნდნენ. წვეროსანთა ბრიგადასაც (უკვე ყველანი წვერგაპარსულნი იყვნენ, მაგრამ ასე ეძახდნენ), ვერ დაგეწყვიტა, წასულიყო სამუშაოდ თუ არა.

— იწვიმებს და იწვიმოს! წვიმაში არ სჯობია მუშაობა? — არავინ ელოდა ბიძინასაგან ამას. ბიძინამ და პაპუნამ ამას წინათ ხომ სულ დაანებეს მუშაობას თავი.

— შენ რა გენაღვლება! — აღრიალდა შიო, — ჩვენ გავილუმპებით, შენ კი არა!

— მე ბატი კი არა ვარ, წყალი არ მომეკაროს! — ეწყინა ბიძინას.

— როცა საჭირო იყო, მაშინ გემუშავა! — ისევ შიომ ჩაიბუზღუნა.

— შენ ხომ სულ თავს აკლავდი! — არ შეარჩინა ბიძინამ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— მივდიოართ სამუშაოდ! — ხმამაღლა თქვა მინდიამ.

შიოს და პაპუნას რაღა ეთქმოდათ. წელმოწყვეტილები აედევნენ ბიჭებს.

ჯერ კარგად არც გახურებულიყვნენ, რომ ღრუბლები დასკდნენ. ბიჭები ტრუსების ამარა მუშაობდნენ.

ორგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ისინი კი ჭინკებივით დახტოდნენ თავსხმაში.

— ჰო, ჰო ბიჭო, რა წვიმაა!

— მდინარეზე რაღა გვინდა!

— დასცხე, დასცხე! — წვიმას და ბიჭებს ამხნევებდა სეხნია.

ექაურობას ჟრიამულით იკლებდნენ.

— ურჯულოებივითა არა, ელგუჯ! — იძახდნენ და კაფავდნენ, ჩეხდნენ, თხრიდნენ.

— მაშ, მაშ! — დინჯად უპასუხებდა ელგუჯა.

ასე ხალისიანად არასოდეს [illegible] ახლა ყველას მოეჩვენა, რომ სადილობის დრომ ადრე მოატანა.

გადაირბინეს პლანტაცია და გზაზე გავიდნენ. ირგვლივ არავინ ჩანდა. არც აქ ჩაუცვამთ. წვიმამ უმატა. ასფალტზე მიტყაპუნებდნენ და ერთმანეთს ზურგზე ახტებოდნენ. მსუბუქი მანქანა წამოეწოთ. შოფრის გვერდით ქალი იჯდა. ტრუსებიანი ბიჭები რომ დაინახა, თვალებზე ხელები აიფარა და ისე იკივლა, შოფერს კინაღამ გული გაუსკდა, მერე კი სიცილი აუტყდა. ბიჭები ზიგზაგებით მიმავალ ავტომობილს ხელს უქნევდნენ და თვითონაც იცინოდნენ.

სასადილოში არაყი გადაჰკრეს, აღარ გავცივდებითო.

ნასადილევს მუშაობა აღარ გაუგრძელებით. ცა ჩამოქცევას ლამობდა.

— ბიჭო, ამ დილით რამ გადაგრიათ?! — უკვირდა სერაფინს.

— სულ დაგიყდნენ, ღამღამობითაც ხე და მისი ჯირკები ელანდებათ. — ავთომ იფიქრა, ახლა კი მოვიგე ხელმძღვანელის გულით.

— ნეტა ყველა ასეთი ციყი იყოს, — თავისთვის ჩაილაპარაკა სერაფინმა, როცა ბიჭებს გაშორდა.

წვიმა აღარ აპირებდა გადაღებას. ბიჭები არხეინად ისხდნენ ოთახში და ერთობოდნენ.

მეორე დღესაც იწვიმა, მხოლოდ საღამოთი გადაიღო. სამუშაოდ გასვლა აღარავის უფიქრია. ერთ საათში კიდევ დაღამდა. ხუთი დღე დარჩა წასვლამდე, ხუთი დღე! და სწორედ მაშინ მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ. თავდადებულებმა მართლა დადეს თავი მუშაობაზე. ყველას უკვირდა. მოდი და ნუ გაგიკვირდებოდა! პირველ დღეს ყანაში იცოდვლეს. კიდევ კარგი, აგრონომმა გაიარა იმათ ნაკვეთზე, თორემ უღმერთოდ აეოხრებდნენ. მერე იტეხეს, ამონაძირკვზე გაგვიშვითო. ერთ დღეზე მეტი ვერც იქ გაძლეს. ულონო-

ები მაინც ყოფილიყვნენ! ექვსნი იყვნენ თავდადებულები და ამათგან ოთხი არავის ჩამოუვარდებოდა ღონით. ახლა სწორედ ეს ოთხი თავდადებული დატრიალდა. დანარჩენი ორი ადრე გაემგზავრა, ბაკური რომ წვიდა, იმ დღეს.

თავდადებულებს წვეროსნებს იქით მიუზომეს ნაკვეთი.

— ასე ცოტა რა არის! — იუარეს.

— თქვენ ეგ მოასწარით ამ ხუთ დღეში და მადლობელი ვიქნებით! — უთხრეს.

სამი დღე მართლა სანიმუშოდ იმუშავეს, ეგონათ, ახლა მაინც აღარ დაგვიძახებენ თავდადებულებსო. პირიქით კი მოხდა.

— ახლა კი ნამდვილად თავდადებულები ხართ! — ყველას ეღიმებოდა.

მეოთხე დღეს ერთი საათი წაიმუშავეს თავდადებულებმა და მხარ-თეძოზე წამოგორდნენ. ოთხივეს ძალიან ეწვოდა ხელის გულები. ბუზზუნებდნენ და ერთმანეთს აბრალებდნენ, არა შენ აგვტეხე, არა შენო.

წვეროსნები სადაცაა დაამთავრებენ თავიანთი ნაკვეთის გაწმენდას. ერთი დღით ადრე დავამთავროთო, გადაწყვიტეს. ვისაც როგორ შეეძლო, ძალას არ ზოგავდა. ელგუჯა და სეხნია სულ გაგიჟდნენ, თითქოს ცელით ბალახს თიბავენო. ახლა ჯონდო და მინდიაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. ჯონდოს ყოველთვის უკვირდა, საიდან აქვს ამდენი გამძლეობა ამ კაფანდარა ბიჭსო.

— შენი ჭირიმე, მინდია! — იძახდა გუნებაში ჯონდო.

ცოტაღა ჰქონდათ დარჩენილი, რომ ელგუჯა მაინც გავარდა წინ. სოლივით შეიჭრა ეკალ-ბარდებსა და ხეებში. უკანასკნელი თხმელა დაწვინა და არხეინად წამოწოლილ თავდადებულებს წაადგა.

— ეგეც ეგრე! — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა თავისთვის, — ისვენებთ?

— ვისვენებთ, აი, — დაბნეულად უპასუხეს თავდადებულებმა.

— გავაგრძელოთ მუშაობა! — მცირე ხნის დუმილის შემდეგ იყვირა ანტომ.

ახლა არც ერთს არ დაზარებია [illegible] მეტებით სცემდნენ ცულებს.

ელგუჯა ხვნეშით დაბრუნდა თავისიანებთან, ჩამორჩენილებს ამოუდგა მხარში და ისევ მიჰყვა მისებურად. იმ წუთში სეხნიამ უკანასკნელი აკაცია დაფინა ძირს. ორიოდე წუთის შემდეგ ჯონდომაც ბოლო ჯირკი ამოაგდო. შალე მინდიამაც გაიტანა ლელო. შიო, ზალიკო, პაპუნა და ბიძინა ერთხანს კიდევ სცემდნენ ცულებს. ჯოკა ფიჩხებს დასაწვავად აგროვებდა ადგილ-ადგილ.

— სრული და უსიტყვო კაპიტულაცია! — დაიძახა ბოლოს ბიძინამ.

— დანებდი? — გამოაჯავრა სეხნიამ.

— ჰო, ჰო, ჩვენ დავნებდით და იქნება თავდადებულებმა გვიშველონ.

ბიჭებს ჩაეღიმათ: ისინიც ოფლში იწურებოდნენ.

ელგუჯამ თვალი აარიდა იმათ ცოდვილობას. თავიანთ ნამუშევარს გაჰხედა და კმაყოფილმა ჩაიბუტუნა:

— ესეც ასე!

ბიჭებმაც უკანასკნელად მოავლეს თვალი ნაკვეთს და კმაყოფილებმა ერთმანეთს გადახედეს: მართლაც დიდი ფართობი გაეწმინდათ. უყურებდნენ ბიჭები თავიანთ ნაკვეთს და ოდნავ შესამჩნევად, უნებურად იღიმებოდნენ... ბოლოს რაღაც უცნაური სევდა შემოაწვათ. ჯერ ვერ მიხვდნენ და მხოლოდ დაბნეულობა გამოესახათ სახეზე. მერე იგრძნეს: გული წყდებოდათ, ენანებოდათ, რომ ტოვებდნენ იქაურობას და მოიღუშნენ.

— დღეიდან ეს ნაკვეთი ჩვენი აღარ იქნება, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჯოკიამ.

ბიჭები იდგნენ, ხმას არ იღებდნენ... მერე მიდიოდნენ, მაგრამ გრძნობდნენ ერთმანეთის სუნთქვას, გულის ცემას და აკივლებულ სიჩუმეს. გრძნობდნენ, ეს სიჩუმე იმ ერთი გოჯი მიწიდან მოჰკოდა, მათი ნაკვეთი რომ ერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ზეგეცრსი



მოთხრობა

ომამდე ემრიხების ოჯახი ბერლინის შახლობლად, ტბის ნაპირას ცხოვრობდა.

კოტტა, ერთსართულიანი სახლის წინ ტბის პირამდე ბიბინებდა მდელო. პატარა ნაკვეთზე ბოსტანი ჰქონდათ. ტბის დამრეც ნაპირებზე ლერწამი მოხშირებულიყო. ტბიდან შუშაბანდამდე ბილიკი მოეკენჭათ, მაგრამ უფრო ხშირად იმ ბილიკით სარგებლობდნენ, შარაგზიდან ბოსტანზე რომ გადიოდა. ბილიკი სახლის კარამდე მიდიოდა. აქედან ოთახშიც შეიძლებოდა შესვლა და სამზარეულოშიც. სამზარეულოდან სარდაფში ჩადიოდნენ. სარდაფს კარი ტბის მხრიდანაც ჰქონდა ოდესღაც, მაგრამ ახლა ათასნაირი ხარა-ხურით ჩაეხერგათ. სარდაფის სარკმელი კი ისე იყო ამოვსებული, დღის სინათლეც ძლივს ატანდა.

ადრე ემრიხებს მეზობელ სოფელშიც ჰქონდათ მცირე მამული და სამეჯდლო. იქ ჰედავდნენ ცხენებს და სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღიც იქ მიჰქონდათ ხოლმე შესაკეთებლად.

ომის წინ მამა ემრიხს საფეთქელში ცხენმა წიხლი ჩასცხო და მოკლა. ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოწეევაო: მამა ემრიხს სულ მალე ცოლიც გაჰყვა უკან.

ორივე ვაჟიშვილი ჯარში გაიწვიეს. მალე ომიც დაიწყო. და მათ სამხედრო სამსახურს ბოლო არ უჩანდა. ერთი პოლონეთზე თავდასხმაში მონაწილეობდა, მეორე კი ნარვიკის დესანტში მიხვდა. ამასობაში შორეულმა ნათესავებმა ემრიხების მამული და სამეჯდლო შეისყიდეს. ერთადერთი ქალიშვილი მართა კარმიდამოს უვლიდა, თავს არ იზოგავდა და შეძლებისდაგვარად ყველაფერს აგვარებდა. იშვიათად ქირაობდა დღიურ მუშას, ისიც მხოლოდ სახლის შესაღებავად ან ამგვარი რამისათვის. უნდოდა ძმებისათვის სახლი წესრიგში დაეხვედრებინა. მართა მარტო ბოსტანს როდი უვლიდა, ოთახებში შპალერსაც თვითონ აკრავდა და დროდადრო ნავსაც შეაკეთებდა ხოლმე, თუმცა იგი უქმად ეგდო ნაპირზე. ტბიდან კოტტად და მიმზიდველად მოჩანდა ყვავილნარში ჩაფლული თეთრი სახლი.

მართა უთენია დგებოდა და გვიანობამდე მუხლჩაუხრელად მუშაობდა. წელებზე ფეხს იმიტომ როდი იდგამდა, რომ ვალი არ ეღო, ან მომჭირნეობით ცოტათი მაინც აენაზღაურებინა ძმებისათვის მამულისა და სამეჯდლოს გაყიდვით მიყენებული ზარალი; არც იმიტომ,

რომ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ცოცხალმა კაცმა ხელი უნდა გაანძინოსო. არა, იგი შრომობდა, რომ თავისი სიმარტოვე დავიწყებოდა.

მართას საქმრო, მეზობელსოფელი გლეხის ბიჭი, მაკინოს ხაზზე ბრძოლაში დაიღუპა. ის ბიჭი რომ ემრიხების სიძე გაეხდარიყო, მათ ალბათ კვლავ დაუბრუნდებოდათ მამული და სამჭედლო. ოფიციალური ნაწერობა არ ჰქონიათ, მაგრამ საქმროს დაღუპვის ცნობის მიღებისთანავე მართამ სიმარტოვე და უსასოობა იგრძნო, უფრო გულჩახვეული გახდა.

მართა ჯანსაღი და ძალმსხვილი ქალი იყო. შეეჩვია და შეეგუა სიძნელეებთან ბრძოლას. ომის მესამე წელს ოცდაექვსი შეუსრულდა. გარე სამყაროსთან ძმების ფრონტიდან მოწერილი წერილები და სოფელში გამართული კრებები და წარმოდგენები აკავშირებდა. ფრონტზე ყოველი წარმატების აღსანიშნავად მეზობლებივით ისიც დროშას გამოკიდებდა ხოლმე.

უმცროსი ძმა აღმოსავლეთის ფრონტზე მოკლეს. იგი მართას უსაყვარლესი ძმა იყო, უფროს ძმაზე უფრო გულისხმიერიც. მაგრამ ძმის სიკვდილი ისე არ განუცდია, როგორც საქმროსი. ეჩვენებოდა, თითქოს ძმა უვადოდ იყო წასული შვებულებაში.

1943 წლის ზაფხულის მიწურულს, ერთ წვიმიან საღამოს, მართა სარდაფში კარტოფილსა და ჭარხალს არჩევდა, ზილისთვის საჭმელს უმზადებდა საქონელს.

უეცრად, თითქოს ლერწმიანში რაღაცამ გაიშრიალა. მერე შრიალი უფრო ახლოს, ღობესთან განმეორდა, თითქოს ვიღაც დალანდა კიდეც. მართამ გაიფიქრა: სახლი ჩაბნელებულია, სარდაფშიც არ ანთია ჭრაქი და ვინმეს უპატრონო არ ეგონოსო; ხმამაღლა დაიყვირა:

— ვინ არის მანდ?

არავინ გაეხმაურა. იგი სამზარეულოში ავიდა. პატარა ოთახი და შუშაბანდი გაიარა და ეზოში ჩავიდა.

ბალახებში უცნობი იდგა. მართამ შეკნიშნა, რომ კაცს კარგად ეცვა, სანდალი ბინდში ვერ გაარჩია.

— ფრაუ შნაიდერი აქ ცხოვრობს? — ჰკითხა უცნობმა.

— არა, — მიუგო მართამ და უმალ დასძინა, — ასეთი ვინმე სოფელში არ ცხოვრობს.

მერე უცნობი შეათვალიერა:

— აქ სადან გაჩნდითო? —

— ნავით მოვედი.

— როგორ? — გაუკვირდა მართას. ბინდში თვალი მოჰკრა, ნაპირზე მხოლოდ მისი ნავი იდგა.

— ეჰე, — თქვა უცნობმა, — კარკა ხანია ნაპირზე გადმოვედი. მეგონა, ფრაუ შნაიდერი აქვე, მეორე სოფელში ცხოვრობდა, ამიტომ გაითხეთ.

სოფლის შარაგზიდან მოტოციკლეტის გუგუნი მოისმა. უცნობმა მართას ხელი მოჰკიდა და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ უთხრა:

— თუ მიკითხონ, არ გამცეთ!

მართამ ხელი გაითავისუფლა:

— ოჰო, ალბათ რაიმე დაეშავეთ!

მოტოციკლეტმა ჩაიარა. უცნობმა ისევ მოჰკიდა მართას ხელი და დაბალი, ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ ისევ მტკიცე ხმით თქვა:

— არაფერი დამიშავებია, პირიქით...

ახლა ტბიდან მოისმა მოტორის გუგუნი, უცნობი განაგრძობდა:

— შემომხედეთ, განა რითიმე ვგავარ დამნაშავეს?

მართა ცდილობდა გამოეცნო უცნობის სახე. სახეზე კაცს ავსაც შეატყობ და კარგსაც. ეს მშვენივრად იცოდა; რანაირ ადამიანებთან არ ჰქონია საქმე, მაგრამ ასეთ სახეს პირველად ხედავდა.

მოტორიანი ნავი ნელ-ნელა მოსცილდა ნაპირს.

— თუ არაფერი დაგიშავებიათ, რატომ გამოიქეცით?

უცნობი სხაპასხუპით ლაპარაკობდა:

— ჩვენთან, სამშუშაოზე, ომის საწინააღმდეგო ფურცლები დავარიგე, ახლა დამეძებენ.

— თუ ეს მართალია, — თქვა მარ-

თამ, — მაშინ ნამდვილად ღირსი ხართ, რომ ციხეში ამოგალპობ.

უცნობი კვლავ შეუჩერებლივ და გაცხარებით ლაპარაკობდა. მის ხმაში თხოვნა და მუქარა იგრძნობოდა: ამბობდა, რომ მართას ალბათ არავინ დაღუპვია ფრონტზე, არავის ელოდება. ერთმანეთის გვერდით კედელზე იყვნენ მიყრდნობილნი. მართა ფიქრობდა: ასეთი ლაპარაკისათვის ის ან ციხეში უნდა მოხვედრილიყო, ან საგიჟეთში. როგორა თქვა? მაინცდამაინც უნდა ვუცადოთ, სანამ ყველა მამაკაცი ერთიანად არ დაიღუპებიო. მე არ დავუცადე და ამიტომ მომდევენო...

— თქვენ ალბათ გული არა გაქვთ! — უთხრა უცნობმა, — დამტოვეთ ამ ბუჩქებში, ვითომ არაფერი იცით.

მართა წუთით შეყოყმანდა.

— შედით შინ, — განაკრძო უცნობმა, — მე არ გინახივართ, არაფერი იცით ჩემზე, შედით...

მართა შებრუნდა, თითქოს და არაფერი მომხდარაო, მიტოვებულ საქმეს მიუჯდა.

ყველაფერი ასე დაიწყო.

მართა ჩვეულებრივზე ადრე დგებოდა, რომ შეემზადებინა, უცნობი ისევ იქ იყო თუ არა. იმედი ჰქონდა, თავისით წავიო. პირველ დილას უნდოდა თავი დაერწმუნებინა, არც არავინ მოსულაო, მაგრამ უცნობი ისევ იქ დახვდა. მართა უსიტყვოდ შებრუნდა ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიაკითხა და თბილი საჭმელი მიუტანა. მართა ეყურებდა, როგორ ხარბად ჭამდა, ლუკმა სიჩქარისგან გულზე ადგებოდა და თითებს იკენტდა ხველების შესაკავებლად. უცნობმა თავი აწია. დღის სინათლეზე შეიძლებოდა მისი სახის გარჩევა. ლტოლვილს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ოდნავ შეარხია ტუჩები და მართას შეხედა. არც მართას გაუღია ხმა, გამობრუნდა და თავის საქმეს შეუდგა.

იმ ზაფხულს მართას დღიური მუშა— ერთი ახალგაზრდა სოფელი ბიჭი ჰყავდა. ბიჭს ბავშვობაში დამბლა გადაეტანა და კოჭლობდა. მან მართას უამბო, პოლიცია ვიღაც ჯიბგირს დაეძებს და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები გააფრთხილესო. ნასადილევზე, [illegible] ცა ჩამობნელდა, მართამ უცნობს ანიშნა, უკან დამყოლვიო. სარდაფში, საიდაც შეშა და ნახშირი ეყარა, უცნობისათვის სამალავი მოეწყო. თქმით არაფერი უთქვამს, უხმოდ გამობრუნდა.

დღიური მუშა დაღონდა, როდესაც გაიგო, რომ მართა სექტემბრისათვის სამუშაოდ არ აიყვანდა. თუმცა ეს არც არავის გაკვირვებია: ყველამ იცოდა, მართას მუშაობა უყვარდა და ყოველნაირ საქმეს ხალისით აკეთებდა.

უცნობი, კურტ შტაინერი, მართას სთოხახო საქმეებში ეხმარებოდა, არჩევდა და ჭრიდა ბოსტნეულს, ხანდახან ხელსაწყო-იარაღებსაც შეაკეთებდა ხოლმე. ისეთ საქმეს ჰკიდებდა ხელს, რაც უხმაუროდ გაკეთდებოდა. ხანდაზმა მართა სარდაფში ჩასასვლელ ღიად დატოვებდა და რადიოს ჩართავდა. ქალს თანდათან ემატებოდა გამბედაობა. უფრო ხშირ-ხშირად ჩადიოდა უცნობთან და მის საუბარს უსმენდა. უცნობი ცდილობდა ნათლად და გასაგებად ელაპარაკა. იგონებდა მსოფლიოში მომხდარ ამბებს, ყველაფერს, რაც თავს გადახდენოდა. მართა მხოლოდ საკუთარ ეზოკარსა და ცხოვრებას იცნობდა და ახლა ყველაფერი ზღაპრად ეჩვენებოდა. იგი ჯერ უცნობის დამაჯერებელმა ხმამ დაატყვევა, მერე კი მისი სიტყვების მნიშვნელობასაც ჩაუკვირდა; ეკითხებოდა, ეკამათებოდა, ფიქრობდა.

ზამთრის ერთ ღამეს, როდესაც თოვლით დაფარულსა და ყინვით გათანგულ სოფელს ღრმა ძილით ეძინა, მართამ უცნობი ოთახში აიყვანა. უცნობმა თვალი მოავლო ჩაბნელებულ ოთახს. მართას საწოლი თეთრად ქათქათებდა.

ქალი კანკალებდა. კურტს მიკვროდა და მთელი ღამე თვალს არ აშორებდა სარკმელს, საიდანაც მოჩანდა, როგორო ბომბავდნენ ბერლინს.

თანდათან გაიცნო და გაიზიარა მართამ კურტ შტაინერის აზრები. დარწმუნებული იყო, რომ სწორად მოიქცა.

მსგავსი რამ კიდევ რომ შემთხვეოდა, ასევე მოიქცეოდა, მაგრამ უკვე შეგრეხულად, თავისი სურვილით...

მართა მხოლოდ იმაში გრძნობდა თავს ღამნაშავედ, რომ თითქოს რაღაც შეეგო მოუტანა აღმოსავლეთის ფრონტზე უკროსი ძმის ტყვედ ჩავარდნის ამბავი. ძმა რომ შვებულებით ჩამოსულიყო, მაშინ კურტ შტაინერის დამალვა შეუძლებელი იქნებოდა. კარლი გადაკარებულად უხეში და მკაცრი იყო, ამასთან — ღვარძლიანიც. ერთი სიტყვით, ფრონტიდან გამოქცევას არავის აპატიებდა.

გაზაფხულზე მართას და კურტს ახალი სადავიდარაბო გაუჩნდათ. მართას მეზობლის ქალმა უთხრა, დეზერტირებს დაეძებენ და ახლომახლო სოფლებს ჩხრეკენო. ქალი შიშით და ნიშნისმოგებით ყვებოდა, ყველაფერს გაჩხრეკენ — სარდაფებს, ბაღებს, ერთ ბუჩქსაც კი არ დატოვებენო.

ამის გაგონებაზე კურტ შტაინერი გაფიორდა.

— ყველაფერი გათავდა, აღარაფერი მეშველება! — წამოიძახა და ჩაფიქრდა. მკვდრის ფერი ედო, — უნდა წავიდე, თორემ შენც დაგიჭერენ.

მართას ერთი ამბავი გაახსენდა. ეს ამბავი უმცროსმა ძმამ უამბო ერთხელ, რომელიღაც ნახატებიან წიგნში წაეკითხა. მართას თითქმის ღარ ახსოვდა, სად და რისთვის მოხდა ყოველივე. ისოა მოიგონა, რომ ვიღაც კაცი წყალში იყო დამალული და ლერწმით სუნთქავდა. კურტმა არ დაიჯერა, ასეთი რამ შეუძლებელიაო.

— სცადე, იქნებ შეძლო, — თხოვა მართამ.

— არ შემიძლია, არაფერი გამოვა.

— უნდა სცადო, აუცილებლად უნდა სცადო. — დაჟინებით მოითხოვდა მართა. მართამ კურტი აიძულა ახლავე ეცადა, სანამ მოვიდოდნენ. მას მხოლოდ ეს ერთადერთი გზა დარჩენოდა. შეიძლება გადარჩენილიყო კიდეც. კურტი სარდაფიდან ამოიყვანა და უთხრა, ტბამდე მიცოცდიო. თვითონ კი ლერწამი მოჭრა. სადილობამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, მათი „ცდა" შეიძლებოდა, ცუდად დამთავრებულიყო: მეზობლის სახლს უკვე ალყა შემოარტყეს და ჩხრეკდნენ. მალე ემრიხების სახლსაც მიადგნენ. დათვალიერეს სამზარეულო და ჩავიდნენ სარდაფში, სადაც კურტი იმალებოდა. მართა შიშისაგან აცახცახდა: ადვილი შესაძლებელი იყო, უმნიშვნელო რამე ეპოვათ და კვალისათვის მიეგნოთ. მაგრამ ისინი უხეშად ისროდნენ ყველაფერს აქეთ-იქით.

— ვის ეძებთ? — ოდნავ ირონიულად იკითხა შეშინებულმა მართამ. — უმცროსი ძმა დაიღუპა, უფროსი ტყვედაა ჩავარდნილი.

— ხმა ჩაიწყვიტე! — უთხრა ქანდარმმა, — ჭალს ძმების გარდა სხვაცა ჰყავს!

მართას კიდევ უფრო შეეშინდა. გაძლებდა კურტი? ეყოფოდა ჰაერი?

ქანდარმებმა სახლის ჩხრეკაც დაამთავრეს. კურტი თავის სარდაფში დაბრუნდა. ახლა უფრო მყუდრო მოეჩვენა სარდაფი. იცოდა, რომ კიდევ მოუხდებოდა ასეთი შემოტევის მოგერიება, სასოწარკვეთილი ამბობდა: სიკვდილი მირჩევნია ამ აუტანელ შიშში ცხოვრებასო. აღარ შეეძლო კიდევ ესუნთქა ლერწმით.

მართა არწმუნებდა: სადაცაა ომიც გათავდება. უნდა მოითმინოო. მალე მართამ და კურტმა შეიტყვეს, დამთა სოფლების ხელახალი ჩხრეკა დაიწყესო. მართა ემდაგრებოდა კურტს, კიდევ ეცადა ლერწმით სუნთქვა. რამდენი იწვალა, რა არ გააკეთა, რომ მშვიდობიან ცხოვრებას მოსწრებოდა! სადაცაა ომიც მთავრდება და ყველაფერი უნდა დაიღუპოს... მართამ ისევ აიძულა კურტი, ჩხრეკის დროს წყალში ჩაეყვინთა და ლერწმით ესუნთქა. კურტი გადარჩა. რამდენიმე კვირის შემდეგ ბერლინი აიღეს. ომი დამთავრდა, ორივე — მართაც და კურტიც — ტიროდა და იცინოდა. ერთად მიირთვეს სადღესასწაულო ვახშამი. დალიეს ღვინო. მერე კი ერთად დაწვნენ ქათქათა გრილ ლოგინში, დაწვნენ როგორც ნამდვილი ცოლ-ქმარი.

ახლა მოტოციკლეტის გუგუნი აღარცერთს არ აშინებდა.

მთელი მხარე სავსე იყო ლტოლვილებით. თითო-ოროლა კაცი ყველას სახლში იყო და არც ვინმეს გაკვირვებია ემრახებთან კურტ შტაინერის დანახვა. გულდამშვიდებული მართა თავის ბოსტანს მიუბრუნდა, უვლიდა, დარაჯობდა... ესი ყური გამოება — ითასი ამშვილი და ჩამშვილი იყო: ეს ჯარისკაცებია, ეს ლტოლვილთა ბავშვებია და ვინ იცის, კიდევ ვინ. კურტ შტაინერი ღიმილით უყურებდა, როგორ ზრუნავდა და საქმიანობდა მართა, რომ ამ არეულობის დროსაც წესრიგში ჰქონოდა ოჯახი. ახლაც ისეთი ეჩვენებოდა მართა, როგორიც ადრე — ძვალმსხვილი, პირფართო.

ერთი კვირის შემდეგ კურტმა მართას უთხრა, ამხანაგების სანახავად ქალაქში მივდივარო და წავიდა.

მართა დაჯავრებული იჯდა, კურტს საკმაოდ შეაგვიანდა. ბოლოს, გამოჩნდა როგორც იქნა. რუსული სამხედრო მანქანით მოვიდა. მანქანა ხალხით იყო სავსე. ყველანი გადმოვიდნენ. ერთ-ერთი ოფიცერი გერმანულად გამოელაპარაკა მართას. ცხადი იყო, კურტ შტაინერს მათთვის ყველაფერი მოეთხრო. მართა მიხვდა, რომ ოფიცერს მხოლოდ დასტური უნდოდა, მართალი იყო თუ არა ყოველივე. მართამ მოკლედ უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ასე იყო.

ოფიცრები მართას თანაგრძნობით უყურებდნენ. მერე კურტმა ამხანაგებს თავისი სამალავი ანახა სარდაფში, აჩვენა ტბის ნაპირზე ის ადგილიც, სადაც ჩჩრეკისას თავს აფარებდა. კურტი არ მალავდა, რომ დიდად იყო მართასაგან დავალებული.

— ამ ქალმა მარტო სიკვდილს როგორ გადამარჩინა, გვერდში მედგა და მამხნევებდა კიდეც...

მართა უხმოდ ისმენდა. კურტის ტონი ეუცნობა. დაეპირა სახელდახელოდ გამასპინძლებოდა სტუმრებს, მაგრამ კურტმა შეაჩერა:

— ნუ შეწუხდები, პირიქით, შენ მოგიტანეთ ცოტა რაღაც. გვეჩქარება, ბევრი უნდა გავბრუნდეთ.

— შენც მიდიხარ? — ჰკითხა მართამ.

— რა თქმა უნდა, მეც. — მიუგო კურტ შტაინერმა, — ახლა მე ბერლინში ვმუშაობ, ახალ მთავრობაში.

კურტმა მართას ბავშვივით გადაუსვა თავზე ხელი და კარიდან მიაძახა:

— ჩემს ამბავს მალე გაცნობებ.

მართამ მიაყურა მანქანას. ადრე შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე, მოტორის ხმაური რომ მიჩუმდებოდა. ახლა კი...

პატარაობიდანვე უთქმელი იყო მართა. არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი. იმათ, ვისაც მართა სახლისა და ბაღის მოსავლელად ქირაობდა, კარგად იცოდნენ მისი სიტყვაძვირობა. ამიტომ არავის შეუმჩნევია, რომ მართა უფრო გულჩათხრობილი გახდა.

ერთ დღეს იგი კურტ შტაინერმა მოინახულა, დახმარება შესთავაზა. მართამ ისე უპასუხა, როგორც სხვებს უპასუხებდა ხოლმე:

— მარტოც კარგად გავართმევ საქმეს თავს!

კურტი კიდევ მოჰყვა, თუ რაოდენ მადლობელი იყო მისი. მართამ მოკლედ მოუჭრა:

— საკმარისია, კურტ!

გამომშვიდობებისას კურტს უნდოდა მართა თავისკენ მიეზიდა, მაგრამ ქალმა განზე გაიწია.

მართას ძმა, კარლი, ტყვეობიდან დაბრუნდა. იგი კიდევ უფრო უხეში და უკმეხი გამხდარიყო, დისთვის ერთი ალერსიანი სიტყვაც კი არ გაიმეტა. უკმაყოფილო იყო ბოსტნით, სახლი კი მოეწონა, მაგრამ არ შეუქია. მალე მეზობელ სოფელში შეძლებული გლეხის ქალიშვილს დაადგა თვალი და... კიდეც დაქორწინდა. მართა იძულებული გახდა თავისი ოთახი მათთვის დაეთმო, თვითონ კი პატარა ოთახში გადასულიყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მართას ავიწროებდა: კარლი ცდილობდა ძირფესვიანად შეეცვალა ყველაფერი, რაც დას მისი არყოფნის დროს გაეკეთებინა. ამას ჯიბრით სჩადიოდა. რაკი გაიგო, რომ მო-

ეროვნული

საკალზე ნორმები შემოიღეს და პროდუქტის ჩაბარება საკალდებულოა, ცდილობდა დაემტკიცებინა, „ჯარში“ პროდუქტის მიღება შეუძლებელიაო.

მართა ხანდახან წარსულს იგონებდა, იხსენებდა კურტ შტაინერის სიტყვებს. თუმცა დიდი ხანი იყო არ ენახა. კურტი ამბობდა, კარლისნაირებს სულ უფრო და უფრო ბევრი მიწა სურთო, მათ სხვისი მიწები და ომი უნდათო.

ერთ კვირადღეს მართა მყუდროდ იჯდა ტბის პირას პატარა სკამზე, რომელიც კარლმა ცოლისთვის გაკეთა. იგი მარტო იყო შინ — ცოლ-ქმარი კარლის ცოლოურს იყო წასული. უცებ ნაპირს მოტორიანი ნავი მოადგა. ნავიდან კურტ შტაინერი გადმოხტა და ვიღაც ახალგაზრდა ქალს გადმოსვლაში მიეშველა. უცნობი სწორედ ისეთი იყო, როგორ ცოლზედაც კურტ შტაინერი ოცნებობდა. კურტი ალერსიანად მიესალმა მართას და უთხრა, რომ სურდა კვლავ გამოეცლო ერთ დროს ხიფთიანი გზა და თავისი მეგობრისათვის ყველაფერი აეხსნა. დაბოლოს დასძინა: „ეს კი მართაა“. მართამ ყავა მოადუღა. კურტმა ნამდვილი ყავა ჩამოუტანა.

— რაც მე და შენ განვიცადეთ, — თქვა კურტმა და მართას ხელი ხელზე მოჰკიდა, — არასოდეს დამავიწყდება.

— რა თქმა უნდა! — მიუგო მართამ.

— თუ რამე დაგჭირდეს, მომაკითხე, — უთხრა კურტმა და მისამართი დაუწერა.

ძმა და რძალი რომ დაბრუნდნენ, სახლში ყავის სურნელი იდგა. გაბრაზდნენ, მართა მათი არყოფნის დროს სტუმრებს გამასპინძლებოდა. რძალი აყვირება, მართას მისი ნამზითვი სერვიზი ეხმარა. მერე დაინტერესდნენ, რა ხალხი იყო მართას სტუმრები.

— ნაცნობები იყვნენ, — უთხრა მართამ, — ომიანობის დროიდან ვიცნობ.

სოფელში „გლეხთა ურთიერთდამხმარე საზოგადოება“ დაარსდა. მართას ძმა გაიძახოდა: მიცნობენ ვინცა ვარ, ჩემისთანა კაცი იქ არ შევაო.

— შენისთანა, არა! — დაუდასტურა მართამ.

მართა სადამობით ველოსიპედით დადიოდა სოფელში, სადაც მისი ნათესავის ფარდულში კრებები იმართებოდა. იჯდა კრებებზე და როცა რამე არ მოეწონებოდა, თავს გააქნევდა ხოლმე.

— თუ ასეთ ადგილებში ხეტიალს არ მოიშლი, სადაც გინდა იქ იცხოვრე, — უთხრა ერთხელ ძმამ.

— გარეთ ვერ გამაგდებ, — მიუგო მართამ, — სახლი მარტო შენ არ გეკუთვნის. მამამ იგი ყველას დაგვიტოვა. თუ ჩემი წასვლა გინდა, გადამიხადე, რაც მეკუთვნის.

კარლი გაგულისდა და გაოცდა: მართასაგან ასეთ პასუხს არ მოელოდა. ამის შემდეგ ხან დაუტაბეზოდნენ, ხან გერიკით აითვალწუნებდნენ.

მართას შინ დაბრუნებისას ყოველთვის შიში იპყრობდა, მაგრამ გლეხების კრებაზე ველოსიპედით წასვლა მაინც სიამოვნებდა. თუმცა ისეთი გამწარებული ცხოვრება ჰქონდა, არც ეს უხარებდა გულს.

იგი კურტ შტაინერთან შეხვედრაზე ოცნებობდა. მოთმინება ელეოდა. კურტი მართას არც ერთ ნაცნობს არ ჰგავდა. უნდოდა მალე ენახა მისი წაბლისფერი თმა და მტკიცე გამოხედვა, გაეგონა მისი ხმა. რამდენი რამ უნდა ეკითხა, მან ხომ ქვეყანაზე ყველაფერი იცოდა. მაგრამ კურტს უკვე ცოლი, და შეაბალებელია, შვილიც ჰყავდა. იქნებ ეწყინოს კიდეც, მართა რომ ესტუმროს, თუმცა, თვითონ მიიყვანა საცოლე მართასთან, ბერლინის მისამართიც დაუტოვა.

კარლს არაფერი გაეგებოდა საბანკო საქმისა, ყოველივეს მართა აკვარებდა. ახლაც აუხსნა, ბერლინში წასვლაოო საჭირო. კარლს ეჭვიც კი არ შეპპარვია რამეში, გაეხარდა კიდეც მისი წასვლა.

ბერლინში მართა ბანკიდან ვაისენზეეში გაეძგზავრა, იქ ცხოვრობდა კურტი. კიბეზე რომ ადიოდა, „შევიდე თუ არაო?“ — ფიქრობდა.

მესამე სართულზე ბინის კარს უცხო

გვარი ეწერა. სხვა ბინის წარწერებიც შეამოწმა, მაგრამ ამაოდ. კურტ შტაინერი არსად იყო. ბოლოს ბაზრიდან მოგავალ ქალს ჰკითხა, კურტ შტაინერი სად ცხოვრობსო. — დიდი ხანია აქ არ ცხოვრობსო, — უპასუხა ქალმა.

— სად გადავიდა?

ქალმა მხრები აიჩეჩა. მართა უცნობ ქალს შეშინებული უყურებდა და თვალებით ეკითხებოდა. ქალმა ხელით აჩვენა, ძალიან შორს არის წასულიო.

მართა ავტობუსის გაჩერებისაკენ გაეგმართა. ძალიან დაიღალა და ცუდ გუნებაზე დადგა. ფიქრობდა, კურტს რომ უნდოდეს, წერილსაც მომწერდაო. მხრები ჩამოეშვა, თითქოს მისი ნაღველი მხრებს აწვა მძიმე ტვირთად. ტუჩები უცახცახებდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ავტობუსი სოფელს, სულ უფრო და უფრო მეტ ნაცნობებს ხედავდა. გრძნობდა, რომ მას უყურებდნენ და ადგილზე უხერხულად ტოკავდა. გაიგონა, როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს:

— მარტო დადის კრებებზე.

„აი თქვენ კი ნამდვილად დაეხმარებოდით კურტ შტაინერს, უმალ გესტაპოში გააქანებდით. — ფიქრობდა მართა. — ეჰ, სამუდამოდ კი დამეკარგა“.

ბოლო გაჩერება მართას სახლთან იყო. შინ შევიდა და კბილი კბილზე რომ არ დაეჭირა, მთელი ნაღველი ისევ წამოეშლებოდა. ძმას ბანკის ქაღალდები აჩვენა. ძმას არაფერი გაეგებოდა ასეთი საქმეებისა, ამიტომაც არც საჩხუბარი ჰქონდა რაიმე, მხოლოდ ისღა წაიბურძღუნა — სად იყავი ამდენ ხანსო.

უცებ მართამ გულის სიღრმეში რაღაც სიამოვნება იგრძნო. მას ჰქონდა საკუთარი რაღაც, რასაც არაფერში არ გასცვლიდა. ის, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა, ნივთი როდი იყო, ეს იყო განცდა, რომლითაც სამართლიანად ამაყობდა. ეს საიდუმლო მას ძალას მატებდა.

ემრიხების ბაღის გვერდით უპატრონო მიწა იყო. ამ მიწის ყოფილ მესაკუთრეთაგან ზოგი ომში დაიღუპა, ზოგი კიდევ ომის დროს გაიქცა შეშინებული. საბჭომ ეს მიწა ახალმოსახლე გებერჰარდ კლაინს მიაკუთვნა. ეკაკუთაცის დერეფანში ეკიდა ეს ბანერი. ეს ბანერი ეკიდა. შვილს თვითონ უვლიდა. მოღუშული დადიოდა. კლაინი მებაღე იყო, მუდამ კარგ ნაკვეთზე მუშაობდა, ამიტომ ვერ ეგუებოდა უნაყოფო მიწას. ვერც იქაური ხალხის ზნე-ჩვეულებებს შეეგუა: ისინიც ისეთივე ძუნწები იყვნენ, როგორც მათი მიწა.

ადრე უპატრონო ნაკვეთი, რომელიც ებერჰარდმა დაამუშავა, ემრიხს ჰქონდა თვალში ამოღებული. ამიტომ უყურებდა ის ებერჰარდს ცივად. როდესაც ებერჰარდი რაიმეს ჰკითხავდა, ემრიხი ან ცალუბად უპასუხებდა, ანდა უკუღმართ რჩევას მისცემდა. ადრე კლაინს მართაც ისეთივე ეგონა, როგორიც მისიანები. გაგონილიც ჰქონდა, მართა უხეში და უკმეხია. ერთხელ მართამ მეგობრულად ურჩია, როგორ უნდა აეჭრა პამდორი. მეურნეობაში გლეხთა კრებაზე მართა გაუბედავად, მაგრამ მაინც გამოთქვამდა ხოლმე თავის საკმარისად ჭკვიანურ მოსაზრებებს. ებერჰარდი რწმუნდებოდა, რომ მოსწონდა მართას კეთილი და მშვიდი თვალები.

მალე მართა ებერჰარდის ცოლი გახდა. ისინი მშვიდად ცხოვრობდნენ. ყველაფერზე ერთი აზრი ჰქონდათ — იმაზეც, რაც სამყაროს შეეხებოდა, სამუშაოზეც და პატარა ოჯახზეც.

ერთხელ მართამ დიუსელდორფიდან კურტ შტაინერის ღია ბარათი მიიღო. კურტი სწერდა, არასოდეს დაგივიწყებო. ებერჰარდმა იკითხა, ვის წერილიაო.

— ომის დროს ხანდახან ერთმანეთს ვეხმარებოდით, — უპასუხა მართამ, შემდეგ დუმატა, — ერთხელ მან ნამდვილი ყავა მომიტანა.

კლაინს მეტი არაფერი უკითხავს და არც მართას უთქვამს რამე.

თუ ვინმე დაინტერესდებოდა მართას ვინაობით, ეტყოდნენ, ემრიხის დაა, ახლა ებერჰარდ კლაინს ცოლიაო.

ამა სხვა რა უნდა თქვა კაცმა, როცა მეტი არაფერი იცი?

გერმანულიდან თარგმნა **დონარა თურმანიძემ.**

გასვმო ბუაჩიძე

ჟაკ პრევერის პოეზია

ფრანგი პოეტი ჟაკ პრევერი და მეოცე საუკუნე ერთი ხნისანი არიან. პრევერი დაიბადა 1900 წელს, დღინარე მარნაზე, პარიზიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარე დაბა ნეიში. ახლა კი უპირატესად ცხოვრობს საფრანგეთის მზიან სამხრეთში, ნიცასთან ახლოს, ლამაზ პატარა ქალაქ სენ-პოლ-დე-ვანსში.

დაახლოებით 20-იანი წლებიდან პრევერი სურრეალიზმის გარკვეულ გავლენას განიცდიდა. სურრეალიზმის ხერხების გამოყენება (როგორც, მაგალითად, „ავტომატური წერა", ან უაზრო სიტუაციების გამოგონება) გვხვდება პრევერის ადრეულ ნაწარმოებებში. მაგრამ პრევერის ხელოვნების ჯანსაღ რეალისტურ საფუძველს, სამყაროს საგნობრივ ასოციაციურ ხილვას, ვერავითარმა სურრეალიზმმა ვერ მიაყენა ზიანი.

თავისი ადრეული ლექსების ბედისადმი ჟაკ პრევერი საკმაო უდარდელობას იჩენდა: ზოგს ჟურნალებში („ბიფური", „კომერსი", „სუტი") ათავსებდა, ზოგს კი მეგობრებს აჩუქებდა ხოლმე. და მხოლოდ მოგვიანებით გაერთიანა ისინი კრებულებში: „სიტყვები" (1946), „ისტორიები" (1946, თანაავტორი ანდრე ვერდე), „ზღაპრები" (1947), „სანახობა" (1951) და „წვიმა და დარი" (1955).

ჟაკ პრევერი განსაკუთრებით პოპულარული სწორედ 40-იან წლებში ხდება. პრევერის კრებულის — „სიტყვების" გამოსვლა, კრიტიკოსთა აზრით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფრანგულ პოეზიაში. კომპოზიტორმა ჟოზეფ კოსმამ ამ კრებულის თითქმის ყველა ლექსზე დაწერა მუსიკა. ცნობილი შანსონიე, ესტრადის მომღერლები საჯაროდ ასრულებენ მათ. პრევერის წიგნები დიდი ტირაჟით ვრცელდება, რაც იმჭიათი მოვლენაა თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში, კრებული „სიტყვები" კი ერთი პირველთაგანი შეიტანეს „ლივრ დე პოშის" მასობრივ სერიაში. ამავე სერიაში გამოვიდა „სანახობა", „წვიმა და დარი".

და ბოლოს, როგორც ჩანს, პრევერის პოეტურ შემოქმედებაზე კინოში მუშაობამაც იქონია გავლენა. მან დაწერა სცენარები და დიალოგები დაახლოებით ოცდაათი ფილმისათვის. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა ცნობილ კინორეჟისორ მარსელ კარნესთან: „უცნაური დრამა" (1937), „ნისლების სანაპირო" (1938), „დღე იწყება" (1939), „ჭანდარის შვილები" (1945) და „დამის კარები" (1946). ალბათ, ამის შედეგი უნდა იყოს ის გარემება, რომ პრევერის ლექსებს ვიზუალობა და გაშიშვლებული ფაქტურა ახასიათებს.

ფრანგული პოეზია, უფრო მეტად ვიდრე პროზა და დრამატურგია, ფორმისა და სახეების გართულების, პოეტური ხილვის კონდენსაციისა და ცხოვრებისეულ დაკვირვებათა უკიდურესი განზოგადოების გზით მიდის (ამის მშვენიერი მაგალითია სენ-ჟონ პერსი). მაგრამ ამ „მაღალი პოეზიის“ გვერდით ფრანგულ ლიტერატურაში არასდროს არ შეწყვეტილა დემოკრატიული ტრადიცია, რომელიც ბერანჟეს სხვადასხვანაირ დაკავშირებული.

ბერანჟე თავისთავს თავმდაბლურად „მომღერალს“ უწოდებდა და არა პოეტს. თავისი „სიმღერების“ მასალას იგი ყოველდღიურობიდან იღებდა: გაზაფხული და ღვინო, სიყვარული და მეგობრობა, პატიოსნება და თავისუფლება. ამასთან „მომღერალი“ თავის უშუალო მოვალეობად თვლიდა ჩარეულიყო მშობლიური ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში. თუკი საჭიროა ჟაკ პრევერის პოეზიას რაიმე ტრადიცია მოვუნახოთ, ეს, პირველ ყოვლისა, ბერანჟეს ტრადიციაა. პრევერს არა აქვს პოეტურ ოლიმპზე ასკლისა და დაფნის გვირგვინის პრეტენზია, თავის ლექსებს იგი წერს ისე, როგორც ისაუბრებდა ქუჩაში, კაფეში, მეტროში ან კინო-თეატრიდან გამოსვლისას. ნაციონალური და საერთაშორისო პოლიტიკური ბარომეტრისადმი პრევერი არასდროს ყოფილა გულგრილი. რაც შეეხება რეაქციის შემტევის ცდებს, იგი მისი პირდაპირი და შედმიგი მოწონაააღმდეგეა.

როცა ბერანჟეს ტრადიციას ვასხვენებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ტრადიციის სხვა ერთგული გამგრძელებლები: ბარიზელი კუპლეტისტები, რომლებიც მასვიდრეობიერ პოეტურ-მუსიკალურ იმპროვიზაციებს ყოველდღიურ ჭერ-ვარამზე, იქვე, ხალხის წინ ქმნიან. მხოლოდ, თუ ზანსონიეს ერთდროულური კუპლეტები, როგორც წესი, სერიოზული ხელოვნების გარეშე დგას, ჟაკ პრევერის პოეზიამ უთუოდ მიიღო მოქალაქეობრივი უფლებები „ლიტერატურულ რესპუბლიკაში“ ისე, რომ არ გაუწყვეტია ნათესაური კავშირი თავის ესტრადელ უმცროს ძმებთან.

რაც შეეხება ბერანჟესა და პრევერის პოეზიის საერთო ნიშნებს, უკვე ამ საერთოშიც ისახება ღრმა განსხვავება. როგორც ბერანჟეს, ისე პრევერის სიმღერები პარიზის ქუჩის ღვიძილი შვილებია. მათი შექმნის დღეები საუკუნით არიან ერთმანეთისგან დაშორებული. ამ წლების მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა პარიზის ქუჩა. და განა შეიძლება, ამ ქუჩის შვილები უცვლელი დარჩენილიყვნენ?

ბერანჟეს შემდეგ, ჟაკ პრევერამდე, ფრანგულ პოეზიაში სხვებსაც მიუმართავს „სიმღერის“ ჟანრისათვის. XIX საუკუნის დამდეგით და XX საუკუნით რომ შემოვიფარგლოთ, შეიძლება დავასახელოთ ჟან რიმბეენი, ჟან რიკტუსი, პოლ ფორი, ლაფორგი, პიერ მაკ ორლანი, გიომ აპოლინერი, ფრასსის კარკო. მაგრამ სამართლიანად აღნიშნავს ფრანგული კრიტიკა, რომ ჩვენს საუკუნეში სწორედ ჟაკ პრევერია ყველაზე საინტერესო და დამახასიათებელი წარმომადგენელი ამ ნაკადისა.

პრევერის პოეზია გასცდა საფრანგეთის ფარგლებს. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა 1963 წელს ლონდონში გამოცემული „თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის მოკლე ენციკლოპედიაში“ მოთავსებული საკმაოდ ვრცელი სტატია მის შემოქმედებაზე. აქაც აღნიშნულია, რომ პრევერის ლექსთა კრებულები სწორედ მაშინ ვრცელდება დიდი ტირაჟებით, როდესაც „პოეზია სულ უფრო ძნელად გასაგები და ჰერმეტიული ხდება“. წერილის ავტორი კრიტიკის საერთო თვალსაზრისს იზიარებს, როცა ხედავს მჭიდრო შინაგან კავშირს პრევერის პოეზიასა და „ზანსონიეების“ ხელოვნებას შორის. ამ გარემოებას, მისი თქმით, ისიც უწყობს ხელს, რომ საფრანგეთში დღესაც ცოცხალია მუზიკ-ჰოლის ტრადიციები, მაშინ როდესაც ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებში ისინი ან უკვე გაქრნენ ან მოსპობის გზაზეა. ფრანგი ზანსონიების ლექსებს კი შეუა ადგილი უკავიათ „სოციალურ სატირასა და გრძნობების“ გადმოცემას შორის. პრევერის პოეზიაში ხალხური საწყისების გვერდით სტატიის ავტორი ხედავს აგრეთვე გერმანული რომანტიზმის შორეულ გავლენას. ჟაკ პრევერის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებადაა მიჩნეული: „არა-კონფორმიზმი“, „სკეპტიციზმი“, „ანტიკლერიკალიზმი“, „სპონტანური უპატივისმცემლობა“ რი-

ტორიკისა და ხელისუფლების მიმართ. ხოლო თავისი ნაწერების მატერიალისტური სულისკვეთებით ჟაკ პრევერი განაგრძობს ენე დეკარტის მიერ დასახულ „ფრანგული ცივილიზაციის რადიკალურ ინტელექტუალურ ტრადიციას".

პრევერის „სიტყვებიდან" რჩეული ლექსები თარგმნა ინგლისურად ლოურენს ფერლინგეტიმ და ცალკე წიგნად გამოსცა სან-ფრანცისკოში 1958 წელს. რუსულად მ. კუდინოვის თარგმანით და მიხეილ სვეტლოვის პოეტური წინასიტყვაობით პრევერის ლექსთა კრებული 1960 წელს გამოვიდა. სათანადო ადგილი ეთმობა ჟაკ პრევერის პოეზიის ანალიზს 1963 წელს მოსკოვში დასტამბულ „ფრანგული ლიტერატურის ისტორიის" მეოთხე ტომში და 1964 წელს გამოცემულ წერილთა კრებულში „საფრანგეთის ზეწერლები".

„სიტყვები" — ასეთი სათაური მისცა პრევერმა თავის ყველაზე პოპულარულ პოეტურ კრებულს. სიტყვა მისი ლექსების გაადგილია: იგი არა მარტო სამშენებლო მასალაა, არამედ მრწველელიც. რომელიმე სიტყვით გატაცებული პოეტი ჯერ კიდევ ვერ ხედავს იმ გაუთავლისწინებელ ასოციაციებს, ოომლებსაც ეს სიტყვა გამოიწვევს. მკითხველიც ამ ასოციაციათ მუდამ გაოცებული ოჩება და იქნებ ეს გაოცებაა ის ძირითადი და განუმეორებელი გრძნობა, რასაც ჩვენ განვიცდით პრევერის ლექსების კითხვისას.

ზოგჯერ პრევერი ერთ სიტყვას ანიჭებს განსაკუთრებულ ყურადღებას, აქცევს მას სხვა სიტყვების რიგში, ამჟღავნებს თუ რა ბესაძლებლობა აქვთ მას სხვა სიტყვებთან ერთიერთობაში. ასეა, მაგალითად, ლექსში „ეუროკების დრო", სადაც ექვსი სტრიქონი ზედიზედ სიტყვით „ეკან" იწყება. ამ ლექსში, რომელიც ანტიმილიტარისტული აზრებითა და გრძნობებითაა აღსავსე, ეს სიტყვა თითქოს აგვირგვინებს ლექსის მთლიან საერიშო მარშს და ყოველი ახალი განმეორებით თავიდ დიაპაზონს აფართოებს, ღრმად სუნთქავს.

ზოგ ლექსში სტრიქონები თითქოს ერთ სიტყვაზეა ასხმული, ამ სიტყვას მისდევენ, ემსახურებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ სიტყვაზეა გადატანილი ნაწერმოების აზრობრივი და მხატვრული აქცენტები. ასეა ლექსში „რევიერა": მოხუცებული, ცხოვრება მოგრიგებული ბარნნსა კრენი, „კბილების ყარიბაზის დედოფალი", „ამოწოლილა შეშლონგზე, გამეელე-გამამეელნი მლიქნელურად სალამს აძლევენ მას. „შეშლონგზე ამოწოლილი" — ასე იწყება ლექსი, და ეს დეტალი აძლევს ბიძგს მთელ ლექსს. „შეშლონგი" — სიტყვა-სიტყვით თარგმანით „გრძელ სკამს" ნიშნავს, და ეს ეპითეტი, „გრძელი", პოეტს გათამაშებული აქვს: ბარონესა „გრძელია", იგი „შეშლონგზე უფრო გრძელია" და სხვ. პირველი შეხედვით, აქ თითქოს ასოციაციათა შემთხვევითი წყებაა. მიუხედავად ამისა, იგი მიზანს აღწევს: მოცემულია მდიდარი მოხუცი ქალის სატირული ჩანახატი ყოველვავარი სწორსახოვნებისა და ყურადღების გამფანტველი დეტალიზაციის გარეშე. ასე იქმნება პრევერისეული სიტყვათა თამაში. მოულოდნელ ომონიმზე აგებული პრევერის ასეთი ლექსები არც თუ ისე იოლად ითარგმნება სხვა ენებზე.

მაგრამ, პრევერი დაუღალავი ოსტატია, იგი არ ისვენებს, თუმცა სიტყვა ასოციაციათა რკალში მოაქცია. პოეტს სურს თვითონ სიტყვას მისცეს ახალი მნიშვნელობა. ამისათვის ზოგჯერ საკმარისია სიტყვაში ერთი ასო გამოიცვალოს და მაშინ „კრემი" გადაიქცევა „კრიმ"-ად, ესე იგი „დანაშაულად".

ბეგრათა თამაშით გატაცებული პრევერი არ ივიწყებს აზრს, იუმორს, ზოგჯერ სატირასაც კი. სწორედ ეს გარემოება ანიჭებს პოეტურ მომხიბლელობას და ძნელად შესამჩნევ სატირულ „პილპილს" ისეთ ვირტუოზულ ინსტრუმენტალურ ნაწარმოებს, როგორიცაა ლექსი „ადმირალი ლარიმ".

ჟაკ პრევერის ლექსი არ იცავს ფრანგული ვერსიფიკაციის მიერ გამომუშავებულ კლასიკურ ნორმებს. ჩვენ ვერ ვნახავთ მის კრებულებში, როგორც ლუი არაგონის პოეზიაში, ახლებურად გააზრებულ ალექსანდრიულ ლექსს. რითმიან სტრიქონებს ცვლიან ურითმოები, რითმა სტრიქონის ბოლოში — შინაგან რითმას, ზოგჯერ რითმის ნაცვლად ასონანსია, ცალკეული სტრიქონი ზოგჯერ გადაიზრდება ხოლმე სტროფად (ან არტიმული) პროზის მთელ პასაჟად. პრევერი,

ისე როგორც მრავალი სხვა ფრანგი პოეტი, აპოლინერის მიერ შემოღებული უსუნქტუაციო ლექსთაწყობას მისდევს. მაგრამ პრევერის ლექსებში ყველაფერი ისე მკაფიო, გარკვეული და შინაგანად დასრულებულია, რომ ამ გარემოებას არც კი გრძნობთ, გეჩვენებათ, რომ პუნქტუაცია უფრო შეანელებს და დამძიმებს პოეტური ტექსტის აღქმას (ასეთივე შეგრძნება გრჩებათ აპოლინერის ლექსისაგან „მირაბოს ხიდი"), მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე: ერთი სასვენი ნიშანი, წერტილი, პრევერთანაც უფლებამოსილია. როცა პოეტი ლექსში „კურკების დრო" სასვენი ნიშნების სიტყვიერ ტრანსკრიფციას იძლევა, ეს კომიკურ ეფექტს ახდენს, რადგან მეზავრის გადამტებული თავაზიანობის ირონიული დახასიათებისათვისაა მოცემული: „როცა კეთილი ღიმილით მეტროპოლიტენში თავაზიანად გვეკითხებოდით, ორწერტილი, გახსენით ბრჭყალები ჩამოგალთ შემდეგ გაჩერებაზე".

ლექსის თავისუფალი აღნაგობა პრევერთან შინაგანად დაკავშირებულია მისი პოეზიის ძირითად თავისებურებასთან — სასაუბრო ენასთან. ეს სტილიზაცია როდია. პრევერის ლექსი — საუბრის ფიქსაციაა, მაგრამ არა სტენოგრამა. უბრალო და შეუღლმაზებელი საუბრის შთაბეჭდილების მოსახდენად, იმისათვის, რომ რიგითმა მკითხველმა შეიგრძნოს ლექსის ზემოქმედების ძალა, პრევერს ჩვეულებრივ სასაუბრო ენის კონსტრუქციაში შეუჩნევლად შეაქვს პოეტური ხერხები, რაც, ცხადია, „რეალურ" საუბარში არა გვხვდება.

ზოგი კრიტიკოსი არ თვალისწინებს ამ მომენტს და პრევერის მთელი შემოქმედება ჩვეულებრივ საუბრამდე დაჰყავს და ეჭვს გამოთქვამს, საერთოდ პოეზია თუ არის, რასაც პრევერი წერსო. შენიღებული სასხიპ ამ აზრს ადგას ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი გაეტან პიკონი. „მიშო და პრევერი, — წერს იგი, — წარმოადგენენ პოეზიას, მისი ყველაზე თანამედროვე გაგებით, ესე იგი, თუ როგორი შეიძლება ჯერ კიდევ იყოს პოეზია, როცა მისი არსებობა აღარ სწამთ".

ჟაკ პრევერს სიტყვის მდიდარი მარაგი აქვს. მის ლექსებში ხშირია ანდაზების, თქმულებების, აფორიზმების რემინისცენციები, არგოტიზმები და უწმაწური სიტყვები. პრევერის ნაწარმოებთა მდიდარ იდეურ მატიკაში მკაფიოდ ცემს ნაც

ილისმეტყველ მსოფლშეგრძნების პულსი. პრევერის ლექსში ბევრ რამეს შეუძლია შეაცბუნოს გულაზიზი მკითხველი. ეს იმიტომ, რომ უხილავი ძაფებით, იქნებ შეუცნობლად, ჟაკ პრევერის პოეზია რაბლეს უცერემონიო და ხორციელ გენიასთანაა დაკავშირებული. და ის გასაჭირი, რასაც დღემდე განიცდიან მთარგმნელები მიდანის კიერეს „უწმაწურობათა" თარგმნის დროს და რომელთაც ისინი მეტ-ნაკლებად მორცხვად გვერდს უვლიან, პოეზიერთანაც არსებობს: ასეთი „უწმაწურობანი" განსაზღვრული დოზით პრევერის სასაუბრო ლექსიკისათვისაცაა დამახასიათებელი.

პრევერი ლექსს ხშირად ისე აგებს, რომ ზმნას არ იყენებს. მაგალითად, ასეა დაწერილი ექვსსტროიფონიანი ლექსი „საუცხოო დრო". ასეთივე ხერხია გამოყენებული ლექსში „ალიკანტი", სადაც ქალ-ვაჟის სიყვარული გადმოცემულია ბეჭნიერების მეტყველი მოწმეების, გარემომცველი საგნების აღქმით. ლექსს „პირველი დღე" პოეტი ისე აგებს ზმნის გარეშე, რომ გარემომცველი ნივთების საშუალებით გადმოსცემს ახლადდაბადებული პირველი ყვირილით აღძრულ შიშსა და სიხარულს. ეს მიღწეულია გარგანი დეტალების ერთმანეთზე დალაგებით, არც ერთი მხატვრული სახე, უფრო მეტიც, არც ერთი მხატვრული სახე, მხოლოდ კონკრეტული რეალიები, რომლებიც გამოსახვის შინაგანი კანონზომიერებით ერთეიან ერთიმორეს: კარადა, საწოლი, დედა, ტკბილეული, დერეფანი, სახლი, ქალაქი, ღამე, ყვირილი. სიცოცხლე — ასე შეიძლება გავაშიშვლოთ პრევერის ამ ლექსის ღერძი, პრევერის მთელი პოეზიის ღერძი: კონკრეტულ-ნივთობრივი და ანტი-ემფატიკური.

როგორც ვხედავთ, გრძნობის გადმოსაცემად პრევერი არ მიმართავს ემოციურობას. პოეტი წარმოგვიდგენს რამდენიმე ნივთს. საგანს; ეს ორიენტირია, რომლის მიხედვითაც მკითხველმა უნდა აღადგინოს, რაც ამ საგნებს ასულდგმულებს, აერთიანებს. პრევერის ლექსები — ესაა ასოციაციების კვანძი და მონტაჟის ელემენტები. ერთ შემთ-

ხვევაში წინა პლანზეა პირველი, მეორე შემთხვევაში, როგორც ზემოთ განხილულ ლექსებში, — მეორე. საერთო ჯამში ასოციაციების კვანძი უფრო სჭარბობს.

როცა საუბარია ვან გოგის ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, აქ უკვე უარყოფილია ყოველგვარი მონტაჟი, რაც შეეხება ასოციაციებს, ისინი ერთი ფერის, წითელი ფერის, ირგვლივ ტრიალებენ. ეს არის მხატვრის დაუცხრომელი, მოუსვენარი სისხლის ფერი, რომელიც ასე ჭარბადაა მოცემული მის ტილოზე „არლის წითელი ვენახი". და პრევერს ლექსით, რომელიც ვიითნის გოდებასავითაა დასათაურებული („ვენსანის ჩივილი"), გადაეყავართ სამხრეთულ ქალაქ არლში, იმ არლში, სადაც მზე „ღმუილით წრეზე მოიქცევა". ერომანეთზე მოწოლილი ფერებით ხატავს პრევერი მხატვრის, ამ „ფოსფორისა და სისხლის ადამიანის", სახეს. ჭეკა-ჭუხილი ქალაქის თავზე, ეს „ვენსანის გენიის დამბრმავებელი ჭეკა-ჭუხილია". ამ ლექსის გავარვარებულ სტრიქონებში მწვავე ტკივილია და მხურვალე სიხარული.

მე-18 საუკუნიდან, საფრანგეთში „ბუნების კულტის" გაფურჩქვნის დროიდან, „ბუნების შეგრძნობამ" ცვლილება განიცადა და ჟან-ჟაკ რუსოს ემოციურმა პეიზაჟმა ადგილი დაუთმო პრევერისეულ თავმეკავებულსა და მშრალ სტრიქონს. ლექსში „შემოდგომა" ყველაფერი მოცემულია ერთი ამბის პრიზმაში. ხეივნის შუა ადგილას დაღლილობისაგან ცხენი დაეცა. ხეებიდან მთრთოლვარე ფოთლები ცვივა და ფოთლების ეს თრთოლვა გადაეცემა მზეს. ასე ხატავს პრევერი შემოდგომას...

პრევერი ლირიკული მინიატურების ოსტატია. როგორც მცირე ნოველას, ამ მინიატურებსაც აქვთ თავიანთი უპრეტენზიო მცირე სიუჟეტი ან რამდენიმე დეტალით მოხაზული დამახასიათებელი სიტუაცია, თავისი განწყობილებით, პატარა მხატვრული სამყაროთი, როგორც ლექსში „Paris at night".

მაგრამ ყველას მიმართ როდია პარიზი გულთბილი და ალერსიანი. პოეტი გვიხატავს კონკორდის მოედანზე, მშიერ-მწყურვალი, მარტოდმარტო დარჩენილი ქალის სილუეტს. მწარე ირონია ისმის მოედნის საზეიმოდ ეწოდებაში (კონკორდი ნიშ „თანხმობას ნიშნავს!), სიცივე აკანკალებს ამ უფინო არსებას აგვიტაოს პაპანაქებაში. იქნებ მას სიყვარულის ალი გაათბობს? მაგრამ სადაა იგი?

სიყვარულს პოეტი თავის ლექსების ყველაზე მწველსა და ფიქრმორეულ სტრიქონებს უძღვნის. სატრფოსათვის ყიდულობს პოეტი ჩიტებს, ყვავილებს და... ბორკილს. მაგრამ სიყვარული და ბორკილი? ლექსის „მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ" გმირი ეშმაკურად დასცინის ობივატელს: „მე ის მიყვარს, ვისაც ვუყვარვარ და განა ჩემი ბრალია, რომ ყოველთვის ერთი და იგივე არ მიყვარს?".

სხვა ლექსებში პრევერი ცდილობს გაიაზროს, რას ნიშნავს სიყვარული მის ცხოვრებაში, საერთოდ, ადამიანის ცხოვრებაში. ლექსში „ჩემს სახლში" სიყვარული უსაზღვრო სიხარულია, დიდი ამბის შეუცნობელი მოლოდინია.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, განსაზღვრულ ეპოქასთანაა დაკავშირებული. მაგრამ რომანტიკული განწყობილება იდუმალის, შეუცნობელის, უცნაურისა და შეუბოჭავი ოცნებების სამყაროთი არსებობდა რომანტიზმამდე და, ალბათ, კიდევ იარსებებს დიდხანს, სანამ არსებობს სიყვარული.

ასეა ამ ლექსშიც. ლირიკული გმირი სატრფოს ეელდება „თავის სახლში". მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არაა მისი სახლი, ამ სახლში ის შემთხვევითაა შესული და რატომღაც აქ ელოდება მას. მეორე, პოეტს არასდროს თვალითაც არ უნახავს თავისი სატრფო. მიუხედავად ამისა, გვჯერა, რომ ეს სახლი არსებობს და უცნაური სატრფო მოვა. ლექსის ლირიკული გმირის ლოდინი ორი ფერით, თეთრი და წითელი ფერითაა შეღებული. რატომ? იმიტომ, რომ „არავინაა სახლში, მხოლოდ წითელი წიწაკაა ჩამოკიდებული თეთრ კედელზე".

სხვა ვინმე იქნებ გვერდს აუვლიდა ამას, მაგრამ შეყვარებულისათვის ეს მხოლოდ ნატურმორტი როდია, იგი საიდუმლო დაპირებაა, რომელიც მისი მოსვლისთანავე გაცოცხლდება: „და როცა შენ შემოხვალ ჩემს

სახლში, ტანისამოსს გაიხდი, და უძრავი, შიშველი დადგები ჩემს წინაშე, შენი წითელი ტუჩები იქნება, როგორც თეთრ კედელზე ჩამოკიდებული წითელი წიწაკა".

მაინც რა არის სიყვარული? დევნილი, დაჭრილი, გათელილი, მივიწყებული იგი ხელახლა აღსდგება, რადგან „იგი ყოველთვის ახალია და არ გამოცვლილა". ადამიანს შეუძლია დაგივიწყოს, მიმართავს პოეტი სიყვარულს, მაგრამ ჩვენ ნუ დაგავიწყებთან: „მეხსიერების ტყეში უფრად მოგვეელინე, ხელი გამოგვიწოდე და გადაგვარჩინე". სიყვარული მხსნელია, ის თვით ცხოვრებაა — ამბობს პოეტი ლექსში „სიმღერარ". ლექსში „მონსურის ბაღი" პოეტი ჩივის, რომ მრავალი ასი და ათასი წელიწადი არ ეყოფა მას იმ „მარადიული წუთის" გადმოსაცემად, როცა სატრფომ კოცნა აჩუქა. „მონსურის პარკში, პარიზში, დედამიწაზე, იმ დედამიწაზე, რომელიც ვარსკვლავია".

ჟაკ პრევერის ერთ-ერთი წამყვანი და სიყვარულით დამუშავებული თემაა — საბავშვო თემა, უფრო სწორად, მოსწავლეთა თემა. მერხთან მჯდომი მოზარდის სახით პოეტს ხიბლავს თუ მეამბოხე არა, ყოველ შემთხვევაში დაუშორჩილებელი, ცელქი მოსწავლე, რომელიც ვერ თავსდება ყოფაქცევის მოცემულ ნორმებში. სიტყვათა გამოუთქმელ თამაშზეა აგებული ლექსში „L' accent grave" მასწავლებლისა და მოწაფის დიალოგი. ლექსში „ზარმაცი" მოწაფე მშრალი ცოდნის წინააღმდეგია. ერთი შტრიხით პრევერი გვიხატავს ულაერ მასწავლებელს, რომელმაც ვერ შესძლო „ვუნდერკინდის" სულის ანთება. ლექსში მოცემული ანტითეზა სიმბოლურ, ფერადოვან ამოხსნას პოულობს: თუ დაფის შავი ფერი პოეტს უბედურების ფერად ეჩვენება, სამაგიეროდ, ბედნიერების დასახატავად მოსწავლეს ნაირნაირი ფერის ცარცი სჭირდება.

არითმეტიკის გაკვეთილია: ოთხი პლუს ოთხი რვაა, რვა პლუს რვა თექვსმეტს უდრის... „გიამეორეთ" ყვირის მასწავლებელი. რა მოსაწყენია. მაგრამ, აგერ ერთ დამწუხრებულ ბავშვს ჯადოსნური ფრინველი ეწვია და ხდება საოცარი ამბავი: ციფრები გაფრენილან, კლასის კედლები ინგრევა, ფანჯრის მინა ქვიშად იქცევა, მელანინ მაგიერ წყალი გაჩნდება, მერხები ხეებად გადაიქცევა და კალმისტარი ჩიტად. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ერთ-ერთ საშუალო სკოლას ჟაკ პრევერის მაგიური კვერთხი შეეხო.

ასეთი არაჩვეულებრივი მეტამორფოზა მარტო არითმეტიკის გაკვეთილზე როდი ხდება. უცნაურობის, ფანტასტიკურის ელემენტები გულუბრყვილოდ და ბუნებრივად თავსდებიან პრევერის მრავალ ლექსში. გულქვა და მხდალ ადამიანებს შორის თავისი ბედკრული ცხოვრების ისტორიას გვიყვება ცხენი. სხვა დროს პოეტი ყურს მოკაკრავს და ჩაიწერს ლოკოკინების სიმღერას, რომელნიც მიდიან... ხის ფოთლის დაკრძალვაზე! ლექსში „ამბები" მოკლული კაცი ზამოდგება და აცხადებს, რომ მას მობეზრდა სიკვდილი, მკვლელი კი მიაწოდებს სიგარეტს და ეტყვის: „მოსწევ, გაგათბობს".

მეტად უჩვეულოდ მოჩანს ჟაკ პრევერთან მრავალი შედარება: „ბისი ყური ჩამოვარდება, როგორც ძველი კრამიტი სახურავიდან". მოულოდნელია ეპითეტები: „ფერმკრთალი მუსიკა", „წვრილმანი ყვავილი", „გაცვეთილი და ფრთებმოკლეული მეხსიერება"; სახეები: „სიბრალულის ჭუჭყი", „წარსულის ჭაობები"... პრევერის ერთ-ერთი საყვარელი ხერხია ორი მეზობელი სიტყვის მიმართ განსაზღვრების გადანაცვლება: „დრო დადგა თმის ობნიბუსებისათვის, დრო დადგა ცხენიან სარეცისათვის". ამ ხერხზეა აგებული ლექსი „კორტეჟი", სადაც გვხვდება ასეთი სტრიქონები: „ოქროს მოხუცი, რომელსაც აქვს მგლოვიარე საათი", „ქაშანური პროფესორი ფილოსოფიის შემკეთებელი", „იხვი წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონი ფორთოხლის წვენში", „მცველი სამოთრაკიის გამარჯვებით სასაფლაოსი"...

თითქმის ყველა ლექსში პრევერი სოციალურია. სავსებით მართალი იყო განსვენებული მიხეილ სვეტლოვი, როცა წერდა: „ზოგ პოეტთან სოციალურობა მოსაბეზრებელია. მათ ლექსებს უფრო ვგებულობთ, ვიდრე ვგრძნობთ. ჟაკ პრევერი სოციალურია ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით".

როგორც ჭეშმარიტ პოეტს, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ლექსები პრეგვრს მოცემული აქვს პირადულ, ლირიკულ პლანში. როცა პრეგვრი ლაპარაკობს მუშებზე, მშრომელებზე, ლექსში ისმის მრავალი ათასის ნაბიჯის ხმა, გამორჩენის და საქმოსნობის სამყაროს პირისპირ დგანან ისინი, ვინც ცულ ხორცსა სჭამს; ავსება ბოთლებს, რომ სხვებმა დაცალონ; ატარებს არდადეგებს ქარხანაში; თავის ფილტვებს გადმოაფურთხებს მეტროში; ვისთვისაც ყოველდღიური პური გადაიქცა ყოველკვირეულად; ვისაც არ უნახავს ზღვა და ვინც ყველაზე ადრე ბერდება... პოეტს აღებული აქვს სწორი ტონი: არც მტირალა და არც მყვირალა. არ ხმარობს უადგილო პოეტურ ხამკაულებს, მაგრამ ამავე დროს ადვილად გასაგები და ყველასათვის მისაწვდომი რომ იყოს, პოეტი არ გასწირავს პოეტურობას, იგი თავისი მახვილი თვალით თანაბრად ხედავს ბუჩს, ზღვას და კბილის ტკივილს.

ნაღვლიანი და მხიარული, უსიხარულო და იმედიანი, სასუმარო და სერიოზული, ნივთობრივი და ფანტასტიკური, ულამაზო და ლირიკული სურათები წარსდგებიან ჟაკ პრეგვრის პოეზიის ობიექტივის წინაშე. ამ დიდი პლანით გადაღებულ სურათებში, სადაც პატარა ლოკოკინას ან ფოროთხალს ძალუძთ მთელი ეკრანი დიაკავონ, არის ერთი გამაერთიანებელი ელემენტი. ეს არის ფრინველი, რომელიც ერთი ლექსიდან მეორეში გადადის. ხან როგორც გარეშე მეთვალყური, ხან როგორც პოეტის alter ego, ზოგჯერ როგორც მოქმედი პირი. ფრინველი პრეგვრთან ერთსა და იმავე დროს სიმბოლოცაა და სრულიად კონკრეტული ცოცხალი არსებაც.

ლექსში „ფრინველთა ნება-სურვილით" პოეტი ნაბიჯს, რომ გვიან შეუუვარდა ფრინველები. ფრინველი მისთვის მაგალითია:

მაგალითია ფრინველთა
მაგალითია ბუმბული, ფრთები, გაფრენა
ფრინველთა
მაგალითია ბუდე, მოგზაურობა და სიმღერა
ფრინველთა
მაგალითია სილამაზე ფრინველთა
მაგალითია გული ფრინველთა
უფეი ფრინველთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრინველი როგორც გულისხმიერების, სისუფთავისა და ალტრუიზმის განსახიერება უცვლელია პოეტის ლირიკული აღსარების ყველაზე ინტიმურ მომენტში.

და ბოლოს, ფრინველი განყენებული აღნიშნავა იმ განთავისუფლებისა ყოველდღიური, ყოფაცხოვრებითი, სოციალური და სხვა ბორკილებისაგან, რაც კონკრეტული სახეებით გაფანტულია ლექსებში, მოსწავლეთა ცხოვრებაზე, სტრიქონებში მუშების შესახებ, სიყვარულზე ფიქრში. ლექსში „თავისუფალი კვარტალი" სამხედრო მოსამსახურე თავის „კეპს" ჩადებს გალიაში, ფრინველს კი თავზე წამოისკუპებს და ფრინველი ათავისუფლებს მას გამვლელ-გამომვლელი ოფიცრებისათვის სამხედრო სალმის მიცემისაგან. თავისუფალ ადამიანად დადის იგი თავზე წამოსკუპული ფრინველითი „თავისუფალ კვარტალში". სწორედ ეს „თავისუფალი კვარტალი" პოეტის თავისებური ტელემის სავანეა, ადამიანის უსაზღვრო თავისუფლების კუთხე, რომელიც ოცნებითთა შექმნილი. ეს არის ფრინველის უმაღლესი დანიშნულება ჟაკ პრეგვრის პოეზიაში.

ლექსში „მისალმება ფრინველებს" პრეგვრი ადგენს იმ ფრინველების გრძელ სიას, რომელთაც მიესალმება. მათგან ოთხი მისალმებაა დამახასიათებელი პრეგვრის პოეზიისათვის:

ფრინველი თავისუფალი
ფრინველი თანაწყრი
ფრინველი ძმური
ფრინველი ბუნებრივი ბედნიერებისა...

ეს ოთხი ამოსავალი წერტილი ჟაკ პრეგვრის პოეზიის ადამიანურობის საწინდარია. ამასთან ერთად ნივთებზე პოეტის შეხედულების ოპტიმისტური დომინანტაა. თუმცა მის ხერხებს რომ მივყოლოდით ეს ოპტიმიზმი შეგვიძლო მარცვალ-მარცვალ ყოფილიყო პოეტის გვარში: pré vert, ესე იგი მწვანე მინდორი.

ეროზბარ ჯაველიძე

სუფიზმისა და აღმოსავლური ლირიკის ერთი საკითხი

თითქმის ყველა დროის აღმოსავლელი პოეტის შემოქმედებაში სიყვარულის პრობლემა წარმოადგენდა ქვაკუთხედს, რომელზედაც იგებოდა მწერლის შემმეცნებელი ხედვა. ამ საკითხისადმი ცხოველი ინტერესი ოდითგანვე არსებობდა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

სიყვარულმა და მისმა პოეტურმა წარმოსახვამ აღმოსავლეთში მალე დაკარგა ინდივიდუალურ-სუბიექტური გაგება. სიყვარულს უკვე განიხილავდნენ არა როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობას, ცალკეული პიროვნების განცდებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიურ მოვლენას და ბრმა ფიზიკურ მოთხოვნილებას, არამედ როგორც საზოგადოებრივი ყოფის აუცილებელ და სავალდებულო პირობას. სიყვარულის ასეთმა გაგებამ წარმოშვა სიყვარულის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელმაც მიჯნურთა ურთიერთდამოკიდებულების გარკვეული წესები შეიმუშავა და ამ ურთიერთობათა გადმოცემის გამოკვეთილი სახეები და ფორმები შექმნა. ეს ინსტიტუტი არაბულ ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ მალე გავრცელდა სპარსულ და თურქულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეივსო ზოგიერთი ადგილობრივი ტრადიციული ნიუანსით და მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით არსებობის უფლება მოიპოვა. სიყვარულის საზოგადოებრივ ინსტიტუტში შემუშავებული კოდექსები საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა და აღმოსავლელ პოეტთა ლირიკული გრძნობების განვითარებას თავის მარწუხებში აკცევდა. აღმოსავლური ლირიკის შესწავლის დროს აგრეთვე უეჭველად ყურადსაღებია ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი: აღმოსავლეთის ყოფითი თუ პოეტური აზროვნების სფეროში სუფიზმის წარმოშობა და გაბატონება.

სუფიზმი მისტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა, ფართოდ გავრცელებული აღმოსავლეთში. იგი ცალკეულ საკითხთა გააზრებით ენათესაება ნეოპლატონიზმს, ბუდიზმს და ზოგ სხვა კლასიკურ ფილოსოფიურ მიმდინარეობას. სუფიზმის მსოფლმხედველობის არსი პანთეიზმით იკვებება. სუფიების აზრით, ყოველივე არსებული აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოჩინების გზითაა შექმნილი.

სუფიზმმა, რომლის მსოფლმხედველობის ღერძს სიყვარული წარმოადგენს, საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთის შემოქმედებითი აზრი მოიცვა და მთელი სიცხადით იჩინა თავი პოეზიაში, კერძოდ კი — ლირიკაში, მაგრამ გარეგნულად სიყვარულის სამეფოში რევოლუცია არ მოუხდენია. იგი სავ-

სებით შეეგუა სიყვარულის ინსტიტუტში არსებულ წესებსა და პოეტურ აზროვნებას, ოღონდ სიყვარულის არსის გააზრების ხაზი ევოლუციურად განავითარა და ახალ გაგებამდე აიყვანა. ამან კი უკვე არსებულ პოეტურ აზროვნებას ახალი ქვეტექსტური ბუნება მიანიჭა.

მას შემდეგ, რაც სუფიზმმა, რომლის სიყვარულის დედააზრი ამსოლუტური მშვენიერების (ღმერთის) შემეცნებაა, პოეტურ აზროვნებაში არსებობის უფლება მოიპოვა, საკითხი ასე დგას: აღმოსავლური ლირიკა რეალურია თუ მისტიკური, მისი სწრაფვისა და აღქმის ობიექტი ადამიანია თუ ღმერთი და, ბოლოს, მასში ასახული სიყვარული ადამიანურია თუ აბსტრაქტული?

ამ ამოცანის გადაჭრა ინტერესებდათ აღმოსავლელ თეოლოგებს და თეზჩქერეჯიებს. მის გადაწყვეტას ღამობდნენ დასავლეთის თუ საბჭოთა ორიენტალისტები. ეს პრობლემა დღესაც ყურადღების ცენტრშია. ივი მეტად რთულია და ე. ბერტელსის თქმით, „თითქმის შეუძლებელია, რომ საბოლოოდ როდისმე გადაწყდეს". ამ „გადაუწყვეტელობის" მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა ავხსნათ, რომ სიყვარულის საზოგადოებრივ ინსტიტუტში შემუშავებული წესების მიხედვით წერდა როგორც სუფი, ასევე არასუფი პოეტი და მათ გრძნობათა გადმოცემას არავითარი ნიშანდობლივი სპეციფიკურობა არ ახლავს. მეორეც, ამ პერიოდის თითქმის ყველა აღმოსავლელი პოეტის ცხოვრების შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით, და რომ ვიცოდეთ კიდეც, ხელშესახებს და მნიშვნელოვანს არაფერს მოგვცემს, რადგან საშუალო საუკუნეების აღმოსავლური სუფიური ლირიკა სავსებით უკუნებელყოფს მწერლის ბიოგრაფიას, რომელიც დაგვეხმარებოდა დადგენაში: რიდის იხრება პოეტი რეალური და რიდის მისტიკური საწყისებისაკენ.

ამგვარად, თითქმის შეუძლებელია დადგინდეს ობიექტური კრიტერიუში, რომლის მიხედვითაც გაიმიჯნება საშუალო საუკუნეების მისტიკური და „რეალური" ლირიკა. მრავალი გენიოსი აღმოსავლელი პოეტის შემოქმედებას ხან ერთ სიბრტყეზე განიხილავდნენ, ხან — მეორეზე. მაგრამ კვლევის ასეთი მეთოდი ტენდენციერია და უმართებულოდ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს.

ჩვენი აზრით, საშუალო საუკუნეებში (XIV–XVI სს.) დივანის ლიტერატურაში ასახული „რეალური" ლირიკაც, თუ გნებავთ, სუფიზმის რადიკალურად საწინააღმდეგო ნიადაგზე აღმოცენებული, არარეალურია და თითქმის სავსებით დაცლილია ჩვეულებრივი, ბუნებრივი, ადამიანური გრძნობისაგან. ამ პერიოდის სიყვარულის გაგების თეორიაც მოწყვეტილია ყოველდღიურ რეალურ ცხოვრებას და ამქვეყნიურობისაგან შორსა დგას. მაშასადამე, საშუალო საუკუნეების ლირიკის განხილვა ორ საწინააღმდეგო პოლუსზე: რეალურ — ადამიანურსა და მისტიკურ-აბსტრაქტულზე, თავისთავად ანომალიაა.

ნათქვამი რომ ლიტონი სიტყვა არ გამოგვივიდეს, გაკვრით მაინც უნდა შევეხოთ საშუალო საუკუნეების სიყვარულის საზოგადოებრივ ინსტიტუტს და, ასევე, აღმოსავლური ლირიკის განვითარების ხაზს.

ცხადია, აღმოსავლური ლირიკის საწყისი ეტაპი რეალურია. იგი სათავეს იღებს არაბი ბედუინის, სპარსელი მექარავნის თუ თურქი ჯიგითის (მამაცის) ყოველდღიური ხიფათიანი ცხოვრებიდან, სადაც ქალი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. განვითარების ამ საფეხურზე აღმოსავლური ლირიკა გვხიბლავს თავისი გულწრფელობითა და სისადავით. პოეტის ტრფობის ობიექტი სავსებით რეალური და მიწიერი არსებაა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. პოეტის გრძნობებსაც ბუნებრივი ელფერი ენიჭება. მასში მოჩანს ხორციელი ქინიც და უმანკო გულის ღაღადისიც. ადრეული პერიოდის ლირიკული ხასიათის ლექსებისათვის ნიშანდობლივია კონკრეტულობა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიყვარული აღმოსავლეთში მალე გადაიქცა საზოგადოებრივი ყოფის აუცილებელ პირობად. მას განიხილავდნენ არა როგორც ფიზიკურ გრძნობას, არამედ ძალას, რომელსაც შეეძლო ადამიანის ეთიკური აღზრდა და მორალური ჩამოყალიბება. აღმოსავლეთი თვით პოეზიის ძირითად დანიშნულებასაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების ძალაში ხედავდა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლე-

ნის განვითარებას: აზრის რეგიონებში გრძნობის აქტი შეცვალა ეთიკურ-ესთეტიკურმა აქტმა. ეს მომენტი უნდა მივიჩნიოთ აღმოსავლური ლირიკის განვითარების უფალტესიდად, რომლის მიღმა რეალური ცხოვრება თანდათან ბურუსში ეხვევა და ძნელად დასანახი ხდება, ხოლო გადმოღმა იშლება იდეალურ კონტურებში გამოკვეთილი „მშვენიერება“.

დაახლოებით XI საუკუნეში გრძნობის აქტის ეთიკურ-ესთეტიკურ აქტად გადაქცევით დაიწყო აღქმის ობიექტის გაიდეალების პროცესი. ჯერ კიდევ რუდაქის (X ს.) და მისი თანამედროვე პოეტების (შაჰიდ ბალხი, რაბია და სხვ.) ლირიკა სუნთქავს უაღრესად სათნო, მიწიერი არსების განცდებით და მათი აღქმის ობიექტიც რეალური ადამიანის გამოკვეთილობით ხასიათდება. მაგრამ ამავე პერიოდის ზოგიერთ პოეტთან უკვე შეიმჩნევა განცდის ობიექტის გასქემატურება (აბუ შუქური ბალხი, დაყი და სხვ.), ხოლო XI საუკუნიდან პოეტების სწრაფვის ობიექტი თანდათან კარგავს ყოველგვარ ადამიანურ თვისებას და იდეალურად მშვენიერის სახეს იღებს. სწორედ განვითარების ამ ფაზის ამსახველია საშუალო საუკუნეების იმ პოეტთა შემოქმედებაც, რომლებსაც სუფიურ სამყაროსთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

ამ პერიოდის დივანის ლიტერატურამ, ცხადია, თავის ესთეტიკურ გემოვნებაზე დაყრდნობით, შეიმუშავა იდეალურად მშვენიერი, ლამაზი სახე, რომელსაც სქემური გამოკვეთილება და სიცხადე არ ახასიათებს: იგი ხან მამაკაცის, ხან კი დედაკაცის სახით გვევლინება. აი, ეს იდეალურად მშვენიერიც: კვიპაროსივით აზიდული და ჰაეროვანი ტანი, წელი ბეწვივით წვრილი, მთვარისებრ სხივოსანი სახე, თვალები ნუშის ან ნარგიზის მსგავსი; უფრო მეტად კი ეს თვალები მოგაგონებთ ჯადოქარს ანდა დაუნდობელ მკვლელს. ამ ჯადოქარს ამშვენებს მშვილდივით გადაჭიმული წარბები და ისარივით წამახული, გრძელი წამწამები. მისი გამოხედვა დიდი უბედურებაა: ურჯულოს ხმალივით განგაგმირავს, ალმასის მახვილივით ჩაგერჭობა გულში, ტკბილი ძილივით მოგედება, გაგაბრუებს და გაგანადგურებს. მიმივით (აღმოსავლურ პოეზიაში ქალის პირს ხშირად ადარებენ არაბული ასოს „მიმ“-ის მოხაზულობას) პატარა და ეფერებ. ერვინ ნატიფ პირს, ორი ბალის დარი ბაგეები ესიტყვება. გაღიმებისას სხმული მარგალიტები ციალებს. სამოთხის ბაღს მოგაგონებს მისი ცეცხლივით აალებული ლოყა, რომელსაც იაგუნდივით მოკიაფე ხალები ჰფარავს. სახის ნაკვთების მოხაზულობა ჰაეროვნებით შავ ზილფთა ჩრდილს წაადგას.

ასეთია ზოგადად იდეალურად მშვენიერის სურათი, რომელიც საშუალო საუკუნეების ლირიკოსი პოეტების ესთეტიკური სიამოვნების მიზეზი იყო. XIV-XVI ს.ს. თითქმის ყველა აღმოსავლელმა პოეტმა მეტნაალები სიზუსტით შექმნა ზემოაღწერილი მშვენიერის ადექვატური ასლი. ეჭვგარეშეა, ეს მშვენიერი შორს დგას რეალური ადამიანის გარეგნობისაგან. მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ მშვენიერის ფერწერის სტილი არარეალური და ფიქტიურია, ეს პოეზიისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თვით განცდის ობიექტი არარეალურ არსებად არის გაჯერებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (განცდის ობიექტი) სხვადასხვა აღმქმელის მიერ ინდივიდუალური ხელწერით ჩამოიძერწებოდა. ცხადია, აქ საქმე გვაქვს საშუალო საუკუნეების ესთეტიკური პრინციპებით ზოგადად დადგენილ იდეალურად მშვენიერ სახესთან, რომელიც წინასწარ განსაზღვრულად იხატება. ამ იდეალურად მშვენიერის წარმოდგენა იხრება ხან უფრო რეალური, ხან კი უფრო სქემატური საწყისისაკენ. ბუნებრივია, ამ პერიოდის ზოგიერთ აღმოსავლელ პოეტს ინდივიდუალური გადახვევებიც ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „გადახვევები“ ძალზე იშვიათია და გვსვდება მხოლოდ ვენოოს პოეტებთან: ჰაფეზთან, ფუზულოსთან და სხვ...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო საუკუნეების პოეტის განცდის ობიექტი არ წარმოადგენს რეალურ არსებას, მაგრამ როგორია სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტთან, რა ურთიერთობაშია ამიყი მაშუყთან? აქაც სავსებით ანალოგიური სურათია: პოეტის გრძნობა სიყვარულის საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ წინასწარჩამოსხმულ

ყალიბებში მიედინება, მოკლებულია ყოველგვარ ინდივიდუალობას და სქემატურ-შაბლონურ სახეს იღებს. განცდათა მომენტებიდან დაკანონებული და წინა პლანზე წამოწეულია შემდეგი: სატრფოს გულცივობით ან გაწმორებით გამოწვეული უაღრესად დიდი სიმძიმილი და მწუხარება, რომელსაც აგონიამდე მიყავს აშიყი. ეს განცდა აუძლურებს და ანადგურებს აშიყს, მისი სული ათარაქსიულ განწყობას ეძლევა და სრულ უმოქმედობაშია. და ბოლოს, გრძნობა გონებასაც აკარგვინებს და ახელებს ადამიანს. საშუალო საუკუნეების აღმოსავლურ ლირიკაში დაკანონებული განცდის ეს ძირითადი სახეები, ლირიკის განვითარების პირველ საფეხურზე წარმოადგენდნენ სიყვარულის თეზას. როცა აღქმის ობიექტი რეალური ადამიანი იყო, ზემოთ ხსენებული განცდის მომენტები ბუნებრივ იერს იღებდა. მაგრამ როცა ამ აღქმის ობიექტმა უნივთო, აბსტრაქტული სახე მიიღო, განცდის მომენტები ადამიანური სიყვარულის ანტითეზად იქცნენ, თანდათან დაშორდნენ რეალურ ცხოვრებას და სენტიმენტალიზმის სამოსით შეიმოსნენ. განვითარების მეორე ეტაპზე აღმოსავლელ პოეტთა მიერ გამოხატული განცდები უფრო ეთიკურ სფეროს ეკუთვნიან, ვიდრე გრძნობადს. აღმოსავლური ეთიკის გაგებით სული ათარაქსიული მდგომარეობა, ფიზიკური უძლურება, დაჩაჩანაკება ადამიანის სრულყოფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უცილობელი საფეხური, რომელზედაც ადამიანის „მე" ერთადერთ ტენშმარიტად არსებულს ერწყმის.

ვფიქრობთ, ზემოთქმულიც სავსებით საკმარისია, რომ წარმოდგენა შეგვეძლნას აღმოსავლური ლირიკის განვითარების ამ ფაზაზე. აღმოსავლური ლირიკა თავისი ეგოლუციური განვითარების მეორე ეტაპზე ჩოჩს დგას რეალური, ადამიანური სიყვარულის ვადმოცემისაგან. მისი განცდის ობიექტი არის არა მიწიერი ადამიანი, არამედ უნივთო, აბსტრაქტული სახე, რომელიც იმდრონდელი ესთეტიკური გემოვნებით, იდეალურად მშვენიერის ზოგად გაგებას ეკატყვება. ამ გაგების ფონზე წარმოდგენილია ადმქმელისა და აღქმულის ურთიერთობაც. მოკლედ, აქ საქმე გვაქვს არა ცხოვრებისეულ მოვლენასთან, არამედ „სიყვარულის ხელოვნებასთან". რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ, ეს ეტაპი ლირიკის განვითარების ამ ეტაპზე აღმოსავლური ლირიკა ყოველგვარი ადამიანური განცდებისგან დაცლილად წარმოგდგინოთ. აღმოსავლელ პოეტთა ლირიკული ნააზრევი დატვირთულია ზოგადადამიანური განცდებით. მაგრამ ამ ზოგად განცდათა სათავე შეიძლება ვეძებოთ როგორც რეალურ, ასევე ირეალურ სამყაროში.

საშუალო საუკუნეებში, კერძოდ XIII-XIV საუკუნეებში, როცა სუფიზმი მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა და რელიგიურ სფეროში ტენშმარიტების ძიება საზოგადოებრივობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავად იქცა, იწყება აღმოსავლური ლირიკის განვითარების მესამე ეტაპი. განვითარების ამ საფეხურზე ეთიკურ-ესთეტიკური აქტი შეიცვალა რელიგიური აქტით, რასაც მოჰყვა აღქმის ობიექტის ასლუბური გააზრება: იდეალური იდეაში გადაიზარდა, სოლო იდეალურად მშვენიერი — აბსოლუტურ მშვენიერებაში. ეს მოვლენათა სავსებით ბუნებრივი განვითარებაა და ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებს.

ამრიგად, სუფიზმი აღმოსავლური ლირიკის განვითარების მესამე ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ლირიკის ევოლუციური განვითარების მესამე ფაზა და არა საშუალო საუკუნეების „რეალური" ლირიკის საწინააღმდეგო დასპირისპირო მოვლენა.

აღმოსავლური ლირიკის განვითარების ეს ევოლუციური ხაზი უცხო არ არის სხვა ხალხებისთვისაც. საფრანგეთის პროვანსელ ტრუბადურთა ლიტერატურაში მკვეთრად არის გამოჩინებული ამ განვითარების სამივე ფაზა: 1). გათხოვილი ქალი, ბანოვანი, 2). იდეალური ქალი, ქალის კულტი; 3) წმინდა ქალწული მარიამი ანდა ღვთაება. საშუალო საუკუნეების გერმანელ მინნეზინგერთა ლიტერატურაში დაბალი, ხორციელი სიყვარული იცვლება სულის უმაღლეს ხარისხამდე ამყანი სიყვარული. სავსებით ანალოგიურ სურათს გვაძლევენ იტალიის ახალი სტილის წარმომადგენლები: გვინცელის მიწიერი სიყვარული ესმის როგორც ძალა, რომელიც ადამიანს მიაქანებს უმაღ-

ლესი სრულყოფისაკენ, ღვთიურობის წვდომისაკენ. კავალანტიმ ქალი იდეად გადააქცია და შემდეგ აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნებაში ჩაიძირა, საუკეთესო, იდეალური სამყაროს წვდომამდე ამაღლდა დიდი დანტეც.

საშუალო საუკუნეების ლირიკის განვითარების ეს საერთო სურათი შემთხვევითობით არ უნდა ავსხსნათ. ეფიქრობ, აქ ზოგადი, რაღაც საერთო კანონი მოქმედებს, მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ კანონის ძიებას ვერ შეეუფდებით.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სუფიზმს აღმოსავლური ლექსის არქიტექტონიკა არ დაუნგრევია. ძირითადად, არც მშვენიერის ფერწერის სტილი შეუცვლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ნიუანსურ თავისებურებას. მან მშვენიერის არსი მხოლოდ ახლებურად გაიაზრა და ამით ფერწერის სტილსაც ახალი ელფერ-ელფერი ანიჭებ. ამიტომ აღმოსავლური ლირიკის განვითარების მეორე და მესამე ეტაპების გამჯვრედა ძნელდება. ამ ორ ფაზას შორის არც არის დიდი ზღვარი. ცალკეული პოეტის სულის ფსიქიკის პუულაციის მიხედვით იდეალურად მშვენიერი თავისუფლად გადაიზრდება აბსოლუტურად მშვენიერში და პირუკუ... ეს მერყეობა საშუალო საუკუნეების თითქმის ყველა აღმოსაფლელ პოეტთან შეიმჩნევა, იგი სუფიზმის შინაგანი ნიშანდობლიობაა.

რას წარმოადგენს აღმოსავლური ლირიკის განვითარების მესამე ეტაპი — სუფიზმი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა საშუალო საუკუნეების თითქმის ყველა პოეტის აზროვნებაზე. სავსებით გამორიცხავს იგი ამქვეყნიურობასა და კაცთმოყვარეობას და აბსტრაქტულ წარმოსახვათა მისტიური შმაწანა, თუ უსიერავი ძაფებით რეალურ სამყაროსთან მაინც ამყარებს კავშირს?

სუფიზმის დედაარსი ღერძს სიყვარული წარმოადგენს. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიყვარულის მეელი გვარია მოცემული სხვადასხვა სახეობრივ ასპექტში გარდატეხილი: მიწიერიდან ზეციერამდე. სუფიზმისათვის სიყვარული კოსმიური ძალაა, კოსმოსის შექმნის პირველადი მიზეზი, მისი ღოფსი და ყოველგვარი მოძრაობის იმპულსი. სიყვარულის წყალობით ერთი გარდაქმნება მრავლად და „ყოველივე სიმრავლე ერთარების რაჯათავე ერთს". და ბოლოს — სიყვარული არის სურვილი სიკეთის მარადიული ფლობისა" და „აგრეთვე სურვილი უკვდავებისა". ერთი სიტყვით, სუფიზმის სიყვარულის კონცეფცია პლატონის „ნადიმის" უშუალო გააზრებაა.

როცა არსებულად არსებულმა და საფუძვლადდებულმა ალემი ქეთმაში (უხილავ სამყაროში) თავისივე საკუთარი ცოდნის წყალობით შეიცნო, რომ იგი ერთადერთი არსებული და უხილავია, აღეძრა სურვილი, თავი გამოეჩინა და ამგვარად სიყვარულის მიზეზი გამხდარიყო. აბსოლუტურად მშვენიერი არ შეიძლება იყოს მალული და სიყვარულის სწრაფვის გარეშე, ამიტომ მან თავისი თავი ორ ასპექტში გამოაჩინა, რათა შეექმნა თავისი სიყვარულის ობიექტი, რომელიც იმავე დროს სუბიექტიც იქნებოდა და თვით მას, აბსოლუტურ მშვენიერებას, აღიქვამდა როგორც სიყვარულის ობიექტს.

ამ მიზეზით მარადიული ქმნადობა იწყებს გამოსხივებას ისე, რომ არც არაფერს გასცემს და არც არაფერი აკლდება, — მსგავსად უკვდავი მზისა, რომელიც ანათებს სამყაროს. ინვოლუციის პროცესის დროს ღვთიური სხივი გაივლის ხუთ სამყაროს, რომლებიც, სუფიების გაგებით, ცალკეული დამოუკიდებელი სამყაროები კი არ არის, არამედ ერთადერთი არსებობის ცალკეული სფეროებია, და მეხუთე საფეხურზე იწყებს გაჭოჩინებას. წარმოიშვება ხილული სამყარო: პირველად კრისტალის ფორმით, მერე მცენარის, შემდეგ ცხოველისა და, ბოლოს, ადამიანის სახით.

როგორც ირკვევა, ადამიანის სახით მარადიული ქმნადობა ასრულებს თავის გამოსხივებას ინვოლუციის პროცესს. ადამიანი სუფიურ კოსმოგონიაში არის გზაჯვარედინი. მისგან იწყებს უკვე ევოლუციური განვითარება — ამაღლება აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ. ადამიანმა უნდა სრულყოს თავისი თავი. თანდათან საფეხურებრივ უნდა ამაღლდეს და დაუბრუნდეს პირველ და უმაღლეს ყოფიერებას — აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. სუფიური მსოფლმხედველობის მიხედვით, ეს ინვოლუციის (სერი-ნუზულ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ევოლუციის (სეირი-ურუჩ) პროცესი არის მარად უწყვეტი, უნივერსალური წრიული მოძრაობა, რომელიც დიალექტიკური პრინციპით — საწინააღმდეგო მოვლენათა გადალახვის გზით მიედინება. ამ მოძრაობის თავაგრ მიზეზად სუფიები სიყვარულს მიიჩნევენ, იგი აპირობებს სამყაროს მარადიულ არსებობას.

როგორ აღიქვამენ სუფიები რეალურ, ხილვად სამყაროს? მათი რწმენით, არსებობს მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტად არსებული რეალობა — ღმერთი. სუფი ამბობს: „არაფერია ჭეშმარიტი გარდა ღმერთისა და იგი არის ყველაფერი". მაშ, რაღა არის რეალური სამყარო? იგი ჭეშმარიტად არარსებულია, ილუზიაა. ამის შესახებ სუფიებს პლატონის გამოქვაბულის მსგავსი მაგალითები მოჰყავთ. ზოგი სუფი მას ადარებს დამდგარ ტბაში არეკლილ მზეს. როგორც სარკეში არეკლილი ყველა ფორმა მხოლოდ შედარებით არსებობს, რეალურ სამყაროში ყოველივე არსებული ჭეშმარიტად არ არსებობს, იგი მხოლოდ წარმოდგენა და ილუზიაა.

საერთოდ, სუფიები, რომლებიც ძალზე მჭიდრო კავშირს ამყარებენ ნეოპლატონისტებთან, რეალურ სამყაროს, სიმშვენიერეს, როგორც ღმერთის არსის აღექვატურ ასლს, ვერ უარყოფენ. მათი მშვენიერების ესთეტიკური განცდის საწყისი სათავე სწორედ რეალურ, ხილვად სამყაროში იწყება, თანდათან ვითარდება და განზოგადებულ სახეს იღებს და, ბოლოს, აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტაში გადადის. ეს არის მშვენიერების აღქმის პლატონისეული გზა: კონკრეტულიდან ზოგადისაკენ და ზოგადიდან აბსოლუტისაკენ.

მშვენიერების აღქმის ასეთი გზა სავსებით ესიტყვება სუფიზმის მსოფლმხედველობას და ნიშანდობლივია მისი ესთეტიკური შემეცნებისათვის. სუფიებისათვის რეალური სამყარო „მდაბალი" მშვენიერება არის, მაგრამ ის აბსოლუტური მშვენიერებისაკენ მიმავალი გზის უცილობელი საფეხურია. ისინი რეალური სამყაროს ფიზიკური რიგის სიმშვენიერეთა შორის განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებენ ადამიანს, რომელიც, მათი რწმენით, არის კოსმოსის ცენტრალური წერტილი, ზღვარი გამიმჯოვანების სიბნეულისა და არარსებობის სიბნელეს შორის. ის არის „უდიდესი სულის სრულყოფილი გამომჟღავნება", გამგებელი ამა ქვეყნისა და მაღალი ღმერთის მიზანი და სასურველი: „ო, ადამიანო, — ამბობს უფალი, — ყველაფერი და ყოველივე შევქმენი შენთვის, მაგრამ თვით შენ ჩემთვის შეგქმენი". ამ ხილვად სამყაროში ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შესწევს უნარი აბსოლუტურად მშვენიერამდე ამაღლდეს და იგი შეიმეცნოს. ადამიანი მარადიული ქმნადობის ინვოლუციური და ევოლუციური უწყვეტი მოძრაობის კორდინაციული წერტილია.

სუფიები როდი უარყოფენ ადამიანურ, მიწიერ სიყვარულს, ისინი მას განიხილავენ, როგორც კაცობრიობის ფიზიკური უკვდავების ერთ-ერთ მომენტს. თუ ქრისტიანი ბერი ქალს უყურებს, როგორც ცოუნებას, ხოლო სიყვარულს ეშმაკის მახად მიიჩნევს, მუსლიმანი დერვიშისათვის ქალის სიყვარული ღვთის მიერ დაგებული მახეა და სავსებით სასურველი მახეც, რადგან „სწორედ ადამიანური სიყვარულის მეშვეობით ადამიანი მაღლდება თავის თავზე მაღლა და თავის სატრფოს თვალთა ციაღში ღვთიურ სსხივს განსჭვრეტს და უსასრულობას ხელებს შემოაკლეს".

სუფიები რომ ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან ადამიანურ სიყვარულს განიხილავდნენ როგორც ღვთიური სიყვარულის მიწიერი ერთ-ერთ უცილობელ საშუალებას, აშკარად ჩანს IX საუკუნის ცნობილი ფაკიჰის იბნ დაუდის სიყვარულის შესახებ დაწერილი გამოკვლევიდანაც, რომელსაც „ქითაბ-ალ-ზოჰარ" (ვენუსის წიგნი) ეწოდება. იგი წერს: „ზოგიერთი სუფი ფიქრობს, რომ ადამიანები სიყვარულს ღმერთმა დაუქვემდებარა, ვითარცა გამოცდას, რათა მათ დაუმონონ თავიანთი „მე" სიყვარულის საგანს... ეს სუფიები ამტკიცებენ, რომ, თუკი მათ თავიანთ „მეს" ვალად დაუსახეს სხვისი მორჩილება, მათი ასეთი მორჩილება საბოლოოდ ღმერთს ეკუთვნის, რადგან ამ უკანასკნელს ყველაზე მეტი უფლება აქვს ასეთი მორჩილება ეკუთვნოდეს" (ვეყრდნობით ნ. ნათაძის თარგმანს. იხ. „მნათობი", 1965, 2, გვ. 134). აქ თითქოს ადამიანურ და

ღვთიურ სიყვარულს შორის ლოგიკური კავშირი მყარდება და იგი ერთ სიბრტყეზე განიხილება. ამ აზრს უფრო ნათლად ამზეურებს ჯელალედინ რუმის სიტყვები: „შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, ანდა გიყვარდეს ღმერთი. ვინც სრულყოფას მიაღწევს გინდ ერთსა და გინდ მეორე სიყვარულის სფეროში, ასეთი მიჯნური სიყვარულის მეფის ტახტამდე ამაღლდება". რუმის სიტყვების აზრი სავსებით აშკარაა: მთავარია, სათნოდ და ძლიერად გიყვარდეს და სულ ერთია შენ ეს სიყვარულის ობიექტი ღმერთი იქნება თუ ადამიანი, რადგან ძლიერი და სათნო სიყვარული შენ აგამაღლებს აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტამდე. მაშასადამე, სუფის ისევე თამამად შეუძლია აღიაროს ადამიანის სიყვარული, როგორც ღმერთისა.

ზემოთთქმულიდანაც ცხადი ხდება, რომ სუფიები რეალური სამყაროს სიმშვენიერეს და, განსაკუთრებით კი, ადამიანურ სიყვარულს აბსოლუტური ჭეშმარიტების სიყვარულის ანტითეზად კი არ განიხილავენ, არამედ მასთან სინთეზურ ჰარმონიაში წარმოგვიდგენენ და მშვენიერების აღქმის ევოლუციური ბაზის საჭირო და ურთიერთთან დაკავშირებულ საფეხურებად გვიხატავენ. ვიმეორებთ, მიწიერი სიყვარული — სუფიების გაგებით — არის ხიდი, რომელიც უნდა გაიაროს მან, ვინც ღვთიურ სიყვარულში ნეტარებას ეძიებს.

მაგრამ, რას წარმოადგენს თვით აბსოლუტური მშვენიერება და რა გზით ხდება მისი შემეცნება?

აბსოლუტური მშვენიერება ერთადერთი არსებული ჭეშმარიტებაა, რომელიც განაგებს ყველაფერს, მას კი ვერავინ განაგებს. იგი არის ერთი მთლიანობა, რომელიც მოიცავს ყველაფერს და არ გამორიცხავს არაფერს. იგი არის ერთი მთლიანი სხვის გარეშე, რომელთანაც შეიძლება მისი შედარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის ერთი მთლიანი, ყოველგვარი გამორიცხვის გარეშე. არაფერი არ არის მის წინ და უკან, არაფერია მის ზემოთ და ქვემოთ, არაფერია მის მარჯვნივ და მარცხნივ. მას არ გააჩნია ზომა სიგრძისა, სიღრმისა და სიმაღლისა. ჭეშმარიტად არაფერი არ არის მის გვერდით — „ჰუვა-ჰუვა" (ის არის ის). იგი არის მარადიული ქმნადობა და „ის არის ყველაფერი" ანდა „ყველაფერი მისგან შედგება".

როგორღა შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომა, რომელსაც არ გააჩნია სივრცული და დროული გაგება, არა აქვს ფორმა და აღნაგობა?

ამის უნარი მხოლოდ ადამიანს შესწევს და ისიც საკუთარი „მეს" შესწავლის საშუალებით. სუფიები გვარწმუნებენ, რომ ადამიანი ღმერთის გამოჩენის უნივერსალური ფორმაა. მისი მიკროკოსმოსია და მთელი სამყაროს, ე. ი. ღმერთის ადექვატური ამსახველი. ამიტომ ადამიანმა უნდა შეისწავლოს თავისი საკუთარი „მე" და ამ გზით განსჭვრეტავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ადამიანის „მე" არ არის ცალკე სუბსტანტი. იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების მარად იდენტურია და მისი შემადგენელი პოზიტიური „სხვაა". ჯელალედინ რუმი ამბობს:

შენ, რომელიც ხარ ღვთიური
საიდუმლოებების ნუსხა,
შენ, რომელიც სრულყოფილი შაჰის სარკე
ხარ.
სამყაროში არსებული ყოველივე, შენს
მიღმა არ არსებობს,
რაც კი გსურს, ყოველივე შენგან ისურვე!

აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომის ასეთმა გზამ ადამიანი ღმერთამდე აიყვანა და გააღმერთა კიდეც. როცა შემეცნება იწყება შენი ადამიანური „მეს" აღქმით, ვითარდება შენივე „მეობის" რკალში, ხოლო როცა საკუთარი „მეს" ინტუიტური შესწავლით რწმუნდები, რომ არაფერი არ არსებობს ალაჰის გარდა, ბუნებრივად გებადება აზრი, რომ თვით შენც ღმერთი ხარ. ამიტომ სუფიური აზროვნებისათვის სავსებით ბუნებრივად ჟღერს სუფი ჰალაჯას (857-922) განცხადება: „ანა ლ-ჰაკკ" (მე ვარ ღმერთი) ანდა სუფი ბისტამის (გარდ. 874) უფრო ელასტიური ფორმულირება: „დიდება მქონდეს მე", ნაცვლად ისლამის ფორმულისა: „დიდება ჰქონდეს ალაჰს".

ჰალაჯას ესოდენ თამამი განცხადების მიზეზი სუბსტანტთა სიმრავლის უარყოფაში უნდა ვეძებოთ. ჰალაჯას აზრით, არ არსებობს ჭეშმარიტად არსებული მრავალი სუბსტანცია, რომელსაც ჩვენ მატერიალურ

სამყაროში ცალკე დამოუკიდებელ ინდივიდებად განვიხილავთ. სამყაროს მეტაფიზიკურ სიღრმეში ძევს მარადიული ინდივიდუმი (ურინდივიდუმი აინ), რომელთანაც ყველა საგანი მარად იდენტურია. პრეექსისტენციურ პერიოდშიც არსებობის ყველა იდეალური ფორმა ამ ურინდივიდუმში იყო მოცემული. იგი არის ყოველგვარ საგანთა და სულთა საფუძველი და ამგვარად, ის არის ჯამი მთელი სამყაროსი („ო, ჯამო მთელ სამყაროისავ", — მიმართავს ჰალაჯა ღმერთს). ეს ურინდივიდუმი, ყველაფრის და ყოველივეს საფუძვლადდებული, არ არსებობს, როგორც „სხვა", ის არის ერთადერთობა თავისთავში. ამ გააზრებას სავსებით ლოგიკურად მოჰყვება თეზა: „ღასთა ღაირი" — შენ, ღმერთო, არა ხარ სხვა, თუ არა „ჩემი მე". და აქ წარმოდგენილი „ერთობა" არის არა ერთ დროს დამოუკიდებლად არსებული ორი მეტაფიზიკური სუბსტრატის ურთიერთტრანსფორმირება, არამედ მარად იდენტური არსებობა. ამ მარადიდენტურობის აღქმა კი შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკური ჩაძირვით საკუთარ „მე"-ში. ჰალაჯაც ეძლევა თავის „მეს" ინტუიტურ შესწავლას და „მეს" შეიცნობს, როგორც „ის"-ს (ურსუბსტრატს), რომელიც არის სამყაროს ღრმა ფენა და ყველა საგანშია მოცემული, როგორც მეტაფიზიკური საფუძველი. შემდეგ იგი აკეთებს ფორმულირებას: „ჰუვა-ჰუვა" — (ის არის ის), რომლის დედაზრიც ახლა სავსებით გასაგებია: ყველაფერი და ყოველივე იმ მარადიული „ის"-ის იდენტურია. „არ არსებობს არავითარი „სხვა" იმ „ის"-ის გარდა. ამიტომ ჰალაჯა თავის „მეს" აქცევს უსასრულო „ის"-ად, მარადიულ არსებობად, რომელსაც არ ახასიათებს „მეს" განცალკევებულობა. ჰალაჯა მაღლდება ღმერთამდე და ეკითხება მას: — „ვინ ხარ შენ". ღმერთი უპასუხებს: „შენ!" და ჰალაჯაც ღრმა რწმენით აცხადებს: „მე ვარ ღმერთი".

ბისტამის შემეცნების გზა უფრო რთულია. იგი პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ:

განვითარების პირველ პერიოდში ბისტამი სავსებით უარყოფს პოზიტიურ სამყაროს: „მე ვეჭვრეტდი არარსებობის სფეროს, — ამბობს იგი, — და ვიფრინე იქ ათი წელი გაუწყვეტლივ. ასე რომ, არარადენ[illegible] დიდი არარაში, არარას გავლით". ბისტამის ამ განცხადებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავინახოთ რეალური სამყაროს უარყოფა. აქ სრულიად არ არის საუბარი სამყაროს პოზიტიურ გაგებაზე, ცალკეული ინდივიდუმების აქციდენციურობაზე. მაგრამ აქ არც თვით ურინდივიდუმია ხსენებული, რაც თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ არ არსებობის სფეროში ღმერთიც არ არსებულია.

ასეთი აკოსმიურობა ისლამისათვის მიუღებელი იყო. ბისტამი შემეცნების განვითარების პირველი პერიოდიდან, ნეგატივიზმიდან აღწევს მეორე პერიოდს — პოზიტივიზმს. განვითარების ამ ფაზაში უკვე იწყება საუბარი პოზიტიურ სამყაროზე და ფენომენალური საგნები „მარადიული ერთობის" ფონზე წარმოჩინდება. ბისტამი იწყებს ჩაძირვას, გაქრობას თავის „მე"-ში, რომლის დროსაც ფენომენალური ფენის საშუალებით აღიქვამს მეტაფიზიკურ ღრმა ფენას. „შემდეგ ვიფრინე მე განუწყვეტლივ, ვიდრე მარადისობის არეს არ მივაღწიე, სადაც მე განვეჭვრიტე ხე „რელატიური ერთობისა".

განვითარების მესამე საფეხურზე ბისტამი მაღლდება მარადიული ერთობის შემეცნებამდე — „შემდეგ მე შევიცანი მარადიული ერთობა (ურაინჰაიტ-თაჰიდ), რომელშიც მატერიალური სამყარო გნოსტიკაში ქრება, ხოლო გნოსტიკოსი მატერიალურ სამყაროში". ამას მოჰყვება მსჯელობა: თუ ყველა ფენომენალური ნივთი მეტაფიზიკურ ფენაში ერთადერთ სუბსტანციაში შემავალია, მაშინ „მე", რომელიც მე ჩემ თავში ვცანი, არის თვითონ მარადისობა: „მომრთე მე, ო ღმერთო, შენი აბსოლუტური ერთობით. შემმოსე მე შენი „მეობითი" და ამამაღლე მე შენი რელატიური ერთიანობით. როცა შენი ქმნილებები დამინახავენ მე, იტყვიან ისინი: ჩვენ შენ, ღმერთო, დაგინახეთ. ასეთ შემთხვევაში შენ ხარ ღმერთი ის და მე იქ არა ვარ". ცხადია, ბისტამის „მე" დაცლილია ყოველგვარი სუბსტანციურობისგან და ღმერთის „მეს" იდენტურია. ასე-

თი შემეცნებით ბისტამის შეეძლო ეთქვა: „დიდება მქონდეს მე“.

ჩვენ მოკლედ წარმოვადგინეთ ჰალაჯას და ბისტამის შემეცნების გზა. ორივე შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე. როგორც ჰალაჯა, ასევე ბისტამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავის ადამიანური მეობის უარყოფით, თავის „მეს“ გადმერთებამდე მიდიან. მაგრამ ეს გადმერთებული „მე“ ამავე დროს ადამიანურიც არის, რადგან მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს თავის რეალურ არსებობას. იგი ასკვნის, რადგან არსებობს მხოლოდ ერთადერთი აბსოლუტური ჭეშმარიტება, ამიტომ მეც, ადამიანი, აბსოლუტური ჭეშმარიტება ვარ. ადამიანი თავის „მეს“ ღმერთთან გაიგივებით ტრიხოტომიური შემეცნების უკანასკნელ ეტაპზე კი არ ამბობს: არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ღმერთი და არ ვარსებობ მე, არამედ აცსადებს: „მე ვარ ღმერთი“ და ამიტომ „დიდება მქონდეს მე“!

ამგვარად, სუფიურ მსოფლმხედველობაში თვით აბსოლუტური ჭეშმარიტების გაგება ადამიანური „მეობის“ რკალში იფარგლება, მაგრამ ეს ადამიანური „მე“ ემპირიული, ინდივიდუალური არ არის. ეს „მე“ ერთსა და იმავე დროს არის „შენც“ და არის „ისიც“. საყოველთაოდ ცნობილია სუფიზმის დედაზრის გამომხატველი ფორმულა: „მე არ ვარ მე, შენ არ ხარ შენ. მაგრამ არც შენ ხარ „მე“. მე ერთდროულად „მეც“ ვარ და „შენც“. შენ ერთდროულად „შენც“ ხარ და „მეც“. ეს არის ზოგადადამიანური „მე“. უფრო მეტიც ეს „მე“ ყოვლისმომცველია.

სწორედ ამ „მეს“ ზოგად ცნებამდე აყვანით უნდა ავხსნათ, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეების აღმოსავლური ლირიკა, კონკრეტულ ადამიანურ განცდებს მოკლებული, ზოგად ადამიანურ ხედვაში ტყდება. ვფიქრობთ, აღმოსავლური ლირიკის ზოგადადამიანური განცდისა და ზოგადსაკაცობრიო აზრების გადმოცემის ფილოსოფიური ფესვები ამ „მეს“ განზოგადებაში უნდა ვეძებოთ.

ჰალაჯას საშინელი წამებით მოკლეს, მაგრამ მისი სიტყვები „ანა ლ-ჰაკკ“ ერთგვარ პოეტურ ფორმულად იქცა და მოწინავე მოაზროვნე სუფი პოეტების ლექსებში „ერთ ერთგზის ამოტივტივდა. ჰალაჯასა და ბისტამის შემეცნების გზა უაღრესად სუბიექტური იყო. აღქმული თავის თავში ეძიებდა ჭეშმარიტებას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გნოსტიკოსის ეს „მე“ ზოგადობის ცნებამდე იზრდება. „მე“ ერთსა და იმავე დროს არის „შენ“ და „ისიც“. მაშასადამე, ეს „მე“ შეგვიძლია გავიზიაროთ, როგორც „ჩვენ“ — ყველა ერთად აღებული და, ბოლოს, ამ „მე“-სა და ზოგადად ადამიანს შორის იგივეობის ნიშანი დავსვათ; მაშინ ფორმულა „მე ვარ ღმერთი“ უმტკივნეულოდ შეიცვლება: „ადამიანი არის ღმერთი“.

მართლაც, ჯურუფიზმმა, რომელიც სუფიზმის ერთ-ერთ განშტოებად შეიძლება მივიჩნიოთ, გაარღვია შემეცნების ეს სუბიექტივიზმის რკალი და საერთოდ ყველა ადამიანში ღმერთი დანახა. ჯურუფის შემმეცნებელი ჭვრეტა უკვე თავის „მე“-სკენ კი არ არის მიმართული, არამედ თავის „მეს“ გარეთ მყოფი ადამიანისკენ, რაც უდავოდ პროგრესულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. ჯურუფიები უკიდურეს პანთეიზმს ქადაგებდნენ, მათ ღმერთის გაუტოლფარდოვნეს არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მთელი მატერიალური სამყარო. ისინი ხილვადი სამყაროს ყველა ატომში ღმერთის გამოჩინებას ხედავენ, რითაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ტრანსცენდენტალური გაგება მოუხსნეს და მატერიალურ სამყაროში გაანივთეს.

მაგრამ ჯურუფიების ჭვრეტის ძირითადი ობიექტი, როგორც ყველა სუფის, ადამიანი იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყველა სრულყოფილ ადამიანში, კერძოდ კი, მის ლამაზ სახეში, ღმერთია გამოჩინებული და გასხეულებული. ამიტომ, მათი აზრით, უნდა გიყვარდეს ადამიანი და მისი ლამაზი სახე. უნდა იყოს ჩვენი ჭვრეტისა და ესთეტიკური განცდის ობიექტი. საერთოდ, აღმოსავლეთში ოდითგანვე აფასებდნენ ლამაზ და მშვენიერ სახეს: ომარ ხაიამი თავის ფილოსოფიურ-ეთიკურ ტრაქტატში „ნაურუზ-ნამე“ ლამაზი სახის დადებით თვისებათა აღწერას ერთ თავს უთმობს. ჯურუფი პოეტისათვის კი თავისი სატრფოს ლამაზი სახე ყველაფერია: ის (სახე) მას უწევს

ყურანის, სალოცავი მიჰრაბის, რწმენისა და, თუ გნებავთ, ღმერთის მაგივრობასაც.

ჰურუფიულ მსოფლმხედველობაში ადამიანი კი არ მაღლდება ღმერთამდე, არამედ ღმერთი დადის ადამიანის ცნებამდე და იგი ანთროპომორფულია.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ შემეცნების სფეროში პირველ პლანზე ადამიანი და ადამიანური სიყვარული არის წამოწეული. როგორც ე. გიბი აღნიშნავს, ჰურუფიებისათვის ულამაზესი ადამიანური ფორმა არის არა უბრალო ადექვატური გამოსახულება, არამედ ღვთაებრივი განსხეულება და სიყვარული, რომელსაც განიცდი ამ ადამიანისადმი, არის არა უბრალო „ხიდი", მიმავალი აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ, არამედ თავისთავადი და საბოლოო მიზანი. ჰურუფიების ცნობიერებაში ადამიანს განსიხილავენ არა ღმერთის ასლად, როგორც ამას ადგილი აქვს სუფიებთან, არამედ თვით ღმერთად, ამიტომ ღმერთი გააზრებულია ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანად და პირუკუ... მაგრამ აღქმის დროს პრიორიტეტი ადამიანს ეკუთვნის, რადგან აღმქმელისათვის უშუალო ჭვრეტისა და წვდომის ობიექტი ადამიანია.

ცხადია, ჰურუფიების მსოფლმხედველობაში სიყვარულის არსის გააზრება უნდა შეცვლილიყო: აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ადგილი უნდა დაეთმო ადამიანისათვის, რომელიც კი არ უგულებელყოფდა მას (აბსოლუტურ ჭეშმარიტებას), არამედ მისი ცნების იდენტური იყო. ამას ცვლილებები უნდა გამოეწვია პოეტურ ფერწერაშიც. მართლაც, ეს ასე მოხდა, ჰურუფი პოეტების მშვენიერის სურათი უფრო რეალურ არსებად წარმოგვიდგება. მათთან წარმოდგენილი განცდის მომენტებიც უფრო მიწიერ, ადამიანურ ელფერს იძენს. მაგრამ ჰურუფიულმა პოეტურმა აზროვნებამ აღმოსავლური ლირიკის განვითარებაში ვერ შესძლო ძირეული გარდატეხის მოხდენა, რადგან აღმოსავლური სიყვარულის საზოგადოებრივი ინსტიტუტის ტრადიციები ძალზე ძლიერი იყო. და რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰურუფიების სიყვარულის ობიექტი, მართალია, პირველ რიგში ადამიანი იყო, მაგრამ ეს ადამიანი შემეცნების ღრმა მეტაფიზიკურ არეში ღმერთად გვევლინება. აღმოსავლეთში სიყვარულის საზოგადოებრივი ინსტიტუტის ტრადიციები თითქმის XIX საუკუნემდე ბატონობდა.

ამრიგად, აღმოსავლური ლირიკა ჯაჰეზური ევოლუციური განვითარების სურათს გვაძლევს. ეს ევოლუცია იწყება რეალური საწყისებიდან, გადადის ზოგადში და ბოლოს მაღლდება აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნებამდე. მაგრამ, თუ განვითარების მესამე ფაზას — სუფიზმს ცალკე განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ იგი თავის შინაგან წრიულ განვითარებაში მოიცავს ევოლუციის იმ საფეხურებს, რომელიც აღმოსავლური ლირიკის განვითარების ზოგად ხაზს ახასიათებს. ეს არის ურთიერთთან მჭიდედ დაკავშირებული რეალები, რომლების ერთმანეთისაგან გათიშვა და, განსაკუთრებით კი, საწინააღმდეგო სიბრტყეზე განხილვა სავსებით დაუშვებელია. მეორე მხრივ, როგორც დავრწმუნდით, სუფიზმი არ უარყოფს რეალური, კონკრეტული სილამაზის ესთეტიკურ განცდას. მაგრამ სუფიზმის მსოფლშემეცნებაში ეს კონკრეტული ძალზე აქციდენციურია, იგი არის მხოლოდ პირობა ზოგადის გასააზრებლად, რათა ამ უკანასკნელიდან იდეა გამოიკვეთოს. საშუალო საუკუნეების აღმოსავლური ლირიკის ძირითად ნიშანდობლიობად ჩვენ მაინც ზოგადობის ცნების გააზრება მიგვაჩნია, რომელიც წრიული შემეცნების კოორდინაციული წერტილია: აღმავალ საფეხურზე იგი (ზოგადობა) კონკრეტულ აღქმათა გააზრებაა, ხოლო დაღმავალ საფეხურზე იდეის დაშლის შედეგად მიღებული ცნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი კალენდარი

გაგრიელ ჯაგუშანური

გაბრიელ ჯაბუშანურის პირველ კრებულში („არაგვიანი") ასეთ სტრიქონებს შეხვდებით:

ჩვენც იმ გზებს მივდევთ, სად ნამუხლარი —
თქვენი ატყვია მაღალ ქარაფებს;
მაგრამ ჩვენ ხმა გვაქვს თქვენგან უხმარი
და სხვა ტკივილი გვალაპარაკებს.

ვაჟასთან სათქმელი ლექსი

ასაკი, როცა ეს ლექსი დაიწერა, ყველა ნამდვილი შემოქმედისათვის პირველი, სერიოზული დაფიქრების ასაკია. ამ დროს უკვე ქრება ბავშვობის მირაჟი და ნათლად იკვეთებიან საგნები და მოვლენები, რომელთა პირისპირ მარტო რჩება მწერალი. სწორედ აქ იწყება საკუთარ თავთან და სიტყვასთან მკაცრი ბრძოლა, მთელი სიცოცხლე რომ გრძელდება. ამ ასაკში იწყება საკუთარი გზისა და ადგილის ძიება.

გოეთე მიუთითებდა ტალანტის განვითარების სამ ეტაპზე — როცა ახალგაზრდა წერს ცუდად და მარტივად, მერე როცა ის წერს კარგად და ბუნდოვნად და მესამე, როცა კარგად და მარტივად წერს.

გაბრიელ ჯაბუშანურს მაშინ ნაწილობრივ ეს კარგი სიმარტივე აკლდა, თუმცა უკვე ამ კრებულითაც ჩანდა, რომ მისი სახით ქართულ პოეზიაში საინტერესო შემოქმედი მოვიდა.

ჯაბუშანური წერდა ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ თემებზე — ელექტრონის შუქის მოსვლა სოფელში, მანქანას გაჯიბრებული ცხენი და ა. შ. წერდა ქალაქ გორზე, რომელსაც დამღამობით ცა საჩუქრად ვარსკვლავებს ჩამოუყრის, ხარებზე, რომლებიც წვანან და ვარსკვლავებიან ცას შესცქერიან. მის პირველ წიგნში ჩანდა ის განწყობილება, შემდეგ ჯაბუშანურის პოეზიის ლეიტმოტივად რომ იქცა.

გახედავ შორით ბისოს და ხახმატს
და გაუღიმებ ნაცნობ ჭიუხებს.
. . . . . .
მთებზე ნისლება მთებად ეცვა
და მიჰკიკინებს მდევარს მდევარი.

მაშინვე იგრძნობოდა ერთიც — ჯაბუშანური ასცდა იმ გზას, ბევრი რომ ვერ ასცდება ხოლმე თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დაწყებისას... მხედველობაში გვაქვს ლიტერატურული ტრადიციის ყალბად გაგება, როცა აშკარა ეპიგონობას ტრადიციას არქმევენ.

ცდუნება კი უდავოდ დიდი იყო ჯაბუშანურისთვის — ვაჟა-ფშაველასა და ხალხური პოეზიის სამყაროში გაზრდილი პოეტისათვის. მაგრამ მან ტრადიციისაგან მიიღო ის, რაც აუცილებელი იყო და თავისი გზით წავიდა, იმ გზით,

სადაც „სიმღერა ტკივილია და სწრაფვა დიდი“.

> დედა სამშობლოვ! —
> შენი კარანახით
> და ჩემი გულის ძახილის კალით
> მე მიფალ, ცოცა კიდე დავლახო...
>
> **ჩრდილი და მთვარე**

მთები გაბრიელ ჯაბუშანურის ყველაზე მახლობელი და საყვარელი თემაა. სწორედ მთებზე დაწერილ ლექსებშია ის გულწრფელობა და სისადავე, რაც ყველაზე უფრო უსვამს ხაზს ჯაბუშანურის ორიგინალობას.

პოეტი მოერიდა ჩვენს ლიტერატურაში უკვე დამუშავებულ და, შეიძლება ითქვას, გაზვიადებულ ეგზოტიკას. იგი პირველ რიგში არხოტელი მთიელია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი შენი სიცოცხლე ალპინისტივით იცხოვრო, გაეჯიბრო მეზობლის ბიჭებს დოღში, ხოლო ბუნებას — ამტანობაში. ეძებო მთაში დაკარგული ხარები და სიმაღლიდან დახედო მთების თავზე გაფენილ სივრცეს, რომელიც „ლივლივებს, როგორც ქედანი“, ხოლო საღამოს სუფრასთან თავმოყრილ მეზობლებს შეუერთდე:

> შეედივარ... ხალხი გულისყურს მაქცევს,
> დგებიან — არაყს ნაზიარებნი...
> დასხედიან, ღვერთმა მშვიდობა მაგცესთ,
> თანამეძმენო თასიანებო!

ჯაბუშანური არ გამოედევნა გუდანისჯვრის დროშის რომანტიკას და სისხლის აღების კანონებს. მის პოეზიაში (პირველი ლექსების ჩაუთვლელად) ოშვიათად შეხვდებით ქავზე გაკიდებულ მტრის მარჯვენებს და ხმალამოწვდილ ხევსურებს. ის ახალი ხევსურეთის პოეტია და გატაცებით ეძებს ახალ თემებსა და ფერებს.

ჯაბუშანური ხატავს სამშობლოს მთების პეიზაჟებს და ხალხს — მწყემსებსა და მონადირეებს, ჩაღმებულ კლდეებს და მღვრიე ხევებს, გახა ნაროზაულის გზას და არხოტის ცას.

> როგორც დამდნარი ტყვია ყალიბში
> ნისლი ჩასხმულა არხოტის ხევში.
>
> . . .
>
> დგას ტაძარივით უწმინდესი ღილდოს
> ... ...
>
> **და მრავალ ფერებს ამათილებს მაინც**
> **სმარაგდი.**
>
> . . .
>
> მზე გადიწვეარა და მწუხრი ებში
> შემოდის, როგორც შემკრთალი შუნი.
>
> . . . .
>
> და ასისწყალის თვალთა წიაღში
> ღილდოს მღვრიე ცა გდია გულაღმა.
>
> . . .
>
> მზემ — მოშღიმარე ზეცის ყვავილმა —
> წყაროს, გუშინ რომ კენტად მორბოდა —
> ააღებინა ხელი ყვავილი.
>
> ხელმოცარული მონადირე ღიმილით
> შეჰყურებს კლდეებს:
>
> ჰე ოჩინტრეო,
> მიშველე, მიბოძე ხარლაღი.
>
> . . .
>
> სალო, შენს ახლო ვიქნები...
> დე, კლდესთან კისერს ვიწედიდე
> და მთების ხელას ეუყურო.

ასე ეუბნება მთებს პოეტი და ჩვენ გვწამს, რომ მას არ უღალატებენ ეს მთები, თოვლიანი და დეკიანი, დაშლილი-ხეებიანი და ადიდებულ-ხევებიანი მთები, ჩვენი სამშობლოს სანდო და კეთილი მთები...

●

მზექალი — თითქმის სულ ამ სახელთანაა დაკავშირებული პოეტის სიყვარულზე დაწერილი ლექსები. ზემოთ ჩვენ ვამბობდით ტრადიციის ყალთ და სწორ გაგებაზე. ჯაბუშანური სიყვარულის საკითხშიც ვაჟა-ფშაველას და „შემომეყარა ყიგჩაღის“ ავტორის მემკვიდრეა, მაგრამ იგი აქაც ორიგინალური რჩება და არსად არ იმეორებს მათს ინტონაციებს.

საერთოა მხოლოდ ქალისადმი დამოკიდებულების უწმინდესი ტრადიცია: ტრადიცია, რომელიც ქალს არ ჰპირდება ბროლის კოშკებს და არ აპყავს იგი ცაში დაკიდულ ბაღებში. ეს ტრადიცია შეყვარებულთა, თუ შეიძლება ითქვას, უფრო ნათელ დამოკიდებულებას გულისხმობს და ამიტომაა იგი უფრო მართალი.

თუ არის მთვარე, დე იყოს სრული
არ ხამს სმიცირე და ფერმკრთალობა,
თუ ჭრილობაა, დე ღირდეს წყლული,
წყალობას, გვდგეს თუ წყალობა.

აი, ასეთ სიყვარულს გულისხმობს ეს ტრადიცია და ასეთი სხივებითაა განთებული ჯაბუშანურის პოეზიის ის ნაწილი, რომელსაც პირობითად „მზექალი“ შეიძლება დაერქვას.

მითხარ პასუხი კაცს, რომ არაქათს
აცლის და დახრის მსგავსად ძახველის.
. . .
მზექალო, ზამთარი ვათრევ კბილითა,
ღრეობით გავლილ დღეს:
თვეობით მშიოდა ეგ შენი ტკბილი ხმა,
მშიოდა ღიმილი შენი.
. . .
გელოდი და უთვალავჯერ ეყარე რამლი
შენთვის ასეზის ავადღერე კითარა,
სიშვაბუკე გიიპარა, როგორც კვამლი,
დღეს კი რაღა... გინდა მოდი, გინდ არა.
. . .
სისკარო, ამ ხმამ აღარ დამზოგა,
სისკარო, ეს ხმა ისე იღერება,
ვით გფრენილი ახალგაზრდობა.

ერთგან კლდეზე გადმოფენილ ქუჩს პოეტი მზექალის თმებს ადარებს და თავისი სიცოცხლით, სისადავით და სიწმინდით ბრწყინვალე სახეს ქმნის.

ალბათ გაბრიელ ჯაბუშანური კიდევ ბევრ კარგ ლექსს შემატებს მზექალის ლექსების ციკლს. ის ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოუყვება მზექალს და მკითხველს თავის ფიქრებს, როგორც

ნაკადი ვარსკვლავს შორეულს
მეათასერთე ზღაპარს უყვება...

ჯაბუშანურის ბევრი ლექსი შემთხვევის მხატვრულ ფიქსაციას ემყარება და აქედანაა მის კრებულებში სიუჟეტიანი ლექსების სიმრავლე: პოეტის პირველ წიგნში ზოგჯერ ვხვდებით ძალიან მარტივ და შაბლონურ (ძველი და ახალი ცხოვრების შედარება, იგავ-არაკის ტიპის ლექსები და მისთ). სიუჟეტიანი აგებული ლექსებს თუ ბალადებს, რომ ეროვნული ბალადა ეწოდებოდეს, ბამდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ პოეტმა ეს სიძნელე დაძლია და ბოლო წლებში გამოაქვეყნა შესანიშნავი სიუჟეტიანი ლექსები: „მოხუცი“ „კიდევ ღილღური კატა“, „ჩვენი რომანის ფრაგმენტები“ და სხვ.

ჯაბუშანურს არ უყვარს პოეზიაში გატეხილი ყამრების დამუშავება. იგი მაძიებელი პოეტია და ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტი ფრაზა თუ სიტყვა მონახოს. ხევსურეთში დაბადებული და გაზრდილი, იგი ხევსურული დიალექტით იკვებება, გაბედულად იყენებს ფერფლმიყრილ სიტყვებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ზომიერების გრძნობა ღალატობს და პოეტს უჭირს სინთლეს შეაჩვიოს სიბნელეში ნამყოფი სიტყვა...

გამოცდილი და დაძაბულ შრომას ნაჩვევი ოსტატი თავის სიცოცხლის 50 წლისთავს ხვდება, წინ კიდევ გრძელი გზაა და დიდი გამოცდა.

მე სიბნელესა და სიჩუმესთან
მაქვს საიდუმლო მიუწვდომელი.

ეს თეთრი ღამეებით დაღლილი ხელოვანის ნათქვამია და მას არასოდეს დაინდობს თავისი სხეულის მაძიებელი და დაუკმაყოფილებელი სული.

მამუკა ფიკლაური.

●

დიახ, ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ პოეტს გაბრიელ ჯაბუშანურს დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია სულითა და გულით მიესალმება ქართული ლექსის ამ თავისებურ ოსტატს, უსურვებს მას ჯანიერ სიცოცხლეს და ახალ-ახალ ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებებს.

წიგნების სამყაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრელიცია და სიმღერა

ვ. ფოცხიშვილი — „ეს გაზაფხულიც მოვიდა“. ლექსები. „საბჭოთა საქართველო“.

მორის ფოცხიშვილი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სულიერი სამყარო დღითიდღე ფართოვდება, იწმინდება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები უფრო ლაკონური და ზუსტი ხდება.

რვა წლის წინათ მკითხველი საზოგადოება პირველად გაეცნო მორის ფოცხიშვილის წიგნს „ალუბლები წვიმაში“. ეს კრებული ლიტერატურულმა საზოგადოებამ და მკითხველმა გულთბილად მიიღო. მასში ჩანდა ახალგაზრდა შემოქმედის საინტერესო პოეტური მიგნებები და დაკვირვებები, რომლებიც უფრო მეტად ემყარებოდა ღრმაადამიანურ ტკივილსა და სიხარულს. რა თქმა უნდა, ზოგი იმდროინდელი ლექსი თავისი მხატვრულობით ან თემის გადაწყვეტით სრულად არ უპასუხებდა ლიტერატურის მაღალ მოთხოვნებს, მაგრამ მათში უკვე იგრძნობოდა მზარდი, მართალი შემოქმედი და, რაც მთავარია, ჩანდა მისი ლიტერატურული მომავალი. ლექსების ამ წიგნში აეტორმა გარდა თავისი ხალასი გრძნობისა, კიდევ ერთ დადებით თვისებაზე მიგვანიშნა. ის ყოველგვარი ექსპერიმენტის, ცრუორიგინალობის გარეშე დადგა ნამდვილ შემოქმედებით გზაზე. პოეტისათვის უცხო იყო ყალბი, არაფრისმთქმელი, გრძნობისაგან დაცლილი ფრაზები. ხალხური ლექსის ინტონაციაზე დაყრდნობით მან შექმნა საოცრად ამღერებული სტრიქონები.

„ეს გაზაფხულიც მოვიდა“ პოეტის მეშვიდე წიგნია. ამ კრებულში მორის ფოცხიშვილმა უფრო დამაჯერებლად გვაგრძნობინა თავისი პოეტური პოტენცია.

მორის ფოცხიშვილის ლექსის შინაგანი წყობა და რიტმი ზოგიერთ შემთხვევაში ძალზე უახლოვდება თანამედროვე სალაპარაკო ენის ინტონაციას. ის ამ კრებულში ძუნწად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და აქცენტი უფრო სასაუბრო-სასიმღერო ინტონაციაზე გადააქვს. პოეტი თავის ლექსებში მღერის ყოველგვარი ძალდატანებისა და მოჩვენებითი განწყობის გარეშე. აკი ამაზე საკუთარ თავს თვითონვე ეუბნება: „ახლა თუ არ ამღერდები, მერე რა აგამღერებს, რერა!“

მორის ფოცხიშვილის აზრს ხშირად გააჩნია ძალზე ხელშესახები ინტენსიური ფერიც, რომელიც ალაგ-ალაგ ფერწერაში გადადის, მაგრამ ლექსის მუსიკალობა არ იჩქმალება:

ყველაზე დიდი ოცნება ახლა
ჩვენს გულში ჩნდება, ადიალ,
ბედი, რომელიც წყდებოდა მაღლა,
მიწაზე წყდება, ადიალ.
სურვილი ჩემი შენს რწმენას ერთვის,
ალბათ თენდება სხვა დილა,
ლამაზი, როგორც შროშანა თეთრი.
ფელი, ოდესა, ადიალ!

ბოლო დროს ქართულ პოეზიაში, განსაკუთრებით ახალგაზრდების შემოქმედებაში, სამოქალაქო ლირიკას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ვიწროა-კამერული, სუბიექტურ განცდებზე შექმნილი ნაწარმოებები, რაც არ უნდა რაფინირებული და მაღალხატვრული იყოს, ვერ შექმნის ამინდს პოეზიაში. ასეთ თემებზე დაწერილ ლექსებს ძალზე ხანმოკლე სიცოცხლე უწერიათ. ძველი ჭეშმარიტებაა: ყოველ ლექსს სჭირდება მოქალაქეობრივი ყოფიერობა და განზოგადება, რადგან შეუძლებელია დროთა გამოცდას გაუძლოს მხოლოდ პირადული გრძნობების ამსახველმა პოეზიამ. ავიღოთ, მაგალითისათვის, ამ კრებულის ერთ-ერთი ლექსი „ხიროსიმა“. სათაური უკვე მიგვანიშნებს ნაწარმოების მიზანდასახულობაზე, თემის აქტუალობაზე, ლექსის ფუნქციაზე. ხიროსიმა ყოველი ადამიანის შემეცნებაში გამოსახულია, როგორც სიმბოლო ატომური ომის საშინელებისა. სათაურის წაკითხვისთანავე ვავვიელვებს გონებაში: — როგორ შეძლო პოეტმა ამ თემის გადაწყვეტა? ხიროსიმას ბედზე ხომ ყველა ადამიანს უფიქრია. გვეტყვის თუ არა პოეტი რაიმე ახალს?

ის შეერია იისფერ გორებს
და ცხელ სივრცეში თოვლივით ბალნვა...
არ შეიძლება ტირილი, თორემ
ავატირებდა ქვეყანას ახლა.
...და ჰა, მე შენი ტკივილი ვიგრძენ,
მეორედს ვწრიალთ და უმრავლესს ვუელით. —
წაიღეთ ცივი გონების სიბრძნე,
მომეცით ჩემი მოყვასის გული.

ლექსი გვეუბნება, რომ ხიროსიმა „დაეშვიდობა ღიმილით სწორებს“, „...დაცხრა, როგორც პირველი ტალღა“ (ტალღა, რომელმაც მსოფლიო ხალხებს დაანახა ატომური ბომბის პირველი საშინელება!). ლექსში ნათქვამია, რომ არ გვწამდა ასეთი საოცრების არსებობა და ეს ყველფერი „მოგვაჩნდა ქორად“; მაგრამ პოეტს ერთხელაც არ უხსენებია ატომური ბომბი, არ აუწერია მისი საზარელი აფეთქება, ლექსში არ ისმის განწირულ ადამიანთა ხმა, მაგრამ ეს ყველაფერი პაუზებში იგრძნობა.

მორის ფოცხიშვილის „ხიროსიმა“ კრებულის საუკეთესო ლექსია თავისი აქტუალობითა და თემის გადაწყვეტით.

ლექსი „უსინთლო მომღერალი“ და „მარტოხელა ქალის ბალადა“ რიტმითა და განწყობილებით ერთმანეთს ჰგავს. ბრმა მომღერალი შინ ზის, არსად დადის. მას არავინ მეგზურობს. ხელში არც ჯოხი უჭირავს და არც ჩანგი, მაგრამ მაინც: „მღერის და ტკბილი სიმღერით ხალხში მიიკვლევს გზას“. უსინათლო მომღერალი თავის ტრაგიკულ მდგომარეობას სიმღერით ამარცხებს, ხოლო მარტოდმარტო დარჩენილი ქალი კი იმარჯვებს მაშინ, როცა: „შემოივლიან ხანდისხან მასთან“, „დაუტოვებენ ღიმილს და ყვავილს“, ანდა როცა „...შვიდად ჰყვება მოხუცი ქალი ტკბილი ცხოვრების მწარე ბალადას“. ორივე ლექსი დიდი გულისტკივილითა და ადამიანური განცდითაა დაწერილი.

მორის ფოცხიშვილის ამ წიგნში წარმოდგენილი ლექსების ერთი მესამედი მეგობარზე და მეგობრობის თემაზეა დაწერილი. ქართული ლიტერატურის ამ უძველეს ტრადიციულ თემას პოეტი თანამედროვე ადამიანის სულისკვეთებით ხსნის. მეგობრობის თემაზე დაწერილი ლექსების უმრავლესობა საინტერესო აფორისტული თქმებით ბოლოვდება: „ბიძმე და მოგეწონება — ძმა ხომ ძმით არის ძლიერი“, „ვით მადანს, მტერი ვერასდროს გპოვებს, რადგან მე გეძებ, როგორც მეგობარს“, „შენ გაიხსენე ტკივილი სხვათა, — შენი როგორმე გაგახსენებება“ და სხვ.

მორის ფოცხიშვილი მარტო დადებითი ემოციების პოეტი როდია. მას მხოლოდ ერთი კატეგორიის განცდა არ აღელვებს: მარტო ახდენილი იმედი, გა-

მართლებული სიყვარული, მზიანი ამინდი, მიღწეული სურვილი...

ნახევარი საუკუნის წინათ დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე ბლოკი წერდა: „თანამედროვე ნატურალიზმი მავნე არაა, რადგან ის ხელოვნების გარეთაა... მოდერნიზმი კი საშამლავია, რადგანაც ის ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირშია“. პოეზიას მოდერნიზმზე არანაკლებ სწამლავს მოვლენებისა და გრძნობების გაყალბება. მორის ფოცხიშვილის ყოველი ლექსი მართალი და ნათელია. პოეტი სიყვარულს აღიქვამს, როგორც სიცოცხლის აუცილებელ ნერვს. უბრალოებამ, მუსიკალობამ, გრძნობათა სინატიფემ პოეტს არა ერთი და ორი სიმღერა ათქმევინა:

მე ის პატარა ნაკადული ვარ,
შენ რომ ამღერეე და ასე ათრთოლებ.
შენ რომ ცრემლები წყალს გააყოლე,
მე ის პატარა ნაკადული ვარ.

მღერის პოეტი და... მღერის ახალგაზრდობა.

კრებულში ჩვენი სამშობლოს წარსულს ეხმაურება ლექსები: „არაგვის აკლდამის ქვაზე ამოკითხული“, „ლისიცხეში ნაპოვნი ლექსი“, „ბებერ ხეს“, რომლებიც დიდი სიყვარულითაა დაწერილი.

სამწუხაროდ, მორის ფოცხიშვილის ამ კარგ წიგნს აქვს ცალკეული ნაკლოვანებებიც.

ალაგ-ალაგ გვხვდება გაუმართავი სტრიქონები: „რადგან სახელი ძლიერ ბევრია“, „როცა სტრიქონებს მიმღერავენ ხელნი“, „მზე ჩემთან ერთად აღვინებს ვაზებს“, „ვაჟიბიჭები ფიქრობენ — გამარჯვებულია ალბათ“, „შამპანურივით იხუვლებს „დარიალი“ და ბოლოს ბორჯომის ბოთლივით დაიცლება“ და სხვ.

მორის ფოცხიშვილი ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია, რომლის შემოქმედებაც მკითხველმა სამართლიანად შეიყვარა. ამიტომ პოეტი მოვალეა თავის თითოეულ ლექსს უფრო მაღალი მოთხოვნილება წაუყენოს.

დავით აფაქიძე.

ყველაზე დიდი სიჩუმის შემდეგ...

ა. აბულაშვილი — „ლექსები“. „ლიტერატურა და ხელოვნება“.

შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ლექსების ამ წიგნის განხილვას მისი მხატვრული გაფორმების შეფასებით ვიწყებ. წიგნის ყდის უღიმღამო, მეტისმეტად უფერული გამოხედვა კრებულის შინაარსსა და პათოსს არ გამოხატავს. მხატვრის ხელრთვა ძნელად იკითხება. ერთი სიტყვით, შეუხედავი გამოცემაა.

ახალგაზრდა მწერლის წიგნი როგორ მივიდეს მკითხველამდე, თუ იგი მიმზიდველად გაფორმებული წიგნების გვერდით იჩქმალება და იჩაგრება? ეს უნდა თქმულიყო და არც თუ სხვათა შორის.

ანზორ აბულაშვილი არ არის აღტაცებული საკუთარი თავით (რამდენი ასეთი ახალგაზრდა პოეტი ვიცით!), იგი ზომიერად და მოკრძალებით გვთავაზობს თავის გამორჩეულ, სათუთ ფიქრებს, გვესახიერებს თავის უკეთეს „მეს“. ერთ ლექსში იგი წერს: „მე ვიდგავ ენას ყველაზე დიდი სიჩუმის შემდეგო“. ამ „დიდი სიჩუმის“ სადგურში წარმოშობილი პოეტისეული მძაფრი, არსებითი განცდა, თავშეკავებული და გულწრფელი

საუბარი მკითხველთან მთელ წიგნს გასდევს.

სიმპრთლე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობა, — ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. კაცთმოყვარეობა, „რწმენა. ყველაფრის მიღწევის რწმენა“ აუდგამულებს ანზორ აბულაშვილის სტრიქონებს. კრებულში ოცდახუთი ლექსი და ერთი პოემაა დაბეჭდილი. ისინი სხვადასხვა დროს დაიწერა და სრულიად განსხვავებულ თემებსა და საკითხებს ეხებიან. მაგრამ მთელი წიგნი ერთი პოეტური სულითა და ენერგიითაა გამოლიანებული და მოწესრიგებული. მექანიკურობისა და შემთხვევითობის ორიოდე შემთხვევაღა შეინიშნება (ამაზე ქვემოთ). აქ არის საიტერესო ფიქრები იმაზე, თუ რახი ვართ და რანი ვიქნებით. აქ არის მძიმე და გმირული წარსულის ბურუსის გარღვევისა და წინაპაპრთა ღვაწლის პოეტურად გაცხადების ცდა. პოეტის თქმით, ყოველ ჩვენგანში დგას „ქსნის და არაგვის ციხეთა ნისლი“, „და ანანურის ციხე მაღალი“. ამ სიმღერისა და გმირობისადმი მოკრძალება გვმარობს. წარსულის სიყვარული და ცოდნა კულტურის უპირველესი ნიშანთაგანია. უთქვამთ. ანზორ აბულაშვილმა შეძლო თავისებურად, შთამბეჭდავად გადმოცა ისტორიული ქართლისადმი თავისი დამოკიდებულება, რაც ძნელი იყო, დიდად ძნელი, რადგანაც ეს თითქმის ყველა პოემა სცადა. ა. აბულაშვილმა თქვა: „...და ვფიქრობ ახლა, მე ვფიქრობ ჩემთვის დაღლილ მუხლებზე, ხელებზე, სისხლზე... დგას ციხე, როგორც უმწეო ღმერთი...“ და ეს — უმწეო ღმერთის დაღლილი მუხლები, ხელები, სისხლი — თავს არ დაგვავიწყებს. ამ მრავალსაუკუნოვანი ავბედითობის ტვირთი კი არ გვთენთავს, კი არ გვანელებს, პირიქით — გვაახლებს და გვაძლიერებს. დღეს „უფრო კეთილი და საყვარელი“ ქართლი „მაისის წვიმებს მიჰყიჟინებს:“

ახლა სავსე ვარ ამ ქართლის ფერით
და ისახება მიზანიც ნათლად.
და, მძიმე ხელებს, ღონიერ ხელებს.
როცა ვწვეთ ზვეთ: — მზისაკენ, ცისკენ,
გულისოფლნა სამყარე ჩვენი
უნდა წუხლილდ, განვაშად ოქცეს.

სალამი ამ დღეს — ზარენის, ძიების,
იმ გზას გაკაფულს, რომელსაც მივდევთ,
და მთებზე მაღლა ავარდნილ ანძებს,
ახალ სართულებს, ქარხნებს, თუ მინდვრებს.

პოეტი საერთო-სახალხო შრომითი ენთუზიაზმის გამოსახატავად არ მიმართავს შედარებით იოლ გზას — არ ქმაყოფილდება ახალი ქალაქების, ელსადგურების თუ სხვა ობიექტების ჩამოთვლით (თუმცა, ეს გაუმართლებელი პოეტური საშუალება როდია და იგი ხშირად საოცარ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე — უიტმენი, გალაკტიონი, მაიაკოვსკი...). ეს მისი ბუნებიდან არ მოდის. ა. აბულაშვილის ჩუმი და მშვიდი ტემპერამენტი მიგვანიშნებს, ერთი შეხედვით, ნაკლებემოციურ, თითქმის „არაპოეტურ“ გარემოებებზე: „გზა სოფელს თითქოს აღვიძებს, ანჯღრევს“ და „... ახლა შარას, ყვიოლად გაწოლილს მოაქეს შირაქის მინდვრების ღალა“, ან კიდევ: „ჩრდილებს დაეძებს სამხარი ახლა“ და სხვ. ამას იქით მკითხველმა ადამიანები უნდა დაინახოს, შრომის პროცესი უნდა წარმოისახოს...

კრებულში ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „უცნობი ჯარისკაცის საფლავთან“. ეს ლექსი პოეტმა მამის ხსოვნას უძღვნა. იგი ხალხის შეუხორცებელი ჭრილობის გამოძახილია და, ამდენად, პირადი ტკივილი საყოველთაო რექვიემად ისმის. პოეტი იხსენებს კაცს, „ვინაც ვერ განვლო ბოლომდე ვიწრო გზა ცეცხლის, სადღაც დაეცა... მერე მიწად ქცეული ვერავინ იცნო“. მილიონობით უსახელო გმირის საფლავი უცნობია. მათ მოსაგონარად გათხრილია სიმბოლური საფლავები, ქალაქებსა და სოფლებში „ანთია ცეცხლი დღითა და ღამით და ცეცხლს კი არ ჰკავს იგი — არამედ სისხლში ამოსვრილ გათელილ ყვავილს, რომელიც იქცა ძეგლად, სამარედ“ და „რამდენიც ხარობს ყვავილი—ცეცხლი, გფარავს იმდენი სამარე ზუს-

ტად". ეს მწუხარებისა და უკვდავების ყვავილებია „და დედებს ახლაც ვერ გადუწურავს იმედებს მთლიან ვერც ეს საფლავი"... მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, ადამიანები ქმნიან, იღვწიან, სიმართლით, ნიჭითა და მოვალეობის შეგნებით იხვეჭენ სახელს „და სურათებში შერჩენილ მამებს ჩვენ გავასწორით ასაკით უკვე".

ამ კრებულის რამდენიმე ლექსი სევდიანი, ნაღველანი განწყობილებისაა. არ არის საჭირო, რომ მათ მაინცდამაინც „პესიმისტური" ლექსები დავარქვათ. ეს შინაგანად მართალი წიგნი ავტორის სულს გვაცნობს, მის სიხარულსა და გულისწუხილზე მოგვითხრობს. ვგრძნობთ, რომ საოცრად მძიმეა „ყველა ტკივილის მოთმენა" და უფრო ძნელია, ხშირად, გიყვარდეს ის, რაც გიყვარდა, ელტვოდე ისევ იმას, რასაც ელტვოდი... აი, თუნდაც ლექსი „შენს ძველ სახლში". კაცი მივდგა თავის ძველ მტოვებულ სახლში, მამაპაპეულ სახლში. ამ ოთახმა, ამ ბინდმა, ბუხარმა საოცრად შეაკოთხი მისი სული. „...ვით სიჩუმის ხმა, ან თავის ქალა... და ვგრძნობ შიშსა და სიბრალულს ერთად", „და ვგრძნობ უცნაურ შიშსა და ცახცახს, ვგრძნობ, ვით ფათურობს შენს სულში შიში..." სულისშემძვრელია შეხვედრა ადგილის დედასთან, რამეთუ იგი „მოჰგავს მეჩიჩხე გარიყულ ხომალდს, რომელიც თავის დამსხვრევას ელის". პოეტი არ წარმოთქვამს სიცოცხლისა და რწმენის მეტად ჩვეულებრივ, კარგად ცნობილ პანეგირიკს. აქ იგი უადგილო იქნებოდა და ადამიანური სევდის გაცხადების გამო თვითდატუქსვას დაემგვანებოდა.

სხვა დროს და სხვა ვითარებაში პოეტმა უკეთ იცის, რომ „ცხოვრებას უნდა მიეზღოს თავისი" და „ახლა ვპოულობ ჩემში როგორც განძს, ბაჯაღლო ოქროდ ღირებულ რწმენას". მეგობრობადმი მიძღვნილ გულთბილ, სალაღობო ლექსშიც გამოსჭვივის ფერმკრთალი სევდა და სიმართლით ავსებს განშორების წუთებს:

ახლა წვავლ და დიდი ხნით მართლაც,
მთელი ზაფხული დავრჩები კახეთს.
მივდივარ მე ჩემს საკუთარ თავთან,
კარგად იყავით, შეშიდობით გნახავ.

ნედლი ლერწამი მეც მელის სადღაც.
მეც მელის ჩემი სახლი და ეზო.
ჩემი სალამი იმერეთს, ვაჟა,
სულ აგრე კარგად მენახე — ეეეეა!

დინამიური, გამომეტყველია პოეტის მიერ შექმნილი სახეები: „და მდინარეებს მიაქვთ მინდვრები, დიდი მინდვრები, ვრცელი მინდვრები", „მიიზმორება მდინარე უხმოდ და მისი გლუვი, მოქნილი ტანი, თითქოს ხელიდან უსხლტება მტკვარი", დიდი თევზივით უსხლტება მტკვარი..." „და ცისარტყელას აწვდიან მთები, როგორც პირსახოცს ჭრელ სა და სუფთას" და სხვა. პოეტს პათეტიკური, ამადლებული თქმაც ეხერხება („ერთხელ ხოხობსაც ვესროლეთ და იგი იქცა თბილისად", „ქვეყნად ერთია არაგვი და ერთხელ იქცა სამასად", „სულ ერთი იყო კიწანისი და ერთხელ გატყდა ერეკლეც" და სხვა) თავისი თაყვანისმცემელი, როგორც ვიცით, ამგვარ რიხიან თქმებსაც ჰყავს.

ზემოთ ვთქვი, წიგნის შინაგანი დისკიპლინა ერთი-ორგან ირღვევა-მეთქი. ვფიქრობ, ამ კრებულში არ უნდა შესულიყო „გრიგოლ ორბელიანის დაბრუნება თბილისში" და „ძველი თბილისის ცხოვრების სურათები" და ა.ი, რატომ: ირღვევა წიგნის მთლიანი სულერი, თითქმის ავტობიოგრაფიული ქსოვილი და, თანაც, ეს სუსტი ლექსებია — ავტორს თავი ვერ დაუღწევია იმ ეპოქის მხატვრული ასახვის ჩვენში უკვე არსებული ფორმებისგან, ახალი, ფსიქოლოგიურად გამართლებული კოლორიტი ვერ შეუქმნია, ერთი სიტყვით, ახალი ლექსი ვერ დაუწერია.

პოეტს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი არ ესწრაფვის რიტმულ-ინტონაციურ ნაირფეროვნებას. მთელი წიგნი, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ათმარცვლიანი ლექსითაა დაწერილი, განსხვავებული თემები, განწყობილებები, ისტორიულად დაცილებული ეპოქები ბუ-

ნებრივად უნდა მოითხოვდნენ სხვა და სხვა ინტონაციას.

ა. აბულაშვილის რითმა მკითხველის ყურადღებას არ იქცევს. იგი ამას არც ესწრაფვის და ჩვეულებრივი, არაერთგზის გამოყენებული რითმებითაც აღწევს ლექსის მუსიკალობას, თანაც, მისი ლექსი უფრო განწყობილების სიმძრაფრით, უშუალობითა და სურათოვნებით გვიზიდავს, მაგრამ ქართული ლექსი მეტ სიფაქიზეს ითხოვს რითმასადმი. ზვირთებით — ჩიტები, ერთხელაც — მოგეხედა, თავისი — შიშის, შენი ყვარელი — და საყვარელი, ღამეში— თვალებში — მეტად მდარე რითმებია. პოეტს უფლება აქვს მეტი ყურადღება მიაქციოს ლექსის რომელიც ნებავს კომპონენტს, ბაგრამ, ვფიქრობთ, რითმის უგულებელყოფა ტენდენციად არ უნდა იქცეს. ქართული ლექსი ყოველგვარ თავისუფლებას უშვებს, მაგრამ რითმის სიმდარეს კი — არა. არის დასახვეწი ადგილებიც („მან რითიც შეეძლო, როგორც შეეძლო, ეფარა მკერდი ... ამ მაღალ ცხეს ვდგავარ ამაყად“.) ლექსების უმეტესობა უსათაურია და ეს, ჩემის აზრით. არ უნდა იყოს გამართლებული

ლირიკული პოემა „დიდი ქალაქი“ გარკვეულ სიუჟეტს შეიცავს. იგი ცხრა თავისაგან შედგება და სათაურების გადახედვაც საკმარისია იმისთვის, რომ პოემის ამბავი გავიგოთ: „გამგზავრება“, „პირველი წელი“, „შემოდგომის მონატრება“, „დიდი ქალაქი“, „დაბრუნება“ და სხვ. ვფიქრობთ, რომ პოემის ეანრი ა. აბულაშვილის შემოქმედებით ბუნებას ნაკლებად ეგუება.

ა. აბულაშვილმა კარგა ხანია ახალგაზრდა მკითხველის ყურადღება მიიპყრო. ეს წიგნიც მეტად საყურადღებოა და, პოეტის თქმისა არ იყოს, „რწმენას, ყველაფრის მიღწევის რწმენას“ გვინერგავს.

ჯუმბერ თითმერია.

„სიყვარული გზად და ხიდად“

ვიტალი კოროტიჩი. ემილ ლოტიანუ. „ნაკადული“.

რუსთაველის მარადსახსოვარი სიტყვები აწერია ლექსების პატარა კრებულს. კრებულში ორი სხვადასხვა ერის, ორი განსხვავებული ხედვის პოეტია წარმოდგენილი. უკრაინელი ვიტალი კოროტიჩისა და მოლდაველი ემილ ლოტიანუს სახელები კარგადაა ცნობილი ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ადამიანისა და სიცოცხლის სიყვარული, ჭეშმარიტი მეგობრობა და ძმობა, — ესაა უმთავრესი, რამაც ორი პოეტის ლექსები ერთ წიგნად შეკრა. სწორედ დიდმა სიყვარულმა გააკეთებინა ვიტალი კოროტიჩისა და ემილ ლოტიანუს ქართველ მეგობარსა და თანამოკალმეს — ჯასსუფ ჩარკვიანს — ეს მისასალმებელი საქმე.

მთარგმნელს საგანგებოდ შეურჩევია ისეთი ლექსები, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე ნათლად გამოხატავს კოროტიჩისა და ლოტიანუს შემოქმედების თავისებურებებს და, ამავე დროს, მკვეთრად განასხვავებს ამ ორ პოეტს ერთმანეთისაგან.

ვიტალი კოროტიჩი უფრო დინჯი ჭვრეტის, ნაზი განწყობილების პოეტია, თუმცა მისთვის არც მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსია უცხო. იგი საქართველოს ხშირი სტუმარია და განსაკუთრებულად უყვარს ჩვენი მხარე. საქართველოს პეიზაჟები და განუმეორებელი ფერები თვალისმომჭრელად აელვარდა უკრაინელი პოეტის ლექსებში.

ერთი ასეთი ლექსი — „ბელათი“ —

აღნიშნულ კრებულსაც ამშვენებს. ლექსში მინიშნებულია ჩვენს წარსულზე, ჩვენს დიდ ისტორიაზე, იმ საერთო ხვედრზე, რაც უძველეს მეფესა და მის მონას ათანასწორებს. აქ ჩანს ჩვენი ეროვნული სიამაყე, რაც მომმე ხალხს პოეტს ყველასათვის საყვარელი ჭაღარა ქართველი კაცის, პეტრე ჭაბუკიანის სიტყვებით გადმოუცია. კაცი, რომელმაც თითოეული კენჭი ზეპირად იცის სათაფლიას გვირაბებში და ვინც ნათელმხილველის თვალით კითხულობს მილიონი წლების წინათ აღბეჭდილ დინოზავრის ნაკვალევს, გელათის განთქმულ ფრესკებზე ესაუბრება სტუმარს. და გიხარია, რომ ამ კაცის სიამაყეს ძველი და ახალი საქართველო უმაგრებს ზურგს. ერთ სტროფში ზედმიწევნით ოსტატურადაა დახატული პეტრე ჭაბუკიანის პორტრეტი და გადმოცემულია სპეტაკი ადამიანის ხასიათი:

ახლა ჩემს წინ დგას კაცი ძველი,
ვით ელესია,
ამბობს: ამნაირ ფრესკებს
ქვეყნად ბევრს ვერ დაითვლიო,
ჩვენი გელათი მსოფლიოში უძველესია,
გარდა ამისა,
აქ მარხია, მეფე დავითი!

ასეთი შთაგონებული სტრიქონები საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ კაცს შეუძლია დაწეროს.

პოეტს ხიბლავს ამქვეყნიური სილამაზე. მთელი გატაცებით უმღერის დედამიწის ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდ მშვენებას — ბალახს. მწვანით შემოსილი მინდორი ბუნების სასწაულად მიიჩნია და პატარა, სუსტ ბალახში მთელი სიცოცხლის შინაარსს ხედავს:

მითხარ, ბალახო,
მითხარ, ბალახო,
დედამიწაზე როგორ მოდიხარ.
ვის უბარია შენი დანახვა,
ვისი სუნთქვა ხარ, ვისი ტოლი ხარ.

შენ სიცხეს უძლებ
და ყინვას უძლებ,
დიდი ლექსივით
ვერვინ დაგმარხოს,
მითხარ, ბალახო,
მზეს როგორ უმზერ —
ცხოვრების აზრი მითხარ, ბალახო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტალი კოროტიჩის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „საათი“. ამ ლექსში ყველაზე მკაფიოდაა გამოვლენილი ავტორის მოქალაქეობრივი სულისკვეთება. აქ ვერ ნახავთ პლაკატურ, უსულგულო სტრიქონებს; მთელი ნაწარმოები მძაფრი ტრაგიზმითა და შთამბეჭდავი, საოცრად დინამიური პოეტური სახეებითაა სავსე. ესაა ლექსი ამერიკელ მფრინაგზე კლოდ იზერლიზე, რომელმაც პირველი ატომური ბომბი ჩამოაგდო ხიროსიმაზე. თითქოს მძიმე ცოდვამ უწოაო, კაპიტანმა იზერლიმ წლობით მოძალებულ საშინელ ზმანებებს ვერ გაუძლო და გაგიჟდა. იგი ჭკუიდან შეშალა განწირული მილიონების შემზარავმა ხმამ, მის ყურთასმენას რომ არ შორდება. გიგანტურ სოკოსავით ალმართულ ღრუბლებში იზერლი დაღუპულ ბავშვებს ხედავს, ადამიანთა ფერფლით დაფარულს საზარელი კოშმარი ნამითაც არ ასვენებს. წარსული ომის მოლანდების ეს შემაძრწუნებელი სურათი დიდი ფსიქოლოგიური და მხატვრული სიმარტლით აუსახავს ვიტალი კოროტიჩს და მთარგმნელსაც ასევე ოსტატურად გადმოუღია:

...მას სამხრეეებზე
ნანგრევებს ეცემა მტვერი
და კლოდ იზერლი
თავს აფარებს ქვეყანას „ზღაპრულს“.
სამოთახიანს და ჩაკეტილ
ქვეყანას ზღაპრულს,
რომლის კედლებიც გადფრეცხავს
რადიოტალღებს,
სად ტელეეიზორს გაუღია
ეკრანის თვალი,
ის თავს აფარებს
გიგეებისთვის ნაცნობ ქვეყანას.

ვიტალი კოროტიჩის ეს ლექსი მრისხანე გაფრთხილებად გაისმის ომის გამჩაღებელთა მიმართ. ესაა წრფელი და ღრმად ადამიანური მოწოდება დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად.

კოროტიჩის ლირიკაში საკმაოდ მძლა-

ერია პატრიოტული ნაკადი. პოეტი აქაც ერიდება ზოგად, გაცვეთილ ფრაზებს, იცის, რომ სიყვარულს ბევრი ლაპარაკი არ უნდება და სათქმელს სადად ეუბნება მშობლიურ უარიანს:

> მე შენ არაფერს არა გთხოვ სხვას.
> მე შენი მიწის სურნელით ვიწევ,
> მაყურებინე შენს ლამაზ ცას,
> დამღალე შენი მზურვალე მიწით.

თბილი, ნათელი განწყობილებებია ლექსებში — „ყვავილი“, „კიევი“, „ზღაპარი შენთვის“, „ღიღილოების ქუჩა“ და სხვა. აქვე ჩანს ვეიზაყის ხატვის თავისებურება, გამოსახვის ახალი ხერხები, რაც ვიტალი კოროტაიჩის პოეზიას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს.

პირველი, რასაც იგრძნობ და რაც თვალში გეცემა ემილ ლოტიანუს ლექსების კითხვისას, ესაა მღელვარე, დაუოკებელი პოეტური ტემპერამენტი. სიმშვიდე და უშფოთველი განწყობილება ამ პოეტისათვის უცხოა. იგი წუხს, ეტრფის, ჯავრობს, გახარებულია, გასაფრენად იწევს გაუკვალავი კოსმოსისაკენ, მუდამ დაძაბული და შემართულია. მისი განცდები თითქმის ყოველთვის უკიდურესობამდეა მიყვანილი.

ემილ ლოტიანუს პოეტური ბუნება კარგადაა გამოკვეთილი კრებულში შეტანილ მის პირველსავე ლექსში „მე ვსვამ ღვინოს“. პოეტი ბახუსის ყინიანობით იყოდეს ლალისფერი ღვინით სავსე კათხას, მაგრამ ეს არის სიცოცხლის და არა ღვინით თრობის აპოლოგია. მორწმუნესავით ქუდმოხდილმა კაცმა იცის, რა დიდი შრომის და სიყვარულის შედეგია მზეზე მოელვარე ზღაპრული სითხე. იგი ბუნების ძალთა სასწაულებრივ მოქმედებასაც ხედავს, როცა ამ ლამაზ კათხას ეწაფება:

> მე ვამჭვირვალე
> საღამოს ბინდს ვსვამ,
> და მწვანე ფოთლის
> ცვარ-ნამის ბრწყინვას,
> მე ვსვამ ღვინოს და
> შუადღის სიცხეს,
> პირველ ცვარსა და
> აგვისტოს წვიმას.

კიდევ უფრო მძაფრი, ენერგიული და სურათოვანია შემდეგი სტროფები:

> მე ვსვამ მერეხის
> და ცეცხლის ნაყენს...
> ბადლობა მიწას,
> ვინც იგი შექმნა.

იდუმალების განცდა და წვდომა პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა. ეს ლამაზი, ყოვლისმომცველი განცდა და მისგან აღძრული პოეტური ხილვები ჩანს ემილ ლოტიანუს საუკეთესო ლექსში—„ნურაფერს მალავ, შავო ტყეო“. რამდენი სმდერა თქმულა ტყის სილამაზეზე, რამდენი პოეტი მოუჯადოებია ბუნების ამ პირველყოფილ მშვენიერებას. ძალზე ძნელია, რაიმე ახალი კუთხით მიუდგე ამ თემას, მაგრამ ემილ ლოტიანუმ შესძლო თავისი ჰიმნი ეთქვა შიშისმომგვრელად გარინდებული ღამეული ტყისათვის. ლექსში მკვეთრად ჩამოქნილი ფერწერული სახეების გვერდით გვხვდება შეუოლამაზებელი, პირდაპირ ნათქვამი ფრაზები, სადაც შეგნებულად არ არის გამოყენებული რაიმე პოეტური სამკაული. ასეთ კონტრასტულ ხერხებზე აგებული სტროფონები ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს და უფრო მეტი ძალით გამოხატავს საერთო განწყობილებას:

> ნუ გამაძეგებ, შავო ტყეო, შლეგსა და
> დაღლილს,
> გველურებამ შენმა მომკლა და დამამწყო,
> შენი ირმების მაღალ რქებზე ირწევა ღამე
> და ვეურთდები შავ სიჩუმეს შენი ღამისას.

ემილ ლოტიანუ მაინცდამაინც ხშირად არ მიმართავს მეტაფორულ აზროვნებას, მაგრამ მის მიერ დახატული სურათი იმდენად ზუსტი და მკაფიოა, სამუდამოდ გამახსოვრდება:

> როგორც ღობეში,
> მზერას ვაძვრენ
> გაფრენილ წლებში
> და ჩემს ბავშვობას
> თვალს ვერ ვაცილებ.

ბავშვობაზე, გარდასულ წლებზე მრავალი ლექსი დაწერილა. დღეს განსაკუთრებით გახშირდა ასეთი ლექსები.

მათი დიდი ნაწილი ერთმანეთს ჰგავს; ავტორებს უჭირთ, თავიანთი პატარაობის სურათები რაიმე კონკრეტული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით დაგვიხატონ. მოლდაველი პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავი დააღწია უსულგულო ტრაფარეტს და ცოცხალი პოეტური ფერებით დაგვიხატა თიკანთან მოთამაშე ბავშვის გაუმეორებელი სამყარო.

სიახლის გრძნობის გარეშე ნამდვილი პოეზია არ არსებობს. დღეს, როდესაც ორნახულად გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენები სამყაროზე, კოსმოსზე პოეტის წინაც ახალი, მანამდე უცნობი ჰორიზონტები გადაიშალა. ჩვენ დღითიდღე მოწმე ვხდებით იმისა, თანდათან როგორ იბადება და ფრთებს ისხამს „კოსმოსის პოეზია". ადამიანის მაძიებელი სული უფრო და უფრო მძლავრად ელტვის უკიდეგანო ცის საიდუმლოს. სწორედ ამგვარი ამაღლებული ლტოლვითაა გამსჭვალული ემილ ლოტიანუს ლექსი „ვარსკვლავები მეძახიან". პოეტს სურს, დედამიწის სუნთქვა და ნაირფერი ყვავილები სუსტად მოციმციმე უშორეს პლანეტებზე წაიღოს:

მოვალ და ცისფერ
სივრცეებში
დაგემზავრებით,
მე გავაღვიძებ
დიდ სიჩუმეს —
მე მართლა მოვალ...
მე ავალ თქვენი
ოქროს მთების
მაღალ ქედებზე
და თქვენს ველებზე
ჩემი მიწის
ყვავილებს დავრგავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უშუალობითა და თემებისადმი ორიგინალური მიდგომით გამოირჩევა ლექსები — „ბალადა უქმად გატარებულ დღეზე", „გვიან ღამით", „გიტარა". „მარცხნივ, ჩემს მკერდში".

ისევე როგორც ვიტალი კოროტიჩი, ემილ ლოტიანუც ხშირად ჩამოდის საქართველოში. გავიხსენოთ, რა მხურვალედ ლაპარაკობდა იგი საქართველოს მწერალთა VI ყრილობაზე, ქართული კულტურის რა დიდი სიყვარული ჩანდა მის სიტყვაში.

ვიტალი კოროტიჩისა და ემილ ლოტიანუს ლექსები ქართულად ისე თავისუფლად, ლაღად იკითხება, რომ თარგმანის შთაბეჭდილებას არც კი ტოვებს. ამასთანავე, ორივე პოეტს შენარჩუნებული აქვს როგორც საკუთარი სახე, ასევე ეროვნული კოლორიტი. ვიტალი კოროტიჩისა და ემილ ლოტიანუს ლექსებს საქართველოში ჟურნალმა „ცისკარმა" დაულოცა გზა ამ რამდენიმე თვის წინათ. ჩვენმა მკითხველმა გულთბილად მიიღო ეს ლექსები, უფრო მეტად შეიყვარა ორი მოძმე ერის პოეზია. სიყვარული კი ის გზა და ხიდია, რომელზედაც გაჩენის დღიდან უვლია და მომავალშიც მუდამ ივლის ქართველი ხალხი.

ემზარ კვიტაიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ახალი წლის მიჯნაზე . . . . . 2 გვ.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს . . . . . 3 გვ.
ლ. ი. ბრეჟნევის დაჯილდოება . . . . . 4 გვ.

შიქრები ხმამაღლა

გივი მეფისაშვილი — საქორწინო ეტლი . . . . . 5 გვ.
ვლადიმერ გაგუა — ახალგაზრდობა. მისთვის ნურაფერს დავიშურებთ! . . . 11 გვ.

„ცისკარი“ ულოცავს . . . . . 16 გვ.
ხამოცი წელი . . . . . 22 გვ.

პროზა და პოეზია

როდიონ ქორქია — ნამდვილი მოთხრობები . . . . . 17 გვ.
გურამ შანჯიკიძე — მეშვიდე ცა (რომანი) . . . . . 23 გვ.
გრიგოლ ცეცხლაძე — მთელი არსებით (ლექსი) . . . . . 63 გვ.
ლადო სულაბერიძე — ოთხი ლექსი . . . . . 64 გვ.
ზაქარია შერაზადიშვილი — ახალი რვეულიდან (ორი ლექსი) . . . . . 66 გვ.
ნინო აბაშიძე — საახალწლო სამზადისი (მოთხრობა) . . . . . 106 გვ.
ზურაბ რატიანი — ბიჭები (მოთხრობა) . . . . . 110 გვ.

ახალი თარგმანები

ანა ზეგერსი — ლერწამი (მოთხრობა. თარგმნა დონარა თურმანიძემ) . . . . . 123 გვ.

ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში“

გასტონ გუალიძე — ეაკ კრებულის პოეზია . . . . . 130 გვ.
ელიზბარ ჯაფარიძე — სუფიზმისა და ალეოსავლური ლირიკის ერთი საკითხი 137 გვ.

ჩვენი ქალენდარი

მამუკა ფიკლაური — ბაბრიელ ჯაბუშანური . . . . . 147 გვ.

წიგნების სამყაროში

დავით აფაქიძე — ტრადიცია და სიმღერა . . . . . 150 გვ.
ჯუმბერ თითმერია — ყველაზე დიდი სიჩუქის შემდეგ . . . . . 152 გვ.
ემზარ კვიტაიშვილი — „სიყვარული გზად და ჩიდად“ . . . . . 155 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **ხუტა ბერულავა**

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბაქრაძე, გურამ გვეტრიძე, მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მეტრეველი, გურამ შანგუნიკიძე (პ/მგ. მდივანი), გიორგი ცაცანაშვილი, ნოდარ ფულეისკირი, ვახტანგ ჭელიძე, სergი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

გარეკანი და ტიტული ელ. ამაშუკელისა, ყურნალი გაფორმა თ. სამსონაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბლეხანოვის პრსპ. № 91.
ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-35, პ/მგ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: პოეზიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 4348. უე 03405. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 11000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЁБА»

ИНДЕКС 76236